

დავით ჩახვაშვილი

სამეწარმეო საქმიანობის საზინანსო უზრუნველყოფის
სახელმწიფოებრივი რეგულირება საბაზრო
მეურნეობის პირობებში

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
აპრილი, 2008 წელი

© საავტორო უფლება დავით ჩახვაშვილი. 2008 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი“

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავცანით დავით ჩახვაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: სამეწარმეო საქმიანობის საფინანსო უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი რეგულირება საბაზრო მეურნეობის პირობებში და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი:

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2008 წელი

ავტორი: დავით ჩახვაშვილი
დასახელება: სამეწარმეო საქმიანობის საფინანსო უზრუნ-
ველყოფის სახელმწიფოებრივი რეგულირება საბაზრო
მეურნეობის პირობებში
ფაკულტეტი : ჰუმანიტარულ-სოციალური
აკადემიური ხარისხი: დოქტორი
სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პროვზნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრ-ცელების უფლება მინი-ჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რ ე ზ ი უ მ ე

შესავალი. საბაზრო მეურნეობის პირობებში ყოველთვის იყო პრობლემა დაგვედგინა კვლავარმოებაში სახელმწიფოს როლი, ეს მოვლენა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ტრანსფორმაციული რეფორმების პროცესში. დღეს, საქართველოში სწორედ ამ მიმართულებით ხორციელდება განსაკუთრებულად რადიკალური ეკონომიკური რეფორმები. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, პოსტსოციალისტური სისტემების ქვეყნებმა რეფორმების რთული პროცესი განვლეს, რომლისთვისაც ძირითადად დამახასიათებელი იყო ეკონომიკური რყევები. მისი თანამდევი ყველა მოვლენით. ამ ქვეყნების უმრავლესობამ, უკვე გაიარა რეფორმების პირველადი საფეხურები, გარკვეულწილად დაასრულეს ინსტიტუციური რეფორმები და სტაბილური ინფლაციური მაჩვენებლებით შეხვდნენ ოცდამეერთე საუკუნეს. ჩვენს ქვეყანას სწორედ ამ დროისათვის უნდა მიეღწია სტაბილურობისათვის. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ პროცესისათვის დამახასიათებელი იყო ინფლაციის მაღალი დონე. იზრდებოდა შიდა და საგარეო ვალები, ასევე არ ხდებოდა სახელმწიფო რესურსების მინიმიზაცია, რაც თავისთავად მოითხოვს რეფორმების განხორციელების ხერხებისა და მეთოდების გადასინჯვას, რასაც მიეძღვნა წინამდებარე სადისერტაციო გამოკვლევა.

თავი პირველი. „სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრინციპები და მიმართულებები“, განხილულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა, ნაჩვენებია სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მიმართულებები, ამასთან ისიც ფაქტია, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას განსაზღვრული მოთხოვნები ეკონომიკის რეგულირებისას, რაც აუცილებელია თავისუფალი კონკურენციის პირობებში, შექმნას ყველა საფუძველი მეწარმეობის განვითარებისათვის, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა საფინანსო პოლიტიკის ჩამოყალიბება, ანუ როგორი უნდა იყოს იგი ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებისათვის, გამოიკვეთოს ძირითადი პრინციპები, კერძოდ კი ხელმისაწვდომი კრედიტები მეწარმეობის სტიმულირებისათვის, შეიმუშაოს სათანადო კანონმდებლობა, სადაც გამიჯნული იქნება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის უფლება-მოვალეობები. ტრანზიტული ეკონომიკა ყოველთვის გამოირჩეოდა განვითარების სპეციფიკით და ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, ისიც ფაქტია, რომ ამ მიმართულებით არსებობს ბევრი ხარვეზი, რითაც არცთუ იშვიათად ამ პრობლემის უგულვებელყოფაში გამოიხატება, ეს კი პირველ რიგში ტრანზიტული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სპეციფიკის სიღრმისეული მოვლენების გაანალიზების გარეშე ხორციელდება ან თუნდაც მის უცოდინარობაში ვლინდება. ამ მიმართებით აუცილებლად მიგვაჩნია საგადასახადო პოლიტიკის გადახედვა, ვფიქრობთ არ არის სადაო, ის რომ საგადასახადო პოლიტიკას გააჩნია ფისკალური დანიშნულება, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ფისკალური ფუნქციის გამძლეობა, მნიშვნელოვნად ამცირებს საგადასახადო პოლიტიკის მასტიმულირებელი ფუნქციის და აუცილებელია ამ ფუნქციათა შეთანაწყობა, ჩვენი ქვეყნისათვის ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია.

თავი მეორე. „სამეწარმეო საქმიანობის საფინანსო უზრუნველყოფის რეგულირების თანამედროვე მდგომარეობა“. სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნების განხორციელებისას, არადა ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებში გარდაქმნა მრავალმხრივი მიმართულებით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, იგი მოიცავს ყველა სფეროს, თუმცა ამ მიმართულებით ჩვენ გამოვყოფთ, საკუთრებრივ ურთიერთობათა ტრანსფორ-

რმაციის თავისებურებებს. ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის პრიორიტეტული საზოგადოებრივი საკუთრება იყო, რაც თავისთავად გულისხმობდა მის შეცვლას კერძო საკუთრები, ეს კი სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვდა არნახულ ძალისხმევას. ამ მიმართულებით სახელმწიფოს უნდა გაეთვალისწინებინა არა მარტო საკუთრების ფორმების შეცვლის აუცილებლობა და პროცესის შეუქცევადობა, არამედ საზოგადოების წევრთა ინტერესები, თანაც ეს პროცესი განხორციელებინა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ. ეს კი ნამდვილად არ იყო იოლი, რადგან მიუხედავად დიდი სურვილისა, ამ პროცესს თან უნდა მოჰყოლოდა საზოგადოების წევრთა პოლარიზაცია, უმუშევრობის და სიღარიბის ზრდა, რაც დღეს რეალობაა. საკუთრების ფორმათა ტრანსფორმაციის თანამდევნი პროცესია პრივატიზაცია. თითქმის ყველა ქვეყანაში პრივატიზაციის პირველი ეტაპი განხორციელდა ვაუჩერიზაციით, რამაც კიდევ უფრო უმართავი გახადა საკუთრების ფორმების ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული მოვლენები, მან უფრო მწვავე ფორმა მიიღო ვიდრე ველოდით. შემდგომში სახელმწიფოს უნდა განხორციელებია უკვე არსებული პრობლემების გადაჭრის ღონისძიებები, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ეს ვერ განხორციელდა და დღესაც გრძელდება პრივატიზაციის უმართავი პროცესები, რაც მომავალში ეკონომიკის განვითარებაზე აუცილებლად აისახება.

მესამე თავი. „რეგულირების სისტემები საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის პირობებში“. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ერთის მხრივ აუცილებელი მოვლენა, ანუ სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს საგადასახადო განაკვეთებს, ფულადი მოგების მოძრაობას, განსაზღვრავდეს ფულის ემისიის მოცულობას, გამოკვეთდეს სტრატეგიული მიმართულების სფეროების, განვითარების პარამეტრებს, იცავდეს კონკურენციას, ქმედითი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნით, განსაზღვრავდეს საფასო პოლიტიკას, მეორეს მხრივ კი სახელმწიფო უშუალოდ არ უნდა ჩაერიოს ფირმათა საქმიანობაში, ამასთან საფასო პოლიტიკის პარამეტრების შემუშავებისას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს საბაზრო მეურნეობის მოთხოვნებს, ვინაიდან ფასების ჩამოყალიბება უშუალოდ კონკურენტულ ბაზარზე უნდა ხდებოდეს, ამ შემთხვევაში სახელმწიფო აწესებს ფასების ზედა ზღვარს, რომლის ზევით გაყიდვის უფლება არც ერთ ფირმას თუ კონკრეტულ პირს არ შეუძლია და ყოველივე ამას სახელმწიფო ფულადი კონტროლით ახორციელებს.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება მრავალი ფორმით ხორციელდება, რომლებიც შეიძლება ითქვას აპრობირებულია ცივილიზებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში და ეს მეთოდები გარკვეულწილად გამოიყენება ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში შედარებით სხვა სიტუაციაა და სპეციფიკით ხასიათდება, რაც პირველ რიგში ამ ქვეყნების განვითარებისთვისაა დამახასიათებელი. საქართველო მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში იმართებოდა ადმინისტრაციული-მბრძანებლური სისტემისათვის დამახასიათებელი მეთოდებით ე.ი. ეკონომიკის მართვა ხორციელდებოდა ცენტრალიზებულად ზემოდან ქვემოთ, უგულვებელყოფილი იყო საწარმოთა ინტერესები, არ არსებობდა კონკურენტული გარემო, არ გაითვალისწინებოდა ეკონომიკური კანონების მოთხოვნები. ამან განაპირობა, ჯერ გამოსვლა მართვის არსებული სტერეოტიპებიდან და შემდგომში მისი გადასვლა საბაზრო ეკონომიკის რელსებზე. პრივატიზაციის პროცესი განხორციელდა ფორსირებულად ვაუჩერიზაციის გზით, რამაც გამოიწვია საკუთრების ფორმების არაპროგნოზირებადი ცვლა, მოხდა მოსახლეობის პოლარიზაცია, ან მდიდრებად, ან ღარიბებად,

უფრო მეტიც განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა მრავალი შეცდომა, რომელთა გამოსწორება უნდა მოხდეს სახელმწიფოს აქტიური ჩარევით. მთავრობა დღეს ყველა ღონეს მიმართავს ამ ხარვეზების გამოსწორებისათვის, შეიქმნა პროგრამები, რომელიც მიმართულია სიღარიბის დაძლევისათვის, ამ მიმართებით აღსანიშნავია საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პარამეტრები, კერძოდ კი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, ხელმისაწვდომი კრედიტის გამოყოფა ამ სფეროების განვითარებისათვის. იქმნება სპეციალური პროგრამები ინვესტიციების მოზიდვისათვის, რაც ჩვენი აზრით ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

Summary

Introduction. In the market economy it has always been a problem to establish the role of the state in the economic reproduction. This question becomes even more pressing during the process of transforming reforms. Today particularly radical reforms in Georgia are performed in this direction. Since the beginning of the 1990s the post socialism countries have undergone the complex process of reforms, which were mostly characterized by economic fluctuations with all its side effects. Most of these countries have already undergone the first phase of these reforms, have completed institutional reforms to some extent and heralded the 21-th century with stable inflation indicators. Our country should have achieved stability by this time. It must be noted that this process was characterized by high inflation rate, internal and external debts were increasing; there was no minimization of state recourses. This requires reconsidering of methods and ways of realizing ongoing reforms, which is the subject of the presented dissertation research.

Chapter 1. Principles and Directions of State Regulation of Enterprising Activities.

In this chapter the necessity of state regulation of economy is considered, main directions of state regulation are shown. The fact is that the state must fulfill some requirement while regulating the economy, which is necessary under the free competition. It must create the bases for the development of enterprising, one of the important conditions of which is forming fiscal policy for countries with transitive economy. The state must emphasize main principles, in particular, available credits to stimulate enterprising, work out relevant legislation, where rights and obligations of state and private sectors will be marked off. Transitive economy has always stood out by particularities of its development and in this respect Georgia is no exception. It is the fact that there are a lot of shortcomings in this sphere, which is frequently exposed by neglecting these problems. This is done without basic analysis of deeply ongoing events. In this respect we consider it necessary to reevaluate the tax policy. We believe that, undoubtedly, the tax policy has a fiscal role, though, in fact, strengthening of fiscal function significantly reduces stimulating function of tax policy, so it is necessary to balance these functions. This question is especially problematic for our country.

Chapter 2. Current State of Financial Securing of Regulation of Enterprising.

Necessity of state regulation becomes even more significant while carrying out radical reforms of economy. Transformation in transitional economies has been carried out in different directions. It includes all spheres, but in this respect we will focus on particularities of the transformation of ownership relations. For every post socialism country public ownership was the priority, with implication that it would be replaced by private ownership, this required unprecedented efforts from the state. In this respect, the state must have taken into account not only the necessity of replacing ownership forms and irreversibility of this process, but also the interests of society members. Besides, this process must have been carried out as painlessly as possible. This was not easy indeed, because this process must have been followed by the polarization of society, increase of unemployment, suspension of enterprises to some extent, deepening of poverty what we have today in reality. Transformation of ownership forms is accompanied by privatization. In almost every country the first phase of privatization was carried out by issuing vouchers, which made even more uncontrollable the events connected with the transformation of ownership forms. This became more acute

than anticipated. Afterwards the state must have performed the measures to settle these problems but it was not done and today the process of unregulated privatization is still going on, which will inevitably influence the development of economy in the future.

Chapter 3. Systems of Regulation while Transforming into Market Economy.

On the one hand, regulation of economy by state is a necessary process, i.e. the state must regulate tax rates, movement of currency reserves, determine the volume of emission, define the parameters of the development of strategic spheres, protect competition by creating effective antimonopoly services, determine pricing policy.

On the other hand, the state must not interfere directly in the activities of firms. At the same time, while working out pricing policy parameters, it must necessarily take into account market economy demands, because prices must be formed at a competitive market. In this case, the state sets the upper limit of prices, which can not be exceeded by any firm or individual. The state carries out all the above mentioned by money control.

Regulation of the economy by the state is carried out in a number of forms which have been approbated in the countries of civilized market economy. They are used to some extent in post soviet and post socialism countries. Though it must be noted that in these countries, including Georgia, there is a comparatively different situation, which is characteristic for these countries. For more than 70 years Georgia was ruled using methods of administrative-authoritative system, i.e. controlling of economy was performed from top downwards in a centralized manner. Interests of enterprises were neglected, there was not any competitive environment; requirements of economic laws were not taken into account. All this resulted, first of all, in abandoning the stereotype of the existed ruling system and then its transition into market economy. Privatization process was performed very swiftly by vouchering, which caused unpredictable changes of ownership forms, population polarization. Moreover, the past period has shown a number of mistakes, which must be corrected by active involvement of the state. Today the state does its best to overcome these shortcomings. Programs are created to overcome poverty. In this regard we consider noteworthy the main parameters of fiscal policy; in particular, creating favorable conditions for the development of small and moderate businesses, available credits for the development of these spheres. Special programs are being designed to attract investments, which, in our opinion, will help to create new working places.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი -----	11
ლიტერატურის მიმოხილვა -----	16
თავი I. სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრინციპები და მიმართულებები	
1.1 ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა და პარამეტრები. -----	19
1.2 საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკა: არსი, პრინციპები, მიმართულებები. -----	32
1.3 ეკონომიკური რეგულირების სპეციფიკა ტრანზიტული ეკონომიკის პირობებში. -----	43
თავი II. სამეწარმეო საქმიანობის საფინანსო უზრუნველყოფის რეგულირების თანამედროვე მდგომარეობა	
2.1 სახელმწიფოებრივი რეგულირების კომპლექსური ანალიზი და მართვა. -----	68
2.2 საკუთრებრივი ურთიერთობების სპეციფიკა ტრანზიტულ ეკონომიკაში. -----	87
2.3 პრივატიზაციის სახელმწიფოებრივი რეგულირება. -----	99
თავი III. სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემები საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის პირობებში	
3.1 ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები. -----	114
3.2 ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ალტერნატიული მოდელები და მისი გამოყენების სპეციფიკა საქართველოში. -----	125
დასკვნა -----	148
გამოყენებული ლიტერატურის სია -----	154

ცხრილების და ნახაზების ნუსხა

ცხრილი № 1.1.1 -----	29
ცხრილი № 1.1.2 -----	30
ცხრილი № 1.1.3 -----	30
ცხრილი № 1.2.1 -----	35
ცხრილი № 2.1.1 -----	81
ცხრილი № 2.1.2 -----	85
ცხრილი № 3.1.1 -----	120
ცხრილი № 3.1.2 -----	145

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალობა. კვლავწარმოების სისტემაში სახელმწიფოს ადგილისა და როლის დადგენის საკითხი, თანამედროვე საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ეს სფერო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩამოყალიბებული სოციალ-ეკონომიკური მოდელის ტრანსფორმაციის პროცესში იძენს.

სოციალ-ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირების ახალი მექანიზმი საბაზრო წონასწორობის კორექტირებისკენ უნდა იყოს მიმართული, „იმ შემთხვევაში თუ უკანასკნელი არ შეესაბამება საზოგადოებრივ კეთილდღეობას, რეგულირების პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს საქონლისა და მომსახურების წარმოების საშუალებას.“¹ ეკონომიკაზე და სოციალურ სფეროზე ობიექტურად არსებული ცენტრალიზებული ზემოქმედების მოთხოვნის რეალიზაცია, „მრავალმხრივ დამოკიდებულია გატარებული ღონისძიების რესურსულ უზრუნველყოფაზე, ამასთან სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ამოცანების განხორციელების აუცილებელი პირობა ქვეყნის საფინანსო რესურსების ფორმირებისა და გამოყენების პროცესია. „მათი დანიშნულება, მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხელსეწყობაა. ამ ამოცანას ჯეროვნად ვერ გადაჭრის კონკურენციული მექანიზმი.“² აღნიშნული საფინანსო რესურსები იმ მატერიალურ ბაზას აყალიბებენ, რომელიც ხელს უწყობდ სახელმწიფოს თავისი ფუნქციების განხორციელებას, ხოლო მათი სიდიდე რეგულირებადი ზემოქმედების ობიექტური შეზღუდვის საშუალებაა. ცენტრალიზებული მართვის ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა, საბაზრო მოდელისა და მასზე ზემოქმედების საშუალებების აუცილებელი გათვალისწინება. ასევე საწარმოო ძალების განვითარების დონე, საორგანიზაციო სტრუქტურების სიმწიფე და საწარმოო ურთიერთობების ცვლილების ტენდენციები. ეს თავისთავად ითხოვს ფინანსების ორგანიზაციის სისტემატიური სრულყოფის ფორმას, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო საფინანსო რესურსების ფორმირებას და გამოყენებას, ასევე მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ წარმოების პროცესზე. სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ საფუძველი. საფინანსო

¹ Беттельгейм Б. - О Психологической привлекательности тоталитаризма. жур. ЗС. №8, К, 1997.

² Rathcel F. - Politische Geographie. www.arctogaia.com. 2000.

პრობლემების კვლევა, რომელიც სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაზე რეგულარულ და სისტემურ ზემოქმედებასთანაა დაკავშირებული და ფინანსების მეშვეობით ქვეყნის განვითარებაზე, ცალკეული დარგების ან მოსახლეობის ჯგუფების კეთილდღეობაზე ზეგავლენას გულისხმობს, რაც ჯერ კიდევ პრეისტორიულ საზოგადოებებში შეინიშნებოდა. ამის დასტურად ბიბლიაში, კერძოდ ძველ აღთქმაში, მოთხრობილი ამბავიც გამოდგება. დაბადების წიგნში გადმოცემულია იაკობის ძის იოსების ამბავი, 41-თე თავში თვალნათლივ არის დანახული ძველი ეგვიპტის შვიდი კრიზისული წლის და ამის საწინააღმდეგოდ, იოსების რჩევით სახელმწიფოს მიერ გატარებული შვიდწლიანი ანტიკრიზისული ქმედებები – „...ასე ქნას ფარაონმა: ზედამხედველები განაწესოს ქვეყანაში, რათა მესხეთედი ახდევინონ ეგვიპტის ქვეყანას შვიდი მოსავლიანი წლის მანძილზე. ...იყოს ეს საზრდოდ მარაგად ქვეყნისათვის შვიდი მოუსავლიანი წლის მანძილზე, ეგვიპტის ქვეყანაში რომ დადგება, რათა ქვეყანა შიმშილით არ ამოწყდეს. მოეწონა ნათქვამი ფარაონს და ყველა მის მორჩილს.“ (დაბ.თ.41.35-37).³ მოუსავლიანი წლების დადგომისთანავე ეგვიპტის გამგებელმა იოსებმა მეურნეობის სწორი რეგულირების და მარაგების შექმნის წყალობით ქვეყანა შიმშილისგან იხსნა „შიმშილი იყო მთელი დედამიწის ზურგზე. გააღო იოსებმა ყველა ბეღელი და დააპურა ეგვიპტელები...“ (დაბ.თ.41.56). ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეს მაგალითი ანტიკრიზისული გადაწყვეტილებების ერთ-ერთი უძველესი წერილობითი წყაროა. ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირება იმდენად აქტუალური თემაა, რომ ეს ამბავი ოდნავაც არ მოძველებულა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო თემის კვლევის მიზნად დავისახეთ სოციალ-ეკონომიკური პროცესების საფინანსო რეგულირების თეორიის ფუნდამენტალური საკითხების განხილვა. ფინანსების რეგულირებადი საშუალებების პრაქტიკული რეალიზაციის გამოვლენის პრობლემები. თანამედროვე პირობებში საფინანსო რეგულირების ორგანიზაციის სრულყოფის გზებისა და საშუალებების შემუშავება, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

³. „ბიბლია“ – ძველი აღთქმა. დაბადება, თ. 41, ს. 35-37. გამომ. კომბ. 1989.

აღნიშნული მიზნის განხორციელებამ მოითხოვა: კონსტრუქციულად, ისტორიულ რაკურსში, ქართველი და უცხოელი ეკონომისტების შეხედულებათა შესწავლა, რომლებიც საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში ფინანსების გამოყენების როლთან და პრობლემატიკასთან არის დაკავშირებული; ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების საფინანსო რეგულირების გამოცდილების სისტემატიზაცია, საქართველოში მისი გამოყენების საშუალებების განსაზღვრა; საქართველოს საფინანსო რეგულირების პროცესის ოპტიმიზაციისა და მექანიზმის ეფექტურობის ზრდისა მიმართულებათა ძიება; სახელმწიფო საფინანსო სტრატეგიის კონცეპტუალური მიდგომის შემუშავების აუცილებლობის დასაბუთება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ სოციალ-ეკონომიკური პროცესების საფინანსო რეგულირების სისტემა. ხოლო, კვლევის საგანი საფინანსო ურთიერთობები, სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკა, ასევე ფინანსების მართვის პროცესის სამართლებრივი და მეთოდური უზრუნველყოფა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველი შეადგინა: შემეცნების დიალექტიკური საშუალება; სისტემური მიდგომა; ფორმალური ლოგიკის პრინციპები; ეკონომიკური ანალიზისა და სინთეზის მეთოდები; ინდუქციური და დედუქციური შესწავლის ხერხები.

მეცნიერული სიახლე. ნაშრომში ჩამოყალიბებულია სოციალ-ეკონომიკური პროცესების საფინანსო რეგულირების არსი, მოცემულია მისი ტერმინოლოგიური განმარტებები;

- ქართველი და უცხოელი მეცნიერების შეხედულებათა რეტროსპექტიული სისტემატიზაციის საფუძველზე დასაბუთებულია ეკონომიკისა და სოციალური სფეროს საფინანსო რეგულირების პროცესის განსაზღვრებები და სტრუქტურული წყობის სისტემები;
- მოცემულია წარმოების სისტემის ცნების ახალი ინტერპრეტაცია; კვლავწარმოების პროცესის (მაკროდონეზე), ფინანსების, სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების, საფინანსო პოტენციალისა და რესურსების, ბიუჯეტის შემოსავლების სახელმწიფო რეგულირება;
- კონკრეტიზირებულია კვლავწარმოების, ბაზრის, წარმოების სახელმწიფო რეგულირების და სოციალ-ეკონომიკური პროცესების საფინანსო რეგულირების სისტემური თანაფარდობა;

- ჩამოყალიბებულია საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები; განზოგადებულია სახელმწიფო ხარჯების კლასიფიკაციური ნიშნები და ის ფაქტორები რომლების ზაგაველენას ახდენენ მათ დინამიკაზე;
- შემუშავებულია სამეცნიერო-პრაქტიკული სამართლებრივი, მეთოდოლოგიური და საორგანიზაციო ხასიათის რეკომენდაციების კომპლექსი, რომელიც ეკონომიკისა და სოციალური სფეროს საფინანსო რეგულირების პროცესის ეფექტურობის დახვეწისკენ არის მიმართული;
- თეორიულად დასაბუთებულია და მაგალითებით პრაქტიკულად განმტკიცებულია ბიუჯეტშორისი ნაკადების ოპტიმიტიზაციის ობიექტური აუცილებლობა; განსაზღვრულია საქართველოში ბიუჯეტშორისი ურთიერთობების სისტემის სრულყოფის საშუალებები;

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება. დისერტაციის პრაქტიკული დანიშნულება მთელი რიგი თეორიული მოსაზრებებისა და დასკვნების კონკრეტულ, პრაქტიკულ რეკომენდაციებამდე დაყვანით განისაზღვრება. სადისერტაციო ნაშრომში განხილული პრობლემების გადაჭრაში ჩვენი რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას: საკანონმდებლო, ნორმატიული, საპროგნოზო და საპროგრამო ხასიათის დოკუმენტების შემუშავებისას; სოციალ-ეკონომიკური პროცესების გარკვეული მიმართულებების რეფორმირებისას; სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების: „ფინანსების“, „საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის“, „საბიუჯეტო სისტემის“ და სხვ. სალექციო ტექსტების მომზადებისას; ასევე შესაძლებელია ინტერესი კვლევით ორგანიზაციების მხრიდანაც.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაციის საერთო მოცულობაა 161 გვერდი. დისერტაციის სტრუქტურა კი დასმული ამოცანებითა და მიზნით განისაზღვრება. ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, სამი თავი, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, მოცემულია მეცნიერული სიახლისა და პრაქტიკული მნიშვნელობის განსაზღვრება.

პირველ თავში მოცემულია სოციალ-ეკონომიკური პროცესების და მისი საფინანსო შემადგენლობის სახელმწიფო რეგულირების ფუნდამენტური მიმართულებები. კერძოდ, დასაბუთებულია მათი ობიექტური

აუცილებლობა, კვლავწარმოების პარამეტრების დარეგულირების ცენტრალიზებული მეთოდების გამოყენების წინაპირობა.

მეორე თავში გაანალიზებულია ეკონომიკაზე საფინანსო ზემოქმედების და მართვის ეფექტურობის გაზრდის პრობლემა. სოციალ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების, ტერიტორიული განვითარების სპეციფიკა ტრანზიტულ ეკონომიკაში და სხვ.

მესამე თავში მეთოდოლოგიურად დასაბუთებულია საქართველოში საფინანსო რეგულირების პროცესის განვითარების მიმართულებები; სახელმწიფოებრივი რეგულირების ალტერნატიული მოდელები და მათი საფინანსო სტრატეგიის ინფორმაციული საფუძვლები.

ნაშრომის დასასრულს მოცემულია კვლევის პროცესში მიღებული ძირითადი დასკვნები და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის საფუძველია სადისერტაციო ნაშრომის დამუშავებამდე არსებული ლიტერატურა. ეს არის უმეტესად ქართული, ასევე რუსული და ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სწორედ აღნიშნული ლიტერატურის სიღრმისეულმა განხილვამ განაპირობა ჩვენი სადისერტაციო პრობლემის შესწავლა.

საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობები საბაზრო მეურნეობის პირობებში უაღრესად მრავალმხრივი პრობლემაა, იგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: ეკონომიკური რეგულირების სახელმწიფო პარამეტრები; საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები, მიმართულებები; ეკონომიკური პროცესების რეგულირების სპეციფიკა ტრანზიტულ ეკონომიკაში; საკუთრებრივი ურთიერთობები; პრივატიზაციის სახელმწიფოებრივი რეგულირება.

ამიტომ, საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობები აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით განხილულია სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა ჯერ-კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მწყობრი შეხედულებები. აზრთა სხვადასხვაობაა, როგორც საფინანსო ბაზრის, ასევე პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, ეს შეინიშნება როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ლიტერატურაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ა. კოვალიოვას, „საფინანსო მენეჯმენტი“, ი. ნიკონოვას „ბიზნესის დაფინანსება“, ასევე ს. ფრაისის, ფ. რაისერისა და მ. სტერნის ფუნდამენტალური ნაშრომი „მაკრო-ეკონომიკა და ფინანსური სტაბილურობა“. ამასთან, საფინანსო ბაზარი უნდა განვიხილოთ, როგორც ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთობათა ერთობლიობა. ამ მიმართულებით მეტად საყურადღებოა ქართველი ეკონომისტების (ვ. პაპავა, რ. კაკულია, ა. სილაგაძე, გ. გამსახურდია, გ. მაღაშხია, ა. კვერნაძე, ნ. ქინქლაძე, დ. ვეკუა, მ. ცარციძე და ა.შ.) ნაშრომები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. პაპავას „საერთაშორისო სავალუტი ფონდი საქართველოში. მიღწევები და შეცდომები“, ვ. პაპავას და ნ. ულუმბერაშვილის „საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროგრამული ღონისძიებები“ და ვ. ზურაბაშვილის „საფინანსო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი, საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში“.

რომლებიც თანმიმდევრულად არის განხილული დისერტაციაში და მოცემულია ავტორისეული შეხედულებები.

ჩვენ შევაცადეთ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემები მსოფლიოს სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლების პოზიციიდან გაგვეანალიზებინა. საგანგებო ყურადღებას იპყრიბენ თანამედროვე ეკონომისტები, რომლებმაც სხვა ეკონომისტების საგნისადმი მიდგომის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა იქონიეს. მათ შორის გამოირჩევიან, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი ე. ფელპსი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ებენსტაინი და კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი რ. მანდელი. უამრავი მათი ყოფილი სტუდენტი დღეს უკვე ცნობილი ეკონომისტია. მრავალი მათგანი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოღვაწეობენ და მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური რეფორმების ავტორები არიან. საქართველოდან მათი სტუდენტები იყვნენ მიხეილ სააკაშვილი, ვლადიმერ გურგენიძე, დავით ონოფრიშვილი, ლევან ქიქიაძე და სხვ. ამ ფაქტს ქართული რეფორმების წარმატებებისა თუ შეცდომების ანალიზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ რ. მანდელისა და ვ. ებენსტაინის გრძელვადიანი „...ეკონომიკური მოდელები და პროგნოზები სულ უფრო და უფრო რელევანტური გახდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, აქტიურად გამოიყენება ეკონომიკის სტაბილიზაციის, ფულად-საკრედიტო, მონეტარული პოლიტიკის მართვასა და საუნივერსიტეტო სფეროშიც.“⁴ საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე აქტუალურია რ. მანდელის მოსაზრება, რომ „კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების პირობებში, მონეტარული პოლიტიკის გამოყენება შესაძლებელია, საგარეო პოლიტიკის მიზნით (სავალუტი კურსი და ა.შ.), ან შიდა მიზნით (ინფლაცია, წარმოების ზრდა და ა.შ.), მაგრამ არა ორივე მიზნისათვის ერთდროულად...“⁵

საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებაში დახვეწას მოითხოვს საკანონმდებლო ბაზა, საჭიროა მისი უნიფიკაცია სხვა ქვეყნების საკანონმდებლო ბაზებთან. განსაკუთრებით ეს ეხება პრივატიზაციის პროცესს და საგადასახადო კანონმდებლობას.

⁴ ონოფრიშვილი დ. – ნობელის პრემია ევროს „ნათლიასათვის“. ჟურ. მმე. №11-12, 1999.

⁵ Манделл Р. А. - Денежная теория: процент, инфляция и рост в мировой экономике. мировая экономика. 1975. С. 277

ზემოთქმულიდან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომში შეგვცადეთ სრულყოფილად წარმოგვედგინა: ა) ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიმართულებები საბაზრო მეურნეობის პირობებში; ბ) თანამედროვე საფინანსო ბაზრის ფაქტობრივი მიმართულება და მისი გამოკვლევა; გ) საფინანსო ბაზრის პროგნოზული მოცულობის დადგენა; დ) საკუთრებლივი ურთიერთობები ტრანზიტულ ეკონომიკაში; ე) პრივატიზაციის სახელმწიფოებრივი რეგულირების თავისებურებანი საქართველოში.

ეს პრობლემები, ჩვენი ქვეყნის წინაშე იმიტომ დადგა, რომ არასწორად მიგვაჩნია საქართველოსი არსებული საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკა, ასევე სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მოცემული ანალიზი. აღსანიშნავია ისიც, რომ საფინანსო ბაზრის პროგნოზის ანალიზი საქართველოში პირველად 2004 წელს შესრულდა.

გავეცანით, რა ნაშრომებს საფინანსო-ეკონომიკურ ლიტერატურაში და მივიღეთ ამოსავალ თეორიულ ბაზად, მიზნად დავისახეთ გვეჩვენებინა ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მიღწეული დონე და მასთან მიახლოების გზები ჩვენს ქვეყანაში და დავსახეთ მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი დასავლური სამყაროს გამოცდილებაზეა დაფუძნებული, იგი არ არის უცხოელი ექსპერტების ნაშრომების მექანიკური თარგმანი, არამედ ქართველი კაცის მიერ არის შექმნილი, რომელსაც ქართული სახელმწიფოსთვის გული შესტკივა.

დღეს, ცივილიზაციის სწორხაზოვანი განვითარება მზარდი პროგრესისა და გაუმჯობესების გზით, ფაქტიურად, ჩვენს თვალწინ წარსულს ბარდება. „...XXI საუკუნეში ცვლილებები იქნება მოულოდნელი, რადიკალური, ჰარმონიული პროცესების გამწყვეტი. სწორედ ეს ცვლილებები ქმნის კაცობრიობის ისტორიაში აქამდე გაუგონარი შესაძლებლობების პირობებს. სხვაობა ოცნებასა და მის რეალურ აღსრულებას შორის, არასოდეს ყოფილა ასე შემცირებული.“⁶ დღეს, მხოლოდ ჩვენი წარმოსახვისა და იმპროვიზაციის უნარით ვართ შეზღუდულნი, სხვა მხრივ კი ყველაფერი შესაძლებელია.

⁶ მაისაშვილი გ. - ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის. iberiana.iatp.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.03.2008

თავი I

სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრინციპები და მიმართულებები

1.1 ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა და პარამეტრები

სახელმწიფოს მიერ სოციალ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების პრობლემებზე მეცნიერული მსჯელობა ჯერკიდევ შუასაუკუნეების მეორე ნახევარში მიმდინარეობდა. თავისთავად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რომის ხმელთაშუაზღვისპირა ცივილიზაციაში უკვე არსებობდა მოსაზრებები რეგულირებადი ეკონომიკის შესახებ, კერძოდ იგი გადმოცემულია დ. იუვენალისის, ე. პაპინუსის, მ. ციცერონის, ს. პომპონიუსის და სხვ. ნაშრომებში. ცნობილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწეები აღნიშნავდნენ, რომ „ოქროს ქვეყნიდან გადინება სავალალო შედეგს გამოიღებს“⁷. ეს მოსაზრება ფაქტობრივად იმეორებს, მერკანტელიზმის მთავარ დოქტრინას. ვფიქრობთ სადავო არ გახლავთ ის გარემოება, რომ მერკანტელისტები სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ პროცესებში ჩარევის აქტიური მომხრეები იყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქვეყნის სიმდიდრის მთავარი მაჩვენებელი – ოქროს რაოდენობაა. მხარს უჭერდნენ ექსპორტის წახალისებას და იმპორტის შეზღუდვას, ეწინააღმდეგებოდნენ კაპიტალის საზღვარგარეთ გატანას.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობის საკითხი გადმოცემულია ადამ სმითის ნაშრომში, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“. ავტორი ამტკიცებს, რომ „საბაზრო ძალების თავუსუვალად ქმედება წარმოშობს ჰარმონიულ წყობილებას“⁸. კლასიკური მიდგომით სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის და მისი საკუთრების უსაფრთხოებას, ქმნიდეს კანონმდებლობას და მის საფუძველზე განიხილავდეს საზოგადოებაში წარმოშობილ დავებს. სახელმწიფოს ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ აკეთოს ის, რასაც ცალკეული მეწარმე ან ინდივიდი ვერ ან არაეფე-

⁷ Цицерон М. Т. - Об укреплении государства. Диалоги. О государстве. О законах. М, 1966.

⁸ სმითი ა. - გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბილისი, 1937.

ქტურად ასრულებს. სმითი საბაზრო ეკონომიკის სისტემის აღწერისას ამტკიცებს, რომ მეწარმის სწრაფვა მიაღწიოს თავისი კერძო ინტერესების განხორციელებას, ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა (რაც საბოლოო ჯამში პოზიტიურად მოქმედებს, როგორც ინდივიდის ისე მთელი საზოგადოების კეთილდღეობაზე). „ასეთი პოლიტეკონომიური კონსტრუქციის ფილოსოფიური საფუძველი ჯ. ლოკის, ბ. მენდევლის და სხვა უკიდურესი ინდივიდუალიზმის თეორეტიკოსების მოძღვრებებშია მოცემული.“⁹ მათი მტკიცებით, სამეურნეო სფეროს ნებისმიერი სუბიექტისთვის გარანტირებული უნდა იყოს ძირითადი ეკონომიკური თავისუფლებები: მოღვაწეობის სფეროს არჩევის, კონკურენციის და ვაჭრობის თავისუფლება.

„XX საუკუნის 30-იანი წლებში, ცივლიზებულ ქვეყნებში მიმდინარე მძლავრი ეკონომიკური რყევის შემდეგ, ჯ. მ. კეინზმა საზოგადოებას საკუთარი თეორია წარუდგინა, სადაც მან მთლიანად უარყო სახელმწიფოს შესახებ კლასიკოსების შეხედულებები. „მისი მოსაზრებების სათავეებთან გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსები იდგნან, პირველ რიგში: ი. გ. ფიხტე, სამეურნეო კუთხით კი, გერმანელი კამერალისტები კ. იუსტი, ა. ზენერფელდე, ასევე აღსანიშნავია ფ. ლისტი და ჟ. სისმონდი.“¹⁰ კეინზის თეორიას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „კრიზისული“, რადგან იგი ეკონომიკას დეპრესიულ მდგომარეობაში განიხილავს. მისი თეორიის მიხედვით, სახელმწიფო აქტიურად უნდა ერეოდეს ეკონომიკურ პროცესებში, ამის მიზეზი თავისუფალი ბაზარია, რომელსაც ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისთვის რეალური მექანიზმები არ გააჩნია. კეინზი თვლიდა, რომ სახელმწიფო მოთხოვნის ზრდისათვის უნდა ზემოქმედებდეს ბაზარზე, რადგან საბაზრო ეკონომიკის კრიზისის მთავარი მიზეზი საქონელთა ჭარბი წარმოებაა.

კეინზიანური მოდელის უმთავრესი ნაწილებია: ა) სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით გადანაწილდებული ეროვნული შემოსავლის დიდი წილი; ბ) სახელმწიფო წარმოების ფართო ზონის შექმნა; გ) ეკონომიკური კონიუნქტურის სტაბილიზაციისთვის საბიუჯეტო-საფინანსო და საფინანსო რეგულატორების ფართო გამოყენება; დ)

⁹ ჩახვაშვილი დ. - პოლიტიკა-ეკონომიკა-პოლიტიკა. www.darbazi.ge, 2001.

¹⁰ ჩახვაშვილი დ. - დოლარის მონოპოლია, მითი თუ რეალობა. www.darbazi.ge, 2001.

ციკლური რყევების ნეიტრალიზაცია; ე) ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებისა და დასაქმების მაღალი დონის სტიმულირება.

XX საუკუნის 70-იანი წლებისთვის სახელმწიფოს რეგულირების შესაძლებლობებსა და ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას შორის მაინც წარმოიშვა ერთგვარი შეუსაბამობა. ყოველივე აღნიშნული გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ კეინზური მოდელი მყარია მხოლოდ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების დროს. 70-იან წლებში, როცა კვლავწარმოების პირობები მკვეთრად გაუარესდა, უ. ფილიპსმა აღნიშნა, რომ, არ შეიძლება ერთდროულად ადგილი ჰქონდეს ინფლაციასაც და დასაქმების ზრდასაც, ეს წინააღმდეგობრივი პროცესია, მაშასადამე, კრიზისიდან გამოსვლის კეინზური გზა არ არის სრულყოფილი, ზოგიერთ შემთხვევაში იგი კიდევ უფრო ამწვავებდა ეკონომიკურ პრობლემებს, ხოლო ეკონომიკური რყევა უფრო მწვავებს ხდის სოციალურ პრობლემებს, რამაც თავისთავად მოითხოვა კეინზური მოდელის შეცვლის აუცილებლობა.

ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკურ მიმართულებას საფუძვლად უდევს ნეოკონსერვატორული თეორია. სახელმწიფო რეგულირების მოდელის ტრანსფორმაცია შემდეგი მიმართულებით მოხდა: პირველ რიგში უარი ეთქვა კვლავწარმოებაზე მოთხოვნის ცვლილებებზე უშუალო ზემოქმედებას, სანაცვლოდ განვითარდა მიწოდებაზე ზემოქმედების ირიბი გზების გამოყენება. ნეოკლასიკოსები უფრო მართებულად მიიჩნევენ დაგროვების კლასიკური მექანიზმისა და კერძო მეწარმეობის თავისუფლების აღორძინებას.

ნეოკლასიკური თეორია უფრო პროგრესულია, თუმცა წინააღმდეგობრივია, რადგან ამ დროს გადაუჭრელ პრობლემად იქცევა მაღალი საგადასახადო განაკვეთი და ინფლაცია. მაღალი გადასახადები ზღუდავენ კაპიტალდაბანდებების ზრდას, ხოლო ინფლაცია აძვირებს ფულს და ამით ართულებს სასესხო სახსრების დაგროვებას. ამიტომ ნეოკონსერვატორებმა ანტიინფლაციური ღონისძიებების განხორციელება დაიწყეს (მონეტარისტების რეკომენდაციების ბაზაზე), ხოლო შემდეგი ნაბიჯი მეწარმეებისათვის საგადასახადო შეღავათები იყო.

გადაწყვეტილებათა შემდეგი კომპლექსი დერეგულაციის პოლიტიკის სრულ რეალიზაციას გულისხმობს. ეს გულისხმობს ფასებისა და ხელფასების რეგლამენტაციის ლიკვიდაციას, ანტიტრესტული კანონმდებლობის ლიბერალიზაციას, შრომის ბაზრის ტოტალური დერეგულაციაა და სხვ. ამგვარად, ნეოკონსერვატორული მოდელი სახელმწიფოს რეგულირების მხოლოდ არაპირდაპირ საშუალებებს უტოვებს. ეკონომიკის განვითარების რეალიზაციაზე ზრუნვა კი საბაზრო ეკონომიკის უხილავ ბერკეტებს აქვთ დათმობილი.

დღესდღეისობით პრაქტიკულად ყველა ეკონომისტი იზიარებს, რომ სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ საბოლოოდ როგორ და რა ფორმით უნდა ხორციელდებოდეს ეს პრობლემა დღესაც სადავოა.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობის უფრო ზუსტი მიზეზები კი შემდეგია: 1. შეუძლებელია ეკონომიკის წარმატებული განვითარება თუ არა არის განსაზღვრული მისი ტერიტორიული სივრცე. მეწარმეთა, დიასახლისთა და ეკონომიკური ურთიერთობების ნებისმიერი სუბიექტის ინტერესები საბოლოო ჯამში მოთხოვნის საშუალებით ხორციელდება. მოთხოვნა კი სოციალურ გარემოზეა მიჯაჭვული, რომელსაც მკაფიო ტერიტორიული ორგანიზაცია აქვს. ქვეყნის ტერიტორია კი სახელმწიფოს მიერ არის გარანტირებული და უზრუნველყოფილი. საიმედო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ერთიანი ეკონომიკური, საინფორმაციო და სამართლებრივი სივრცის გარეშე ვერ იარსებებს წარმატებული ეკონომიკა. ხოლო ბაზარს, როგორც წესი არ შეუძლია დამოუკიდებლად უზრუნველყოს ხსენებული პრინციპები. არსანიშნავია, სახელმწიფოს როლი ეკონომიკის სუბიექტების საერთაშორისო კავშირების სტიმულირებაში და მსოფლიო ბაზარზე მათი ინტერესების დაცვაში. 2. ერის განვითარებისა და სტრატეგიული ინტერესების განხორციელების მთავარი მატარებლების, მორალური, ეთიკური და ფსიქოლოგიური სივრცის ფორმირება და მხარგაჭერა. სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებების განსაზღვრაზე ზეგავლენას უნდა ახდენდეს საზოგადოების მენტალიტეტი, მისი ფუნდამენტური სულიერ-სოციალური პარამეტრები. სახე-

ლმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს ბიზნესის მიერ ამ ფასეულობების პატივისცემას, რადგან მათი იგნორირება და დათრგუნვა საბოლოო ჯამში ცალკეულ სოციალურ პროტესტებსა და მოსახლეობის უმრავლესობის მიერ შეთავაზებული ეკონომიკური ფორმაციის უკუგდებას გამოიწვევს. 3. ქვეყანაში აუცილებელია არსებობდეს ეკონომიკურ ინტერესთა ბალანსი. დაუშვებელია სახელმწიფო დაემორჩილს ცალკეული სოციალური ჯგუფის ვიწრო ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესებს. „როგორც წესი მსგავსი მდგომარეობა სოციალურად ფეთქებად ატმოსფეროს ქმნის, შედეგად სახელმწიფო მმართველ „ელიტასთან“ ერთად წაილეკება, მანამდე კი თვით „ელიტაში“ დაწყებული კლანური დაპირისპირება სახელმწიფოს ქმედუნაროდ აქცევს“.¹¹ 4. აუცილებელია ეკონომიკის მიზნების ინსტიტუციონალური განსაზღვრა. ამასთან იმ ნეგატიური გამოვლინებების სახელმწიფოებრივი კორექტირება, რომელიც გამოწვეულია გაფართოებული კვლავწარმოების კანონებით, კვლავწარმოების ფაზებს შორის არსებული ციკლური დისპროპორციებით, ასევე დისპროპორციებით მოთხოვნა-მიწოდებას შორის. მსოფლიოში განხორციელებული ყველა ეკონომიკური რეფორმა მიმართული იყო კვლავწარმოებაში დაგროვებული დისპროპორციის დაძლევისაკენ და მისთვის აუცილებელი ქმედითი მექანიზმების შექმნაზე. 5. აუცილებელია ინფრასტრუქტურის დინამიური განვითარება, რაც ერთნაირად სასარგებლოა როგორც ბიზნესისთვის ისე შიდა მეურნეობისთვის. 6. აუცილებელია ინსტიტუციონალური გარემოს როგორც სტაბილური ისე ლეგიტიმური და დინამიური განვითარება.

საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე მიზნები ყოველთვის ერთნაირი ვერ იქნება, და იგი მრავალ გარემოებებზეა დამოკიდებული, კერძოდ კი, უნდა ვიცოდეთ, როგორია: ეკონომიკის განვითარების საერთო დონე; მისი არსებული და სასურველი სტრუქტურა; „შრომის საერთაშორისო დანაწილების ზეგავლენის დონე; ქვეყანაში სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. განსაკუთრებით უნდა გავითვალისწინოთ იმ ქვეყნის მიზნები, რომელიც არამყარ გარდამავალ

¹¹ ჩახვაშვილი დ. - ელიტის ცირკულაცია ქართულად. www.darbazi.ge, 2003.

მდგომარეობაში იმყოფება.¹² ამასთან, მიმდინარე და სტრატეგიული მიზეზები უნდა განვსაზღვროთ დროისა და სივრცის მიხედვით. ბუნებრივია, უნდა მოვახდინოთ ეკონომიკური მიზნების კონკრეტოზაცია, და ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ეკონომიკური მიზნები და საშუალებები. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების უმთავრესი მიზანი, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა და არსებული წყობილების გამყარებაა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამასთან, ეს პრობლემები ურთიერთ განპირობებულია და ცალ-ცალკე სხვა მიზნებისგან დამოუკიდებლად ვარ მიიღწევა.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების მაშტაბებზე, ინსტრუმენტებზე და ეფექტურობაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ის ამოცანები რომელიც კონკრეტული ქვეყნის წინაშე დგას. ასევე ქვეყნის განვითარების დონე, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირებისას. ასევე მნიშვნელოვანია ის გამოცდილება და მეცნიერული კვლევები, რომელიც მიმართულია საბაზრო მეურნეობის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადაჭრის მცდელობებისაკენ. ბოლო 3-4 ადწლეულის მანძილზე შეიცვალა რეგულირებადი ეკონომიკის სფეროს მეცნიერული კვლევების ხასიათიც და მიმართულებაც. „თუ 50-იანი წლებში განიხილებოდა საკითხი „რეგულირებადი იყო ეკონომიკა თუ არა?“, მოგვიანებით კი „როგორი უნდა იყოს რეგულირების დონე?“ და „რა მიზნით, მიმართულებით და საშუალებებით უნდა განვახორციელოთ რეგულირება?“¹³

XX საუკუნის 60-იან წლებში დასაველეთის, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს შემოსავლები უფრო მაღალი ტემპებით იზდებოდა ვიდრე ეკპ-ს, ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლები. დღესდღეისობით კი საწინააღმდეგო ტენდენციაა, რადგან გადასახადების ზრდა სამეწარმეო საქმიანობის მოტივაციაზე და ინვესტიციების სტიმულზე ნეგატიურად მოქმედებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იურიდიული თუ ფიზიკური პირების გადასახადების ზრდასთან

¹² Junger. E. – Der Arbeiter. www.arctogaia.com. B, 1965. p.8

¹³ Гайдар Е. - Экономика переходного периода. www.gaidar.org, 2004. С.3

ერთად დაქირავებული პირების საგადასახადო წნეხიც შეუძლებელია უსასრულოდ გრძელდებოდეს. სამეურნეო გამოცოცხლების პირობებში, სახელმწიფო შემოსავლები შესაძლებელია გადასახადების ზრდის გარეშეც მოიტონოს. არსებობს სახელმწიფოს შემოსავლების ზრდი რამოდენიმე პირობითი ზღვარი: ა) სამეწარმეო საქმიანობისათვის საკმარისი მოტივაციის ზღვარი; ბ) დაქირავებული პირების დაბეგვრის სოციალური ზღვარი; გ) ეეპ-ს ზრდის ზღვარი.

ასევე შემოსაზღვრულია სახელმწიფო საკუთრების შესაძლებლობები. სახელმწიფო სექტორმა არ შეიძლება ახალ-ახალი პოზიციები დაიკავოს მეურნეობის საკვანძო დარგებში და ამით შეზღუდოს კერძო მესაკუთრეთა ინტერესები. თვითდაფინანსება ხორციელდება, როგორც სახელმწიფოს მიერ სანქცირებული მოგების გამოყენების ერთ-ერთი ფაქტორი. ამასთან, მოგების ათვისების საშუალებები და მოცულობა დამოკიდებულია საწარმოო ციკლის ფაზაზე, რომელშიც იმყოფება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა. სახელმწიფოს თვითდაფინანსების რეგულირების პოლიტიკა დამოკიდებულია (ეკონომიკური ვარდნის დროს) ინვესტიციების სტიმულის ხელოვნური გაზრდის საშუალებაზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს ქმედებების განმსაზღვრელი საბიუჯეტო შემოსავლების მოცულობაა, თვითდაფინანსების შემადგენელი ნაწილი გადაუნაწილებელი მოგებაა. თუმცა გადაუნაწილებელი მოგების ზრდის წახალისების შესაძლებლობები (დივიდენდების ხარჯზე) ასევე არაა განსაზღვრული. „ამ ზღვართან აქციონერთა ინტერესები დგას. მაშასადამე სახელმწიფო რეგულირების საშუალებების საფინანსო უზრუნველყოფის საჭიროება ზუსტად მაშინ იზრდება, როდესაც საფინანსო საშუალებების მობილიზაციის შესაძლებლობები მინიმუმამდეა დაყვანილი ან შეზღუდულია სახელმწიფო დაფინანსება“¹⁴.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების რეგულირების უკვე ხსენებული შესაძლებლობა პირველ რიგში განპირობებულია სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალის მესაკუთრეთა ინტერესების შეუთავსებლობით. კერძო კაპიტალი სახელმწიფო პროგრამაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ სახელმწიფო მას გარანტიას

¹⁴ Богиня Д. - Государственное регулирование переходных процессов. жур. Экономика Украины. №5. Киев 1999 С. 22

მისცემს, რომ კერძო კაპიტალის მესკუთრის მოგება იმაზე მეტი ექნება, ვიდრე პროგრამის იგნორირების შემთხვევაში.

სახელმწიფო რეგულირების ძირითადი პარამეტრებია: 1. ეკონომიკური ციკლი; 2. მეურნეობის დარგობრივი და რეგიონალური სტრუქტურა; 3. კაპიტალის დაგროვების პირობები; 4. დასაქმება; 5. ფულის მიმოქცევა; 6. საგადასახდელო ბალანსი; 7. ფასები; 8. კონკურენცია; 9. სოციალური ურთიერთობები და უზრუნველყოფა; 10. კადრების მომზადება-გადამზადება; 11. ეკოლოგია; 12. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კრიზისების და დეპრესიების დროს ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მოთხოვნის, მომსახურების, კაპიტალდაბანდებისა და დასაქმების სტიმულირებისკენ. ამისთვის კერძო კაპიტალს სთავაზობენ დამატებით ფინანსურ შეღავათებს, ასევე, იზრდება სახელმწიფო ხარჯები და ინვესტიციები. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივი პერიოდის დროს შესაძლებელია წარმოიქმნას არასასურველი ტენდენციები – სასაქონლო მარაგების კლება, იმპორტის ზრდა და საგადასახდელო ბალანსის გაუარესება, სამუშაო ძალაზე არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის ზრდა და აქედან გამომდინარე ხელფასებისა და ფასების დაუსაბუთებელი მატება. ასეთ მდგომარეობაში რეგულირების ამოცანაა – მოთხოვნის, კაპიტალდაბანდებათა და წარმოების ზრდის დამუხრუჭება, რათა შენელდეს წარმოებისა და კაპიტალის გადაჭარბებული დაგროვება.

სახელმწიფო რეგულირება, ასევე მნიშვნელოვანია დარგობრივ და რეგიონული სტრუქტურების სფეროში, რომლის დროსაც საფინანსო სტიმულებისა და სახელმწიფო კაპიტალდაბანდების მეშვეობით, ცალკეულ დარგებს ან რეგიონებს ექმნებათ პრივილიგიებული პირობები. ერთ შემთხვევაში დახმარება ესაჭიროება ისეთ დარგებს და მეურნეობის კონკრეტულ წარმომადგენლებს, რომლებიც ხანგრძლივ კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებიან; მეორეს მხრივ, მიმდინარეობს მეურნეობის ახალი დარგებსა და წარმოების განვითარება, როლებიც დარგის შიგნით პროგრესული სტრუქტურული ძვრების საწინდარია.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი პარამეტრი კაპიტალის დაგროვებაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოგების მიღება და კაპიტალიზაცია ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. სხვადასხვა

დროს ყველა ინვესტორებისათვის, „...ცალკეული ჯგუფებისათვის, თუნდაც რეგიონისათვის დამატებითი სტიმულისა და საშუალების შექმნით მარეგულირებელი ორგანოები დადებითად ზემოქმედებენ ეკონომიკურ ციკლზე და ეკონომიკის სტრუქტურაზე.“¹⁵.

დასაქმების რეგულირება – საბაზრო ეკონომიკის თვალზაზრისით ეს არის სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა. აღნიშნული თანაფარდობა უნდა აკმაყოფილებდეს ეკონომიკის მოთხოვნას. თუმცა თანაფარდობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არ უნდა მივყავდეთ შრომის ანაზღაურების დაუსაბუთებელ გაზრდამდე, რაც ნეგატიურ გავლენას მოახდენს ეროვნულ კონკურენტუნარიანობაზე. „ასევე არასასურველია უმუშევრობის მკვეთრი ზრდა, რასაც სამომხმარებლო მოთხოვნისა და საგადასახადო შემოსავლების კლებისკენ, გადასახადების ზრდისაკენ და საშიშ სოციალურ შედეგებამდე მივყევართ.“¹⁶.

„მექსიკაში 1994 წელს და ტაილანდში 1997 წელს მომხდარმა კრიზისებმა დიდი ზეგავლენა იქონია მრავალი განვითარებული ქვეყნის საფინანსო ბაზრებზე, თუმცა გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნებზე თითქმის არანაირი ეფექტი არ მოუხდენია.“¹⁷. რუსეთში 1998 წლის აგვისტოში მომხდარმა კრიზისმა კი საკმაოდ იმოქმედა სწორედ გარდამავალ ეკონომიკებზე; ამ საკითხების კვლევას რამდენიმე ჩვენთვის ცნობილი ნაშრომი მიეძღვნა. ჩვენის მხრივ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ზემოთხსენებული ავტორები ძირითადად იხილავენ ევროპის ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს, „სადაც საფინანსო ბაზრების ლიბერალიზაცია პირველად დაახლოებით 1989 წელს დაიწყო პოლონეთში და სხვადასხვა ქვეყნისთვის მეტნაკლებად ნელი ტემპით მიმდინარეობს.“¹⁸ ასე რომ გასათვალისწინებელია დროის ფაქტორი უფრო გვიან მოხდარ კრიზისებს გაცილებით დიდი ზეგავლენა ექნება პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, ვიდრე აღრინდელ კრიზისებს. გადამწვეტი მნიშვნელობა, მაინც სავაჭრო და ფინანსურ კავშირებს ენიჭება, ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ასეთი კავშირები კვლავაც საკმაოდ მყარია.

¹⁵ Gelos G. and Sahay S. - Financial Market Spillovers in Transition Economies, IMF Wor. Paper. 2000

¹⁶ Darvas E. and Szapary T. - Financial Contagion under Different Exchange Rate Regimes, National Bank of Hungary Working paper 1999.

¹⁷ Fries D, Raiser S. and Stern A. - Macroeconomic and Financial Stability: Transition and East Asian Contagio, European Bank for Reconstruction and Development Working Paper No. 28. 1998,

¹⁸ Krzak R. - Contagion Effects of the Russian Financial Crisis on Central and Eastern Europe: The Case of Poland, in Oesterreichische Nationalbank: Vienna. Focus on Transition, 1998,

ამდენად ნათელია, რომ ე.წ. „გაღამლები“ ეფექტის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ქვეყნებს შორის პირდაპირი და არაპირდაპირი სავაჭრო და აგრეთვე ფინანსური კავშირები უნდა ვივარაუდოთ. ცხადია ისიც, რომ ისეთ მოვლენას, როგორცაა მაგალითად, სარგებლის განაკვეთების ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთდროული გავლენა ექნება სხვადასხვა ქვეყნის საფინანსო ბაზარზე.

გასათვალისწინებელია ვალუტაზე სპეკულაციური შეტევაც. მაგალითად, ასეთმა შეტევამ ინგლისზე 1992 წლის სექტემბერში და გირვანქა სტერლინგის შემდგომმა გაუფასურებამ ბიანი მიაყენა ირლანდიის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას, რომლისთვისაც ინგლისი ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარია და პროვოცირება გაუკეთა ირლანდიურ ვალუტაზე შეტევასაც. ფინეთში 1992 წლის აგვისტოში ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ უარყოფითი გეგავლენა იქონია შვედეთზე. ამის ძირითადი მიზეზი ე.წ. „მესამე მსოფლიოს“ საექსპორტო ბაზრებზე ამ ორი ქვეყნის კონკურენცია უფროა, ვიდრე მათ შორის პირდაპირი სავაჭრო კავშირები. ესპანეთში 1992-1993 წლებში პესეტის გაუფასურებამ ბიანი მიაყენა პორტუგალიას, რომელიც თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული ესპანეთის საექსპორტო ბაზარზე და გამოიწვია შეტევა პორტუგალიურ ესკუდოზე. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს არანაირი უარყოფითი ცვლილება არ განუცლიათ ესპანეთის კრიზისამდე. „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შორის სავაჭრო კავშირების არსებობას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „გაღამლები“ ეფექტის ფენომენის ახსნისას, არის მოსაზრება, რომ „გაღამლები“ ეფექტი დამოკიდებულია ქვეყნებს შორის არსებულ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მსგავსებაზეც“.⁵

მაგალითად, საქართველოში 2008 წლის პირველ ნახევარში ინფლაცია 11.3% იყო, ლარის კურსის სტაბილურობა, მაღალი ინფლაციური მოლოდინი, ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების თანაბარი დინამიკა საბოლოო ჯამში ზომიერი ინფლაციის შენარჩუნებას უწყობდა ხელს. თუმცა, ხორბლისა და ბურღულეულის იმპორტიორ ქვეყნებში ცუდი მოსავლის და, შესაბამისად, საექსპორტო ფასების ზრდით მდგომარეობა შეიცვალა, გაიზარდა სამომხმარებლო ფასები, ამას პოლიტიკური დესტაბილიზაციის შედეგებიც მოჰყვა და მნიშვნელოვნად მოიმატა ინფლაციური და დეველუაციური მოლოდინი ზუსტად ასეთ დროს ეროვნული ბანკის

⁵. Eichengreen D. and Wyplosz F. - Contagious Currency Crises, Scandinavian Journal of Economics. №9, 1996

გავლენის ქვეშ მყოფი ფაქტორების დახმარებით და სტაბილური მონეტარული ფონის გავლენით, აუცილებელია, ინფლაციური მოლოდინი სწრაფად დაცხრომა. (ცხრილი: 1.1.1).

საქართველოს ფლიური ინფლაციური მაჩვენებლები						
ცხრილი: 1.1.1	2002	2003	2004	2005	2006	2007
იანვარი	4.7	5.5	5.2	9.3	9.7	9.8
თებერვალი	5.3	3.7	6.2	9.2	8.0	8.7
მარტი	5.7	3.4	6.3	9.7	7.7	10.0
აპრილი	6.5	2.1	5.6	10.3	7.9	9.9
მაისი	7.6	2.3	5.4	8.9	8.1	9.7
ივნისი	5.5	4.8	3.6	9.0	8.3	9.7
ივლისი	5.1	5.0	5.5	9.3	7.3	10.7
აგვისტო	4.7	5.1	5.0	9.5	7.0	10.0
სექტემბერი	5.7	5.2	6.0	8.0	7.9	10.6
ოქტომბერი	5.4	4.7	7.7	8.8	9.4	11.4
ნოემბერი	5.1	8.6	4.1	9.1	9.8	11.8

ეკონომიკის სიჯანსაღის ობიექტური მაჩვენებელი საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობაა. საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერ ქვეყანაში, სახელმწიფო, ექსპორტსა და იმპორტზე ზემოქმედებით, სისტემატიურად ახორციელებს საგადასახდელო ბალანსის ოპერატიულ და სტრატეგიულ რეგულირებას. ამავ მიზნით იგი არეგულირებს ქვეყნის ვალუტის კურსის ზრდასა და კლებას, კაპიტალის მოძრაობას, მონაწილეობს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში და სხვ.

ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირების რღვევამ 90-იანი წლების დასაწყისში, არახელსაყრელი გარემო შექმნა წარმოებისა და, შესაბამისად, საექსპორტო პოტენციალის განვითარებისათვის;

1) ენერგორესურსების დეფიციტის პრობლემის გაჭიანურებული მოუგვარებლობა იმპორტის მრდის აუცილებლობისა და, შესაბამისად, ქვეყნის საგარეო დავალიანების გვირგვინის შემდგომი დამძიმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა. მითუმეტეს, რომ თვით ამ დავალიანების უდიდესი ნაწილის წარმოქმნის მთავარი მიზეზი სწორედ ქვეყანაში ენერგორესურსების მწვავე დეფიციტია. 2000 წლის მონაცემებით, ქვეყნის მთლიანი იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ენერგომთავარებლების იმპორტის მოცულობა 21.1%-ს შეადგენდა; 2) ნებისმიერ თუ უნებლიედ განხორციელებული არაეფექტიანი იმპორტის დიდი ხვედრითი წილი საერთო იმპორტში (უცხოური კრედიტებით შეძენილი

არაეფექტიანი ტექნიკა, ჰუმანიტარული დახმარების დიდი მოცულობა და ა. შ.);
 3) საგადასახდლო ბალანსის ლეფიციტის მნიშვნელოვანი მიზმია მეზობელ და უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებში ფინანსური არასტაბილურობა და კრიზისები (ცხრილი №1.1.2).

საქართველოს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

ცხრილი N1.1.2	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
მლნ. აშშ. დოლარი	-295.5	-499.1	-416.6	-195.6	-261.9	-197.1	-191.3
%-ად მშპ-სთან	-9.7	-14	-10.3	-6.9	-7.4	-8.7	-6

ამდენად, წლების განმავლობაში უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსისა და, შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშის ლეფიციტის, ასევე საბიუჯეტო პრობლემებისა და საგარეო ვალების მართვის საკითხებში დაშვებული შეცდომების გამო, ქვეყანას მნიშვნელოვანი უცხოური ვალდებულებები დაუგროვდა. 2007 წლის 31 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობამ 4.236 მლნ. ლარი შეადგინა (ცხრილი 1.1.3).

საქართველოს სახელმწიფო ვალი (წლის ბოლოს; მლნ. ლარი)						
ცხრილი: №1.1.3	2002	2003	2004	2005	2006	2007
სახელმწიფო ვალი	4 843.3	4 608.0	4 306.6	4 076.1	3 855.4	4 236.1
საშინაო ვალი	1 520.3	1 567.9	1 575.8	1 535.3	1 510.9	1 527.8
მათ შორის:						
ფულად-საკრედიტო ორგ.	772.1	811.3	832.8	832.8	832.8	832.8
სხვა საშინაო	748.2	756.6	742.9	702.5	678.2	648.2
საგარეო ვალი	3 323.0	3 040.1	2 730.8	2 540.8	2 344.5	2 301.5

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პარამეტრები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გადასაჭრელი პრობლემის დონით და სირთულით, რადგან ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული იერარქია: კომპანია; რეგიონი; დარგი; ეკონომიკის სექტორი (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურეობა); მთლიანად მეურნეობა; გლობალური (სოციალური ურთიერთობები, ეკოლოგია); ზეეროვნული (ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები უცხო ქვეყნებთან), ეკონომიკის რეგულირებისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ რეგულირების ადმინისტრაციული და ეკონომიკური საშუალებები:

„ადმინისტრირება არ არის დაკავშირებული დამატებით მატერიალური სტიმულირების შექმნასა ან საფინანსო ზარალის საშიშროებასთან. იგი ეფუძნება სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას და გულისხმობს სხვადასხვა აკრძალვებს, ნებართვებსა და იძულებას.“¹⁹ მაგალითად, მთავრობამ აკრძალა ქალაქის ფარგლებში საწარმოების შენება, ამისთვის სახელმწიფო გადასახადებს და ჯარიმებს კი არ ზრდის, არამედ წყვეტს ლიცენზიების გაცემას. იძულების ზომები კი შეიძლება შემდგენიერი იყოს, მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია დაავალდებულოს კომპანიები შექმნას საკუთარი თანამშრომლებისათვის საყოფაცხოვრებო პირობები, მოახდინოს საწარმოო სწავლების (კვალიფიკაციის ამაღლების კურსები) ორგანიზება და ა.შ.

სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი საშუალებებია: 1. ფისკალური პოლიტიკა; 2. შემოსავლების რეგულირების პოლიტიკა; 3. სოციალური პოლიტიკა; 4. ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირება; 5. შიგა-ეკონომიკური რეგულირება.

ძირითადი ეკონომიკური საშუალებებია: 1. სააღრიცხვო განაკვეთის რეგულირება (დისკონტური პოლიტიკა, რომელსაც ეროვნული ბანკი ახორციელებს); 2. იმ მინიმალური რეზერვების მოცულობის განსაზღვრა და შეცვლა, რომლებსაც ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტები იცავენ ეროვნული ბანკის მითითებით; 3. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო ორგანიზაციების ოპერაციები.

პირდაპირი სახელმწიფოებრივი რეგულირება ხორციელდება საბიუჯეტო პოლიტიკის საშუალებებით. სახელმწიფოს დანახარჯების დაფარვისათვის საფინანსო საშუალებების მობილიზების მთავარ გზას წარმოადგენს გადასახადები. ეს გზა ასევე ფართოდ გამოიყენება სამეურნეო სუბიექტების მოღვაწეობაზე ზემოქმედებისათვის. გადასახადების დახმარებით სახელმწიფოებრივი რეგულირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საგადასახადო სისტემის მოდელზე, ბეგარის განაკვეთზე, ასევე საგადასახადო შეღავათების სახესა და სიდიდეზე.

გადასახადების დახმარებით განხორციელებული სახელმწიფოებრივი რეგულირების საშუალებებს შორის, განსაკუთრებული ადგილი უკავია

¹⁹ Блауг М. - Экономическая теория в ретроспективе. Москва, 1994. стр. 720

ძირითადი კაპიტალის დაჩქარებულ ამორტიზაციულ ჩამოწერას და მასთან დაკავშირებულ ფარული რეზერვების წარმოქმნასა და რეალიზებას, რომლებიც ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს თანხმობის ფარგლებში. თანამედროვე პირობებში, ძირითადი კაპიტალის დაჩქარებული ამორტიზაციული ჩამოწერა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საშუალებას ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების, დაგროვების სტიმულირებისა, ასევე სამეურნეო ციკლზე და დასაქმებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან გზას. ამორტიზაციული ჩამოწერის განაკვეთის და რიგის შეცვლისას, სახელმწიფოს მარეგულირებელი ორგანოები განსაზღვრავენ წმინდა მოგების იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ დაბეგერისაგან ჭარბწარმოებაში შეტანის გზით და შემდგომ გადარიცხულ იქნეს საამორტიზაციო ფონდში ახალი კაპიტალდაბანდების დაფინანსებისათვის.

12. საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკა: არსი, პრინციპები, მიმართულებები

ეკონომიკურ ურთიერთობებში ფულის მიმოქცევა არსებობს სამ დონეზე: სახელმწიფო, საბანკო სისტემისა და საფინანსო სისტემის.

საფინანსო პოლიტიკა გამოიყენება ეკონომიკის წინაშე წამოყენებული ამოცანების გადაწყვეტისათვის. რა თქმა უნდა ეს ზედნაშენური და საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა. მისი საფინანსო პოლიტიკის შემუშავების პროცესში აუცილებელია, მოცემული ამოცანების შესრულებისათვის საჭირო მატერიალური პირობების უზრუნველყოფა.

საფინანსო სტრატეგია საფინანსო პოლიტიკის გრძელვადიანი კურსია, რომელიც გათვლილია პერსპექტივაზე და მსხვილმაშტაბური ამოცანების გადაჭრაზე, რომლებიც თავისთავად განისაზღვრება ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიით. საფინანსო სტრატეგიის დამუშავების პროცესში ხდება ფინანსების განვითარების ძირითადი მიმართულების პროგნოზირება; ყალიბდება ფინანსების გამოყენებისა და ორგანიზაციის პრინციპები; წყდება საფინანსო რესურსების კონცენტრაციის აუცილებლობის საკითხები ეკონომიკის განვითარების იმ მიმართულებით, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკით არის შემუშავებული და მიღებული.

საფინანსო ტაქტიკა და სტრატეგია მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. სტრატეგია ქმნის პირობებს ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის, ასევე ავლენს განვითარების გადამწყვეტ უბნებს და საფინანსო ურთიერთობების და ურთიერთკავშირების ორგანიზების საშუალებასა და ფორმებთან შესაბამისობაში მოყავს. საფინანსო ტაქტიკა ხელს უწყობს მეტად მცირე დროში და ნაკლები დანახარჯებით გადაწყდეს საფინანსო სტრატეგიის ამოცანები.

საფინანსო პოლიტიკა მიმართულია საფინანსო რესურსების კონცენტრაციასა და ნამდვილი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, ზუსტად ეს აძლევს ხელს სახელმწიფოს აქტიურად მოახდინოს ზემოქმედება საზოგადოებრივ წარმოებაზე. ეკონომიკასა და საზოგადოების სოციალურ განვითარებაზე საფინანსო პოლიტიკის ზეგავლენა მოითხოვს, რომ საფინანსო პოლიტიკა ხორციელდებოდეს მეცნიერულად დადასტურებული თეორიის საფუძველზე. ეკონომიკის როგორც მეცნიერების განვითარების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეკონომიკისაგან საფინანსო პოლიტიკის განდგომა აფერხებს იმ ამოცანათა რეალიზებას, რომლებიც საზოგადოების განვითარებისათვის სასიცოცხლოა.

საფინანსო პოლიტიკაში მეცნიერული მიდგომა გულისხმობს:

1. საფინანსო პოლიტიკის შესაბამისობას წარმოების განვითარების მოთხოვნებთან, ამიტომ მნიშვნელოვანი ფაქტორია დასაბუთებული ინფორმაციის ფლობა. ასეთი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ცნობებს ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესებსა და უკვე ჩატარებული ღონისძიებათა შედეგებზე. „ინფორმაცია ქმნის ეფექტური საფინანსო პოლიტიკის შემუშავების საფუძველს. საფინანსო პოლიტიკის მართებულობის საფუძველია, ურთიერთკავშირის პრინციპების დაცვის აუცილებლობა.“²⁰

2. გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნეს გატარებული ღონისძიებების გათვლისა და ზუსტი ანალიზის საფუძველზე.

3. მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს საფინანსო პოლიტიკის გატარებისა და გამომუშავებისადმი კომპლექსური მიდგომის დაცვა. კოორდინაცია მიმართული უნდა იყოს ძირითად ამოცანებზე.

²⁰ Гайдар Е. - Экономика переходного периода. www.gaidar.org, 2004. С.4

საგადასახადო პოლიტიკის ფუნქციებია: ფისკალური და ეკონომიკური. საფინანსო პოლიტიკის შინაგანი შემცველობიდან გამომდინარე, გამოყოფენ სამი შემადგენელ ნაწილს: 1. საფინანსო კონცეფციის მეცნიერულად დასაბუთებული გამომუშავება ხანგძლივი და უახლოესი პერსპექტივებისათვის. 2. მიმდინარე წელსა და მომავალში ფინანსების გამოყენების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. 3. დადგენილი მიზნების მიღწევისათვის პრაქტიკული ქმედებების განხორციელება.

საქართველოში 1995-2003 წლებში სრულდებოდა მხოლოდ პირველი პუნქტი, ამასთანავე არ იყო მიღებული მხედველობაში შეურნეობისა და სოციალური პოლიტიკის თავისებურებები, რამაც გამოიწვია საეკონომიკური შედეგები. ამ წლებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრები სამწუხაროდ ძირითადად დაქსაქსულად მოქმედებდნენ, მართალია შემდგომ გაჩნდა ე.წ. „სტაბილიზაციის საფინანსო პროგრამა“. მაგრამ მასში, პირველ რიგში, არ იქნა გათვალისწინებული საფინანსო პოლიტიკის კონცეპტუალური დამუშავების აუცილებლობა, მეორეც, საფინანსო პოლიტიკის გატარებისადმი მიდგომა იყო ნეგატიურად პრაგმატული, უცხოური გამოცდილების ბრმა კოპირებით.

ქვეყნის საფინანსო მდგომარეობა ხასიათდება მაჩვენებელთა შემდეგი რიგით: 1. ეკპ ან ეშ (ეროვნული შემოსავალი) – საფინანსო რესურსების მთავარი წყარო. 2. ინვესტირების მოცულობა. 3. ძირითადი კაპიტალის განახლების ტემპები. 4. შრომის ანაზღაურების ზრდის კოეფიციენტი. 5. მოსახლეობის ცხოვრების დონე 6. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი.

საქართველოში ჩრდილოვან ეკონომიკას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, მაგალითისთვის ე. წ. „შვიდკაცასა“ და ანტიკორუფციული საბჭოს მასალებიც გამოდგება. ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: რ. გოცირიძის, ნ. თურნავას, ზ. ჭეიშვილის, რ. ოთინაშვილის პუბლიკაციები. საქართველოს საფინანსო სისტემა სახელმწიფო ბიუჯეტში ხასიათდება გადასახადებისგან თავის არიდების მაღალი მაჩვენებელით. ასე მაგალითად, 1995 წელს ბიუჯეტში გადახდილი იყო გადასახადების მხოლოდ 60%. სისტემატური გადაუხდელობის გამო იმატებს სახელმწიფოს შიგა ვალი, რომელიც სახელმწიფოს საგარეო ვალთან ერთად დიდ პრობლემებს უქმნის. მნიშვნელოვანია ის

ფაქტორიც, რომ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაუინებულები მოთხოვნით 1997 წელს მიღებულ იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც შემდგომში ათასზე მეტი შესწორება განიცადა, დღეს უკვე ახალი საგადასახადო კოდექსი გვაქვს. ეს მოვლენა არანაირ კომენტარს არ საჭიროებს.

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები								
ცხრილი №12.1	წელი							
	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
მშპ (მილიონი GL)	3870	4667	5063	5709	6186	6505	7471	8465
მშპ ერთ სულზე (GL)	839	1015	1099	1238	1340	1409	1624	1840
რეალური მშპ-ს ზრდა (%)	–	121,0	108,3	112,6	108,2	104,5	112,4	113,3
მშპ (მილიონი USD)	3063	3595	3638	2856	3132	3142	3140	3130
მშპ ერთ სულზე (USD)	664	782	790	619	678	680	676	660

ცხრილში №12.1 მოყვანილია ოფიციალური მონაცემები საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ. ნათლად ჩანს, რომ ამ მაჩვენებლებს, თუ გარეგნულად შევხედავთ (ღარაბში გამოხატული), ზრდის აშკარა ტენდენცია ახასიათებს. სინამდვილეში კი ქართულმა ღარმა 1998 წლის შემოდგომაზე საგრძნობი დეველუაცია განიცადა და დოლარებში გამოსახული მშპ-ს დონე ააშკარავებს 1999 წლის მძიმე მონეტარულ კრიზისს, როცა ნომინალური მშპ 18.71%-ით შემცირდა. კრიზისი, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების, განსაკუთრებით საგადასახადო შემოსავლების კატასტროფიულად დაბალი მობილიზაციით.

საფინანსო პოლიტიკას ერწყმის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. რომლის ძირითადი მიზანი საფინანსო სტაბილურობაა. საფინანსო სტაბილურობის ამოცანებია: 1. სტაბილური ფასები. განვითარებულ ქვეყნებში ინფლაცია დაახლოებით 1,8%-ს უდრის; 2. ბიუჯეტის დეფიციტი არა უმეტეს ეკპ-ის 2-3%-ისა; 3. სახელმწიფო ვალი უნდა შეადგენდეს მცირე თანხას და მატულობდეს მხოლოდ ეკპ-ის ზრდასთან ერთად; 4. თანმიმდევრული გადასვლა აღმავლობისაკენ.

საფინანსო სტიმულები ეკონომიკური საჭეა, რომლის მოქმედებაც დაკავშირებულია მეურნეობის სუბიექტების მატერიალურ ინტერესებთან. პერსპექტიული დარგების სტიმულირებისას ფინანსები გამოიყენება

საზოგადოებრივ წარმოებაში ეკონომიკური ინტერესების, სტიმულების უზრუნველყოფის მიმართულებით.

შესაძლებელია გამოიყოს საფინანსო სტიმულების შემდეგი ჯგუფები: 1) საფინანსო სტიმულები, რომლების საზოგადოებრივ წარმოებაში რესურსების ინვესტირების მეტად ეფექტური მიმართულებების არჩევის საშუალებას იძლევა. ამასთან კავშირშია, მნიშვნელოვანი მიზნობრივი პროგრამების სწორედ შემუშავება და მათი საკმარისი რესურსებით უზრუნველყოფა (ბიუჯეტის დახმარებით). 2) სპეციალური წამახალისებელი ფონდების გამოყენება. 3) საფინანსო სტიმულები, წარმოების ინტენსიფიკაციის საბიუჯეტო მეთოდებთანაა დაკავშირებული. აქტიური საფინანსო პოლიტიკის გატარებისას, სახელმწიფოს შეუძლია წარმოების სტიმულირებისათვის გამოიყენოს საბიუჯეტო სახსრები. იმისათვის რომ, საბიუჯეტო მოგება გადაიქცეს საბიუჯეტო სტიმულად, საჭიროა, გადასახადების თითოეულმა სახეობამ შეასრულოს როგორც ფისკალური, ასევე მასტიმულირებელი ფუნქცია. 4) სპეციალური საფინანსო შეღავათები და სანქციები, ერთგვარი საფინანსო მექანიზმი საფინანსო პოლიტიკის რეალიზებისათვის.

საფინანსო მექანიზმი – საფინანსო პოლიტიკის გატარების პროცესში, პოლიტიკის შესრულება მოითხოვს შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების გამოვლენას, რომლებიც აუცილებელია დასმული ამოცანების რეალიზებისათვის, გადასახადების რეგულირებასთან, საწარმოო პროცესის პრობლემების გადაწყვეტასთან, მიზნობრივი პროგრამების საფინანსო რესურსებით მომარაგებასთან, ყველა რეგიონის სამეურნეო განვითარებასთან. საფინანსო პოლიტიკის რეალიზება ხორციელდება საფინანსო მექანიზმის დახმარებით. საფინანსო მექანიზმი მოიცავს საფინანსო ურთიერთობათა ორგანიზების სახეობებს, ფორმებს, მეთოდებს და ასევე მათი რაოდენობრივი განსაზღვრის ხერხებს. საფინანსო ურთიერთკავშირების უმრავლესობა განაპირობებს ორგანიზების სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს.

საფინანსო მექანიზმი იყოფა: 1. ორგანიზაციების საფინანსო მექანიზმად; 2. სადაზღვეო მექანიზმად; 3. სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების მექანიზმად; 4. საკრედიტო პოლიტიკად. თითოეულ დანაყოფში საფინანსო სისტემის რგოლების მიხედვით გამოარჩევენ

სტრუქტურულ სახეობებს. ტერიტორიული დაყოფა: ა) სახელმწიფოს საფინანსო მექანიზმი; ბ) რეგიონალური საფინანსო მექანიზმი; გ) ადგილობრივ ორგანოთა საფინანსო მექანიზმი.

საზოგადო წარმოებაზე ზეგავლენის მიხედვით: ა) საფინანსო რესურსების მობილიზების მექანიზმი; ბ) საფინანსო რესურსების მიწოდების მექანიზმი; გ) წარმოების სტიმულირების მექანიზმი.

შესაძლებელია სქემატურად გამოისახოს მექანიზმის კავშირები: ა) ფინანსების გამოყენება შესაბამისი კატეგორიის შესაძლებლობების გაცნობის გზით. ბ) საფინანსო პოლიტიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობა. გ) ამოცანათა გადაწყვეტის ხერხების განვითარება და რეალიზება. დ) საფინანსო კანონმდებლობა, რომელითაც ხორციელდება საფინანსო ურთიერთობათა რეგლამენტირება.

საფინანსო პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე – თანამედროვე პირობებში საფინანსო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: 1. საწარმოების საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის შესახებ ღონისძიებათა გატარება; 2. ფინანსების კრიზისული მდგომარეობის დაძლევა, ფულად-საკრედიტო სისტემის გაჯანსაღება; 3. მოსახლეობის სოციალური დაცვის კომპლექსური ზომები.

საფინანსო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საბაზრო ეკონომიკაში გადასვლის პირობებში, წარმოადგენს: 1. სახელმწიფო სექტორის გონივრული პრივატიზაცია; 2. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება; 3. მოქმედი საგადასახადო სისტემის სრულყოფა; 4. კონვერსიის პროცესის საფინანსო უზრუნველყოფა; 5. საფინანსო ბაზრის განვითარება; 6. საბიუჯეტო დეფიციტის ლიკვიდაცია; 7. შიგა და საგარეო ვალების შემცირება;

საფინანსო მექანიზმის სტრუქტურა ირეკლავს საფინანსო სისტემას ფინანსურ ურთიერთობათა დაჯგუფების პოზიციიდან გამომდინარე და შედგება ხუთი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან.

ნაწილი 1. საფინანსო მეთოდები – სამეურნეო პროცესზე საფინანსო ურთიერთობების ზემოქმედების საშუალებები. იგი მოიცავს: 1. დაგეგმვას; 2. ანგარიშგებათა სისტემას; 3. პროგნოზირებას; 4. იჯარას; 5. თვითდაფინანსებას; 6. დაზღვევას; 7. საინვესტიციო პროგრამას; 8. გირავნობის ოპერაციებს; 9. დაკრედიტებას; 10. სატრასტო ოპერაციებს;

11. ფასიანი ქაღალდების გამოშვებას; 12. ფაქტორინგს; 13. დაბეგვრას; 14. ლიზინგს; 15. ტრანსფერებს.

ნაწილი 2. საკანონმდებლო უზრუნველყოფა: 1. საკანონმდებლო აქტები; 2. კანონები; 3. ბრძანებები და ბრძანებულებები; 4. მთავრობის დადგენილებები;

ნაწილი 3. საფინანსო ბერკეტი: 1. მოგება; 2. ფასი; 3. შემოსავალი; 4. საიჯარო ქირა; 5. საამორტიზაციო ანარიცხები; 6. დივიდენდები; 6. საფინანსო სანქციები; 7. სარგებლის განაკვეთი; 8. დისკონტი.

ნაწილი 4. ნორმატიული უზრუნველყოფა: 1. ინსტრუქციები; 2. მეთოდური მითითებები.

ნაწილი 5 ინფორმაციული უზრუნველყოფა: 1. კომპიუტერული პროგრამები; 2. საბუღალტრო ანგარიში; 3. სტატისტიკური ანგარიში; 4. ოპერატიული ანგარიში და ა.შ.

ფინანსების მართვა – განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის არსებულ სფეროზე ზემოქმედების მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა. საფინანსო ობიექტებია: 1. საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსები; 2. სადაზღვეო ურთიერთობები; 3. სახელმწიფო ფინანსები.

საფინანსო სუბიექტები, ორგანიზაციები, რომლებიც განახორციელებენ მართველობას. სუბიექტებს მიეკუთვნება: 1. წარმოებასთან არსებული საფინანსო სამსახური, განყოფილებები; 2. სახელმწიფოს საფინანსო ორგანოები; 3. საგადასახადო ინსპექციები.

მართვის ფუნქციონალური ელემენტებია: 1. დაგეგმვა, წარმოადგენს ფინანსთა მდგომარეობის შეფასებასა და საფინანსო რესურსების ზრდის შესაძლებლობის გამოვლენას. 2. ოპერატიული მართვა, ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა საშუალებით მინიმალური დანახარჯებისას ვიღებთ მაქსიმალურ ეფექტს. 3. კონტროლი, ფაქტიური შედეგების მისადაგება გეგმიურთან, ეფექტური მეურნეობის საშუალებით რესურსების მომატებისათვის რეზერვების გამოვლენა.

ფინანსების მართვა: 1. სტრატეგიული მართვა გამომდინარეობს საფინანსო პერსპექტივისათვის რესურსების განსაზღვრიდან, რისთვისაც აუცილებელია ეკონომიკის დინამიკის ცოდნა. 2. ოპერატიული მართვა ხორციელდება საფინანსო აპარატით.

საქართველოს საფინანსო სისტემა თავის თავში შეიცავს სახელმწიფო და არასახელმწიფო სპეციალიზირებული დაწესებულებების კომპლექსს, რომელთა ფუნქციებში შედის: ა) სხვადასხვა ტიპის საფინანსო, ფულადი, სადაზღვეო, სავალიუტო ოპერაციების განხორციელება; ბ) აუდიტორულ მომსახურება; გ) კონსულტაციები საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობაზე; დ) საფინანსო სფეროს რეგულირება.

მთელი საფინანსო აპარატი შედგება საფინანსო ურთიერთობათა ჯგუფების ანალოგიური ელემენტებისაგან: პირველი სფერო – საფინანსო ქვედანაყოფები დარგებსა და საწარმოებში. ისინი მართავენ საფინანსო რესურსებს; მეორე სფერო – სადაზღვეო ორგანოთა სისტემა; მესამე სფერო – (სახელმწიფო ფინანსები) ფინანსთა სამინისტრო, ყველა საფინანსო ორგანო, საგადასახადო სამსახური; მეოთხე სფერო – საკრედიტო დაწესებულებები;

საფინანსო აპარატს ქმნის: ა) სახელმწიფოს საფინანსო ორგანოები; ბ) სადაზღვეო ორგანოები; გ) საწარმოთა საფინანსო სამსახური.

განვიხილოთ სახელმწიფოს საფინანსო ორგანოები: 1. საკანონმდებლო საბჭო 2. პრეზიდენტი 3. ფინანსთა სამინისტრო, რომელიც შეიცავს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ქვემდებარე დონეებს.

დაგეგმვა, პროგრამირება და დაფინანსება: 1. დაგეგმვა – მოიცავს მიზნებისა და ამოცანების ფორმირებასა და გადმოცემას, რომლის მიმართულებით უნდა მოქმედებდნენ ორგანიზაციები; 2. პროგრამირება – უკვე არსებულ საშალებათა შერჩევა და ახლის გამოძებნა, რომლებიც გამოიყენება მიზნების მისაღწევად. 3. დაფინანსება – მრავალწლიური პროგრამების წლიურ საბიუჯეტო ციფრებზე გადაყვანის პროცესია, საფინანსო წლების მიხედვით ანუ მთლიანი შერწყმული რაოდენობრივად გამოხატული ოპერაციების გადანაწილების პროცესია, ტრადიციულ საბიუჯეტო დაჯგუფებაში.

საფინანსო სისტემის ყველა რგოლს გააჩნია საფინანსო გეგმები: კომერციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი საწარმოები და ორგანიზაციები ქმნიან „შემოსავლებისა და დანახარჯთა ბალანსს“; არაკომერციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი საწარმოები და ორგანიზაციები ქმნიან გარკვეულ საფრინანსო გეგმას; საზოგადოებრივ გაერთიანებათა

გეგმა - „საფინანსო გეგმა“; სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოები ქმნიან სხვადასხვა დონის „ბიუჯეტს“.

დაგეგმვის მეთოდები: ექსტრაპოლაცია – საფინანსო მაჩვენებელთა განსაზღვრა მათი დინამიკის გამოვლენის საფუძველზე; გათვლები გამომდინარეობს საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებიდან, ხდება მათი კორექცია შედარებით მდგრადი ცვლილებებით ტემპზე; მაჩვენებელთა დინამიკა ექსტრაპოლირდება მომავალზე; ა) ნორმატიული: გარკვეული ნორმების მიხედვით; ბ) მათემატიკური მოდელირება: პროცესის მოდელის შენება და მისი გადატანა საფინანსო სფეროში; გ) დაბალანსებული: გამოიყენება საფინანსო რესურსების გამოყენების მიმართულებათა შეთანხმებისათვის მათი ფორმირების წყაროებთან.

საფინანსო კონტროლი: კონტროლი ფულით, საქონლისა და მომსახურების საბაზრო კონტროლი, სადაც იგი გამოდის როგორც ეფექტური მსყიდველობითი მოთხოვნა (ე.წ. „უზრუნველყოფილი მოთხოვნა“).

საფინანსო კონტროლის დაწესება მდგომარეობს სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის წარმატებული რეალიზების ხელშეწყობაში, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლსა და სფეროში საფინანსო რესურსების ეფექტური გამოყენებისა და ფორმირების პროცესის უზრუნველყოფაში. საფინანსო კონტროლს, როგორც კონტროლის განსაკუთრებულ სფეროს, დაკავშირებულს ღირებული კატეგორიების გამოყენებასთან, გამოყენების გარკვეული არე და შესაბამისი მიზანმიმართულება გააჩნია. საფინანსო კონტროლის ობიექტებია საფინანსო რესურსების ფორმირებასა და გამოყენებისას გადანაწილებითი, ფულადი პროცესები, მათ შორის, სახალხო მეურნეობის ყველა საფეხურსა და რგოლზე ფულად საშუსაღებათა ფონდების ფორმის სახით.

საფინანსო კონტროლი მოიცავს შემოწმებას: ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესრულების, ეროვნული შემოსავლისა და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ღირებულების განაწილებისა და გადანაწილების პროპორციათა ოპტიმალურობის; „ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების; საფინანსო მდგომარეობისა და საწარმოთა, ორგანიზაციათა, საბიუჯეტო დაწესებულებათა საფინანსო, შრომითი და

მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების და, ასევე საგადასახადო კონტროლის; სხვა მიმართულებებს“.²¹

საფინანსო კონტროლის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები: სახალხო მეურნეობის ფონდებსა და ფულადი შემოსავლის რაოდენობის დაბალანსება საფინანსო რესურსების მოთხოვნილებასთან; სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე საფინანსო ვალდებულებების დროული და სრული შესრულება; საფინანსო რესურსების შიდასაწარმოო რეზერვების ზრდის გამოვლენა, მათ შორის, თვით ღირებულების დაკლება და რენტაბელურობის მატების შესახებ; საწარმოებში, ორგანიზაციებსა და საბიუჯეტო დაწესებულებებში მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი რესურსების რაციონალური ხარჯვის დახმარება, ასევე, საბუღალტრო ანგარიშისა და ანგარიშგების სწორი წარმოება; მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის, საგადასახადო სფეროში, საწარმოებისა, მიკუთვნებულებს სხვადასხვა ორგანიზაციულ-საკანონმდებლო ფორმებს; საწარმოთა გარეეკონომიკური საქმიანობის მაღალი ტემპის ხელშეწყობა და ა.შ.

საფინანსო კონტროლის ფუნქციებია: 1. სახელმწიფო ფინანსების ხარჯვითი ნაწილის შემოწმება; 2. საფინანსო სისტემის ყველა რგოლში სახსრების სახელმწიფოს რესურსებში მობილიზაციის დროულობისა და სისრულის შემოწმება; 3. აღრიცხვისა და აღრიცხვიანობის წესების დაცვის შემოწმება. საფინანსო კონტროლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო კონტროლს, რომელიც უპირველეს ყოვლისა მოიცავს სახელმწიფოს ბიუჯეტსა და საბიუჯეტო ფონდებს (არასამთავრობო). საბიუჯეტო კონტროლს ექვემდებარება სახელმწიფოს კუთვნილი ადგილობრივი და საწარმოო ფინანსები.

საფინანსო კონტროლის ორგანოებია: 1. პარლამენტი; 2. საფინანსო კონტროლის სპეციალური უწყებები; 3. საფინანსო კონტროლის ორგანოები დარგობრივ სამინისტროებში.

საფინანსო ორგანოები, რომელთაც მეთაურობს ფინანსთა სამინისტრო, აკონტროლებენ საბიუჯეტო ფონდების ქონების მობილიზაციისა და გამოყენების პროცესებს. ამიტომ საფინანსო კონტროლის ამ სახეს

²¹ Позднякова Т. - Финансовое регулирование социально-экономических процессов. СПб университет экономики и финансов, 1999. С.17

ეწოდება საბიუჯეტო. კონტროლი ხელს უწყობს ოპტიმალური საფინანსო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს სახელმწიფო ბიუჯეტში შემნატანების მაქსიმალურ ზრდასა და ეკონომიკის განვითარებას. ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში ფუნქციონირებენ კონტროლისა და რევიზიის სამმართველოები, ხოლო ტერიტორიულ საფინანსო ორგანოებში კი მთავარი კონტროლიორ-რევიზორის აპარატი. ორივე ზემოთ აღნიშნული აწარმოებს საწარმოთა, დაწესებულებების და ორგანიზაციების ყველა სახის საწარმო-საფინანსო საქმიანობის რევიზიას.

აქვე უნდა ავღნიშნოთ საგადასახადო სისტემა. საგადასახადო სამსახურის ამოცანებია: ა) გადასახადების შესახებ კანონმდებლობის შესრულების, ბიუჯეტში გადასახადების სრული და დროული შეტანის კონტროლი. ბ) საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო მდგომარეობის შემოწმება დამოუკიდებლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმისა; ბ) აწარმოებენ მოგების სწორი განსაზღვრის კონტროლს მისი დაქვეითების თავიდან აცილების მიზნით; ლ) აწარმოებენ ყველა სუბიექტის, ასევე დაბეგვრის რეალური და პოტენციური ობიექტის რეგისტრაციას. ე) აწარმოებენ ჩამორთმეული, სახელმწიფოს გადაცემული ქონების, განძის აღრიცხვა-რეალიზებას.

შემოწმებათა უშუალო საგნად გვევლინება ისეთი საფინანსო მაჩვენებლები, როგორცაა, მოგება, შემოსავლები, დამატებული ღირებულების გადასახადი, სხვადასხვა მიზნებისა და ფონდებისათვის გადარიცხვები. ამ მაჩვენებლებს გააჩნია სინთეზური ხასიათი, ამიტომ მათი შესრულების, დინამიკის, ტენდენციათა კონტროლი მოიცავს საწარმოთა, გაერთიანებათა, დაწესებულებების კომერციული საქმიანობის ყველა მხარეს, ასევე საფინანსო-საკრედიტო ურთიერთკავშირების მექანიზმს.

მიუხედავად შემოწმებისა და ანალიზის კონკრეტული საგნის დამთხვევისა, საფინანსო კონტროლს ახასიათებს ამ ობიექტების მდგომარეობის შეფასებისას განსაკუთრებული მიზანმიმართულება, შესაბამისი მისი საჭიროებისა. „კონტროლს ექვემდებარება არა მხოლოდ

ცუდად მომუშავე საწარმოები და ორგანიზაციები, არამედ საქმიანობის კარგი შედეგების მქონენიც.“²²

სუბიექტებთან მიმართებაში გამოყოფენ საფინანსო კონტროლის შემდეგ სახეებს: 1. სახელმწიფო საფინანსო კონტროლი; 2. შიდასამეურნეო საფინანსო კონტროლი; 3. საფინანსო კონტროლი; 4. დამოუკიდებელი (აუდიტორული) კონტროლი.

საფინანსო კონტროლი წყვეტს რთულ და მრავალფეროვან ამოცანებს არსებულს საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების განსხვავებულ სფეროებსა და სამეურნეო მმართველობის საფეხურებზე.

1.3 ეკონომიკური რეგულირების სპეციფიკა ტრანზიტული ეკონომიკის პირობებში

თანამედროვე პერიოდის გარდამავალი ეკონომიკა და ბაზრისკენ მოძრაობა განუყოფელია. ბაზარი, თავის მხრივ, წარმოადგენს საკაცობრიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უდიდეს წარმონაქმნს. მან დროის გამოცდა გაიარა და თავისი დიდი სასიცოცხლო ძალა დაამტკიცა. უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ უახლესი ისტორია არ იცნობს არც ერთ მაღალგანვითარებულ და ეფექტურად ფუნქციონირებად ეკონომიკას, ბაზრის გარეშე. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს თანამედროვე ბაზარი, როგორც ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური მოდელი და არა როგორც მისი ყოველმომცველი სტრუქტურა. თვით ბაზარი კი განიხილება, როგორც სოციალურად ორიენტირებული, ეფექტურად რეგულირებადი და შესაბამის სოციალურ-ეკონომიკურ მოდელში ორგანულად გამჯდარი სუბიექტი. ისიც ფაქტია, რომ არსებობს, ბაზრის ანგლო-საქსური, კონტინენტალური, სკანდინავიური და აზიური. გარდამავალი ეკონომიკის, ამასთან სახელმწიფოს როლი მსგავსი (ან სხვა ტიპის) ბაზრის ჩამოყალიბებასა და რეგულირებაში არაერთგვაროვანია.

„სახელმწიფოს აქტიური მარეგულირებელი როლის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს ეფექტური, თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე დაფუძნებული, სოციალურად ორიენტირებული

²² Гуриев С. - Мифы экономики: Заблуждения и стереотипы, которые распространяют СМИ и политики. Санкт-Петербург, 2005. стр. 188

საბაზრო ეკონომიკა.²³ მსგავსი მაგალითები მსოფლიოს არ გააჩნია. ამასთანავე, ყველასათვის კარგადაა ცნობილი გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს საბაზრო ურთიერთობების რეგულირების სფეროდან წასვლის შედეგები. არა სწორია სახელმწიფოს როლი ერთი რომელიმე ფაქტორით განისაზღვროს, დაგუკავშიროთ იგი სახელმწიფოს საკუთრების ხვედრით წილს ეკონომიკაში, ან ევპ-ში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ნაწილდება, კონტრაქტების მიხედვით შესყიდვათა მოცულობასთან, ან სახელმწიფოს შეკვეთის ფორმასთან. რა თქმა უნდა ყველა ეს მაჩვენებელი უადრესად მნიშვნელოვანია, მაგარამ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი უფრო რთული და მრავალფეროვანია, უფრო მეტიც, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი იყოს შედარებით მცირე მაჩვენებლების დროსაც, მაგალითისათვის შეგვიძლია ავიღოთ თუნდაც, სახელმწიფო საკუთრების წილი ან ბიუჯეტის გავლით გადანაწილებული ევპ-ს სიდიდე.

სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები, ფორმები, მეთოდები და მექანიზმი უცვლელი არაა. სახელმწიფოს რჩება ისეთი კლასიკური ფუნქციები, როგორცაა: საკუთრების უფლების დაცვა, მეწარმეობის არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფა, საქმიანი აქტიურობის სტიმულირება და მონოპოლიურ ტენდენციებთან ბრძოლა, სამეურნეო სფეროში კანონიერებისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, ფულის ბრუნვის რეგულირება, ეროვნული ვალუტის მდგრადობის უზრუნველყოფა, შრომასა და კაპიტალს, მეწარმესა და დაქირავებულ მუშათა შორის ურთიერთობათა რეგულირება, საგარეოეკონომიკური საქმიანობის კონტროლი, საბაჟო სისტემის ორგანიზაცია და რეგულირება, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა. შ. გარდამავალ პერიოდში არც ერთ ჩამოთვლილ ფუნქციას არ ეკარგება თავისი როლი. ცვლილებები ეხება სახელმწიფოს მიერ ამ ფუნქციათა განხორციელების მექანიზმებს, მეთოდებსა და ხერხებს.

ცალკე უნდა გამოვყოთ სახელმწიფოს ფუნქციები და ამოცანები ტრანზიტულ ეკონომიკაში. სახელმწიფოს ფუნქციათა განვითარება, გამდიდრება და დაზუსტება არაა ავტონომიური მოვლენა, იგი საზოგა-

²³ Лист Ф. - Национальная система политической экономий. С-П. 1848. С. 87

დღების განვითარებასთან, საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურისა და მის ტექნიკურ ბაზაში ცვლილებებთან, საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს აქტუალიზაციასთან ერთად მიმდინარეობს. აღნიშნული პროცესი შემდეგი მიმართულებებით განიხილება: ეკონომიკის რეგულირებაში პირდაპირიდან ირიბი მეთოდებისაკენ თანდათანობითი გადასვლა; სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების, მისი სოციალური პროცესების რეგულირების როლის მკვეთრი გაძლიერება; რთული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, როგორცაა შრომისა და კაპიტალის ურთიერთკავშირის კომპლექსი, სოციალური პარტნიორობა, მოსახლეობის შემოსავალში დაუსაბუთებელი დიფერენციაციის შემცირება.

დღესდღეობით მსოფლიოში შრომის გუფასურების ტენდენციაა. ეს ფაქტი მიჩნევათეულია როგორც ლიბერალი-მონეტარისტების, ისე სოციალ-დემოკრატების მიერ. მონეტარისტებს ჩუმი პოზიცია გასაგებია, რადგან არანაირ პრივატიზაციას არ შეუძლია სოფლის მეურნეობა ან თუნდაც ქვანახშირის წარმოება რენტაბელური გახადოს. აშშ-იც კი, რომელიც ასე მდიდარია სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნიადაგებითა და კლიმატით, აგროსექტორზე უფრო მეტი დოტაცია გამოიყოფა, ვიდრე უმუშევართა არმიებზე. სოციალისტების პოზიციაც გასაგებია, რადგან ფიზიკურ შრომას ჩაენაცვლება მანქანა-დანადგარები, რომლებიც პროგრამული სისტემებით არიან უზრუნველყოფილები. ნათელია, რომ შრომის შეუქცევად მექანიზაციას მრავალი დადებითი და ამდენივე უარყოფითი შედეგები მოაქვს. ძველი მარქსისტები უკვე აქტიურად საუბრობენ, გლეხობისა და პროლეტარიატის ხელოვნურად სოციალურ პარაზიტებად ქცევის მცდელობაზე, რომლებიც როგორც ძველ რომში, სახელმწიფოს ხარჯზე იცხოვრებენ. თუმცა, მონეტარისტების ყველაზე ლიბერალური ფრთა ამ ნეოსოციალისტების ამ გამოძახილს უფრო რადიკალურად პასუხობს: „საზოგადოებრივ წარმოებაში ცვლილებების შედეგად, სამომხმარებლო საქონელწარმოების შემცირება კომპენსირებული იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმოებით. ასეთი პოზიციური დაპირისპირება დღემდე გრძელდება, მაგრამ ყველა ხვდება, რომ ტექნიკური პროგრესის მრავალი დადებითი და უარყოფითი შედეგი

უკვე ფაქტია.²⁴ დღესდღეობით მხოლოდ სახელმწიფოა ის სუბიექტი, რომელსაც შეუძლია ეს შედეგების ადამიანისთვის სასარგებლო ან ნაკლებად საზიანო გახადოს. ეს პოზიცია ათმაგად მწვავედ ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებში.

ბოლო დროს, წარმოიქმნა სახელმწიფოს ხარისხობრივად ახალი ფუნქციები, რომლებიც ადრე არ იყო ერთმნიშვნელოვნად სტრუქტურირებული, რაც დაკავშირებულია პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანდათანობით ჩამოყალიბებასთან. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები, როგორცაა განათლებისა და ფუნდამენტური მეცნიერების მხარდაჭერა, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიათა შემუშავებისა და დანერგვისათვის სპეციალური ზონების შექმნა, მკვეთრად ფორმულირებული სამრეწველო პოლიტიკის გატარება, ეკოლოგიური საკითხების გადაწყვეტა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს დადებითი როლის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „დიდი ტბების ტრაგედიის“ გადალახვა ა.შ.შ.-ში, ანდარეინის გასუფთავება (გერმანიის, საფრანგეთის და ბენელუქსის ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით), რომელიც რამოდენიმე ათწლეულის წინ ევროპის ბინძურ ჭაობს წარმოადგენდა. „ბაზარმა მიგვიყვანა ეკოლოგიურ კატასტროფამდე, ხოლო წესრიგის დამყარება სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების საშუალებით მოხერხდა.“²⁵ ეკონომიკის სფეროდან სახელმწიფოს ჩამოცილების კონცეფცია, მისი ფუნქციათა რიცხვის შემცირება და ქვეყნის განვითარების გენერალური მიმართულების მარეგულირებელის როლის შესუსტება არ შეესაბამება მსოფლიო გლობალურ ტენდენციებს და არ პასუხობს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების რეალიებს.

თუ დავუბრუნდებით იმ ემპირიულ ფაქტს, რომელიც როგორც ვთქვით „მიზეზთა გამო“ მიხუმათებულია: განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში, საზოგადოებრივი წარმოების მრავალი დარგი (მანქანათმშენებლობა, სამეცნიერო-კვლევითი სფერო, აგროსექტორი და სხვ.) ტოტალურად არარენტაბელურია და სხელმწიფოს სხვადასხვა სახის

²⁴ Беттельгейм Б. - Психологической привлекательности тоталитаризма. жур. „Знание Сила“. №8, Киев 1997.С.5

²⁵ Гумилёв Л. - Теория этногенеза и исторические судьбы Евразии. www.arctogaia.com, 1974.

დახმარებების ხარჯზე არსებობს. მაგალითისათვის ევროკავშირი გამოდგება, „კერძოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ის ქვოტები, რომლის გულისთვისაც ყოველწლიურად გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია და სხვ. ქვეყნები ერთმანეთს ედავებიან.“²⁶ მიზეზი მარტივია, ხსენებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა წამგებიანი სფეროა, ყველა ქვეყანა ცდილობს საკუთარი ვაშლი თუ ქათმის ბარკლები დემპინგური ფასებით გაასაღოს. სულერთია ემპირიზმით შევხედავთ ამ ფაქტს თუ რაციონალიზმით, სახელმწიფოში, რომელიც სიდიდით გვატემალაზე ან კამბოჯაზე დიდია, სოფლის მეურნეობა წამგებიანია, მაგრამ სახელმწიფოს უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია.

ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენების თანმიმდევრობის იგნორირება დაუშვებელია. მსოფლიო ეკონომიკის სულ უფრო მეტი დარგი ხდება არარენტაბელური. უკანასკნელი 10-15 წლების მანძილზე საწარმოების უზარმაზარი რაოდენობა, რომელთა ბაზაც აშშ-ი იყო, ინდოეთში, ჩინეთში, მალაიზიაში, ფილიპინებზე და ლათინურ ამერიკაში გადაბარგდნენ, რადგან მუშახელი ამ ქვეყნებში გაცილებით იაფია. რა შედეგებს გამოიწვევს აშშ-ში ეს ტენდენცია? ამ საკითხზე ქვემოთ ვუბროთ. „აქ კი აღსანიშნავთ, რომ ევროპაში ასეთი ნეგატიური ცვლილებების თავიდან აცილება ზუსტად სახელმწიფოს აქტიური ჩარევით მოხერხდა“.²⁷

სახელმწიფოს როლი ხარისხობრივად განსხვავდება საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების და უკვე ჩამოყალიბებული, დარეგულირებული საბაზრო ტიპის ეკონომიკის ფუნქციების პირობებში. თვითორგანიზებულობა და ბაზარი წარმოადგენს მის კლასიკურ მაგალითს, ახასიათებს საკმაოდ მყარი სისტემებს და ნაკლებ ეფექტურია ერთი სისტემიდან მეორეში გადასვლისას. „მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში თვითორგანიზაციის პრინციპი ხელს უწყობს კონსერვატიულ, დაცვით ფუნქციას, ეკონომიკის დაბრუნებას ადრინდელ მდგომარეობაში, ძველი

²⁶ Вербицкий М. - Экономика нового тысячелетия. <http://imperium.ru/~verbit>, 2004

²⁷ Купманс Т. - Три эссе о состоянии экономической науки. Санкт-Петербург 1994. стр. 67

ტენდენციების დანერგვას“.²⁸ ეს ძალიან სახიფათოა. ამასთანავე, ტრანსფორმაციის პერიოდში რომელიმე მარეგულირებელი საწყისების არარსებობას მიყვევართ ქაოტური პროცესების აუცილებელ ზრდასთან. სხვათაშორის, ჩამოყალიბებულ სტრუქტურათა კონსერვაციის ტენდენციაც და ქაოტური პროცესების ზრდაც მკვეთრად ჩანს თანამედროვე საქართველოშიც. სახელმწიფოს რომელ ამოცანებზეა საუბარი საბაზრო ეკონომიკის შემუშავების ეტაპზე? უნდა, გამოიყოს რამოდენიმე მომენტი:

უპირველეს ყოვლისა ესაა შერეული მრავალდარგოვანი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სისტემის ჩამოყალიბება.

მეორე, მცირე წარმოების, მათ შორის ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბება, რაც დღესდღეობით როგორც ზემოდ აღვნიშნეთ შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების გარეშე.

მესამე, თანამედროვე საფინანსო-საკრედიტო ტიპის და მათი ანალოგიური ჯგუფების მაღალორგანიზებული სტრუქტურების შექმნა. რომელიც ასევე არ შეიძლება მიშვებული იყოს თვითდინებაზე, და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ზუსტ ინიცირებას და რეგულირებას.

და ბოლოს, გარდამავალი პერიოდის ამოცანაა საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ელემენტების ფორმირება, მათ შორის საფინანსო და საფონდო ბაზარი, შრომისა და დასაქმების ბაზრის რეგულირება. „საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურები როგორც ერთი მონოლითი ვერ ჩამოყალიბდებიან სახელმწიფოს აქტიური მარეგულირებელი მონაწილეობის გარეშე.“²⁹

საბაზრო ეკონომიკის საძირკველის შექმნის შემდეგ, არ შეიძლება ლაპარაკი სახელმწიფოს ამ სფეროდან წასვლის შესახებ. უდავოა, რომ მის წინაშე ეკონომიკური ურთიერთობათა დამკვიდრებული სისტემის რეგულირების ეტაპზე ჩნდება სრულიად ახალი ამოცანები, რადგან მიღწეულის შენარჩუნება და განვითარება უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს ვიდრე ახლის ჩამოყალიბება.“³⁰

სახელმწიფო რეგულირების მასშტაბები, მისი კონკრეტული ფორმები და მეთოდები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება. ისინი გვიჩვენებენ

²⁸ Парвулеско Ж. - Возвращаясь к великой войне континентов. www.arctogaia.com, 2000.

²⁹ Дугин А. - Теоретические источники нового социализма. www.arctogaia.com, 2000

³⁰ ჩახვაშვილი დ - პოლიტიკა-ეკონომიკა-პოლიტიკა. ჟურნ. „ქვ.“ №2. 2001

ნებენ ქვეყნის ისტორიას, ტრადიციებს, ეროვნული კულტურის ტიპს, მის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, მასშტაბს და სხვა მრავალ ფაქტორს. ჩვენ ვერ გამოვიყენებთ მზა სქემებს, რადგან ამოცანა შემოქმედებითია, და გაჩენილ კითხვებზე პასუხების საგულდაგულო მოძიებას საჭიროებს.

ვერ გავიზიარებთ იმ ეკონომისტების მოსაზრებას, რომლებიც აბსოლუტის დონეზე აღიღებენ ბაზრის როლს და ამცირებენ სახელმწიფოს შესაძლებლობებს. ამასთანავე არ არიან კორექტულნი ისინიც, ვინც აღიღებენ თანამედროვე სახელმწიფოს შესაძლებლობებს და არ ცნობენ საბაზრო თვითრეგულირების, სტიმულირების და ა.შ. როლს. ვფიქრობთ უფრო მართებული იქნება მოვძებნოთ ამ ორ მოვლენას შორის ზუსტი ურთიეთკავშირი ე.წ. ოქროს შუალედი და ეს შეხედულებები ერთმანეთთან დავაკავშიროთ და გამოვყოთ დადებითი მხარეები.

ცალკე განხილვის თემაა, სახელმწიფოს მიერ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური და სოციალური პროცესების მართვის თანამედროვე მექანიზმები და სტრუქტურები. ტრანზიტულ პერიოდში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია „სამოქალაქო საზოგადოების“ ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესის ანალიზი, სოციალ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში. ესენია სხვადასხვა ტიპის შეთანხმებები, კონფერენციები, ასოციაციები – მაგალითად მრეწველთა და მეწარმეთა გაერთიანებები, ბანკირთა ან სავაჭრო-სამრეწველო პალატები, ბიზნესმენტა ასოციაციები, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფო აპარატის ელემენტებს, თუმცა, ვერც საბაზრო სტრუქტურებად მივიჩნევთ. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ესენია პროფესიული გაერთიანებები; სოციალური პარტნიორობის მრავალრიცხოვანი ინსტიტუტები; მომხმარებელთა საზოგადოებები; ეკოლოგიური მოძრაობები, რომლებიც გამოდიან ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეალურ მონაწილეებად და რეგულირების სუბიექტებად. როდესაც საუბარია რეალურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ფუნქციათა მოდიფიკაციის შესახებ, იგულისხმება, სახელმწიფო რეგულირების ფუნქციის გადაცემა არა ბაზრის, არამედ „სამოქალაქო საზოგადოების“ ინსტიტუტებისათვის. ზუსტად ეს იგულისხმება, როდესაც საუბარია თანამედროვე რეალებზე.

იმავედროულად იზრდება სახელმწიფოთაშორისი ინსტიტუტებისა და სხვადასხვა ტიპის საფინანსო თუ სხვა სტრუქტურების მნიშვნელობა და

მარეგულირებელი ფუნქცია, კერძოდ, ტრანსეროვნული კორპორაციებისა, რომელნიც ბევრ შემთხვევაში განაპირობებენ ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების რეგულირების აუცილებლობას. ამსთანავე, არსებული მონაცემებით, მსოფლიო ვაჭრობის თითქმის 25%-ს წარმოადგენს ტრანსეროვნული კორპორაციათა შიგა ბრუნვას. აღნიშნული ფენომენი საფუძვლიან მეცნიერულ კვლევას საჭიროებს.

სახელმწიფოს როლი გარდამავალ ეკონომიკაში, როგორც წესი უკავშირდება ფორმირებადი ბაზრის არასრულყოფილებებსა და ნაკლს, რომელიც მან კომპენსირებადი უნდა გახადოს. ბაზარი არასრულყოფილია. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში ნულს გაუტოლდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ის იქნებოდა სრულყოფილი და რაც მეტად იქნებოდა ის სრულყოფილი (80, 90, 95%-ით), მით უმნიშვნელო როლს ითამაშებდა სახელმწიფო ეკონომიკაში. ანდა პირიქით, ბაზარი საჭიროა იმისათვის, რომ აანაზღაუროს სახელმწიფო რეგულირების ნაკლი და არასრულყოფილება. ასეთ მსჯელობაში, რა თქმა უნდა არის ჭეშმარიტების რაღაც ელემენტი, თუმცა საკმაოდ საშიში. ფაქტია, რომ ყოველთვის ჩნდება ცდუნება, მოიძებნოს ბაზრის უფრო მეტად „იდეალური“ მოდელი. მასთან მიახლოებისას კი, თანდათან შემცირდება სახელმწიფოებრივი ჩარევის მასშტაბები, რომელიც საბოლოოდ ნულს გაუტოლდება. ასეთი და მსგავსი თერიული ბაზის რადიკალური მომხრეები, უკანასკნელი ინსტანციის პოზიციით აცხადებენ: „სინამდვილეში, მხოლოდ ე.წ. Laisser faire-ს ეკონომიკაში, ანუ სახელმწიფოს ჩარევისაგან თავისუფალ სამეურნეო ურთიერთობებში ვლიდება „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ იდეალები. „ამდენად, ერთადერთი სოციალური გარანტია, რომელიც საბოლოო ჯამში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სახელმწიფოში, ეს არის პიროვნული თავისუფლების და ღირსების ხელშეუხებლობა.“³¹

რეალური სიტუაცია გაცილებით რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. არსებობენ ზოგიერთი გარემოებები და ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს როლს არა უბრალოდ როგორც ბაზრის არასრულყოფილებათა კომპენსატორსა, არამედ

³¹ შეშელიძე პ. - 100% კაპიტალიზმი - ერთადერთი გზა წესრიგისა და კეთილდღეობისაკენ! www.economics.ge 2002

როგორც ფუნქციათა მქონე სუბიექტისა, რომელსაც არა თუ ვერ, არამედ არ უნდა ჩაენაცვლოს სხვა წარმონაქმნი, რადგან ეს ფუნქციები მხოლოდ მის პრეროგატივას მიეკუთვნებიან. ეს ფაქტი განპირობებულია იმით, რომ საზოგადოება წარმოადგენს საკმაოდ რთულ სტრუქტურას და არა ინდივიდებისა თუ სამეურნეო ერთეულების ელემენტების გროვას. თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად მიმდინარეობს ინდივიდთა და სამეურნეო ერთეულების სოციალიზაცია, ისინი უერთდებიან ერთგვარ საზოგადოებებს, კლასებს, ფენებს და სხვა ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ თავიანთი ინტერესები, მიმართულება, გეგმები და მათი განხორციელების როგორც სურვილი, ისე მატერიალური რესურსებიც. ამ ინტერესების ბალანსის უზრუნველყოფა ძალზედ რთული ამოცანაა.

დღეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობას ალბათ კარგად აქვს გააზრებული არსებული ვითარება და ის, შეძლებისდაგვარად, ეძებს გამოსავალს: შეიქმნა ახალი საგადასახადო კოდექსი, ტარდება აღმასრულებელი ხელისუფლების ძირეული რეფორმა, მკაცრდება ადმინისტრირება და სხვ. სავსებით გასაგებია, რომ პრობლემის გადაჭრის გზები მყარი ეკონომიკური განვითარების შესაბამისი სქემების შემუშავებასა და განხორციელებაში უნდა ვეძებოთ. ამასთან, მხოლოდ მაკროეკონომიკური ღონისძიებანი აშკარად არასაკმარისია, ვინაიდან, ქვეყანას არა აქვს შემუშავებული და გათვითცნობიერებული საკუთარი ეკონომიკური პრიორიტეტები. სადულისხმოა ის ფაქტი, რომ ძველი და ახალი ხელისუფლების მთავრობების მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური ინდიკატური მაჩვენებლები, ერთმანეთს ემთხვევა და მთლიანი შიგა პროდუქტის დაახლოებით წლიურ 5%-იან ზრდას ითვალისწინებს. ეს კი რეალურად იმას ნიშნავს, რომ ჩვენ 20 წელიწადში მივადწევთ, მაგალითად, ლიტვის ან ლატვიის დღევანდელ ეკონომიკურ დონეს და 40-50 წელიწადში გავუთანაბრდებით დღევანდელი ჩეხეთის ან სლოვენის ეკონომიკურ მდგომარეობას. ანუ ქვეყანა სამუდამოდ ჩამორჩენაზეა განწირული...

დღევანდელ დღეს მეცნიერები სულ უფრო მეტად ხვდებიან, რომ არსებობს მაღალი ეროვნული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ისინი გამოდიან არა მარტო როგორც ქვეყნებს შორის ურთიერთობათა ობიექტი, არამედ როგორც თითოეული ქვეყნის პოლი-

ტიკური ხაზის, ცხოვრებისა და ქცევის განმაპირობებელი მოტივი. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ კოდექსს ერთხელ უნდა გავიაზროთ სახელმწიფოს არსებობის მიზანი, საწყისი და თავად მისი ბუნება, რომელიც მოწოდებულია იყოს საერთო ეროვნული ინტერესების გარანტი და დამცველი. „ნებისმიერი კორპორაცია, დაწყებული ამერიკულით და დამთავრებული იაპონურიც, უპირობოდ ასრულებს ერთ, ყველა დანარჩენისგან გამორჩეულ მოთხოვნას: უსადაგებს თავის საქმიანობას ეროვნულ ინტერესებს“.³² ლეგენდა იმის შესახებ, რომ „რაც მომგებიანია „ჯენერალ მოტორსისათვის“-ის მომგებიანია ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც“, საკმაოდ მოძველდა და ერთ დიდ ანაქრონიზმად იქცა.

ამგვარად, სახელმწიფოს ამოცანები დაკავშირებულია არა მარტო ბაზრის ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნასთან, არამედ ისინი განაპირობებენ საზოგადოებრივი ინტერესების შესრულებისათვის მის უფლებათა აღიარებას, როგორც შიგა ასევე საგარეო პოლიტიკის გატარებისას ეროვნულ ინტერესთა და სოციალური სტაბილურობის დაცვას. თუ ჩვენ დავეთანხმებით ასეთი ლოგიკის სისწორეს და ავმადლდებოდით საქართველოს უმადლეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების პრიორიტეტთა გაგებად, მაშინ ჩვენ შევაჩერებდით ბარიკადების შენებასა და საზოგადოების დაყოფას ერთმანეთს შორის მეომარ დაჯგუფებად. ხოლო ქვეყნის განვითარების სტრატეგიული ხაზის გამომუშავებისას შესაძლებელი იქნებოდა დაყრდნობა მასზე რაც ჩვენ გვაერთიანებს.

ერთი საკამათო საკითხიც – სახელმწიფო საკუთრების, მისი შესაძლებლობებისადმი დამოკიდებულებაა. არსებობს მტკიცება მისი თითქოსდა დაბალი ეფექტურობის შესახებ. ესეც განეკუთვნება საკმაოდ გავრცელებული ლეგენდების რიცხვს. ასევე ლეგენდას წარმოადგენდა მტკიცება, რომ სახელმწიფო საკუთრებას გააჩნია აბსოლუტური აღმატებულობა და უღვევი უპირატესობები. ამასთანავე, საუბარია არა ტოტალიტარულ სისტემაზე, არამედ, თანამედროვე, შერეული, მრავალდარობრივი ეკონომიკის ჩარჩოებში ჩასმულ სახელმწიფო საკუთრებაზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დღესდღეისობით არსებობს სახელმწიფო და კერძო საკუთრების დაყოფის არაკორექტულობა და სინამდვილესთან

³² Брук А. - Экономический национализм Фридриха Листа. www.nationalism.org, 2002.

შეუსაბამობა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არსებობს მუნიციპალური საკუთრება, რომელიც არ წარმოადგენს არც სახელმწიფო და არც კერძო კუთვნილებას. ასეთივე ბუნებისაა კოოპერატიული, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მაგალითად საეკლესიო საკუთრება. ის კანონის ძალით გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ შეიძლება თუ არა მის საკუთრებას ეწოდოს კერძო?!

გარდამავალ პერიოდში ყალიბდება სრულიად ახალი, არატრადიციული სტრუქტურები. „ყველაზე მსხვილ დასავლურ მესაკუთრეებს წარმოადგენენ საპენსიო და სადაზღვეო ფონდები. რა თქმა უნდა, პიროვნების დაზღვევის პოლისი, მისი კერძო საკუთრებაა. მაგრამ, აქ საუბარია სადაზღვეო კომპანიის საკუთრებაზე, რომელსაც ბრუნვაში გააჩნია ათობით მილიარდი. ასეთი კომპანია არასახელმწიფოებრივია, მაგრამ ასევე არ შეიძლება ეწოდოს კერძოც. ამიტომაც სახელმწიფო და კერძო საკუთრების ასეთი დაპირისპირება საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურება.“³³

რაც შეეხება სახელმწიფო საკუთრებას, მასში განარჩევენ ორ ტიპს. კომერციულ სექტორი: მაგალითად, სააქციო საზოგადოება, რომლის კაპიტალბრუნვაში საკონტროლო პაკეტით მონაწილეობს სახელმწიფო.

სახელმწიფო საკუთრების არაკომერციულ სექტორსი, ესენია: ინფრასტრუქტურის, ენერჯისისტემის, სატრანსპორტო სისტემის, კომუნიკაციის სხვადასხვა სტრუქტურები, ასევე, აეროპორტები, საავიაციო კომპანიები; განათლების, ეროვნული კულტურის სფეროში - ძეგლები, საცაგები, ეროვნული მუზეუმები, ბიბლიოთეკები და ა. შ. სახელმწიფო საკუთრება. აღნიშნულ სექტორში ეფექტურობა რენტაბელურობიდან გამომდინარე, კერძოსთან შედარებით დაბალია. მსგავს ობიექტებს არ მოაქვთ დიდი მოგება, თანც მათი კაპიტალუკუების ვადებიც ხანგრძლივია. კერძო მესაკუთრეებისათვის არამომგებიანია მათში კაპიტალდაბანდება, ამიტომ ისინი სახელმწიფოს გადაეცემა. მაგრამ ასეთი საკუთრება არაეფექტურია არა იმიტომ, რომ სახელმწიფოს კუთვნილებაა, არამედ პირიქით, ის სახელმწიფოს ეკუთვნის იმიტომ, რომ არაეფექტურია და მას გადაეცა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებისათვის. რაც შეეხება საკითხებს მისი კომერცი-

³³ Ламперт Х. - Социальная рыночная экономика. Германский путь. Изд. Дело, С-П. 1994. С.33

ული კუთხით ეფექტურობაზე, ის იშლება, განათლების სფეროში უფასო მომსახურების უზრუნველყოფის, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, სატრანსპორტო გადაზიდვებზე და ელექტროენერჯიაზე დაბალი ტარიფების, სამამულო კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით.

დღევანდელი მდგომარეობის გასაგებად, უმჯობესია ათწლეულობით გამოცდილ თეორიებზე დაყრდნობა, რომელებიც აღიარებენ საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნებასა და მათ მიერ თავიანთი რაციონალური ადგილის პოვნის შესაძლებლობას.

სახელმწიფო საკუთრების მასშტაბები და მისი გამოყენების სფეროები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. მაგ. დიდ ბრიტანეთთან და გერმანიასთან შედარებით, მისი წილი არსებითად მაღალია საფრანგეთსა და იტალიაში. ხოლო ა.შ.შ.-ში სახელმწიფოს არა შტატების, არამედ ფედერალურ საკუთრებას აკუთვნებენ.

სახელმწიფო რეგულირების მიმართულებების განსაზღვრისას, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საუბარია გარდამავალ მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკაზე, რომელიც აღმოჩნდა არატრადიციული ხასიათის მქონე გახანგძლივებულ კრიზისში. ის ეკონომიკაში დაკავშირებულია სიდრმისეული რეპროდუქციული კავშირების გაწყვეტასთან, ეკონომიკურ სტრუქტურებში წარმოების ვარდნის ნგრევაში გადაზრდასთან, გასაღების ბაზრების დაკარგვასთან, რაც უშლის წარმოების ზრდის განახლებას. თუ ხვალ ვაწარმოებთ მეტს, საკითხავია ვისთვის? „ბაზარი დაკავებულია. იგი, ისევე როგორც ბუნება არ ითმენს სიცარიელეს.“³⁴

ჯერ კიდევ სრულად არ არის შეფასებული ეკონომიკის ვარდნასთან დაკავშირებული მოვლენათა მასშტაბები. არ შეიძლება ცალ-ცალკე განვიხილოთ გადაუხდელობა, ბარტერული გაცვლა, გადასახადების ამოღებუს დაბალი დონე, ხელფასების გაცემის დაგვიანება. ისინი განპირობებულია საკმაოდ ფუნდამენტური მიზეზებით, კერძოდ, ეკონომიკურ სისტემაში საერთო წონასწორობის დარღვევით. დღევანდელ დღეზე სახელმწიფო დიდ მიღწევად ასახელებს ინფლაციის ტემპის დაქვეითებას. მაგრამ დაბალი ინფლაცია გადასული ღია ფორმიდან დაფარულში და გარეგანი კეთილდღეობა, რომელიც ჩანს სამომხმ-

³⁴ Лившиц С.К. - Государство в рыночной экономике. жур. Р. 1992, N1, 1С.19

რებლო ბაზარზე, სრულად კომპენსირებულია ხელფასების და პენსიათა სიმცირითა და გაცემის დაგვიანებით. 2000 წლის დასაწყისისათვის ხელფასების გაცემის ჯამური დავალიანება თითქმის 250 მილიონ ლარს უდრიდა, პენსიების - 100 მილიონ ლარს. დავალიანების სრული დაფარვის შემთხვევაში დაახლოებით 80% გადავა საქონლისა და მომსახურების გადახდაზე. მთლიანი დავალიანების ერთდროულმა ჩაქრობამ თუ გადახდამ შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ინფლაცია, არამედ, „გადათელოს“ სამამულო ბაზარი.

ეკონომიკური პოლიტიკა კორექციას საჭიროებს, მაგრამ შეუძლებელია ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ მონეტარული მეთოდებით. აუცილებელია არა მარტო მოთხოვნის სტიმულირება, არამედ, მიწოდების მოცულობის გაზრდა, სავაჭრო რესურსების დაგროვება. ეს ასევე განეკუთვნება სახელმწიფოს ფუნქციათა რიცხვს. საჭიროა გამოცოცხლდეს სამამულო წარმოება, შეივსოს ვაჭრობის მარაგი მსუბუქი მრეწველობის პროდუქციით, კვების პროდუქტებით. თანაც ცნობილია თუ რომელი საქონელის ჯგუფებზეა მეტი მოთხოვნილება იგივე პენსიონერების მხრიდან და რაზე იქნება დახარჯული პენსიები. საინტერესოა, როგორ უნდა განხორციელდეს ეს სახელმწიფო რეგულირების გარეშე? ხელფასების და პენსიათა გაუცემლობა, ყოველ შემთხვევაში, საბიუჯეტო მოვალეობების მხრივ, „სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისაგან აღებულ იძულებით უპროცენტო სესხს წარმოადგენს, რომელიც უნდა გაფორმდეს, როგორც სახელმწიფო ვალი შესაბამისი მომსახურებით. „საჭიროა ვეცადოთ ამ პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფოს ხელში არსებული ბერკეტების მეშვეობით, და არა საექვო თეორიებით.“³⁵

რაც შეეხება სახელმწიფოს ზოგად დავალიანებას, მდგომარეობა აქ საკმაოდ სახიფათოდ გამოიყურება. ერთობლიობაში საგარეო და შიგა ვალის სიდიდე მიუახლოვდება კრიტიკულ ნიშნულს ეკპ-ს 60%. მას ჩვეულებრივ ქვეყნის ბანკროტად გამოცხადება მოსდევს. ძალზედ მნიშვნელოვანია არ გადავცდეთ ამ ზღვარს. აუცილებელია რაიმე გადაწყვეტილების მოძებნა, კერძოდ, ვალების რესტრუქტურისაციის

³⁵ Брук А. - Германия между Европой и Западом. www.nationalism.org, 1934. С.48

განხორციელება, რაც მთავარია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რადგან ევპ-ს გაზრდილი მოცულობისას მცირდება დავალიანების წილი.

იმისათვის, რომ ვისაუბროთ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირებაზე, აუცილებელია გლობალური პრობლემის გადაჭრა, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს უზრუნველყოფით ხელისუფლების უნარი გამოიმუშაოს და სიცოცხლეში გაატაროს დამოუკიდებელი შიგა და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც გამომდინარეობს უმაღლესი ეროვნული ინტერესებიდან და ეროვნული რესურსების კონტროლზეა დაფუძნებული. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო რეგულირებაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს. მდგომარეობას უფრო მეტად ართულებენ როგორც საგარეო ისევე შიგა ზეგავლენისაგან ნახევრადავტონომიურად არსებული ჯგუფური, კლანური ძალები, რომელნიც ცდილობენ გარკვეული პოლიტიკის გატარებას რომელიც ეროვნულ ინტერესებს არ ემთხვევა.

შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს, ხელისუფლებასა და ხალხს შორის სოციალური კონტრაქტის აღდგენა. ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, კონსტიტუციაზე დაყრდნობით, ძალაუფლების და კანონის უმაღლეს სუვერენს წარმოადგენს ხალხი. ის ხელისუფლებასთან დებს არა ყოველთვის იურიდიულად გაფორმებულ სოციალურ კონტრაქტს, გადასცემს რა მას თავის ბუნებრივ უფლებებს გარკვეული პირობების, გარანტიების, დაპირებების და გამოცხადებული მიზნების გათვალისწინებით. ხოლო, ეს უკანასკნელი, როგორც ყოველი კრედიტი, არ შეიძლება იყოს უვადო და მოითხოვს მასთან გაჩენილი ვალდებულებების შესაბამის შესრულებას.

მომდევნო ეტაპია - ახალი სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება. ეს პროცესი ხანგრძლივი და რთულია. მაგრამ მხოლოდ ამ გზით ჩვენ შევიძენთ ნამდვილ ქართულ სახელმწიფოებრიობას და ეკონომიკური რეგულირების ეფექტური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას. აუცილებელია ყველა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მტკიცე საკანონმდებლო რეგულირება, ურთიერთშემავსებელი, და არა ერთმანეთის საწინააღმდეგო კანონების მთელი სისტემის ფორმირება, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ეკონომიკური რეგულირების თავისებურ „თამაშის წესებს“.

სახელმწიფო რეგულირების ცენტრალური საკითხია – ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების სტრატეგიითა შემუშავების პრობლემა, საბოლოო მიზნების, პრიორიტეტებისა და ეტაპების ზუსტი განსაზღვრით. საჭიროა გადავლახოთ პრიმიტიული წარმოდგენა სოციალურ დანახარჯებზე, თითქოსდა იგი იძულებით დაქვითვის ის საშუალებებია, რომლებიც შესაძლებელია მივმართოთ წარმოების განვითარებისა და მისი ეფექტურობის ამაღლებისთვის. ეს არის სოციალური სფეროს დაფინანსების ნეგატიური პრინციპის რეციდივი.

სოციალურ სფეროში შენატანებისადმი თანამედროვე მიდგომა იქიდან გამომდინარეობს, რომ, ადამიანში და მის კაპიტალში ინვესტიციები მეტად ეფექტურია, რომ ადამიანისეული პოტენციალის ხარისხი წარმოადგენს ეკონომიკური პროგრესისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის უმთავრეს ფაქტორს. თუ დავაჯგუფებთ ქვეყნებს ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით, მაშინ ისინი განლაგდებიან ადამიანისეული პოტენციალის ხარისხთან პირდაპირ დამოკიდებულებაში. თანაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპები, შრომის, წარმოების კულტურისა და ორგანიზაციის დონე არიან მისგან წარმოებულები. სტრატეგიულ ასპექტში ადამიანში ინვესტირებას ყველაზე მაღალი უკუგება გააჩნია. მაგრამ მოკლევადიან პერსპექტივაში ისინი შესაძლოა არაეფექტურად ჩანდეს. მსგავსი ცრუ წარმოდგენები ჩნდება, როდესაც ტაქტიკა სტრატეგიაზე მაღლა დგას და ჩვეული აზროვნების ჰორიზონტი შეზღუდულია.

სახელმწიფოს მიერ სოციალურ ფუნქციითა შესრულების დაყვანა საშუალებათა გაცემასთან მცდარია. თუ ამერიკის მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას შრომის მინიმალური საათობრივი ანაზღაურების შესახებ, ამით ის არ არიგებს ფულს ბიუჯეტიდან. ის წლობით ემზადება ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად, აცნობიერებს რა, რომ საჭირო იქნება მოცემული ნორმის შესრულება. ეს ასევე მძიმე ტვირთია მეწარმესათვის. მაგრამ ხელფასის ასეთი გაზრდა არ წარმოადგენს სახსრების „დარიგებას“.

ამასთან დაკავშირებით შევხერდეთ ე. წ. „სოციალურ რეფორმებზე“ და კერძოდ საცხოვრებელ-კომუნალურ სფეროზე. ჩვენი მთავრობა წლების მანძილზე მუშაობდა მითიურ ციფრებთან – ხან 100 მილონი

ლარი, ხანაც 200 მილიონი ლარი. რომლებიც თითქოსდა (მილიონი სამუშაო ადგილის მსგავსად) შეიძლება ეკონომიით მივიღოთ. რომელი გზით? არა ბიუჯეტიდან, მაგრამ მოსახლეობისაგან?!. ასეთი გაანგარიშებები ქვიშაზე ნაშენებ კოშკს ჰგავს. იგივე 100 მილიონი ლარის მოგროვებას შეიძლება მოჰყვეს რეგიონებიდან ტრანსფერების შემცირება, შედეგად, ასეთ თანხას სახელმწიფო მაინც ვერ მოაგროვებს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სარკინიგზო ტრანსპორტზე ტარიფების გაზრდა, მაგალითად სამმაგად, სამჯერ მეტ შემოსავალს მოუტანს, ის სცდება. უბრალოდ ნაკლები ხალხი იმგზავრებს, ხოლო ფულის ნაწილი გამცილებლებს ერგებათ (ეს სისტემა დღესაც წარმატებით მუშაობს).

დაუშვებელია საცხოვრებელ-კომუნალურ სფეროში რეფორმების განხორციელება საწყისი პრობლემის – შემოსავლებისა და შრომის ანაზღაურების რეფორმის წინასწარი გადაწყვეტის გარეშე. ეს გვემუქრება არა მხოლოდ სოციალური კონფლიქტებით, არამედ ქვეყნის საფინანსო მდგომარეობის შემდგომი გაუარესებით. აუცილებელია შრომის ანაზღაურების დონის შესაფერის სიმაღლემდე გაზრდა და უკვე ამის საფუძველზე გავატაროთ რეფორმები საცხოვრებელ-კომუნალურ სფეროში. სახელმწიფოს მსხვილი გადამხდელებისაგან გადასახადების აკრეფის უუნარობის ტვირთი არ უნდა გადაიტანოს ხალხზე.

„დღევანდელ გარდამავალ პერიოდზე საქართველოს უნივერსიტეტების მეცნიერებმა მოამზადეს კონკრეტული წინადადებები 2002-2005 წლებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემუშავების ჩარჩოებში.“³⁶ პროგრამა ორ ძირითად ეტაპადაა დაყოფილი და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის დასაბუთებულ შესაძლებლობებს შეიცავს, ასევე ამისათვის აუცილებელი გზების, მათ შორის, მოთხოვნის გამოცოცხლება, საფინანსო-ფულადი ნაკადის კონტროლი, აქტიური სამრეწველო პოლიტიკის გატარებისას ეროვნული პრიორიტეტების ზუსტი განსაზღვრა, ფასების და მათ რიცხვში მონოპოლიათა რეგულირება. სამწუხაროდ ეს პროგრამა უყურადღებოდ დარჩა.

დღესდღეისობით ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავანად საქართველოსთვის საგანგებო და ამასთან ერთად სტრატეგიული

³⁶ თვალჭრელიძე ა.; კერვალიშვილი პ.; გეგია დ.; ესაკია ს.; სანაძე ს. - საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. ანალიზი და უახლოესი პერსპექტივა. გამომცემლობა სანი, თბილისი 2002.

მიდგომას აუცილებელი. საუბარია, უპირველეს ყოვლისა, მმართველ სუბიექტთა ეკონომიკის პირველადი რგოლის რეორგანიზაციაზე და მეორე, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფუნქციების რადიკალურ გაძლიერებაზე, მმართველობითი იმპულსების დაუბრკოლებელ გასვლაზე და მმართველობის მთელ ვერტიკალზე საიმედო უკუკავშირზე.

გასული ხუთი-ექვსი წლის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და ძვირადღირებული გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ არც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და არც საკანონმდებლო ორგანოებმა არ შეიმუშავეს საბაზრო მექანიზმისა და გარდამავალი პერიოდის თავისებურებების ადეკვატური მმართველობის სისტემის შექმნის კონცეფცია. არ არის პასუხი კითხვაზე: როგორ გამოვიდეთ ორგანიზაციული კრიზისიდან? ამასთანავე საბაზრო ეკონომიკისაკენ გადასვლის გეგმებში, რომლებიც ბოლო წლებში წამოყენებული იყო ყველა მიმართულებათა წარმომადგენლების მიერ (მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრი), ჩრდილში რჩებოდა რეფორმათა გატარების ეფექტურობის ძირითადი პირობები – აბსოლუტურად ყველა რგოლზე, ეკონომიკის მართვის სისტემა, სამეურნეო მართვის ორგანიზება, გამოკვეთილი ინსტიტუციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბება. რთული ობიექტური პროცესების გაგების პრიმიტივიზმამდე გამარტივებამ, პრაქტიკულად დრეკადი და ნორმატიული რეგულირება სახელდახელო საშუალებებით ე.წ. „ხანძრის ჩაქრობის“ იმპულსური ზომებით შეცვალა.

ჩამოთვლილი მიზეზების გამო კრიზისმა საყოველთაო ხასიათი შეიძინა, იგი შეეხო მმართველობითი ვერტიკალს, ჰორიზონტალურ კავშირებსა და ინფორმაციულ საფუძვლებს. იგი თანდათან ადამიანურ ურთიერთობათა კრიზისად გადაიქცა. ამან, ტოტალურად დაარღვია სტიმულირების, პასუხისმგებლობის და დისციპლინის, მიღებული გადაწყვეტილებების ზუსტი შესრულების, მკაცრი კონტროლისა და სანქციების, კორპორაციული ეთიკისა და ღირსების პრინციპები.

ეკონომიკის მომცველ მმართველობის კრიზისის ყველაზე მეტად თვალსაჩინო გამოვლინებებს მიეკუთვნება:

ა) სახელმწიფო სტრუქტურების ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტების მთელი სისტემის მიზანმიმართული და დაუსაბუ-

თებელი უზუღვებელყოფა; ბ) უფლებათა და პასუხისმგებლობის თანაბარი დაყოფის არარსებობა როგორც ხელისუფლების ვერტიკალის, ასევე ხელისუფლებასა და მეურნეობის სუბიექტთა შორის; თანხარზომიერად არარის დაყოფილი მესაკუთრეთა და მმართველთა უფლებები და პასუხისმგებლობა; გ) შეთანხმებათა ურთიერთობების უფლებრივი დაცვის დეფიციტი; დ) კორპორაციული ტიპის საწარმოო და სამმართველო სტრუქტურათა ნგრევა, რომლებიც წარმოადგენენ სამრეწველო პოტენციალის საფუძველს; ე) მსხვილი და საშუალო კომპანიების ცალკეულ ნაწილებად დაშლის ტენდენცია; ვ) მენეჯმენტის საგრძობლად დაბალი დონე სახელმწიფო საწარმოებში, განსაკუთრებით კი სამეურნეო საქმიანობის წარმოების უნიტარული ტიპის სტრუქტურებში; ზ) მაღალკვალიფიციური ახალი თობის თანამშრომლების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურების ჩამოყალიბებული სისტემის არარსებობა.

ცენტრალიზებული სისტემა ასე იოლად, ერთი ხელის დაკვრით არ დაიშლებოდა. ფაქტია, რომ სახელმწიფო სექტორი ყველაზე ნაკლებად მართვად სფეროდ იქცა. არც თუ იშვიათად, სახელმწიფო ქონების სამეურნეო მართვაში ჩარევამ პრაქტიკულად არ გაამართლა (სააქციო საზოგადოებებში აქციების გარკვეული პაკეტით აღჭურვილი სახელმწიფოს წარმომადგენლების ინსტიტუტი). სახელმწიფომ საკუთარი ქონების მართვის დასაბუთებული სტრატეგია ვერ შიშუშავა, იგი ვერ გახდა ე.წ. „სტრატეგიული მესაკუთრე“.

სახელმწიფომ უზარმაზარი მაშტაბებით და თანაც გაუმართლებლად მოიცილა მისთვის არადამახასიათებელი სამეურნეო ფუნქციები, მაგრამ, ამასთან ერთად, შეასუსტა მის საკუთრებაში დარჩენილი საწარმოების მართვადობა. ამის მიზეზი ძირითადად ინსტიტუციონალურია და დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორცაა: 1. პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სისტემის დეზორგანიზაცია, სახელმწიფო შეკვეთებისა და კონტრაქტების სისტემის ჩამოყალიბების დაგვიანება; 2. სახელმწიფო საწარმოების მართვისათვის გარკვეული მოთხოვნებისთვის ნორმატიული ბაზის არარსებობა; 3. უნიტარული საწარმოებისათვის სადამფუძნებლო საბუთებში დარგობრივი და რეგიონული თავისებურებების, ასევე ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა; 4. სააქციო საზოგადოებებისათვის (სახელმწი-

ფოს მონაწილეობით) მოგების განაწილებასთან დაკავშირებული პროცესების რეგულირებისა და ინვესტიციებისთვის აუცილებელი სახელმწიფო გარანტიებით უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის არარსებობა; 5. სახელმწიფოს ქონების განკარგვის ფუნქციების სახელმწიფოს სხვადასხვა აღმასრულებელ სტრუქტურებს შორის გადანაწილება; 6. სახელმწიფო აქციების პაკეტის მართველთა მომზადების ერთიანი სისტემის არარსებობა.

სახელმწიფო მეწარმეობის სისტემის ჩამოყალიბება გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი მოთხოვნაა. ეს იოლი საქმე როდია, მაგრამ იგი გადაუდებელ და საპასუხისმგებლო გადაწყვეტას მოითხოვს. მნიშვნელოვანია ასევე იმ სამართლებრივი ნორმების შექმნა, რომელიც სახელმწიფო საწარმოების მართვის ადმინისტრაციულსა და ეკონომიკური მეთოდებს რაციონალურად შეუხამებს ერთმანეთს.

თუმცა ყველაფერი ეს გარეგნული პირობაა მეურნეობის სუბიექტებთან მიმართებაში, რომლებიც როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე იმართება სააქციო საზოგადოებაში სახელმწიფო წარმომადგენლის მონაწილეობით. აქ, ვლინდება ცუდად დაყენებული, უწესრიგო, დაბალეფექტური მართვის სისტემის ყველა ნეგატიური შედეგი.

უპირველეს ყოვლისა, საკუთრების ფორმის ცვლილებას, თან არ სდევდა მეურნეობის ახალი სუბიექტების ეფექტური მართვის ფორმებისა და მეთოდების გამოყენება.

მეორე, გრძელდება და ძლიერდება კიდევ საწარმოთა ორგანიზაციული და საფინანსო რეფორმაციის პროცესი. საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 1997 წელს წამგებიანი საწარმოების წილი მრეწველობაში გაიზარდა 35%-დან 43%-დ. დანაკარგის საერთო თანხამ მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე შეადგინა 79,7 მილიონი ლარი. და 1995-96 წლებთან შედარებით 3,6-ჯერ გაიზარდა.

მესამე, სამეურნეო სუბიექტებთან ურთიერთობისას სახელმწიფო ხვდება ე.წ. „ჯადოსნურ წრეში“. ტარდება კურსი, რომლის მიხედვით სახელმწიფო თანადგომას უწევს მხოლოდ რეფორმირებულ საწარმოებს. მაგრამ ეკონომიკური ვარდნის პირობებში, გადაუხდებლობის კრიზისისას,

მოქმედი საგადასახადო სისტემის არსებობისას მცირე გამონაკლისების გარდა, პრაქტიკულად შეუძლებელია, საწარმოთა რეფორმირება.

დაწყებული საქმის წარმატება მოითხოვს სააქციო საზოგადოებების მართვაში სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის როლის არსებით ამღვლებას. კერძოდ, აქციონერთა კრებაზე აქციების სახელმწიფო პაკეტით ხმის მიცემას უნდა ახორციელებდეს სახელმწიფოს წარმომადგენელი და არა აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, გენერალური დირექტორი და ა.შ. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო საკუთრებაში ჩადებულ აქციები გადაეცემა ნდობით მართვაში ან გირაოში, დასაშვებია, რომ აქციათა სახელმწიფო პაკეტით ხმას აძლევს უფლებამოსილი საწარმოს სტრუქტურები.

მნიშვნელოვანია პირობის დაცვა, რომლის მიხედვითაც აქციონერთა კრებასა და დირექტორთა საბჭოზე სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენელი სახელმწიფო მოხელეები, სხვადასხვა პირებს წარმოადგენენ. გამონაკლისი დასაშვებია, მაგალითად, სხვადასხვა უწყებების თანამშრომლებისაგან კოლექტიური აქციონერის დანიშვნისას. „მიზანშეწონილია ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან მსხვილ სააქციო საზოგადოებებში, რომელთა კაპიტალში სახელმწიფოს წილი 25%-ს აღემატება, შეტანილ იქნეს გენერალური დირექტორების და დირექტორთა საბჭოს თავჯდომარის დამტკიცების პრაქტიკა.“³⁷

აუცილებელია სააქციო საზოგადოებათა მართვის აპარატის სტრუქტურები მოვიყვანოთ საბაზრო პირობებთან შესაბამისობაში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეგანყოფილებები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბაზარზე ქცევის სტრატეგიის შემუშავებაზე, ფინანსების მართვაზე, მარკეტინგსა და კადრებთან მუშაობაზე.

საქართველოს ეკონომიკაში მცირე წარმოება სულ უფრო და უფრო იკავებს თავის ადგილს. თუმცა ქვეყანაში სადაც ზღვრულად მაღალია წარმოების კონცენტრაცია, სადაც სამრეწველო პოტენციალის თითქმის 70%-ი თავმოყრილია ერთ ქალაქში, მხოლოდ მცირე ბიზნესს არ ძალუძს უზრუნველყოს საწარმოო სექტორის ყველა სეგმენტში სწრაფი ცვლილებები. მსხვილი საწარმოების რესტრუქტურის ურთულესი

³⁷ Гайдар Е. - Экономика переходного периода. www.gaidar.org 2004 С.5

ამოცანის გადაწყვეტისას აუცილებელია პრიმიტივიზმსა და გაუბრა-
ლობაზე უარის თქმა.

„მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონცერნებს, ჰოლდინგებს, კონგლომერატებსა და კონსორციუმებს, საფინანსო-საწარმოო ჯგუფებს, რომლებიც მოიცავენ სამრეწველო საწარმოებს, კვლევით ორგანიზაციებს, სავაჭრო ფირმებსა და ბანკებს, ასევე ასოციაციური ტიპის მრავალ სტრუქტურებს, დაფუძნებულს შიგა მოლაპარაკებულ ურთიერთობებზე, შეიძლება წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებისა და მთლიანობაში მსოფლიო მეურნეობის ეკონომიკის თავი-
ებური ჩონჩხი ეწოდოს.“³⁸

საქართველოში ასეთი სტრუქტურები ჯერ არ გახდა გაფართო-
ებული წარმოების საფუძველი. თუმცა ბოლო პერიოდში მკვეთრად გაი-
ზარდა საწარმოთა საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებში შესვლის მო-
ტივაცია. მათი მონაწილეების სერიოზული მიზნები დაკავშირებულია
საწარმოებსა და საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებზე სააქციო
კონტროლის უზრუნველყოფასთან, მომგებიანი ტექნოლოგიური და
სამეურნეო კავშირების დამყარების ინტერესებში. ბევრს იზიდავს
პრიორიტეტული სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების ერთობლივი
რელიზების პერსპექტივა, აუცილებელი სახელმწიფო მხარდაჭერის,
საბრუნავი საშუალებების შევსების და წარმოების ტექნიკური გადა-
იარაღების მიღება, გრძელვადიანი და პერსპექტიული საინვესტიციო
პროექტების ათვისება.

მეურნეობის ცალკეული სუბიექტების (რომლებიც შედიან ან არ
შედიან კორპორაციებში) საქმიანობის ეფექტური მართვის მსოფლიო და
სამამულო გამოცდილება, მათ საქმიანობის კორპორატიულ სამმარ-
თველო სტრუქტურებთან თანამშროლობაში აწრობს, ხოლო სახელ-
მწიფო ან მუნიციპალური საწარმოებთან მიმართებაში – ეკონომიკის
რეგულირების სახელმწიფო ორგანოებზე გადატანის ობიექტურ აუცილე-
ბლობაზე მეტყველებს. მათი მუშაობის მიმართულებებში მნიშვნელოვანი

³⁸ Гелб А., Грей Ч. - Экономические преобразования в странах Центральной и Восточной Европы: Проблемы, тенденции, перспективы. Москва. 1995 С.13

როლი ეკუთვნის სამეურნეო სტრატეგიის დამოუკიდებელ შემუშავებას, შიდასაფირმო მართვის ფუნქციების განხორციელებას.

საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შექმნას საქართველოში რამოდენიმე ფაქტორი აყვავებს. სამწუხაროდ მათი „ზრდის“ არანაირი სტიმული თუ პირობა არ არსებობს, სახელმწიფო არ ღებულობს მიზანმიმართულ მარეგულირებელ ზომებს, არც სახელმწიფო შეკვეთების სისტემის, არც პერსპექტიული საწარმოების განვითარების პროგრამების დახმარებით და არც იმპორტის შეზღუდვის გზით. თანაც სახელმწიფო მრეწველობის პრივატიზაციამ წარსულში ერთიანი ტექნოლოგიური კომპლექსების ცალკეულ რგოლებად დაშლამდე მიგვიყვანა. 1995-98 წლებში მიღებულ ბიუჯეტში სიტყვაც არა არის წარმოთქმული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებზე, ასევე არაფერია მათზე ნათქვამი საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკის განვითარების 1997-2000 წლებისათვის არსებულ პროგრამებში და საგადასახადო კოდექსის პროექტში. დღეს დასავლურ გამოცდილებაზე დაყრდნობა და საწარმოთა, სამრეწველო, სამეცნიერო-სამრეწველო, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებში ბუნებრივი გაერთიანება პრაქტიკულად შეუძლებელია. არც „აშშ-ში და არც იაპონიაში ათწლეულობით არ არსებობდა მეურნეობის ცენტრალიზებული გეგმიური სისტემა. ამ ქვეყნებს არ აწევს ზურგზე კონვერსიის მძიმე ტვირთი. და არ დაუნგრევია თავისი სამეწარმეო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, როგორც ეს მოხდა საქართველოში ბოლო ხუთ-ათ წელიწადში.“³⁹ არც ერთმა განვითარებულმა ქვეყანამ არ ჩააყენა თავისი მრეწველობა საქმიანი აქტივობის ფსევდონორმალური მეთოდების გამოყენების იძულებით პირობებში – ბარტერული ოპერაციები, არაკანონიერი ექსპორტი, გამოუყენებელი საკუთრების გაყიდვა და იჯარით მიცემა, არაპროფილური საქმიანობის განხორციელება, საკუთრების მრავალჯერადი გადააკეთება, იმპორტის აპოთეოზი და სხვ.

საქართველოს ეკონომიკაში ინტეგრირებული კომპანიების განვითარებასთან ერთად, საჭიროა მიღებულ იქნეს კანონი პოლდინგებსა და პოლდინგური კომპანიების შესახებ. ეს ნაბიჯი აუცილებელია, რადგანაც მოცემულ ინსტიტუტთა ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურა არ არის მოცემული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შესახებ არსებულ

³⁹ ტერაშვილი ნ. - კაპიტალის გაქცევა. ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა. № 2, 1999

კანონში, ხოლო სააქციონერო საზოგადოებების შესახებ კანონი კი დიდი ხნის მანძილზე საერთოდ გზას უვლიდა გაგებას „ჰოლდინგი“ და „ჰოლდინგური კომპანია“. დასაზუსტებელია აქციათა სახელმწიფო პაკეტის ცნება და ზუსტად უნდა დადგინდეს მისი ოდენობა სხვადასხვა ტიპის საწარმოსათვის. მაგალითად, ანტიკარტელური კანონმდებლობის საფუძველზე, აშშ-სა და კანადაში ფირმა გაყიდულად ითვლება, თუ კი გაიყიდა მისი აქციების 20% - ამ პაკეტზე მეტი აქციების ფლობის უფლება არავის არა აქვს. საქართველოში კი მმართველობის განსახორციელებლად აქციათა 50% პლუს ერთი აქციაა აჭირო.

ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებში არსებობს ჰოლდინგური სტრუქტურების მინიმუმ სამი ტიპი: ინტეგრირებული სამრეწველო კომპანიები; კონგლომერატები; საბანკო ჰოლდინგები. „მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათში იმყოფება სახელმწიფო კაპიტალი. დარგებში, რომლებიც ბუნებრივ მონოპოლისტებს წარმოადგენენ, მსგავსი კონტროლი ამართლებს. პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო არეგულირებს ან ადგენს ელექტროენერგიაზე ტარიფებს. გარდა ამისა, ის იღებს გადაწყვეტილებას ბუნებრივი მონოპოლიების ნაციონალიზაციის ან პრივატიზაციის, გაზრდის ან შერწყმის შესახებ. ამიტომაც სააქციონერო კონტროლი ამ დარგებზე ობიექტურადაა განპირობებული.“⁴⁰

სახელმწიფო კონტროლის აღდგენა ზოგიერთ დარგებზე რჩება ქაოსის და უმართაობის თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად. ასეთი სიტუაცია შეიქმნა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით-მრეწველობაში, რომელშიც პრივატიზაციის შემდეგ აქციათა მსხვილი პაკეტები აღმოჩნდა ერთობლივი საწარმოს ხელებში, რომელიც აწარმოებდა უკანონო გარიგებებს. ამიტომაც მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ზომით სახელმწიფოს კონტროლის აღდგენა ამ დარგზე.

ჰოლდინგური კომპანიების ფუნქციონირებამ შეიძლება მოიტანოს მაქსიმალური უკუგება: წარმოების მაღალი კონცენტრაციის მქონე მრეწველობის დარგებში (მაგ. შავი და ფერადი მეტალურგია); დარგებში რომლებიც წარმოადგენენ ბუნებრივ მონოპოლიებს; დარგებში სადაც

⁴⁰ Гелб А., Грей Ч. - Экономические преобразования в странах Центральной и Восточной Европы: Проблемы, тенденции, перспективы. Москва. 1995 С.14

ხდება საწარმოთა კონგლომერაციული ინტეგრაცია, გაერთიანებულს საერთო ტექნოლოგიური ჯაჭვით (მაგ. ნავთობის მოპოვება და გადამუშავება, ქიმიური მრეწველობა); საწარმოების აქციათა საკონტროლო პაკეტის კრიმინალური კომერციული სტრუქტურების მიერ შექმნის თავიდან აცილება (ამისათვის საჭიროა აქციათა საკონტროლო პაკეტის გადაცემა სახელმწიფო პოლიტიკური კომპანიებისათვის).

ეკონომიკის სახელმწიფო მართვის აქტუალურ ამოცანათა განხილვისას არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან და პერსპექტიულ მიმართულებას როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერულ ქსელების, ტელეკომუნიკაციათა მასშტაბების გაფართოება და მათი როლის ამაღლება. „დღეს მსოფლიო კომპიუტერულ პარკში ხვედრითი წონის მიხედვით საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია, ჩვენში 80-ჯერ ნაკლები კომპიუტერია ავსტრიასთან, ჰოლანდიასთან შედარებით. ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე კომპიუტერთა რაოდენობის მიხედვით, დღეს საქართველოში დაახლოებით 1000 კაცზე 9-10 კომპიუტერი მოდის. ამასთანავე ჯერ შექმნის პროცესშია შიგა ეროვნული კომპიუტერული ქსელი (ე.წ. ინტრანეტი).“⁴¹

საქართველოს საწარმოთა ბრძოლამ არსებობისათვის, გარდამავალი პერიოდის სირთულეებმა მეორე პლანზე გადაწიეს მმართველობაში ეფექტური კომუნიკაციების შექმნა. ამასთანავე შეიძლება ითქვას, რომ ღრმა ეკონომიკური რეფორმები და ინსტიტუციონალური ცვლილებები საჭიროებენ ფართო მასშტაბებში გლობალური კომპიუტერული ქსელების გამოყენებას. საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის დაბალმა ტექნიკურმა დონემ წამოწია კავშირისა და ტელეკომუნიკაციის საშუალებების მოდერნიზაციის და ეკონომიკის კომპიუტერული მოწყობილობით უზრუნველყოფის საკითხი. საჭიროა შემუშავდეს საკანონმდებლო ბაზა, სტიმულების, გარანტიების, რეალური ეკონომიკური დაინტერესებულობისა და იურიდიული პასუხისმგებლობის მყარი სისტემა ამ ამოცანათა გადაწყვეტისათვის.

სახელმწიფოს სახელისუფლებო-ადმინისტრაციული და ეკონომიკური ფუნქციების სფერო ეხება ათობით და ასეულობით მილიონი

⁴¹ ჩახვაშვილი დ. – საქართველო და ინტრანეტის სივრცე. www.darbazi.ge. 2002.

ადამიანის ინტერესებს. განვითარებული ქვეყნების გამოცდილების მრავალმხრივი სამეცნიერო კვლევების საფუძველზე მართვის სფეროში გამოიმუშავდა ეკონომიკური განვითარების რგოლების რეგულირებისა და მართვის ურთიერთდაკავშირებული სისტემა. განსაკუთრებული მნიშვნელობა რგოლების ასეთ სისტემას აქვს საქართველოსთვის და მთლიანად ამერიკაგვასიის რეგიონისთვის, რომელმაც ბოლო წლებში ისტორიაში უპრეცედენტო საკუთარი მრეწველობის ნგრევის, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განადგურების გზა გაიარა.

საუბარია „სამრეწველო საქმიანობის სახელმწიფო და რეგიონალური დონეების სახელმწიფო რეგულირების ორგანოებზე, რომლებსაც შესაბამისი ფუნქციები გააჩნიათ. გარდამავალი პერიოდის სხვადასხვა ეტაპებზე მათ შეუძლიათ მიიღონ გარკვეული ფორმები და მოწოდებულია სამრეწველო საქმიანობის საკანონმდებლო ბაზისა და ნორმატიული წესების შემუშავების უზრუნველყოფისა და დაცვის მკაცრი კონტროლისათვის.“⁴² მათი საკვანძო დანიშნულებაა – სამრეწველო პოლიტიკის სტრატეგიის ფორმირება და როგორც სახელმწიფო, ისევე კომერციული შესაბამისი სტრუქტურების შექმნა. ამას უნდა დაემატოს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და რეალიზება, ინდუსტრიულ დარგთა განვითარების პროგნოზირება, მონოპოლიზმის შეზღუდვა და კონკურენტების სტიმულირება. მოცემული ორგანოების ამოცანაში შედის ასევე სამრეწველო კომპლექსის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მხარდაჭერა, საგადასახადო, ფასეული, დოტაციული ბერკეტების გამოყენება სტრუქტურულ ცვლილებათა მხარდაჭერისა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარებისათვის.

⁴² ქინკლაძე ნ. - მეწარმე და სახელმწიფო (ვითანამშრომლოთ ცივილურად). ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა. № 11-12, 1999 წ.

თავი II

სამეწარმეო საქმიანობის საზინანსო უზრუნველყოფის რეგულირების თანამედროვე მდგომარეობა

2.1 სახელმწიფოებრივი რეგულირების კომპლექსური ანალიზი და მართვა

ეკონომიკურ მეცნიერებათა ისტორიაში მხოლოდ მცირე ზღვარი არსებობს არატრადიციულად და რადიკალურად მოაზოვნე ეკონომისტებს შორის, განსაკუთრებით ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხში. ეკონომიკურ თეორიაში ყოველთვის იყვნენ ე.წ. დისიდენტები და რადიკალები. მერკანტილისტები, ფიზიოკრატები, კლასიკოსები და სხვ. თავის დროზე არატრადიციონალისტებად და ბევრ შემთხვევაში რადიკალებად ითვლებოდნენ. დევიდ რიკარდომ ტექნოლოგიური უმუშევრობის იდეა წამოაყენა და ჟ. ბ. სეის კანონს განუდგა, ამით ეჭვქვეშ დააყენა დოგმატური Laissez-faire-ის კონცეფცია. მალთუსმა კი სკეპტიკურად შეხედა ეფექტური მოთხოვნის საკმარისობას იგივე Laissez-faire-ის პირობებში, რაც იმ დროს რადიკალობად ჩაითავალა.

დღესდღეობით თანამედროვე ეკონომისტების უმრავლესობისთვის რადიკალურია ის წინადადებები, რომლებიც ითხოვენ საბაზრო ეკონომიკის ლიკვიდაციასა და სოციალიზმის ამა თუ იმ ფორმის შემოღებას, რომელიც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებით, შრომის პროცესზე მშრომელთა კონტროლითა (ე.წ. კორპორატიული მართვა) და შემოსავლების ჭეშმარიტად ეგალიტარული გადანაწილებით ხასიათდება. აშშ-ში ეკონომიკური თეორიის რადიკალური მიმდინარეობაა ინსტიტუციონალიზმი. ამ თეორიის მიმდევრების ერთი ნაწილი ტ. ვებლენს ემხრობოდა, მეორე ჯ. კომონსს. ინსტიტუციონალიზმისტები XX საუკუნის დასაწყისში მონაწილეობას იღებდნენ ე.წ. „ახალი კურსის“ რეფორმების შემუშავებაში. ეს პროცესები აშშ-დან ევროპასაც მოედო და შეიძლება ითქვას უფრო ფართო მაშტაბებითაც.

პოსტსაბჭოთა სივრცეში და კერძოდ საქართველოში შრომის გაუფასურების ტენდენციის ერთგვარი მიჩუმათება ახასიათებთ, როგორც დემოკრატ-მონეტარისტებს, ისე სოციალისტებს, ასევე მათ შორის მოდერნიფიკაციის იდეოლოგებსაც. მონეტარისტებს არ აწყობთ ამის აღიარება

იმიტომ, რომ მაშინ მოუწევთ განაცხადონ, რომ პრივატიზაციის პროცესის ვერანაირი რეფორმები ვერ გახდინან, მაგალითად, სოფლის მეურნეობასა და ქვანახშირის მოპოვებას რენტაბელურს. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, რომელიც სასოფლო სამეურნეო სავარგულებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა, სოფლის მეურნეობის დოტაციაზე უფრო მეტი სახსრები მიდის, ვიდრე უმუშევრებზე (აშშ-ში 2007 წლის მონაცემებით უმუშევართა რაოდენობა 17 მილონს აღწევს). სოციალისტებს და კომუნისტებს არ აწყობთ შრომის გაუფასურების ტენდენციის აღიარება, რადგან ამით ფერმერები და ე.წ. ტრადიციული პროლეტარიატის წარმომადგენლები სადოტაციო ფენის რიგებში გადადიან, ხოლო, შრომის შეუქცევადი მექანიზაცია, ფიზიკური შრომის მექანიკურით სრულ ჩანაცვლებას გამოიწვევს. საქართველოში ხსენებული ტენდენცია თვით ულტრა ლიბერალური და მონეტარისტული წრეების მიერაც მიჩუმათებულია. პირიქით, შრომის გაუფასურებას მათ მარქსისტებისთვის დამახასიათებელი იარლიყი ჩამოჰკიდეს და გააცხადეს: სამომხმარებლო საქონლის წარმოებას ჩაენაცვლება ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმოება.

საქართველოში წარმოების დაბალი დონე და მასზე უარესი ინფრასტრუქტურაა. თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია ვიამაყოთ განათლების დონით და კვლევითი ცენტრების სისტემაში დახვეწილი კადრებით. თანამედროვე მონეტარისტის თვალსაზრისიდან, ახალი მსოფლიო წესრიგის ფილოსოფიიდან და გლობალური შრომის განაწილების პოზიციიდან გამომდინარე საქართველომ ის უნდა აკეთოს, რაც ყველაზე უკეთ გამოუვა, ანუ განავითაროს ინფორმაციული ტექნოლოგიები. თანმიმდევრულად შეცვალოს ტელეფონური ქსელები ინტერნეტით, მიაღწიოს მოსახლეობის ტოტალურ კომპიუტერიზაციას და შექმნას კონკურენტული პროდუქცია პროგრამული უზრუნველყოფის, მაღალი ტექნოლოგიებისა და სამხედრო კვლევების სფეროში. მონეტარისტების წისქვილზე ასხამენ წყალს ეკონომიკის რეფორმატორთა რიგებში მოკალათებული ე.წ. „ნეოლიბერალები“, რომელთა უმრავლესობა ე. წ. „პალეომარქსისტია“. სამწუხაროდ, მათი პოზიცია XX საუკუნის 50-იანი წლებში გამოცემული პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოდანაა ამოკრეფილი. ამ თვალსაზრისით ბაზრის სტაბილურობისა და

მოთხოვნა-მიწოდების თეორიების საფუძველზე, საქართველოში სოციალური, განათლების, ჯანდაცვის, თავდაცვის, ეკოლოგიის და სხვ. პროგრამების უმრავლესობის დაფინანსება უნდა შეჩერდეს. ფორსირებული ტემპებით უნდა მივაღწიოთ მრეწველობის, კერძოდ მომპოვებითი საწარმოების რენტაბელობას, დავხუროთ არამომგებიანი საწარმოები, და ამ გზით მიღებული სახსრებით განვაავითაროთ ინფრასტრუქტურა. დაახლოებით ასეთი შინაარსის და თანმიმდევრობის იყო რეფორმათა უმრავლესობა. რას ვიღებთ ამ რეფორმით? ვიღებთ ქვეყანას რომელის ეკონომიკაც მასზე აღარაა დამოკიდებული. თუკი გავიხსენებთ სიტყვა ეკონომიკის წარმომავლობას, წარმოვიდგებთ ოჯახს, რომლის მეურნეობის გაძღოლა მასზე არაა დამოკიდებული?!

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალიან გრძელ ჩიხთან. თანამედროვე მონეტარისტების და ნეოლიბერალების დოქტრინა, სამომხმარებლო საქონელწარმოების ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმოებით ჩანაცვლება ემპირიულად არასწორია და თეორიულად განუხორციელებელი.

ემპირიულად, განვითარებული მაგრამ მცირე ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნები, განვითარდნენ მესამე საყაროს ქვეყნების ხარჯზე. შემთხვევითი როდია, რომ 2004 წლის „მადრიდის დიდი არბიტრაჟის სასამართლო“-ზე მსფ-ს რეკომენდაციების შესრულება გენოციდთან იყო გათანაბრებული. შეიძლება ესპანელი ეკონომისტები და იურისტები შედარებაში მეტად მკაცრები იყვნენ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. მიუხედავად საყოველთაო მექანიზაციისა, საითეკნაც მოგვიწოდებენ ლიბერალები და ჩვენი „პალეომარქსისტები“, ფაბრიკა-ქარხნები მესამე სამყაროს ქვეყნებში გადაიტანება, სადაც სამუშაო ძალა მექანიზმებზე იაფია. ინფორმაციული ტექნოლოგიების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ნაცვლად, შემოსავლები მიიღება ბირჟებზე პატენტებითა და სხვა და სხვა ლიცენზირებული Know how-თი უზრუნველყოფილი (ან უფრო ხშირად არაუზრუნველყოფილი) აქციების მანიპულაციებით. მაგრამ, ნებისმიერი ინტერნეტ კომპანიის აქციები, ჩვეულებრივი პირამიდაა (მსგავსად 90-იანი წლების დსთ-ს ქვეყნებში განხორციელებული უამრავი მაქინაციისა): მათ იმიტომ ყიდულობენ, რომ „არსებობს“ მოსაზრება, თითქოსდა მათი ფასი გაიზრდება, ხოლო, იმის საფუძველზე რომ აქციებს ყიდულობენ მათი ფასი მართლაც იზრდება. ასეთი

კომპანიის მშენიერი მაგალითია მაიკროსოფტი. ამ კორპორაციის აქციების არაა უზრუნველყოფილი არანაირი პროგრესული ტექნოლოგიებით. ყველა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დაადასტურებს, რომ მაიკროსოფტის პროგრამები მეორადია, არაა სრულყოფილი და სავსეა ჩვეულებრივი პლაგიატორის შეცდომებით. კორპორაციის უზარმაზარი შემოსავალი არა ტექნოლოგიურ უპირატესობაზეა დაფუძნებული, არამედ უხეშ კონკურენციულ პოლიტიკაზე და ალტერნატიული პროექტებით მანიპულაციებზე. თუმცა 2000 წელს აშშ-ს მთავრობამ მის წინააღმდეგ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა აამოქმედა, რითაც საგრძნობლად შეასუსტა მისი პოზიციები ბაზარზე, და გამოაჯანსაღა კონკურენცია.

მაგალითისთვის თუ განვავრცობთ ამ კონკრეტულ თემას, ჩვენ დავინახავთ, რომ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების კონცეფციის მოწინააღმდეგეებს მკაცრად განსაზღვრული, მაგრამ განვითარებადი და ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნის პოლიტიკის კუთხიდან დაუსაბუთებელი პოზიცია გააჩნიათ. მათი არგუმენტების ფესვები განვითარებული ქვეყნების, ტრანსნაციონალური კორპორაცია მონოპოლისტების და საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესთა ალიანსშია ჩადრმავებული. მონეტარისტები აცხადებენ, რომ მომავლის ეკონომიკა დაეფუძნება ინფორმაციული პროექტების გაყიდვაზე, ე. ი. განათლებისა და გართობის პროგრამულ უზრუნველყოფასა და მულტიმედიურ საქონელზე. მაგრამ რა საჭიროა ვიყიდოთ პროგრამა, თუ შეგვიძლია ის გადავიწეროთ? სახელმწიფოს შეუძლია დააკანონოს ინტელექტუალური საკუთრების ე.წ. „მეკობრეობა“, ე.ი. უარი განაცხადოს უცხოური ჩანაწერების შესყიდვაზე (საჭირო იქნება შემოიტანო ერთი ეგზემპლარი და გააკეთო ასლები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით). მომავალში, როგორც პროგნოზებიდან ჩანს, ყოველი სამომხმარებლო საქონელი იქნება პროგრამის სახით. უხეში მაგალითისთვის, დავუშვათ ვიყიდით ავტომანქანა მერსედესის ერთი ეგზემპლიარს, შემდგომ მისი კოპირებით ვუზრუნველყოფთ ნებისმიერი რაოდენობის მსურველის მოთხოვნას. ასეთი პოლიტიკა შეიძლება არ იყოს მომგებიანი მდიდარი სახელმწიფოსათვის, ტრანსნაციონალური მონოპოლისტისთვის რომელიც დაკარგავს შემოსავალს საკუთარი პროგრამების გაყიდვისგან, თუმცა სარფიანი იქნება ნებისმიერი სხვა ღარიბი ქვეყნისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ აქ საუბარია მომავლის პრობლემაზე (თუმცა ეს საკითხი დღესაც ფრიად აქტუალურია), სრულიად გასაგებია BSA-ს (Business Software Association) აქტივობა. BSA წარმოადგენს ორგანიზაციას რომელიც იბრძვის ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუხებლობისთვის, იგი უზარმაზარ თანხებს ხარჯავს მთელი მსოფლიოს პარლამენტარებთან და სახელმწიფო მოხელეებთან „მუშაობაზე“, რათა ყველა ქვეყანაში უნიფიცირებული კანონმდებლობა შეიქმნას, და დაცული იყოს BSA-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (IMF, WB, IBRD, IFC და სხვ.) დამკვეთთა ინტერესები, თუმცა არც აქაა ერთმნიშვნელოვანი პოზიცია და მდგომარეობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამგვარად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მათემატიკურად დადასტურებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების, მონეტარიზმისა და მულტიპოლუსური მსოფლიოს შეუთავსებლობა – დღეს ევროპარლამენტი და ევრომთავრობა, ხოლო მომავლში მსოფლიო მთავრობა იქნება სახელმწიფოების დამოუკიდებელ პოლიტიკასთან (კერძოდ ეკონომიკურ პოლიტიკასთან, თუ იმ დროისთვის ასეთი საერთოდ იარსებებს) ბრძოლის ორგანიზაცია.

ამასთან, ნიშანდობლივია შემდეგი ფაქტიც: XXI საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა მორიგი მოხსენება მსოფლიო განვითარების შესახებ, რომელიც სპეციალურად ეძღვნება სახელმწიფოს როლს მსოფლიო განვითარებაში. „ფაქტია, რომ ათწლეულების განმავლობაში თეორიული გამოკვლევებით თუ პრაქტიკული საქმიანობით ეს ორგანიზაცია ყველას დარწმუნებას ცდილობს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მიუღებლობის შესახებ, ამჟამად კი გამოდის სახელმწიფოს როლის მინიმიზაციის ლიბერალური კონცეფციის წინააღმდეგ და მოყავს არგუმენტები ე.წ. „ეფექტიანი სახელმწიფოს“ აუცილებლობის დასაბუთების მიზნით“.⁴³ ამით იგი დაუპირისპირდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიციას, თუმცა სსფ-ის მკაცრი ნეოლიბერალური მიდგომა ნელ-ნელა უახლოვდება მსოფლიო ბანკის კონცეპტუალურ მოხსენებას. უნდა აღინიშნოს, რომ XXI საუკუნეში აშშ-ში, დიდ ბრი-

⁴³ Ламперт Х. - Социальная рыночная экономика. Германский путь. С-П, 1994. стр. 44

ტანეთში, გერმანიაში, იტალიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში საპარლამენტო არჩევნების მსვლელობამ დაადასტურა, რომ მსოფლიოში მცირდება ტრადიციულად კონსერვატორულ და ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებს შორის არსებული ზღვარი, განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების საკითხებში. განსხვავება დასახული პრიორიტეტების, მიზნების მიღწევის კონკრეტული მეთოდების სფეროშია.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შესახებ გამოიკვეთა რამოდენიმე მიმართულება, რომელსაც მცირეოდენი შენიშვნებით აღიარებს ეკონომიკური ზრდის ყველა ძირითადი მიმართულება. მათ შორისაა: ფულის ემისია და ფულადი სისტემის რეგულირება; საბაზრო ურთიერთობების, მათ შორის კერძო საკუთრებისა და მომხმარებელთა უფლებების საკანონმდებლო ბაზის შექმნა და მხარდაჭერა; კონკურენტული გარემოს მხარდაჭერა და ეკონომიკის მონოპოლიზაციის აკრძალვა; საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება, მათ შორის განათლების, ფუნდამენტური მეცნიერების, გარემოს დაცვის, თავდაცვის და ა.შ. სფეროებში საბაზრო საქმიანობის უარყოფითი ეფექტების მინიმიზაცია; საზოგადოებაში მაღალი სოციალური დიფერენციაციის დაძლევა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა. ასევე, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციად აღიარებული ეკონომიკის შემდგომი სტაბილიზაციის, ზრდისათვის ხელშეწყობა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, სოციალური მოთხოვნების გავალისწინებით; წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობა, ინოვაციური საქმიანობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერით.

რაც შეეხება განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს, ისინი მსოფლიო ბანკის და მსფ-ს საწინააღმდეგოდ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, მაგრამ აქაც გარკვეული ზომით. ამ ქვეყნებისთვის სასიცოცხლოდ აქტუალურია ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და სტრუქტურული გარდაქმნები, რისი განხორციელებაც სახელმწიფოს აქტიური როლის გარეშე შეუძლებელია. ამას ადასტურებს ე.წ. „აზიური მოდელის“ ფუნქციონირების შედეგები. აზიის მრავალი ჩამორჩენილი ქვეყანა, სახელმწიფოს აქტიური და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, მეურნეობაში ჩარევის საფუძველზე

განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნად იქცა. ნიშანდობლივია სამხრეთი კორეის, მაღაიზიის, ტაივანის და სხვათა მაგალითები. მაღაიზია ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ლიბერალურ პოლიტიკას და სერიოზულ შედეგებს მიაღწია ეროვნული ინტერესებისა და პროგრესის თვალსაზრისით, მათ შორის, 1998 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების დაძლევისთან დაკავშირებით. ამით იყო გამოწვეული, რომ დასახელებული საერთაშორისო ორგანიზაციები იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ მაღაიზიის, სამხრეთ კორეის, ჩინეთის, ვიეტნამის, ტაივანის და სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლის აუცილებლობა, სადაც სახელმწიფო შედარებით უფრო აქტიურად ერევა ეკონომიკაში და ფრიად წარმატებულ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს. ეს კი ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინის რეკომენდაციებს არ შეესაბამება. იგივე შეიძლება ითქვას პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის დინამიკის შესახებ. აქ შეიმჩნევა დიდი მსგავსება განვითარებად ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან. ეს ბუნებრივია, რადგან ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებში აქტუალურია ისეთი ამოცანები, როგორცაა სოციალ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესისა და საერთოდ განვითარების დაჩქარება. ეს ამოცანები, ობიექტურად, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის აუცილებლობას განაპირობებს. მაგრამ ამავე დროს, ისინი ხასიათდებიან ისეთი თავისებურებებით, როგორცაა სოციალისტური ცენტრალიზებული გეგმური სისტემის დემონტაჟისა და საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის აუცილებლობა. 90-იან წლებში გატარებული რეფორმის შედეგად მოისპო სახელმწიფოს დომინირებადი როლი, მაგრამ ახალმა ინსტიტუციურმა გარემომ და საბაზრო კულტურის ჩამოყალიბებამ სახელმწიფოს აქტიური საკანონმდებლო მაკორდინირებელი და მასტიმულირებელი ზემოქმედება მოითხოვა.

სოციალურ-ეკონომიკურ პროცესთა სახელმწიფო რეგულირების და მართვის თანამედროვე სისტემა რთულ მექანიზმს წარმოადგენს, რომლის თითოეულ კომპონენტს კონკრეტული მოქმედება გააჩნია, რომელიც სახელმწიფოს მიერ დასმული ამოცანებისკენაა მიმართული და არის

სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის რეალიზების ინსტრუმენტი. აღნიშნულ მექანიზმში ერთ-ერთი მთავარი ადგილი საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტებს უკავია.

საფინანსო ბაზარის პრაქტიკოსებისათვის, სახელმწიფოსთან ურთიერთობისას პირველ რიგში, მნიშვნელოვანია თუ რომელ ეკონომიკურ-საკანონმდებლო რეჟიმს და როგორ მხარდაჭერას დააწესებს მათთვის სახელმწიფო. თუმცა, არსებითად, ყველა სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები საფინანსო-საკრედიტო სფეროში შეესაბამება არა იმდენად ბაზარის მოთხოვნებს, რამდენადაც იმ შესაძლებლობას, რომ მათი მეშვეობით მოახდინონ ზეგავლენა, ბაზართან დაკავშირებულ სამეურნეო სფეროებზე.

აქ საუბარია სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირების მიზნებისათვის საფინანსო მომსახურების ბაზართა გამოყენებაზე. ამასთანავე, საფინანსო მომსახურების ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი სახის მომსახურება, იურიდიული და ფიზიკური პირების საფინანსო საშუალებათა გადანაწილების სფეროში მონაწილე საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების მიერ წარმოებული. საფინანსო მომსახურებაა: საბანკო ოპერაციები და გარიგებები, სადაზღვეო მომსახურება, მომსახურება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, საფინანსო იჯარა და ფულადი სახსრების ან ფასიანი ქაღალდების მინდობილობითი მართვის შეთანხმებათა სისტემა, ასევე, საფინანსო ხასიათის სხვა სახის მომსახურებებიც.

თუმცა, დასავლურ ლიტერატურაში არსებობს სხვაგვარი მოსაზრებებიც, მათ შორის საკმაოდ რადიკალურიც, რომელთა მიხედვით სახელმწიფო გადასახადებიც კი – არის მოქალაქეთა და საწარმოთა მიერ ანაზღაურება სახელმწიფოს მომსახურებისა, რაც თავის მხრივ, მდგომარეობს თავდაცვაში, სოციალურ უზრუნველყოფასა და მართმსაჯულების დაცვაში და ა.შ. თუმცა, ჩვენში საფინანსო თეორეტიკოსთა უმრავლესობა ამ მოსაზრებებს არ იზიარებს. სამამულო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულ მიდგომათა გათვალისწინებით, შეეჩერდეთ იმაზე, რომ არსებობს „საბაზრო“ საფინანსო მომსახურება (შეთავაზებული მომხმარებლის ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ) და სახელმწიფო ფინანსთა სისტემა, რომელიც მართალია მჭიდროდაა დაკავშირებული საფი-

ნანსო მომსახურების ბაზართან, მაგრამ რომელიც მაინც პრინციპულად განსხვავებულ ამოცანებს წყვეტს. როგორც პირველს, ასევე მეორეს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში უმთავრესი ადგილი უკავია.

ყველა საფინანსო ბაზარსა თუ დარგს (რომელთაც მეცნიერები ტრადიციულად ყოფენ სახელმწიფო და კორპორაციულ ფინანსებად, კრედიტებად, დაზღვევად და არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფად), სახელმწიფო რეგულირების სისტემასთან ურთიერთქმედების ორი მხარე გააჩნია. 1. როგორც სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ნებისმიერი მონაწილე, ისინი თავად წარმოადგენენ სახელმწიფო რეგულირების ობიექტს. სახელმწიფო ადგენს მათი ქმედების პირობებს, კანონიერ ჩარჩოებს და ყველა მონაწილესათვის საერთო „თამაშის წესებს“. თვალყური ედევნება ამ პირობების შესრულებას, რათა დაცულ იქნეს საფინანსო მომსახურების პროცესში მომხმარებლის უფლებები. 2. მიუხედავად იმისა, რომ თავად არ აწარმოებენ საზოგადოებრივ პროდუქტს, ისინი ირიბად მონაწილეობენ მის შექნაში, უზრუნველყოფენ რა საწარმოო პროცესს ფულადი რესურსებით, იძლევიან გარანტიას მისი უწყვეტობისა და სისწორისა, თანაც გააჩნიათ უნარი გარკვეული ხერხით იმოქმედონ მასზე, შეასწორონ მისი პროპორციები, ტემპები და მასშტაბები. ამიტომაც ითვლება ქვეყნის ყველა საფინანსო-საკრედიტო სისტემა ეკონომიკის სტრატეგიულ სექტორად და გამოიყენება, როგორც სახელმწიფო რეგულირების საშუალება.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო რეგულირება არ გამორიცხავს თვითრეგულირების მექანიზმთა მოქმედებას, არამედ, მოწოდებულია შეავსოს და შეასწოროს მათო მოქმედება ისეთი სახით, რომ ეკონომიკაში დაცული იყოს სახელმწიფოს, მოსახლეობისა და მეურნეობის სუბიექტთა ინტერესების ბალანსი. როგორც თვითრეგულირება, ასევე სახელმწიფო რეგულირება და მართვა ხორციელდება პირდაპირი (ადმინისტრაციული) და არაპირდაპირი (ეკონომიკური) მეთოდებით.

საბაზრო და გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საბაზრო ეკონომიკაში დომინირებს ეკონომიკური და არა ადმინისტრაციული რეგულატორები. საფინანსო-საკრედიტო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო რეგულატორების საფინანსო და ფულად-

საკრედიტო ინსტრუმენტარიების მდიდარ არსენალს. მრავალფეროვანი საფინანსო რეგულატორებიდან შევჩერდეთ საკვანძო მომენტებზე.

საწარმო პროცესზე ზემოქმედებისათვის ფინანსების გამოყენების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, ამასთან როგორც მისი შემოსავლების (საგადასახადო რეგულირება), ასევე სახელმწიფო დანახარჯების სისტემა (რეგულირება პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსებისა და სახელმწიფო შეკვეთების და შესყიდვების გამოყენების გზით), ამასთანავე, სოციალურ პოლიტიკაში მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტ-გარეშე ფონდებს. ამ რეგულატორების გამოყენებას ორი მხარე გააჩნია:

1. დისკრეციული საფინანსო პოლიტიკა, ითვალისწინებს გადასახადებით და სახელმწიფო დანახარჯებით შეგნებულ მანიპულირებას ეროვნული წარმოების და დასაქმების რეალური მოცულობის შეცვლის, ინფლაციის კონტროლისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით.

2. ავტომატური საფინანსო პოლიტიკა ეფუძნება ჩაშენებული სტაბილიზატორების მოქმედებას. მაკონფისა და ბრიუს „ეკონომიკსი“-ს განსაზღვრების თანახმად ჩაშენებული სტაბილიზატორი წარმოადგენს ნებისმიერი სახის ღონისძიებას, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდის (ან შეამციროს მისი დადებითი სალდო) ტენდენცია გააჩნია ვარდნის პერიოდში და მისი დადებითი სალდოს მომატება (ან დეფიციტის შემცირება) ინფლაციის პერიოდში, პოლიტიკოსთა მხრიდან რაიმე სპეციალური ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის გარეშე. მაგალითად სუფთა დაბეგვრის პროგრესული შკალის დახმარებით მას მიუყვართ გადასახადების შეცვლისაკენ პირდაპირ დამოკიდებულებაში ეროვნული შემოსავლის დონესთან.

საგადასახადო რეგულირება ხორციელდება ბიუჯეტის შემოსავალთა მობილიზაციის პროცესში. რეგულირების საშუალებებს წარმოადგენს ყველა პირდაპირი თუ ირიბი გადასახადი. მარეგულირებელი ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს გადასახადების ოდენობის გაზრდით თუ შემცირებით, გადამხდელთა სხვადასხვა კატეგორიისათვის განსხვავებული განაკვეთის დაწესებით და სხვა.

სახელმწიფო დანახარჯების სისტემის მეშვეობით რეგულირება წარმოადგენს ჯ. კეინზის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველს. მარეგულირებელი ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს დაფინანსების

საერთო მოცულობის, სახელმწიფო სახსრების ხარჯვის მიმართულების, დაფინანსების პერიოდულობის, სახელმწიფო სახსრების გადანაწილების სისტემის ორგანიზებისა და კონტროლის შეცვლისა და მათი საბოლოო მომთხოვნამდე მიყვანის გზით და ა. შ. სახელმწიფო, ანაწილებს რა სახსრებს დარგებსა და რეგიონებს შორის, აუცილებელი კორექტივები შეაქვს მწარმოებლურ პროპორციებში, თანაბარზომიერს ხდის რა მათ განვითარებას, უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური სფეროს სტრატეგიული სექტორების დაფინანსებას (როგორცაა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, სახელმწიფო მართვისა და საკანონმდებლო ორგანოები, სოციალურ-კულტურული სფეროს დაწესებულებები).

საბიუჯეტო დანახარჯების სისტემის რეგულირება მოიცავს:

1. სახელმწიფოს პირდაპირი დაფინანსების, საბიუჯეტო სუბსიდიების გამოყენებას (დოტაციები, სუბვენციები). ამ ჯგუფის ოპერაცი-ათა ეკონომიკური არსი არასამეწარმეო ხასიათის მატარებელი სახელმწიფო სახსრების გადანაწილებაში მდგომარეობს.

2. სახელმწიფო შეკვეთებისა და შენაძენის სისტემის გამოყენება. აღნიშნული სისტემის ეკონომიკური არსი შემდეგში მდგომარეობს – სახელმწიფო სახსრების გადანაწილება სახელმწიფოს მიერ შეძენილი პროდუქციის მწარმოებელთა სასარგებლოდ. სახსრები მიემართება მატერიალური მეწარმეობის სფეროში, ე.ი. წინამდებარე ჯგუფისაგან განსხვავებით, დანახარჯთა მოცემული სახე ატარებს მწარმოებლურ ხასიათს.

კეინზური თეორიის თანახმად, სახელმწიფო დანახარჯები ზრდიან ერთობლივ მოთხოვნას და იწვევენ ეროვნული პროდუქტის და შესაბამისად, დასაქმების მულტიპლიკაციურ ზრდას. „სახელმწიფო დანახარჯები ისევე როგორც კერძო ინვესტიციები, იხევენ მულტიპლიკაციურ (გამრავლებულ) ზეგავლენას შემოსავალზე, რადგანაც იმავდროულად ადგილი აქვს აღმატებულ მომხმარებლურ დანახარჯებს იმ პირთა მხრიდან, რომელთა შრომას აფინანსებს სახელმწიფო.“⁴⁴ სახელმწიფოს მიერ თუნდაც არაეფექტური საზოგადო სამუშაოს ორგანიზების დაფინანსება „საზოგადოების როგორც რეალური შემოსავლის, ასევე მისი კაპიტალური სიმდიდრის არსებულ სიდიდესთან შედარებით მნიშვ-

⁴⁴ Леонтьев В. - Экономические эссе. Москва, 1990. стр. 415

ნელოვან ზრდასთან მიგვიყვანს.”⁴⁵ თუმცა თანამედროვე პირობებში მსგავსი პოზიცია უტყუარი არ არის. საბიუჯეტო დანახარჯების ზრდის შესაძლო ნეგატიური ეფექტი დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი ფინანსდება არა საგადასახადო შენატანების, არამედ ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის ხარჯზე, რის შედეგადაც ინფლაციური ტენდენციები ჩნდება.

საბიუჯეტო პოლიტიკა (მათ შორის საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკა) შეიძლება იყოს მასტიმულირებელი და შემაკავებელი.

ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა საბიუჯეტო რეგულატორების დახმარებით შესაძლებელია სახელმწიფო დანახარჯების ზრდისა და გადასახადების ოდენობის შემცირების ხარჯზე (მასტიმულირებელი პოლიტიკა). ეს იძლევა საშუალებას მივადწიოთ ეკონომიკურ ზრდას, ხოლო მეორეს მხრივ, ახდენს საინფლაციო პროცესთა პროვოცირებას, რასაც თან სდევს ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი.

ერთობლივი მოთხოვნის დაქვეითების და ფასების ზრდის შეკავებისათვის გამოიყენება გადასახადების ოდენობის მომატება და საბიუჯეტო სახსრების მტკიცე ეკონომიის პოლიტიკა (შემაკავებელი პოლიტიკა). ამას ძლიერი ანტიინფლაციური ეფექტი გააჩნია, თუმცა ინფლაციასთან ერთად, ითრგუნება ასევე ეკონომიკური ზრდაც.

საფინანსო რეგულირებაში შესაძლოა ასევე ბიუჯეტგარეშე ფონდების გამოყენება. მათი გამოყენების მექანიზმი ანალოგიურია საგადასახადო რეგულირებისა – შემაკავებელი პოლიტიკა ვარაუდობს გადასახადების დონის მომატებას (გადამხდელთა კატეგორიების გაფართოების, ოპერაციაების რიცხვის დაქვეითების, ბიუჯეტგარეშე ფონდებში გადასახადებისაგან თავისუფალი შენატანების ხარჯზე), ხოლო მასტიმულირებელი კი – საწინააღმდეგო საშუალებებს.

ინფლაციის პროცესთა განვითარების და წარმოების მოცულობის პარალელური დაცემის პირობებში, მხოლოდ საფინანსო რეგულირება ხშირად არაეფექტურია. საფინანსო სისტემას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ფულად-საკრედიტო სისტემაზე, მიუხედავად ამისა, არ იძლევა მისი სტაბილიზაციის გარანტიას (პირიქით, იჩენს დესტაბილიზაციურ მოქმედებას, რომლის ყველაზე გამოხატულ გამოვ-

⁴⁵ Стиглиц Дж. – Экономика государственного сектора. Москва, МГУ. 1999. стр. 720

ლინებას ინფლაცია წარმოადგენს). გარდა ამისა, მხოლოდ საფინანსო რეგულირება სრულად არ აკმაყოფილებს ეკონომიკაზე მოქმედ ბერკეტზე სახელმწიფოს მოთხოვნას. ამიტომაც ჩნდება სხვა რეგულატორების მოთხოვნა, კერძოდ, ფულად-საკრედიტო რეგულირება.

საკრედიტო-ფულადი რეგულირება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ეროვნული ბანკის წამყვანი როლის მეშვეობით. მის მეთოდებს განეკუთვნება სააღრიცხვო პოლიტიკა (სააღრიცხვო განაკვეთის შეცვლა), სავალდებულო მინიმალური რეზერვების რეგულირება (სარეზერვო ნორმის ცვლილება), ღია ბაზრის ოპერაციები.

ფულის შემოთავაზების გაზრდის მიზანი მიიღწევა ექსპანსიის „იაფი ფულის პოლიტიკის“ გზით. იგი, გამოიყენება როგორც ანტიკრიზისული საშუალება მიმართული ერთობლივი მოთხოვნის გაზრდისაკენ. „იაფი ფულის პოლიტიკა“ მოიცავს ეროვნული ბანკის შემდეგ მოქმედებებს: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, სააღრიცხვო განაკვეთის შემცირება, რეზერვების ნორმის დაქვეითება.

ფულის შემოთავაზების შემცირებისაკენაა მიმართული ე.წ. „ძვირი ფულის პოლიტიკა“ – სახელმწიფო სავალდებულებების გაყიდვა, სარგებლის განაკვეთისა და რეზერვების ნორმის მომატება. „ძვირი ფულის პოლიტიკა“ გამოიყენება როგორც ანტიინფლაციური საშუალება.

ფულად-საკრედიტო მეთოდების (რომელზეც ყურადღებას ამახვილებდნენ ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები) უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში: 1. იგი იძლევა ინფლაციასა და საბიუჯეტო დეფიციტთან ეფექტური ბრძოლის საშუალებას; 2. მოქმედებენ სწრაფად საბიუჯეტოსთან შედარებით; 3. იძლევიან ნაკლებ სოციალურ-პოლიტიკურ რეზონანსს.

ფულად-საკრედიტო რეგულირების მეთოდების ნაკლს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ფაქტი, რომ ისინი არ უზრუნველყოფენ დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას, არ წყვეტენ სახელმწიფოს სოციალურ ამოცანებს.

აუცილებელია შევხერდეთ საფინანსო-საკრედიტო სისტემის შემდეგ, ნაკლებგამოკვლეულ სექტორზე, დაზღვევაზე, მისი როლი სახელმწიფო რეგულირებაში პრაქტიკულად არ არის გამოკვლეული ლიტერატურაში.

წარმოადგენს რა საფინანსო-საკრედიტო სისტემის ნაწილს, დაზღვევა გარკვეულწილად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც რეგუ-

ლატორი. დასავლეთის ეკონომისტთა აზრით, დაზღვევა არის დამოუკიდებელი ეკონომიკური კატეგორია, რაც ასევე არ გამორიცხავს მის გამოყენებას რეგულატორის სახით. დაზღვევის შესაძლებლობა დიდი ხნის განმავლობაში იყო შეზღუდული სადაზღვეო ბაზრით გადანაწილებული მშპ-ს წილის შედარებით დაბალი მოცულობით, საბიუჯეტო და საკრედიტო სისტემასთან შედარებით. თუმცა, მშპ-ში სადაზღვეო შენატანების წილის მყარი ყოველწლიური ზრდა, რომელმაც 2004 წლისათვის 2%-ს მიაღწია, გვაფიქრებს რეგულირების სადაზღვეო ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობაზე. განვითარებულ ქვეყნებში დაზღვევა, როგორც სახელმწიფო რეგულირების საშუალება, გამოიყენება რამოდენიმე მიმართულებით. მაგ. ანტიინფლაციურ ზემოქმედებას ახდენს სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევა. სახელმწიფო, დაზღვევის ამ სახის გატარების სტიმულირებით აქვეითებს სხვა საქონელზე მომატებულ მოთხოვნას, გამოყოფს მიმდინარე ბრუნვიდან მოსახლეობის ხელზე არსებულ ზედმეტ ფულად მასას, და ამასთანავე, ხელს უწყობს ეკონომიკაში დამზღვევთა გრძელვადიანი ინვესტიციების გაზრდას(მასტაბილიზირებელ ფაქტორი). (ცხრილი № 2.1.1).

ცხრილი №2.1.1 მშპ-ში სადაზღვეო შენატანების წილი (%-ში).

ადგ.	ქვეყნები	2001		2002			2003		2004	
		მთლ.	მთლ.	სიც. დაზღ.	მთლ.	სიც. დაზღ.	მთლ.	სიც. დაზღ.		
1	სამ. აფრ. რესპ.	-	15,47	12,37	15,51	12,22	17,34	13,86		
2	სამხრეთ კორეა	-	13,16	10,25	13,24	10,01	15,42	11,63		
3	შვეიცარია	13,31	10,45	6,71	11,22	7,47	11,94	8,33		
4	იაპონია	21,64	12,78	10,24	11,7	9,16	11,87	9,42		
5	დიდი ბრიტ.	11,25	10,33	6,58	10,71	7,27	11,22	7,87		
6	ნიდერლანდები	-	8,93	4,75	9,12	4,97	9,41	5,29		
7	საფრანგეთი	-	8,55	5,41	8,89	5,9	9,25	6,34		
8	ავსტრალია	-	7,82	4,23	8,47	4,74	9,12	5,33		
9	აშშ	9,02	8,6	3,65	8,55	3,75	8,49	3,85		
10	ირლანდია	-	7,76	4,37	8,06	4,79	8,37	5,33		
11	ფინეთი	-	7,4	5,44	8,07	6,2	7,76	5,87		
12	კანადა	-	6,57	2,89	6,02	2,5	7,37	3,07		
13	ბელგია	-	4,91	2,29	5,71	2,54	6,8	2,98		
14	გერმანია	7,72	6,42	2,58	6,47	2,65	6,53	2,72		
15	ახ. ზელანდია	-	7,21	2,88	6,05	1,69	6,26	1,73		

ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის აუცილებელი დაზღვევა. ერთი შეხედვით, დაზღვევის ამ სახის პირდაპირი დანიშნულებაა

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისაგან დაზარალებულების ინტერესების დაცვა. მაგრამ რადგან დაზღვევის პირობები, პასუხისმგებლობის ლიმიტები, ფრანშიზები და რაც მთავარია – სატარიფო განაკვეთი დგინდება ცენტრალიზებულად, სახელმწიფო ორგანოების უშუალო მონაწილეობით, მაშინ მათი დახმარებით ჩნდება ეკონომიკური ცხოვრების სხვა სფეროებზე ირიბი ზემოქმედების შესაძლებლობა. მაგალითად თითქმის ყველა ქვეყანაში ძველი ავტომობილების მფლობელებისათვის მოქმედებს მომატებული ტარიფები. ერთის მხრივ, ეს ობიექტურადაა აუცილებელი, რადგანაც მათი რისკის ფაქტორი მეტია. მაგრამ მთავარია, რომ ეს ღონისძიება ასტიმულირებს ახალი ავტომობილების შექენას და ძველის ექსპლუატაციაზე უარის თქმას. სახელმწიფო, ძველი ავტომობილებისათვის ტარიფების მომატების სანქციონირებისას (ზოგჯერ მეტადაც ვიდრე ამას მოითხოვს რისკის რეალური სტატისტიკა), ირიბად ზრდის მანქანების გასაღებას და ასტიმულირებს მანქანათმშენებლობას (თუმცა, მსგავსი გადაწყვეტილებები ხშირად მიიღება მსხვილი საავტომობილო კონცერნების მონაწილეობით). რა თქმა უნდა აქ ასევე საუბარია, ამით საგზაო მოძრაობის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სხვ. სტიმულირებაზეც.

კომერციულ სადაზღვეო ბაზართან შედარებით არანაკლებ პოტენციალს ფლობს სახელმწიფო დაზღვევის, ასევე, არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სფერო, რომლებიც მოქმედებენ, როგორც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის იარაღი.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბაზრო ეკონომიკისათვის ეკონომიკური რეგულატორების მოქმედებას. თუმცა საბაზრო ეკონომიკასაც გააჩნია პირდაპირი ადმინისტრაციული რეგულირების სფერო, რომელიც ქმნის ეკონომიკური რეგულატორების გამოყენების ნორმალურ პირობებს. მაგრამ არ შეიძლება ეკონომიკური რეგულატორების როლის აბსოლუტიზირება, რადგან მათი გამოყენების საკანონმდებლო ბაზის მხოლოდ ადეკვატური განვითარება იძლევა სათანადო ეფექტს.

დასავლეთის ეკონომისტებს შორის ადმინისტრაციული რეგულატორების მეტისმეტად გამოყენების მოწინააღმდეგეები ჭარბობენ, ვიდრე ობიექტური სპეციალისტები, რომლებსაც ესმით, რომ არა მარტო გარდა-

მაგალ, არამედ უკვე განვითარებულ ეკონომიკაში არ შეიძლება მხოლოდ ეკონომიკური რეგულატორებით შემოფარგვლა.

მაგალითად, 1991 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი რონალდ ქოუზი თვლის, რომ „პირდაპირი სახელმწიფოებრივი რეგულირება ყოველთვის არ იძლევა უკეთეს შედეგებს, ვიდრე პრობლემის მარტივი გადაცემა ბაზრისა და ფირმისათვის მის გადასატრედად.“⁴⁶ მსგავსი პოზიცია გააჩნია ჯ. ბიუკენენს, რომლის „მინიმალური სახელმწიფოს“ კონცეფციის თანახმად, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი უნდა გადიოდეს მხოლოდ პიროვნების უფლებათა და საკუთრების დაცვამდე. რეგულირების ყველა ადმინისტრაციული ფორმა (ლიცენზიებისა და უფლებების გაცემა, ქვოტების დადგენა და სხვ.) ემსახურება ეკონომიკაში ცალკეული რესურსების გაიშვიათების ხელოვნურ შექმნას. ეკონომიკა დამატებითად იღებს სახსრებს ამ იშვიათი რესურსებისადმი მიდგომის უფლებების გადანაწილებაზე. ამასთანავე, ასეთი დანახარჯები არაწარმოებადია. სახელმწიფოს შეუძლია იშვიათობად გადააქციოს მწარმოებლებისათვის ბაზარზე გასვლის (ამ შემთხვევაში დგინდება თავისუფალი კონკურენციის პირობებთან შედარებით მაღალი ფასი), ხოლო მყიდველისათვის პრივილეგიების და შეღავათების უფლებები (ფასი საბაზროზე დაბალია).

ასეთ მიდგომებთან რთულია დათანხმება, რადგანაც დასავლეთში და ჩვენშიც სულ უფრო მატულობს იმ ეკონომისტთა რიცხვი, რომლებიც აუცილებელ ფაქტორად თვლიან სახელმწიფოებრივ ჩარევას სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში: „სახელმწიფო, განვითარებულ საბაზრო სისტემაში მოწოდებულია უზრუნველყოს ეკონომიკის ინსტიტუციონალურ-საკანონმდებლო სტრუქტურა და შეავსოს ე.წ. „საბაზრო ჩავარდნები“. ეკონომიკაში ობიექტურად არსებობს ცალკეული ბაზრები, რომლებზე შედწევა მოითხოვს გარკვეულ შეზღუდვებს – ესენია ჩვენს მიერ გამოკვლეული საფინანსო მომსახურების (მათ შორის სადაზღვეო, საბანკო, საფონდო), საზოგადო საქონელის, მომატებული საფრთხის საქონლის, სოციალური მომსახურების ბაზრები. მათზე კომერციულ მწარმოებელთა მასების შეუზღუდავ მოხვედრას, რომელთა მიზანია

⁴⁶ Фишер С. - Экономика России: перспектива и ретроспектива. М, 2001. Т. 5. № 3. С. 416-424.

მოგების მიღება და არა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, შესაძლოა მოყვეს მკვეთრად უარყოფითი შედეგები. არსებობს ასევე მომხმარებელთა გარკვეული კატეგორია, რომელიც ობიექტურად საჭიროებს შეღავათიან პირობებს ცალკეული საქონლის შექმნისას. ნაკლებდუზრუნველყოფილ მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი საქონლის შექმნის შესაძლებლობა; საზოგადოებრივ-აუცილებელი საქონლის და მომსახურების მწარმოებელ საწარმოებს, ექსპორტიორებს, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მონაწილე საწარმოებს და სხვ. უნდა გააჩნდეთ სამეწარმეო საქმიანობის პრივილიგირებული პირობები.

ამჟამად, ეკონომიკურ ლიტერატურასი პოპულარულია, რეგულირების პროცესი წარმოვიდგება 3 ფაზისაგან შემდგარი ციკლის სახით: „რეგულირება-დერეგულირება-რეგულირება“. მეორე ფაზა გულისხმობს სახელმწიფო რეგულირებაზე უარის თქმას ან საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე მისი ზეგავლენის დაქვეითებას, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციას და სხვ. მესამე ფაზა კი, ითვალისწინებს ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევისაკენ დაბრუნებას, ნაციონალიზაციას და ა.შ. მაგრამ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების რეალური გამოცდილება ამას არ ადასტურებს.

უპირველეს ყოვლისა, ასეთი მიდგომისას არათანაბარზომიერად ხდება სახელმწიფოს სამეურნეო (სამეწარმეო) საქმიანობისა (სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო საწარმოების ხარჯზე) და მისი როგორც რეგულირების ბერკეტის გამოყენების გაიგივება. მაგალითად პრივატიზაცია ან ნაციონალიზაცია თავისთავადად არ წარმოადგენს რეგულირების საშუალებას. ის წარმოადგენს პირდაპირი მართვის საშუალებას (სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის საქმიანობა). თუმცა ამ საქმიანობის მაკროეკონომიკური ეფექტი, სოციალურ პროცესებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მისი ზეგავლენის უნარი საკმაოდ დიდია, ამიტომაც მისი ცალკეული მხარეები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც რეგულირების საშუალება.

მეორეს მხრივ, საკამათოა ტერმინი „დერეგულირება“. წინსართ „დე“-ს მნიშვნელობა მდგომარეობს რაიმეს ლიკვიდაციაში, რაიმეზე უარის თქმაში. მაგრამ, მსოფლიო პრაქტიკას არ ახსოვს სახელმწიფოს

მიერ რეგულირებაზე უარის თქმის ან თუნდაც მისი რაოდენობრივი შემცირების არც ერთი მაგალითი. პირიქით, ბოლო 50 წლის განმავლობაში, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში შეინიშნება სახელმწიფო რეგულირების მასშტაბების მყარი ზრდის ტენდენცია. „ბოლო დრომდე, განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს რეალური წილი მშპ-ში გაიზარდა და თითქმის გაორმაგდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ წილმა პიკს მიაღწია 1980 წლებში და მას შემდეგ პრაქტიკულად ერთ დონეზეა შენარჩუნებული.“ 70-იანი წლების კრიზისის შემდეგ, ბევრმა ქვეყანამ საფინანსო პოლიტიკის მიზნად გამოაცხადა ასეთი გადანაწილების მასშტაბების შემცირება, მაგრამ მოცემული მაჩვენებლის დაქვეითება ვერ მოხერხდა (ცხრილი № 2.1.2).

ცხრილი №2.1.2. მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების დინამიკა წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში 1880 წლიდან 1980 წლამდე (მილ. აშშ დოლ.).

ქვეყანა	1880	1929	1950	1955	1960	1965	1970	1975	1980
აშშ	8	10	27,8	32,2	31,4	32,5	32,8	33,2	33,5
იაპონია	11	19	18,3	19,3	32	31,6	31,3	35,7	35,5
ბრიტანეთი	10	24	32,6	39,3	43	44	39,9	43,2	39,7
გერმანია	10	31	32	37,6	47,9	47	45,1	49,5	47,4
საფრანგეთი	15	19	34,6	38,9	46,1	52,1	49,8	53,9	53,2
შვედეთი	6	8	31,1	43,8	60,1	63,3	59,1	66,4	60,8

ამრიგად, ადგილი აქვს არა რეგულირებაზე უარის თქმას, არამედ, რეგულირების და მართვის მოდელის, მისი ძირითადი მეთოდების შეცვლას, მარეგულირებელი ფუნქციების ნაწილის ფედერალურიდან ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე გადატანას. მსოფლიო პრაქტიკაში, რეგულატორების ამა თუ იმ ჯგუფის დომინირებიდან გამომდინარე, განასხვავებენ რეგულირების ორ მოდელს. მათი სახელწოდებები შეესაბამება მათ საფუძველში მდებარე მეცნიერულ კონცეფციებს: კეინზისა და ნეოკლასიკურისას. „საფინანსო ზომების დომინირების ვარიანტი იწოდება როგორც კეინზის ეკონომიკური პოლიტიკა. პოლიტიკამ, რომელშიც აქცენტი გაკეთებულია ფულად-საკრედიტო მექანიზმზე, მეცნიერებაში „მონეტარიზმის“ სახელწოდება მიიღო.

დასავლურ ქვეყნებში ეკონომიკური რეგულირების რელიზების პრაქტიკამ აჩვენა, რომ მეტად რაციონალურია ორივე მიმართულების შეთანხმება. სახელმწიფოს წინაშე არსებული ამოცანებისა და პერიოდის

კონკრეტული თავისებურებებიდან გამომდინარე, გამოიყენება უპირატესად მონეტარული (უფრო ზუსტად, მონეტარიზმსა ან სხვა ნეოკლასიკურ თეორიებზე დაფუძნებული), ან კეინზური რეგულირების მეთოდები. თუ ეკონომიკა არის გახანგძლივებულ დეპრესიაში, ეკონომიკური ზრდის დაცემას თან სდევს მასობრივი უმუშევრობა და სოციალური უბედურებები, ადგილი აქვს ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობას, გამოიყენება რეგულირების კეინზისეული მეთოდები. თუ ეკონომიკა განიცდის სტაგნაციასა და ინფლაციას, ფულადი მიმოქცევის დისბალანსს, ეროვნული ფულადი ერთეულის არასტაბილურობას, მაშინ ბატონობს რეგულირების ნეოკლასიკური მეთოდები.

სახელმწიფო რეგულირების მოდელებისათვის დამახასიათებელია ციკლური ურთიერთჩანაცვლება. ეკონომიკური კრიზისები ერთგვარად განსაზღვრავენ რეგულირების მოდელების ჩანაცვლებას. სახელმწიფო რეგულირების სისტემა დინამიურია და კონიუქტურულ ცვლილებებზე დამოკიდებული. კონიუქტურული რეგულირება – ერთობლივ მოთხოვნა-მიწოდებაზე ზეგავლენა (ეკონომიკური ციკლის ფაზების მიხედვით), კეინზური რეგულირების დამახასიათებელია ნიშანია, მაშინ როცა ნეოკლასიკური კონცეფცია ეკონომიკურ ციკლს უპირისპირდება.

მოთხოვნა-მიწოდების სახელმწიფოებრივი რეგულირება დღესდღეობით უფრო მეტად ცალკეული საქონლისა და მომსახურების ბაზრების რეგულირებაში გამოიყენება, ვიდრე მაკროეკონომიკური რეგულირებაში. ამასთან, ზოგიერთი ბაზრის (სავალუტო ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სადაზღვევო ბაზარი და ა.შ.) რეგულირებას საგრძნობი მაკროეკონომიკური ზეგავლენა გააჩნია. ამიტომ მსგავს ბაზრებზე დასაშვებია არა მარტო რეგულირება, არამედ ფინანსური მხარდაჭერა და სპეციფიკური სამართლებრივი რეჟიმის ჩამოყალიბება, მაგალითად ეროვნული საფინანსო მომსახურების მწარმოებლებისათვის, რომლებზეც დასაქმებულთა დიდი წილი მოდის.

უნიტარული სახელმწიფოებისგან (საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი და სხვ.) განსხვავებით, ფედერალურ პრინციპებზე მოწყობილი სახელმწიფოებში (გერმანია, ესპანეთი, შვეიცარია და სხვ.) ეკონომიკის რეგულირების ფუნქციები სამ დონეზეა გადანაწილებული (ფედერალური, ფედერაციის სუბიექტების და ადგილობრივი ხელისუფლების),

შესაბამისად, რეგულირების მართვაც უფრო მკვეთრად გამოხატულია და მნიშვნელოვანია. მაგალითად, სახელმწიფო რეგულირების გერმანული სისტემით – ფედერალური დონის ფუნქციების დიდი ნაწილი ფედერაციის სუბიექტებს აქვთ გადაცემული (სახელმწიფო ხარჯების მექანიზმის, გადასახადების და მოსაკრებლების ნაწილის, მუნიციპალური სესხების, სადაზღვევო ზედამხედველობის ჩათვლით). რეგულირების მართვა რა თქმა უნდა ფედერალური უწყებების პრეროგატივაა (ფულის მიმოქცევა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ფედერალური გადასახადები, თავდაცვა, სახელმწიფო აპარატი და სხვ.). ფედერალიზმის პრობლემა დღესდღეობით ყველაზე მწვავედ სწორედ გერმანიაში და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში დგას.

2.2 საკუთრებრივი ურთიერთობების სპეციფიკა ტრანზიტულ ეკონომიკაში.

საკუთრება წარმოადგენს სერიოზულ დაპირისპირებათა წყაროს ქართულ ეკონომიკურ რეფორმათა გზაზე. ამის მიზეზია, XX საუკუნის პოლიტიკოსთა მცდარი წარმოდგენა საკუთრებაზე როგორც ურთიერთობაზე, რომლის ცვლილებაც განაპირობებს ყველა სხვა ეკონომიკური ურთიერთობების შეცვლას. ასევე, საკუთრების ეკონომიკურ და საკანონმდებლო ურთიერთობებს შორის პრინციპიალური სხვაობისა უარყოფა.

დასავლეთში, ეკონომიკური რეფორმები მიმდინარეობს უკეთეს ინსტიტუციონალურ პირობებში. თანამედროვე დასავლეთის ეკონომიკური მეცნიერება, XVII-XIX საუკუნეებისაგან განსხვავებით, საერთოდ არ ცდილობს საკუთრების შესახებ რაიმე ახალი წარმოდგენა შექმნას. დასავლეთელი თეორეტიკოსები გამოდიან პოსტულატიდან, რომლის მიხედვით კერძო საკუთრება მუდმივ კატეგორიაა. ამიტომ ისინი მოითხოვენ ეკონომიკური სისტემის მხოლოდ ორგანიზაციული და მმართველობითი ურთიერთობების რეფორმას.

ქართველი რეფორმატორების უმრავლესობა და მათი კოლეგები ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებისდან, მიიჩნევენ, რომ საკუთრება „ძირითადი სამეწარმეო ურთიერთობაა“, რომელიც „განსაზღვრავს ყველა დანარჩენ ურთიერთობებს“, მათ შორის ეკონომიკის ორგანიზაციასა და

მართვას. ამასთან, ისინი უყურადღებოდ ტოვებენ იმ ფაქტს, რომ საკუთრება და საკუთრების უფლება სხვადასხვა ცნებებია. ამიტომაც პოსტსაბჭოთა სივრცის რეფორმატორთა შორის არსებობს აზრი, რომ საკმარისია კანონით გამოვაცხადოთ საკუთრების ის ფორმა, რომელიც ყველაზე ეფექტურად ითვლება, ხოლო დანარჩენი თვითონ აეწეობა.

XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში მემარცხენე პოლიტიკოსებს შორის ცხარე კამათები იმართებოდა. ამ პროცესში რა თქმა უნდა არც რუსეთის იმპერიის სოციალისტური ფრთა გამორჩენია, მათ შორის ქართველი სოციალ-დემოკრატებიც. ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილი და სხვ. ისინი თვლიდნენ, რომ რადგან საწარმოო ძალები ევროპას ჩამორჩებოდა, მომავალი რევოლუცია უეჭველი ბურჟუაზიული უნდა ყოფილიყო, ძალაუფლება და საკუთრება ბურჟუაზიის ხელში უნდა დარჩენილიყო.

ამ აზრს არ იზიარებდა ე.წ. „მესამე დასი“ და სხვა ულტრა მემარცხენეები, ისინი თვლიდნენ, რომ თუ დამყარდება სახელმწიფო საკუთრება ძირითად საწარმოო საშუალებებზე, 10-15 წელიწადში შესაძლებელია ისეთი საწარმოო ძალის შექმნა, რომელიც საკმარისი იქნება ე.წ. „სოციალისტური საკუთრების“ ჩამოყალიბებისთვის.

საბჭოთა კავშირში ამ ობიექტურ სინამდვილეს „მემარცხენე კომუნისტები“ დაუპირისპირდნენ, (ნ. ბუხარინი და სხვ) ისინი ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო საკუთრებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დროს, გაქრება ყველა ეკონომიკური ურთიერთობები, დამატებული ღირებულება, საქონელი, ფასი, დაქირავებული შრომა და სხვა. აღარ იარსებებს. მართალია ეს შეხედულება მარქსის თეორიასაც კი არ შეესაბამებოდა. „თუ ადრე კერძო საკუთრებაში მხოლოდ ცუდს ხედავდნენ, დღეს კერძო საკუთრება ცივილიზაციის უდიდეს გამოგონებადაა აღიარებული.“⁴⁷ დოგმატის დონზეა განცხადებული, რომ „კერძო საკუთრებასა და ბაზარს საზოგადოება მაღალი დონის თვითრეგულირებისკენ მიჰყავს და საშუალებას აძლევს საბოლოოდ გააქროს დედამიწიდან ძალადობა“.⁴⁸

სამწუხაროდ პრობლემა თავიდანვე ეკონომიკური რელსებიდან სამართლებლივზე გადაიყვანეს, ისე რომ კერძო საკუთრების მომხრეებმა

⁴⁷ ჩახვაშვილი დ. – შესავალი ეკონომიკაში. 2005. თბილისი. გვ. 115

⁴⁸ Хикс Дж. - Собрание эссе по экономической теории. М, 1982, стр. 44

ვერც კი შეამჩნიეს როგორ აღმოჩნდნენ სამართლებრივ წინააღმდეგობებში. საკუთრების სასურველი ფორმის გამოცხადება და მისი რელიზაცია არ აღმოჩნდა თანმიმდევრული მოვლენა.

რეალურად საკუთრების უფლება ისევე განსხვავდება საკუთრების ეკონომიკური მხარისგან, როგორც საცხოვრებელი ფართის ფლობის უფლება, რეალურ საშუალებას გქონდეს ბინა. რაიმე მატერიალური სიკეთის საკუთრებად გადაქცევის გზა კანონზე კი არ გადის არამედ, ყოველდღიურ აქტიურ მოღვაწეობაზე, რომელიც ადამიანისგან გარკვეულ ცოდნას, ნიჭსა და ძალას მოითხოვს. ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობები არაა დამოკიდებული საკუთრებით უფლებებზე, არამედ პირიქით ეკონომიკური ურთიერთობები განსაზღვრავენ და განაპირობებენ საკუთრების სამართლებრივ მხარეს.

სახელმწიფო საკუთრების დემონტაჟის ავტორთა ძირითადი არგუმენტია, რომ სახელმწიფო საკუთრება არავის არ ეკუთვნის, ამიტომაც მისი განსახელმწიფოებრიობისას იქმნება სრულფასოვანი კერძო საკუთრება, მასთან ერთად კი, ნამდვილ კერძო მესაკუთრეთა ბაზარიც.

თუ ღრმად დავაკვირდებით აქციონერული საკუთრების არსს, მაშინ ილუზია, რომ ის წარმოადგენს კერძო კაპიტალისტური საკუთრების ნაირსახეობას, თავისთავადად გაქრება. აქციონერთა უმრავლესობა ფლობს აქციათა უმნიშვნელო ნაწილს, ამიტომაც ისინი ისეთივე „კერძო მესაკუთრები“ არიან, როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქეები იყვნენ მთელი მსოფლიოს ერთი მეექვსედის „მესაკუთრები“.

დასავლეთში დღესდღეობით უკვე ყველა ხვდება, რომ წერილი აქციონერები არ ღებულობენ მონაწილეობას აქციონერული საზოგადოების მართვაში და თავს საწარმოს კერძო მესაკუთრებად და მით უფრო პატრონებად არ გრძნობენ. აქციონერულ საწარმოთა ნამდვილ მესაკუთრებად და პატრონებად ითვლებიან მათი მაღალი მმართველობა (ე.წ. Top Menejment) და მსხვილი აქციონერები, რომლებიც ასევე, როგორც წესი, იკავებენ ამა თუ იმ ფუნქციონალურ ან საპატიო თანამდებობას, რის გამოც, მკვლევარებს არ ძალუძთ მკვეთრად გამიჯნონ მსხვილი აქციონერები მმართველებისაგან.

იმისათვის რომ ჩაითვალოს მსხვილ აქციონერად, კორპორაციის მმართველი არ საჭიროებს აქციათა ძალიან დიდი პაკეტის ფლობას. ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, რომ უმეტეს შემთხვევაში საკუთრების კონტროლისათვის სრულიად საკმარისია მსხვილი კორპორაციის მხოლოდ 5% წილის ფლობა. მაგალითად „H.J. Heinz Company“-ს მთავარი მმართველი გახდა თავისი კომპანიის აქციათა სიდიდით მესამე მფლობელი, გააჩნდა რა მათი საერთო რაოდენობის 1,6%-ი, ღირებულებით 152 მლნ. დოლარი, ხოლო საშუალოდ, საარჩევნო მონაცემებით, 1990-იან წლებში აშშ-ში 200 უმსხვილესი არასაფინანსო კორპორაციების 73,5%-ში, უმაღლეს მენეჯერებს ეკუთვნოდათ აქციათა ნახევარ პროცენტზე ნაკლები. ამასთან ერთად პროგრესულად მცირდება მესაკუთრების ფუნქციათა შემსრულებელ, მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელთა რიცხვი. მაგალითად 1990 წლებში აშშ-ს 100 უმსხვილეს სამეწარმეო კორპორაციების დირექტორთა შორის აქციათა მსხვილი მესაკუთრების რაოდენობა შეადგენდა 4,4%-ს. მსგავსი ტენდენციები გარადამავალი ეკონომიკის ქვეყნებშიც შეიმჩნევა.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, რომელიც მოითხოვს კაპიტალდაბანდების ზრდას, ასევე მემკვიდრეობის დანაწევრებამ, აქციათა მსხვილი პაკეტების დივერსიფიკაციის აუცილებლობამ, შემდეგი პროცესები განაპირობა: მსხვილი კაპიტალის მფლობელების საკონტროლო პაკეტებმა მოიცვეს კომპანიის აქციათა 50%-ზე ნაკლები, და მათი წილი კვლავ ეცემა. ასე მაგალითად, 1920 წლების ბოლოსათვის როკფელერს ეკუთვნოდა კომპანია „Standart oil“-ის აქციათა 20%, 80-იანი წლებისათვის კი მისი მემკვიდრეების წილმა „Exxon Mobil Corporation“-ში 1,7%-ს მიაღწია. 1929 წელს დიუპონები ფლობდნენ „General Motors Corporation“-ის აქციების 33%-ს, ხოლო 1980-იან წლებში კი მხოლოდ 7%-ს. ფორდების წილი „Ford Motor Company“-ის აქციებში 12%-დე დაეშვა. შედეგად სუსტი აღმოჩნდა მათი იურიდიული ძალაუფლება კომპანიათა რესურსებზე.

მაგალითად, ზ. ბუქსინსკი თავის ნაშრომში „მომავლის საზოგადოება“ შეუერთდა დასკვნას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში, „როდესაც ტექნოკრატებმა მოაშორეს კომპანიების აქციათა საკონტროლო პაკეტის მრავალი ინდივიდუალური მფლობელი, და ამ კომპანიათა სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტა, სამუშაოდ აყვანა თუ

გათავისუფლება, ფინანსებისა და მოგების გადანაწილება საკუთარ თავზე აიღეს, ძველი მფლობელები დარჩნენ ფირმების მხოლოდ იურიდიული და ფორმალური მესაკუთრეების სახით. რეალური მესაკუთრეებად კი ტექნოკრატები მოგვევლინნენ⁴⁹. სხვები მესაკუთრეების ამ ტიპს უწოდებს მენეჯერებს. ჩვენ თავისუფლად შეგვეიძლია მათ ბიუროკრატები ვუწოდოთ, რაც მეტად მისაღებია, რადგანაც ტერმინები „ტექნოკრატები“ და „მენეჯერები“ ასახავენ მხოლოდ სამეურნეო ბიურიკრატის წარმომადგენლებს, რომელსაც არ ძალუძს თავისი „საკუთრების“ განკარგვა სახელმწიფო ბიურიკრატის გარეშე.

ამგვარად, მრავალი ათწლეულების მანძილზე საზოგადოებრივი მეწარმეობის სახსრების ფაქტიური განკარგვისას, მესაკუთრეებად განვითარებულ ქვეყნებში ყალიბდებიან ამ სახსრების პროფესიონალი მმართველები. არსებობს 40 უმსხვილესი ამერიკული კომპანიის შესახებ 1900 წლის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ყოველ მეოთხე კომპანიას მენეჯერები აკონტროლებდნენ. გ. ბერლისა და ჯ. მინსის გამოთვლით, 1930-იანი წლების, აშშ-ს 200 მსხვილი არაფინანსური კორპორაციიდან 44%-ში მენეჯერები დომინირებდნენ. 1974 წელს ჯ. ჰერმანმა აღმოაჩინა, რომ „ასეთი კონტროლის წილი გაიზარდა კომპანიათა საერთო რაოდენობის 82,5%-ში (აშშ-ს 500 უმსხვილესი კომპანია). მისი გაფართოება განვითარებულ ქვეყნებში შეინიშნებოდა ასწლეულის ბოლოშიც, განსაკუთრებით იაპონიაში, სადაც მიაღწია 90%-ს.“⁵⁰

ისევე როგორც უკანონო მფლობელს არასოდეს არ შეუძლია გახდეს მოპარულის ლეგიტიმური მესაკუთრე, ასევე აქციონერული საკუთრების მმართველი ვერასოდეს იქნება მისი მესაკუთრე. ცალკეული ისტორიული ეპოქების დამახასიათებელი სტაბილურად არსებული საკუთრება, წარმოადგენს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ, საკანონმდებლო ურთიერთობას. აქციონერული ფორმის საკუთრების წინააღმდეგობრიობა იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული პირობების დროს კორპორაციის მენეჯერებს შეუძლიათ იმოქმედონ როგორც კერძო მესაკუთრეებმა, ე. ი. ფაქტიურად როგორც ეკონომიკურმა მესაკუთრეებმა, მაგრამ ვერ მიაღწევენ კორპორაციის ქონების საკუთრების უფლებას. ამაში

⁴⁹ ბუქსინსკი ზ. - „მომაველის საზოგადოება. გამ. დკვ. 2006. თბილისი. გვ. 66

⁵⁰ Herman W. - 500 Largest U.S. Businesses. Hoover's, Inc., Austin, Texas. 2005

მდგომარეობს იმ მმართველთა გაურკვევლობა, რომლებმაც დაიჯერეს, რომ გახდებოდნენ აქციონირებული სახელმწიფო საკუთრების ნამდვილი კერძო მესაკუთრეები. ასევე იმ რიგითი თანამშრომლებს, რომლებმაც ირწმუნეს, რომ გახდებოდნენ რა აქციონერები, ავრომატურად კოლექტიურ მესაკუთრებადაც გადაიქცეოდნენ, თავიანთი საწარმოს ნამდვილ პატრონებად. აქციონერული საკუთრება თავისი არსით ვერ იქნება კერძო საკუთრება და ამის გაუთვალისწინებით მტკიცება, რომ საკუთრების განსახელმწიფოებრიობა ავტომატურად მიიყვანს ქვეყანას კაპიტალისტური ტიპის ბაზრამდე, რბილად რომ ვთქვათ უსაფუძვლოა.

ტრანზიტული ეკონომიკის მენეჯერებს ისტორიამ არ მისცა შესაძლებლობა „ნამდვილ“ მესაკუთრეებად ჩამოყალიბებულიყვნენ. მათ საერთო მოქმედებით, ე.წ. სოციალისტური ხასიათის ანუ საზოგადოების ინტერესებში გამოყენებადი სახელმწიფო-მონოპოლისტური საკუთრება კაპიტალისტური ტიპის სახელმწიფო-მონოპოლისტურ საკუთრებად გადააქციეს. შედეგად საზოგადოების წევრები კერძო მესაკუთრედ და მფლობელად არ გადაიქცნენ, არამედ, პირიქით, მოხდა საზოგადოების პოლარიზაცია. წაგებულები დარჩნენ ძირითადად საწარმოთა თანამშრომლები, მაშინ როდესაც მენეჯერები და მოხერხებული აქციონერები მოგებულები აღმოჩნდნენ. ჯერ კიდევ ფ. ლისტი შენიშნავდა, რომ მასში არსებულ „წინააღმდეგობრიობას მონოპოლიამდე მიყვევართ და ამიტომაც საჭიროებს სახელმწიფოს ჩარევას. ის ქმნის ახალ ფინანსურ არისტოკრაციას, დამფუძნებლებისა და წმინდა ნომინალური დირექტორების ახალ ნაირსახეობას; სხვადასხვა პატენტებით უზრუნველყოფილი ან საერთოდ არაუზრუნველყოფილი აქციების ემისიასა და ვაჭრობას.“

აქციონერული საკუთრება თავისი არსით წარმოადგენს გარდამავალ ფორმას კერძოსა და საზოგადოებრივ, ასოცირებულ საკუთრებას შორის, ამასთან „წინწასულ ფორმას წარმოადგენს თუნდაც კოოპერატივები, შექმნილი თავად მშრომელთა მიერ. მშრომელთა კოოპერატიულ ფორმებში, ქრება კაპიტალისა და დაქირავებული შრომის ურთიერთობა, ე.ი. დადებითად წყდება საწარმოს შიგნით კაპიტალისტური წარმოების ძირითადი წინააღმდეგობრიობის საკითხი“.⁵¹

⁵¹ Тарушкин А. - Институциональная экономика: Идеи и концепции. С-П. 1994. стр. 70

სახელმწიფოებრივი საწარმოები არ იქნებოდა საჭირო, თუ კერძო სექტორს შეეძლო დაეკმაყოფილებინა ყველა საზოგადოებრივი მოთხოვნა. მაგრამ კერძო კაპიტალი აწარმოებს მხოლოდ საკმარისი მოგების მომტან საქონელსა და მომსახურებას. მისი ინტერესი არ ვრცელდება მოსახლეობის უმრავლესი ნაწილისათვის განკუთვნილ სიციალურ-ყოფითი დანიშნულების ობიექტებისა და მომსახურების წარმოებაზე (საავადმყოფოები, სკოლები, საცხოვრებელი სახლები), სამეწარმეო ინფრასტრუქტურებზე (გზები, არხები, კავშირგაბმულობის სისტემები), მეცნიერებასა და კულტურაზე. ამიტომაც თანამედროვე სახელმწიფოები ნებისთ თუ იძულებით, საკუთარ თავზე იღებენ მათი შექმნისა და ექსპლუატაციის ფუნქციებს. საქვეყნოდ აღიარებული საკუთრების უპირატესობას და დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფო საკუთრების განდევნის გეგმებს, მსოფლიო დონის მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე და 100%-იანი ამერიკელი ჯ. გელბრეითი უპირისპირდება.

გელბრეითი, არაერთი ათწლეულია რაც პრაქტიკაზე თვალს ადევნებს და შეისწავლის თანამედროვე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების პრობლემებსა და ტენდენციებს, იგი აღნიშნავს, რომ არსებობს დარგები, რომელთაც „არ შეუძლიათ ფუნქციონირება საბაზრო სისტემაში. ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად ჩნდება კონტრასტი სახლებს შორის, საგანმანათლებლო, სამედიცინო და საავადმყოფოს მომსახურებას შორის, სატრანსპორტო საშუალებებს შორის და სხვა მომსახურებას შორის. ეს თავიდანვე ხდება თვალშისაცემი, შემდეგ კი მიუღებელი“.⁵²

ერთადერთ პასუხს ამ დარგებისათვის წარმოადგენს მათი სრული ორგანიზება სახელმწიფო საკუთრების პირობებში. ყველა განვითარებულ ქვეყანაში მთავრობა იძულებულია აქტიური ზრუნვა გამოამუღავნოს საცხოვრებელ მშენებლობას, ჯანდაცვასა და ტრანსპორტზე. ყველგან ისინი მნიშვნელოვანწილად განსაზოგადოებულია, ეს ეხება როგორც ევროკავშირის ქვეყნებს, ასევე აშშ-ს. დღესდღეობით საქალაქო და გარეუბნების ტრანსპორტი ფართო მაშტაბებით გადადის სახელმწიფო საკუთრებაში. იგივე ემართება ქალაქთაშორის სარკინიგზო ტრანსპორტს კომპანია „Amtrak“-ის გამოჩენასთან ერთად. აშშ-ში

⁵² Galbraith J. K. - The Economics of Innocent Fraud, NY. 2004

ხანდაზმულ მოსახლეობას, რომელიც განსაკუთრებულად საჭიროებს სამედიცინო დახმარებას და შეზღუდული სახსრები გააჩნიათ, ანუ რომელთა მიმართებაშიც განსაკუთრებით არაკეთილადაა განწყობილი ბაზრის მოქმედება, სამედიცინო დახმარება ეძლევა. სამშენებლო მრეწველობაში უფრო მეტად დახლართული სისტემაა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ, დაფინანსებულ ან მისი დახმარებით წარმოებულ მშენებლობას, ასევე სახელმწიფოს სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები კერძო ბინათმშენებლებისა და ბინისდამქირაველებისთვის.

აშშ-ს გარდა, ევროკავშირისა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ქალაქის მიწა ფართო მასშტაბით გადადის სახელმწიფო საკუთრებაში. მთელი ქალაქის საცხოვრებელი შენობების დიდი ნაწილი შენდება სახელმწიფოს მფარველობით და რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში. საავადმყოფოები, კვსპიტალები და განსაკუთრებით პოსპისები სახელმწიფო საწარმოებად გარდაიქმნება. „დიდი ხანია სახელმწიფო კორპორაციების ხელში გადავიდა რკინიგზა და ქალაქის ტრანსპორტი (ამის ტენდენცია საქართველოშიც შეიმჩნევა). ამ დარგთა საქმიანობა დიდ ბრიტანეთში, სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიასა და ბენილუქსის ქვეყნებში ბევრად უკეთ ხორციელდება, ვიდრე აშშ-ში, იგივე თქმა შეიძლება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე. ევროკავშირის სხვა ქვეყნებში კი, როგორცაა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, შეეცარია რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს ბევრისთვის, საწარმოები რომლებიც მთლიანად სახელმწიფოს ეკუთვნის, ბევრად უკეთ მუშაობენ.⁵³

აშშ-ის პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ებენსტაინი თვლის, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებას ზუსტად კაპიტალი ხდის „სოციალურს“. ის ამტკიცებს, რომ „სოციალური ტენდენციები თავად კაპიტალიზმის შვილია. მათი ბრძოლა კი ოჯახური საქმეა. სოციალიზმი განუყოფელია სამრეწველო რევოლუციისაგან. კაპიტალიზმი სულ უფრო არღვევს თავის პირველყოფილ ხასიათს, „სოციალურს“ ხდის რა საზოგადოებას. პირველი კოლექტივისტები იყვნენ არა კაპიტალის

⁵³ Леонтьев В. - Структура американской экономики. Москва, 1990. стр. 236

კრიტიკოსები, არამედ ყველაზე წარმატებული მეწარმეები: გ. კარნეგი, ჯ. როკფელერი, ჰ. ფორდი, ინდუსტრიული იმპერიების შემქმნელები.“⁵⁴

XX საუკუნის მოვლენებმა დაადასტურეს კლასიკოსების აზრი კაპიტალისტური ურთიერთობებისა და კაპიტალიზმის როგორც გაბატონებული საზოგადოებრივი ფორმის ტრანსფორმაციის გარდუვალობის შესახებ. XX საუკუნის დასაწყისისთვის კერძოსაწარმოო კაპიტალიზმს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი მდგომარეობა ეკავა, მაგრამ უკვე საუკუნის ბოლოსათვის, ყველა განვითარებულ ქვეყანაში ის მეორადი გახდა. კაპიტალისტთა ძალაუფლებამ პიკს მიაღწია არაუგვიანეს პირველი მსოფლიო ომისა, ხოლო მეორე მსოფლიო ომისათვის მსხვილი კაპიტალისტები შეცვალეს პროფესიონალმა მენეჯერებმა. ეს ფაქტი, ვადების ამა თუ იმ გადახრებით, დადასტურებულია მრავალი მკვლევარის მიერ. „კლასიკური კაპიტალისტი ან შეერია ხალხთა მასას, ან გარდაიქმნა დაქირავებულ პირთა ორგანიზაციად, ანდა გახდა ფულადი მექანიზმის ხელქვეითი. ტერმინმა „კაპიტალისტი“ და „კაპიტალიზმი“ დაკარგა სოციოლოგიური შინაარსი“.⁵⁵

კეინზის მიერ სამეცნიერო პროგნოზის სახით დაწერილი სცენარი იმის შესახებ, რომ აქციონერული, ხოლო შემდგომ სახელმწიფო საკუთრება, რომელიც თავდაპირველად კაპიტალისტების, შემდეგ კი მთელი საზოგადოების ინტერესებში გამოიყენება, გამოდევნის კაპიტალისტურ კერძო საკუთრებას, უკვე დიდი ხანია ყველა განვითარებულ ქვეყანაში განხორციელდა.

მაგრამ, კეინზის დროს არ მოიპოვებოდა საკმარისი ფაქტიური მასალა, რათა შემჩნეული ყოფილიყო კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევის კიდევ ერთი ვარიანტი – კერძო სამეწარმეო რესურსების გამოყენების შედეგების სოციალიზაცია, თავად სამეწარმეო რესურსების სახელმწიფოდ გადაქცევის გარეშე. ეს ვარიანტი დაახასიათა პ. დრაკერმა როგორც უფრო მეტი სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვება არა სახელმწიფო საკუთრების, არამედ რეგულირების გზით.

⁵⁴ Корниенко О. - Национальная экономика. М, 2008. стр. 187

⁵⁵ Eichengreen M. Rose D. Wyplosz R. - Contagious Currency Crises. Scandinavian Journal of Economics. 1996. pp.166

წარმოების საშუალებებზე საკუთრება სახელმწიფოსათვის არ არის არსებითი. სახელმწიფოს რომ შეეძლოს წარმოებისათვის განკუთვნილი რესურსების და მათი მფლობელების ანაზღაურების ძირითადი განაკვეთის საერთო მოცულობის განსაზღვრა, ამით ყველაფერი მიღწეული იქნებოდა. ამასთან, სოციალიური პოლიტიკისთვის აუცილებელი ზომები შეიძლება თანდათანობით გატარდეს, საზოგადოებაში არსებულ ტრადიციათა მსხვრევის გარეშე.

განსაზოგადოების ასეთი პროცესის ეფექტურობა იმით აიხსნება, რომ სახელმწიფო რეგულირება და კონტროლი – წარმოების არაკაპიტალისტური, ახალი ხერხის ელემენტებია, რომელიც გამოდის როგორც მისი ადექვატური საკუთრების სახელმწიფო ფორმის არსებობის საფუძველი. საკუთრების სახელმწიფო ფორმა ამ შემთხვევაში საზოგადოების მიერ აღიქმება არა როგორც სასურველი, მაგრამ გარდაუვალი ფაქტი, რომელსაც უნდა შეურიგდეთ.

მაგალითად აშშ-ში, 1913 წელს ეკპ-ში სახელმწიფო ხარჯების ხვედრითი წილი შეადგენდა 7.9%-ს. 1927 წლისათვის იგი გაიზარდა 11.7%-დ, 1932 – 21.3%, ხოლო 1980 წელს კი – 33%-დ. მსგავსი სურათი აღინიშნებოდა ბრიტანეთში, სადაც 1913 წელს სახელმწიფო დანახარჯები შეადგენდნენ ეკპ-ის 12.7%-ს, 1933 წელს – 25.7%, ხოლო 1980 წელს კი – 44%-ს. სხვა ქვეყნებიდან მიღებული მონაცემები ადასტურებს ეკპ-ში სახელმწიფო საკუთრების წილის უწყვეტი ზრდისა, და შესაბამისად, მის ეროვნულ ეკონომიკაში მონაწილეობის კანონზომიერებას. ამგვარად, 1961 და 1980 წლებში, სახელმწიფო დანახარჯები შეადგენდნენ ეკპ-ის შემდეგ ნაწილებს, გამოხატულს პროცენტულად: ბელგია – 29.8% და 51.8%; კანადა – 30.0% და 40.0%; საფრანგეთი – 35.7% და 46.6%; გერმანია – 33.4% და 46.1%; იტალია – 30.5% და 45.6%; ჰოლანდია – 35.0% და 60.4%; შვედეთი – 31.0% და 63.2%.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაზრდა ხდება კერძო კაპიტალის თუ არა ინიციატივით, მაგრამ თანხმობით და განპირობებულია დანახარჯების გაზრდით არა მხოლოდ მზარდი სახელმწიფო აპარატის შენახვით, არამედ პირდაპირი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებით: მეცნიერების, განათლების, ჯანდაცვის განვითარება; ეკონომიკურ პროგრამათა შემუშავება და რეალიზება;

კერძო კომპანიების დაკრედიტება; დოტაციები მცირე კაპიტალის ბანკროტობისაგან გადასარჩენად; უმუშევრობის შესამცირებლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ა. შ. განსაკუთრებული სისწრაფით იზრდება სოციალური ამოცანების გადაჭრაზე მიმართული დანახარჯები, როგორცაა განათლების, ჯანდაცვის, ეკოლოგიის, სოციალური დახვევის განვითარება. 1913 წელს მან აშშ-ში ეკპ-ს 2.1% შეადგინა, ანუ სახელმწიფო დანახარჯების სისდიდით მესამე მიმართულება, ეკონომიკაზე ასიგნებისა და ადმინისტრაციული დანახარჯების შემდეგ. 1955 წელს მათ ეკპ-ის 6.3%-ს, 1970 – 12.1%-ს მიაღწიეს, ხვედრითი წონით გაასწრეს სახელმწიფო დანახარჯების ყველა სხვა მიმართულებას.

ითვლება, რომ ბიუროკრატიაში დამახასიათებელია მხოლოდ სახელმწიფო აპარატისათვის. მაგრამ ის არანაკლებ დამახასიათებელია საწარმოთა მმართველი აპარატისათვის, რომელიც შედგება არა ამ საწარმოს მომგებიანობის დონეზე დამოკიდებულ საწარმოთა მესაკუთრეებისაგან, არამედ დაქირავებულ თანამშრომლებისაგან. აღნიშნული აპარატი სახელმწიფო აპარატთან შედარებით, შესაძლოა უფრო მეტად ბიუროკრატიულიც კი იყოს, თანაც თუ მას საწარმოსა და მისი მფლობელების შემოსავლის პირადი მიზნებისათვის უკონტროლოდ გამოყენების შესაძლებლობა გააჩნია. დღეისთვის ბიუროკრატიაში გახდა კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის მთავარი მოქმედი ძალა. ამიტომაც ამჟამად სოციალიზმის იდეა არ არის პოპულარული არც აშშ-ში და სხვა ანგლოსაქსურ ქვეყნებში. როგორც ჯ. გელბრეითმა აღნიშნა, „სოციალიზმი – არ შეიძლება მოეწონოს ტექნოსტრუქტურას (ე.ი. საწარმოთა მმართველ აპარატს); ეს უკანასკნელი, მიაღწია რა მესაკუთრეებისაგან თავისუფლებას, სრულებით არ მიისწრაფვის სახელმწიფოს მორჩილებისაკენ“⁵⁶.

პოლიტიკური ეკონომიისა და ინსტიტუციონალური ეკონომიკის კლასიკოსების მიერ აღწერილი კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნის ყველა პროცესი, სქემატურად შეიძლება ჩამოვაყალიბოდ შემდეგნაირად. გარკვეულ სტადიაზე, ზუსტად კი XIX საუკუნის ბოლოსათვის, უპირატესად თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმი

⁵⁶ Galbraith J. K. - The Economics of Innocent Fraud, NY. 2004

განვითარდა მონოპოლისტური კაპიტალიზმის დონემდე. მონოპოლიათა შემდგომმა განვითარებამ მიგვიყვანა მათ სახელმწიფოსთან შერწყამდე, როგორც მონოპოლიათა გრანდიოზულ გეგმებში პირდაპირი მონაწილეობისა და დაკრედიტებისათვის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე საერთაშორისო სარბიელზე მონოპოლიათა ინტერესების დაცვისათვის. ამ პროცესებმა განაპირობეს მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაქცევა სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, ხოლო მათი პირველყოფადი განცალკევებული საკუთრება კი - საერთო სახელმწიფო-მონოპოლისტურ საკუთრებად. თუმცა კაპიტალის მეტამორფოზები ამით არ დასრულებულა. დაახლოებით XX საუკუნის მეორე მეოთხედიდან გაჩნდა კაპიტალის კერძო შესაკუთრება მნიშვნელოვანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისაგან განყენების ტენდენციები, რასაც მოსდევდა ყოფილი მეპატრონეების მმართველი ადგილებიდან გათავისუფლება სხვადასხვა ხერხით, მათ შორის საპატიო და ამასთან უმნიშვნელო წარმომადგენლობითი თანამდებობების შემოთავაზების გზით. სახელმწიფო აპარატის მოხელეებთან საქმიანი კავშირების სისტემაშიც კაპიტალის მეპატრონეები გაძევებულ იქნენ სამეურნეო მოხელეების – საწარმოთა მმართველების მიერ, რომელთაც ჯ. გელბრეითი ტექნოსტრუქტურას უწოდებს. ამგვარად გადავიდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი თავის ბოლო სტადიაში, რომელზეც, როგორც სახელმწიფოში, ისევე საწარმოებში, საზოგადოებრივ საკუთრებას განაგებენ და გადაწყვეტილებებს იღებენ პროფესიონალი მმართველები, რომლებიც მენეჯერებად იწოდებიან. ამით სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა უკანასკნელ ე.წ. ბიუროკრატიული კაპიტალიზმის ფორმას მიაღწია, დაზუსტებით კი ისეთ საზოგადოებრივ წყობას, რომელთანაც ბიუროკრატიული სახელმწიფო მოქმედებს საწარმო-საფინანსო რესურსების ფაქტიურ განმკარგველთა ინტერესებში, ე.ი. სახელმწიფო და სამეურნეო მოხელეების ინტერესებში.

ბოლო ასწლეულის მოვლენებმა აჩვენა, რომ მსოფლიოში ადგილი აქვს ერთდროულად ორ ტენდენციას: საზოგადოებაზე ბიუროკრატიული კონტროლის გამკაცრებას და ბიუროკრატიის მიერ მიღებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე დემოკრატიული ძალების გავლენის გაზრდას. აღნიშნული ტენდენციები არათანბრად ვითარდება სხვადასხვა

ქვეყანაში (განსაკუთრებით ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებში და აშშ-ი მზარდი ბიუროკრატიული კაპიტალიზმის მაგალითს წარმოადგენს. ამერიკულ დემოკრატიაზე მრავალი მითია ცნობილი. სინმდვილეში აშშ-ის დემოკრატია წარმოადგენს ე.წ. მულტიპარტიულ დემოკრატias (Multiparty democracy), რეალურად კი ეს ნიშნავს შეზღუდულ, დამქირავებელთა და დაქირავებულთა დემოკრატias, ფ. ლანდბერგი მას ფეოდალურ დემოკრატias ადარებს, ხედავს რა მათ შორის სხვაობას იმაში, რომ „თანამედროვე ფინანსური საგრაფოები წარმოიქმნა გვირგვინის მფარველობით, მაშინ როცა შუასაუკუნეებში მონარქები წარმოდგებოდნენ მოქიშპე თავადაზნაურობიდან და იმორჩილებდნენ უკანასკნელთ. შუასაუკუნეების მონარქი ვასალებისგან პატივისცემას ითხოვდა; თანამედროვე თავადობა კი მოითხოვს იგივეს უკვე არსებული დემო(ნ)კრატიული მთავრობისაგან“.⁵⁷ ეს პროცესი გადაედო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებსაც.

წინდაწინ შეუძლებელია განისაზღვროს მსოფლიო ეკონომიკური სისტემის შემდგომი განვითარება, რადგანაც ეს დამოკიდებულია მრავალ სუბიექტურ ფაქტორზე. მაგრამ, მეცნიერებას შეუძლია განსაზღვრავოს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერება და კატეგორია „დემოკრატის“ შინაარსი. როგორც ცნობილია, დემოკრატია – ხალხის ძალაუფლებაა. მაგრამ ძალაუფლება – არ არის ძალაუფლების სუბიექტის ინტერესების ფარგლებში მოქმედების უფლება და დეკლარაცია, არამედ, მის საკუთარ ინტერესებში უშუალო მოქმედებაა. ძალაუფლების განმსაზღვრელი ატრიბუტია მმართველობა, რომელიც ხორციელდება იმ ფუნქციათა შესრულების მეშვეობით, როგორცაა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება და მათი რეალიზების კონტროლი.

2.3 პრივატიზაციის სახელმწიფოებრივი რეგულირება

განსახელმწიფოებრიობა, თუნდაც ცალკეულ მსხვილ საწარმოს პრივატიზაცია, პოლიტიკურ საკითხია და ხშირად მწვავე დებატების მიზეზად გვევლინება. ლიტერატურა 90-იანი წლების პრივატიზაციის შესახებ, პრაქტიკულად ამოუწურავია, ხოლო პრობლემატიკა კი დივერ-

⁵⁷ ლანდბერგი ფ. - მსოფლიოს ფინანსური ჯგუფები. თბ. 2005. გვ. 66

სიფიცირებული. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პროგრამა (მით უფრო კი პრივატიზაციული), მრავალმხრივ არის შეფასებული როგორც უცხოელი, ისე ჩვენი თანამემამულე ეკონომისტების მიერ, ბევრი მკვლევარსთვის ყოველი ასეთი პროგრამის მიღმა პოლიტიკური დაკვეთა იმალება. პრივატიზაციის იდენტური პროგრამა არ არსებობს, თანხვედრი როგორც მიზნებით და შედეგებით, საკანონმდებლო ან ეკონომიკური პირობებით, ასევე რეალიზაციის ტექნოლოგიებით.

პრივატიზაციის პროგრამათა ევოლუციის განვიხილვისას, 90-იან წლებს სამ პერიოდად ყოფენ, ასევე ცალკე გამოყოფენ უცხოური ინვესტიციების ფაქტიურ სტატუსსა და როლს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრივატიზაცია გეგმიურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში საკვანძო მომენტს წარმოადგენს, და განსაზღვრავს წინა საზოგადოების რომელი სოციალურ, პოლიტიკური ელემენტები იღებენ საზოგადოებრივ სიმდიდრეზე კონტროლს პირადი ფლობისა და გამოყენების მიზნით. ასევე დიდ ინტერესს იწვევს შემდეგი საკითხი, რამდენად წარმოადგენს მსხვილ (პოტენციურად მომგებიან) საწარმოთა პრივატიზაცია ერთიან პროცესს მსოფლიოში, მიმართულს საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისაკენ. საექვოა აზრთა სხვადასხვაობის არსებობა მცირე და არამომგებიანი (გეგმიურ ეკონომიკაში) ბიზნესის სწრაფი მასიური პრივატიზაციის აუცილებლობასთან მიმართებაში. თანამედროვე საბაზრო კაპიტალიზმის ინსტიტუციონალურ საფუძვლად, ალბათ, რჩება მცირე და საშუალო საკუთრება საცხოვრებელი ფართიდან საოჯახო კომპანიების, მომსახურებისა ან საქონლის წარმოების ფარგლებში. დასავლურ პრესაში გაშუქებული დისკუსია გვიჩვენებს, რომ მეტად მნიშვნელოვან პრობლემებად რჩება მსხვილი საწარმოების, მესაკუთრის ინტერესების დაცვით კომპანიების და განსაკუთრებით განკერძოებული აქციონერების ეფექტური მართვა.

საექვოა პრივატიზაციასთან დაკავშირებით, ერთდროულად რამოდენიმე კრიტერიუმით და თანაც ხანგძლივი დროის განმავლობაში, რომელიმე ქვეყანას გააჩნდეს დადებითი ეფექტი. ძნელია გამოიყოს აღნიშნული ეფექტები ბოლო ათწლეულის მაკროეკონომიკური ძვრების ფონზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უნდა არსებობდეს მცირეოდენი დადებითი შედეგები (ან პირიქით), რომლებიც აღნიშნავდნენ პრივატიზა-

ციის შემდგომ ეფექტური მეურნეობის პროგრესს და ბოლო წლების განმავლობაში პრივატიზაციისადმი დამოკიდებულების ცვლილებას.

ძნელია პრივატიზაციის წარმატების კრიტერიუმები, პრაქტიკული და ნაწილობრივ რაოდენობრივ შეფასებას დაქვემდებარებული ყველა ქვეყნისათვის ერთიანი იყოს. მაგრამ ისეთი კრიტერიუმები როგორც: მასტაბილიზირებელი ზემოქმედება ბიუჯეტზე (შემოსავალი პრივატიზაციიდან), პირდაპირი (კერძო) უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, საფონდო ბირჟაზე კაპიტალიზაცია (პრივატიზაციიდან 5-6 წლის შემდეგ და არა კრიზისულ პერიოდში) და ბოლოს, საკვანძო (მასიური) პრივატიზაციის გატარების შემდეგ მყარი ეკონომიკური ზრდა, ნებისმიერ ქვეყნის პრივატიზაციის პროცესის შემფასებელია. 90-იანი წლების დასაწყისში პრივატიზაციის წარმატების სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმებს შორის ხშირად აღნიშნავდნენ აქციათა შესაკუთრების ფართო ფენის ჩამოყალიბებას, თუმცა, ეს კრიტერიუმი დისკუსიებში „დაიკარგა“...

შესაძლოა გამოიყოს გარდამავალი პერიოდისათვის არსებული სასტარტო მდგომარეობა (1989-90 წლები), პრივატიზაციულ პროცესთან საწყისი ეტაპი, როდესაც პროცესი პარალელურად მიმდინარეობდა განვითარებულ ქვეყნებში (იაპონია, ახალი ზელანდია, უახლესი პრივატიზაცია ბრიტანეთსა და საფრანგეთში), რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საკუთრების ტრანსფორმირების პროცესებზე.

პრივატიზაციის პირველი პერიოდი, ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსი“, უეჭველად, მოიცავდა სწრაფ და მაშტაბურ პრივატიზაციას, მაგრამ, შესაბამისი არ იყო მისი საშუალებები და მეთოდები. ამიტომაც 1994 წლის მექსიკის ეკონომიკურ კრიზისი, პრივატიზაციის გარშემო მაშტაბურ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება. მთლიანობაში კი, მსოფლიოში ზუსტად ეს პერიოდი პრივატიზაციის სქემებთან მასიური ექსპერიმენტების „ოქროს ხანად“ ითვლება, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში დახასიათდა როგორც „დიდი ნახტომი“. ამ პერიოდში განისაზღვრა გარდამავალ ქვეყნებში ტრანსფორმაციისადმი პრინციპიპული მიდგომები, ხოლო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (დსთ-ს გარდა) მთლიანობაში ზრდის ფაზაში შევიდნენ.

გამოყოფენ მეორე ქვეპერიოდს, ე.წ. „ტეკილასა“ და აზიურ კრიზისთა შორის, იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც ტრადიციული პრივა-

ტიზაციის წარმატება მსოფლიო ეკონომიკისა და საფინანსო ბაზრის ზრდის პირობებში. საკუთრების ტრანსფორმირების ძირითადი ნაბიჯები გარდამავალ ქვეყნებში უკვე გადადგმული იყო და კერძო საკუთრების ახალ საფუძველზე იწყებოდა ქვეყნების ეკონომიკის განვითარება.

ბოლოს, მესამე პერიოდმა, 1997-98 წლების შემდეგ გაამაგრა ტენდენციები დაგროვილი გამოცდილების ბაზაზე და მსოფლიო ეკონომიკის ზრდის შენელების პირობებში. პრივატიზაციული პროცესები ამ პერიოდში გრძელდებოდა, მაგრამ ექსპერიმენტები დასრულდა.

XX საუკუნის 80-იან წლებში, მსოფლიოში პრივატიზებულ იქნა 6800 მსხვილი საწარმო, მათ შორის, 2000 განვითარებად ქვეყნებში. განვითარებულ ქვეყნებში 80-იანი წლების პრივატიზაციიდან (მ. ტეტჩერის და ფ. მიტერანის ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული) ძირითად პრაქტიკულ გაკვეთილად შეიძლება ჩაითვალოს, ეროვნული საკუთრების დიდი კომპლექსების სტრატეგიულ ინვესტორთა ხელში გადასვლის შესახებ რთული მოლაპარაკებების წარმოება. ამასთან ერთად, გათვალისწინებული იყო პოტენციური მომხმარებლის მიერ რთული სისტემების მართვის შესაძლებლობა. ასეთი პრივატიზაციის ძირითად, პრაქტიკულ მიზანს წარმოადგენდა ბიუჯეტების ვალდებულებათა შემცირება, ასევე დიდი მოძველებული სახელმწიფო კომპანიების მართვის ხარისხის გაზრდის იმედი. იმ პერიოდში რეფორმატორების მიზნები და შესაძლებლობები გარკვეულ შესაბამისობაში იმყოფებოდნენ.

უდავოა, რომ პრივატიზაციის ხარისხი, საბოლოო ჯამში, უნდა შეესაბამებოდეს პრივატიზაციის ობიექტის ხასიათს, რომ უზრუნველყოს მისი ეფექტური ფუნქციონირება. მოსაზრება, რომ ათი წლის მანძილზე ბრიტანულმა პრივატიზაციამ მოცვა მხოლოდ 600(!) საწარმო, ჩვენი აზრით კრიტიკას არ ექვემდებარება, რადგანაც აქ საუბარი იყო საკმაოდ რთულ ეკონომიკურ ობიექტებზე. იმდროინდელი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიდგომათა კვინტესენციად შეიძლება ჩაითვალოს ს. კიკერის, ჯ. ნელისის და მ. შერლის წიგნი „პრივატიზაცია. გამოცდილების გაკვეთილები“.

80-90 წლებში, ლათინურ ამერიკაში ნაბიჯები მსხვილი სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციისაკენ გამოიყურება, როგორც „შედარებით იოლი“. თუმცა, ჩილეს მთელი რივის ექსპერიმენტების (მათ შორის

ნაწილობრივი რენაციონალიზაცია და ახალი პრივატიზაცია) შემდეგაც, საჭირო გახდა დრო, რათა ადგილიდან დაეძრათ პრივატიზაციის პროგრამები. აუცილებელი გახდა სახელმწიფო სექტორის საწარმოთა „სიამაყის“ გადალახვა და ფართო მაშტაბებით უცხოური ინვესტორების მოზიდვის აუცილებლობის აღიარება. ფაქტიურად 1990 წელს არგენტინასა და ბრაზილიაში დაიწყო მოქმედება ტრადიციული ტიპის მაშტაბურმა პროგრამებმა. ევროპის ცენტრში კი TXS-ი ყიდდა მთელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აქტივებს. 1992 წლისათვის 12000 საწარმოდან 4600 გაიყიდა, 1600 დაიხურა, 1000 კი ძველ მესაკუთრეებს დაუბრუნდა. დანარჩენი საწარმოები ჯერ-ჯერობით TXS-ის საპრივატიზაციო სიებშია. ამგვარი საგარეო ფონი და საერთაშორისო გამოცდილება რეფორმატორებს კომპანიათა საცალოდ გაყიდვის საკმაოდ მკვეთრ მიმართულებას აძლევდა, და ამით არა მარტო მართვისა და საკუთრების უფლებათა, არამედ საბიუჯეტო და სხვა დავალიანების პრობლემათა გადაჭრას იმედს ტოვებდა.

1989-91 წლებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პრივატიზაციის მოთხოვნა განიხილებოდა როგორც თეორიული პრობლემა, მისი როლი აღიარებული იყო, მაგრამ მისი საშუალებები და ხერხები კი ნათელი არ იყო. დღესდღეობით, ინფორმირებულობისა და ცოდნის პოზიციიდან შეიძლება გასული ათწლეულის მოვლენათა სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. ჩვენ ვთვლით, რომ გარდამავალი ეკონომიკის ბედის შესახებ დისკუსიების მონაწილეებს (გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის შიდა და გარე კონსულტანტები) ესმოდათ პრივატიზაციის როგორც ბაზისური პრინციპები, ასევე 80-იანი წლების პრივატიზაციის პრაქტიკული შედეგები.

ცნობილი ეკონომისტი ჯ. ნელისი აღნიშნავს, რომ 90-იანი წლების დასაწყისში, რეფორმატორების და მათი მრჩეველების წრეში სწრაფი პრივატიზაციის სასარგებლოდ, მთავარი არგუმენტების სახით განიხილებოდა კომუნისტების დაბრუნების და „წითელი“ დირექტორების მიერ საწარმოთა „გაქურდვის“ თავიდან.

ნებისმიერი სახის პრივატიზაციას არ შეიძლება ჰქონდეს საზოგადოების ყველა წევრისათვის აქტივების სამართლიანი და თანაბარი გაცემის ხასიათი. თავისთავად, იმ პერიოდში ამ ფაქტზე ფოკუსირებას

არავინ ახდენდა – საუბარი იყო „ნომენკლატურის სამეწარმეო აქტივების“ სწრაფ ნაციონალიზაციაზე და შემდგომ პრივატიზაციაზე. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო-პარტიულმა ნომენკლატურამ თავისი გადაწყვეტილებებით, ოპოზიციას პრივატიზაციის მასობრივ სქემებს საკმარის ლეგიტიმურობა მისცა. ამან დიდი გავლენა იქონია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე, რომლებმაც დაიწყეს ტრანსფორმაციის პროცესები, დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით დაახლოებით ორი წლის დაგვიანებით. მოხდა ტრანსფორმაციის მეთოდების გადატანა მნიშვნელოვანიდან პოპულარულ ტალღაზე (ბალტიის ქვეყნების გამოკლებით).

1992 წლის ზაფხულში გამოშვებულ ნაშრომში, მსოფლიო ბანკის წამყვანი ექსპერტები აღიარებენ შეცდომათა გარდაუვალობას და ქადაგებენ პრივატიზაციის სქემებთან ექსპერიმენტირებას. ისინი წერენ: „თუმცა ყოფილ სოციალისტურ ეკონომიკებისათვის შერჩეული არ არის ოპტიმალური ტაქტიკა, მაგრამ მოცემულ ვითარებაში ცხადია ამ ქვეყნებში მიზანთა მიღწევის საერთო სტრატეგია: პრივატიზაცია ყველა შესაძლო გზებით, რომლებიც წაახალისებენ კონკურენციას; ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც უფრო შედეგიანი იქნება, ვიდრე ფირმების საცალოდ პრივატიზაცია, მათ შორის ყველა საწარმოს ტრანსფორმაცია აქციონერულ კომპანიებად“.⁵⁸ ფაქტიურად ეს მოწოდებაა გადაიდგას სახელმწიფო საწარმოთა მასიური აქციონირებისაკენ რადიკალური ნაბიჯი პოლონური მაგალითით, მაგრამ ავტორები მეტად ფრთხილობენ თავად მასობრივ პრივატიზაციასთან მიმართებაში გამოთქმების ამორჩევისას, აღნიშნავენ რა გარკვეულ საფრთხეს: „მასობრივი პრივატიზაციის ფორმებს, რომლებიც გადასცემენ აქციათა მნიშვნელოვან წილს მუშაკებს, შეუძლიათ სრული პრივატიზაციის შენელება, კერძო ინვესტორთა, ეროვნულის და უცხოურის განდევნა, ანდა მომავალში წამყვანი ინვესტორისათვის სიძნელეების შექმნა“.⁵⁹ ამავდროულად მათ მიამიტურად სჯეროდათ შემოთავაზებული მასობრივი სქემების თანასწორუფლებიანობისა და ღელავდნენ ნომენკლატურის მმართველობითი ჩვევების ბედზე: „მასობრივი სქემები თანას-

⁵⁸ Перкинс Дж. - Исповедь экономического убийцы. Москва, 2005. стр. 170

⁵⁹ Никонова И. - Финансирование бизнеса. Москва, 2004. стр. 113

წორუფლებიანები არიან, რადგანაც მოცემული სქემებით მთელი მოსახლეობა ან მისი უდიდესი ნაწილი მიიღებს აქციებს უფასოდ ან შანსს დაბალ ფასში შეიძინოს ისინი, - თუმცა ეს აზრი საკამათოა, რადგან მხოლოდ ისინი ვინც მუშაობს მსხვილ და პერსპექტიულ საწარმოში მიიღებდა რაიმე ფასეულობის მქონე აქციებს. მასობრივი პრივატიზაცია წინ თუ არ აღუდგებოდა, გადადებდა მაინც ნომენკლატურით საკუთრების აკუმულირებას (ეს დანაკარგი იქნებოდა, რადგანაც ნომენკლატურას გააჩნია საუკეთესო მმართველობითი პოტენციალი)". თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან, ვარაუდი მმართველობიდან ნომენკლატურის სწრაფი და უმტკივნეულო გადაყენებისა და ვაუჩერიზაციისას თანასწორუფლებიანობის დაცვის შესახებ, არადამაჯერებელია.

იმდროინდელი ლიტერატურაში მცირე ყურადღება ეთმობოდა კორპორაციული მართვის მნიშვნელობას. ბაზრისა და კერძო საკუთრების ეფექტურობა რეფორმების პროცესებში გამოიყურებოდა როგორც აპრიორი და „ინვესტირებული პოლიტიკური კაპიტალის დაბრუნებას“ კი მყისიერად ელოდნენ. ასევე მცირე ყურადღება ეთმობოდა თავად პრივატიზაციის პროცესის ტრანსაქციულ ხარჯებს და ინსტიტუციონალურ ასპექტში დროის ფაქტორის მნიშვნელობას – თუ რამდენ დროს წაიღებს ეფექტური მესაკუთრისა და კონკურენტული ბაზრების ფორმირება. დროის ფაქტორი დაკავშირებული რჩებოდა ტრანსფორმაციის მხოლოდ პოლიტიკურ ასპექტებთან. ამგვარად, რიგ ქვეყნებში ჩადებული იყო მასობრივი პოლიტიკური პრივატიზაციის წინაპირობები, რომელმაც შექმნა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ისტორიული განტოტება, რომელმაც განსაზღვრა ტრანსფორმაციის ხასიათი და განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციონალური განვითარება.

საქართველოში პოპულისტური ზეწოლის შედეგად, პრივატიზაციის მომხრეები არ იყვნენ ორიენტირებულნი პრივატიზაციის ტექნოლოგიისა და ხერხების მის ძირითად მიზნებთან კავშირის ღრმა ანალიზზე, არამედ საწარმოების გაკონტროლებისა და რეფორმის სრული გაუკუღმართების პოპულისტურ მცდელობებთან ბრძოლაზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო საბჭოური საწარმოების ძველი მენეჯმენტის პირვე-

ლი მცდელობა ფორმალურად გაამყარონ შედეგები 1988-89 წლებში მათ მიერ შექმნილ საწარმოებზე.

ტრანსფორმაციის პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის პრივატიზაციის გამოყენების მცდელობამ წარმოშვა ახალი პრობლემა: როგორ მოვახდინოთ „ერთდროულად ყველაფრის“ პრივატიზაცია. სავარაუდოდ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეფორმატორთა სწრაფვა მყისიერი მასობრივი პრივატიზაციისადმი, დაკავშირებული იყო სოციალიზმისკენ „არდაბრუნების წერტილის“ მიღწევის სურვილთან. თუმცა რთულია გამოიძებნოს სპეციალური გამოკვლევა რომელიც განსაზღვრავდა, თუ რა დონეზე უნდა იყოს ჩართული მოსახლეობის კერძომესაკუთრებული ინსტიტუტები ამ მიზნის მიღწევისათვის მცირე და საშუალო საკუთრების ფარგლებს მიღმა, რომ უზრუნველყოფილი იყოს სოციალიზმიდან დემოკრატიისა და ბაზრისაკენ გადასვლის სოციალურ-პოლიტიკური სიმყარე. ამ შემთხვევაში მიზანთა სხვაობამ გამოიწვია საშუალებათა სხვადასხვაობა.

საბოლოო ჯამში, პოლონეთს, რომელიც გახდა რეგიონალური ლიდერი ვაუჩერებისა და ვაუჩერული ფონდების შექმნაში, ისინი არასოდეს გამოუყენებია. პოლონური პრივატიზაციის საფუძველში ჩადებული იდეა ატარებდა ორსაფეხურებრივ ხასიათს და ვარაუდობდა წამყვანი 200 ეროვნული კომპანიის აქციათა გადანაწილებას რამოდენიმე საინვესტიციო ფონდს შორის. ამ უკანასკნელთა აქციები (მეორადი) უნდა განაწილებულიყო მოქალაქეებს შორის. შემდგომში ფონდებს შეეძლოთ გაეწიათ კონკურენცია კლიენტისათვის. თუ გვერდზე გადავდებთ მოქალაქის უმნიშვნელო მოგებასა და სისტემის სიდიდეს, მაინც გაურკვეველია, რატომ იქნებოდა საწარმოთა ფონდების მიერ მართვა ძველ სამინისტროებზე უკეთესი. ჩეხოსლოვაკიის ვაუჩერულმა პრივატიზაციამ არ გამოიღო მოსალოდნელი შედეგები ეფექტური მესაკუთრის გამოჩენის სახით. ესტონეთმა და მონღოლეთმა, გარკვეულწილად, ამოწურეს მასობრივ ვაუჩერულ სისტემებთან ექსპერიმენტატორების წრე.

დასავლური ლიტერატურის უდიდესი ნაწილი, ბუნებრივია, მიმართული იყო გარდამავალ ქვეყნებში საკუთრების ტრადიციულ თანდათანობით გაყიდვაზე. ამგვარად, 90-იანი წლების დასაწყისში, ქვეყნების მოთხოვნებმა წამოწიეს სხვადასხვა ამოცანები, ერთი მხრივ, იმ

ქვეყნების ხელისუფლების წინაშე, რომლებსაც დააწვა ტრანსფორმაციული ხასიათის რეფორმათა გატარების პასუხისმგებლობა (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა და ყოფილი საბჭოთა კავშირი), ხოლო მეორე მხრივ – ჩამოყალიბებული „ძველი“ საბაზრო სისტემების მქონე ქვეყნებზე, რომლებიც განიცდიდნენ მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას (ლათინური ამერიკის სახელმწიფოები და თურქეთი). ქვეყნების მიხედვით პრივატიზაციის მეთოდების მრავალფეროვნება იმაზედ მიანიშნებს, რომ არ არსებობდა რაიმე ერთიანი მოდელი. უფრო პირიქით, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მხარი დაუჭირეს პრივატიზაციის იმ ვარიანტს, რომელიც აირჩია თითოეული ქვეყნის რეფორმატორთა შიგა წრემ.

ტრადიციულ პრივატიზაციულ პროცედურებში წამყვანია ქონების რეალიზების ღირებულების მაქსიმიზაცია, ძირითადად წამგებიანი სახელმწიფო სექტორის კომპანიებზე ბიუჯეტის დანახარჯების (სუბსიდიების) შემცირება, თავად კომპანიის დავალიანების (ხშირად მისი წინასწარი რესტრუქტურისაციით) და ახალი მესაკუთრის მაღალპროფესიული მმართველობის უზრუნველყოფელი უნარის შემცირება. ამაში მდგომარეობდა მსხვილი სახელმწიფო კომპანიების პრივატიზაციის ხანმოკლე კავშირი სახელმწიფო ბიუჯეტებთან. ხანგძლივ გეგმაში მეტი მნიშვნელობა აქვს მართვის ეფექტურობის გაზრდას, რესტრუქტურისაციის პროცესებს და ა.შ. გარდამავალი ეკონომიკების უმრავლესობას, განხილული პერიოდისათვის, მძიმე ფისკალური პრობლემები გააჩნდა და მათ სცადეს გადაეწყვიტათ ისინი 90-იან წლებში, კერძოდ კი, კომპანიათა გაყიდვის გზით. ეს ეხება ლათინურ ამერიკასა და უნგრეთს.

ზუსტად ამ პერიოდში გამოიყო პრივატიზაციისადმი მიდგომის ორი მიმართულება: ტრადიციული საკუთრების გაყიდვით – და მცდელობა ერთიანად გადაწყდეს პრივატიზაციის, საკუთრების უფლების გადაცემის, ეფექტური მეპატრონის შექმნის პრობლემა. ვაუჩერული სქემები, გამოგონილი მომუშავეთა სტიმულირებისათვის, როგორც წარმოების პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეებისა (სტეიქჰოლდერები), გენერალიზებული იყო ერთბაშად საკუთრების მთელი მასის გამოყენებისათვის. მაშინ როცა ჩეხეთში ვაუჩერული სქემა საწარმოთა გაყიდვის

მიმართებაში ერთობლიობაში იყო ფართო პრაგმატიზმთან, რუსეთში პრაქტიკულად არ განიხილებოდა სხვადასხვა სახის დარგსა და საწარმოსადმი შერეული პრაგმატული მიდგომები საბიუჯეტო შემოსავლის მიღების, უცხოური ინვესტორების მოზიდვის და ა.შ. მიზნით. რუსეთში პრივატიზაციის სამი ოფიციალური მეთოდი, მიუხედავად მათი მოჩვენებითი მნიშვნელოვანი სხვაობისა, არ მოიცავდა საწარმოს ან მისი წილის გაყიდვის შესაძლებლობას ნებისმიერი გარე სექტორისათვის (მათ შორის უცხოურისათვის) ვაუჩერული სქემის გარეშე. ეს ალბათ, მთავარია ორ-სამ მნიშვნელოვან სხვაობაში ორ ყველაზე ცნობილ და ორიგინალურ ვაუჩერულ პრივატიზაციას შორის.

ვაუჩერულ სქემებში არის მცდელობა ერთბაშად გადაწყდეს საერთო ხასიათის მრავალი ტრანსფორმაციული ამოცანა: 1. მაქსიმალურად შეიზღუდოს სახელმწიფო პრინციპში; 2. შეიქმნას სოციალური ბაზა (ბურჟუაზია); 3. მოეხსნას სახელმწიფოს საწარმოთა მიმდინარე ეკონომიკურ საქმიანობაზე ვალდებულება და ა.შ.

პრივატიზაცია რამოდენიმე კონტინენტზე მასობრივ მოვლენად გადაიქცა, რამოდენიმე პრაქტიკული სქემის – პირობითად ლათინოამერიკულის (საცალოდ კომპანიების გაყიდვა) ფარგლებში, რომელსაც შეიძლება დავუმატოთ უნგრეთი. ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში უპირატესად მიმდინარეობდა კომერციალიზაცია. პოლონეთი, შიდა პოლიტიკური მიზეზების გამო, არ მიემხრო მასობრივ სქემებს. მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობდა რთული პრივატიზაცია. საბოლოოდ, რუსეთმა უშიშრად აიღო სტარტი ახალ შეუსწავლელ სისტემასთან ერთად. პრინციპული სხვაობა შეიმჩნეოდა იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც პრივატიზაციაზე როგორც საბიუჯეტო პრობლემების მოგვარების საშუალებაზე და მსხვილი კომპანიების სტრატეგიულ ინვესტორებისათვის მიყიდვაზე დადეს ფსონი (ესენია ლათინური ამერიკის სამი ქვეყანა და უნგრეთი). თითოეულმა მიიღო საბიუჯეტო შემოსავლის (ხოლო შემდგომში კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს) მნიშვნელოვანი რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ 2002 წელს არგენტინის ეკონომიკამ გადაიტანა უმძიმესი კრიზისი და არანაირად არ წარმოადგენს სტრუქტურული პოლიტიკის წარმატების შემთხვევას, არავინ დაეჭვებულა მისი პრივატიზაციული სტრატეგიის წარმატებაში.

90-იან წლებში, არგენტინის მთავრობამ მიიღო 45 მლრდ. აშშ დოლარი პრივატიზაციული შემოსავლი. საკითხავია, რას ხმარდებოდა სახსრები: განვითარებას თუ სახელმწიფო სოციალური მანდატების შენარჩუნებას?!

სახელმწიფო კომპანიების შეზღუდული რაოდენობის პრივატიზაციისას დიდი მოგება ნახა ბრაზილიის სახელმწიფომაც. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მათ მიიღეს ეს სახსრები და სტრატეგიული ინვესტიორები ზუსტად ათწლეულის დასაწყისში, რამაც შემდგომში დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. მისცა რა ნება მეტი წარმატებით გამოეყენებინათ 90-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკის ზრდის უნიკალური საშუალებები. ეს მეტწილად ეხება უნგრეთსა და მექსიკას, ნაწილობრივ თურქეთს, რომლებიც გავიდნენ კაპიტალების ბაზარზე და მოიზიდეს უცხოური ინვესტიციები ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში.

პრივატიზაციის არგენტინულმა პროგრამამ, რომლის რეალიზება დაიწყო 1990-დან 1997 წლამდე, სახელმწიფოს 21 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალი მოიტანა, მათ შორის 10.7 მლრდ. ფულადი სახსრების სახით, 3.5 მლრდ. სავალო ვალდებულებების სახით (საბაზრო კურსით) და 6.8 მლრდ. კი დაფარული ობლიგაციების სახით. მოგების ძირითადი ნაწილი მიღებულ იქნა ნავთობის და ნავთობგადამამუშავებელი კომპანიების, ბუნებრივი აირისა და ელექტრომონოპოლიების, ტელეკომუნიკაციებისა და საჰაერო ტრანსპორტის სისტემის პრივატიზაციისაგან. შემოსავალი პრივატიზაციისაგან მეტწილად ხმარდებოდა პრივატიზირებული კომპანიების დავალიანების დაფარვას და მათი სავალო ვალდებულებების შემცირებას. აღნიშნულ პერიოდში პრივატიზებული იყო 104 კომპანია, 128 გადაცემულ იქნა კერძო საკუთრებაში კონცესიის პირობებზე (მათ შორის 86 ნავთობის საბადო), 9 ასოციაციური მონაწილეობის პირობებზე, 5 კომპანიაში გატარებული იყო ბაზარზე აქციათა გაყიდვა. სახელმწიფო საწარმოთა 90%-ის პრივატიზაციამ პირველი ხუთი წლის განმავლობაში, 1990-დან 1994 წლამდე, შეამცირა სახელმწიფო სექტორის ზომა: თუ 1991 წლისათვის მასში დაკავებული იყო თანამშრომელთა 39%-ი, 1997 წლისთვის ეს ციფრი შეადგენდა მხოლოდ 6,9%-ს.

პრივატიზაცია ძირითადადში მიმდინარეობდა აუქციონზე გაყიდვის სახით ნებისმიერი ინვესტორის, მათ შორის არარეზიდენტების თავისუფალი დასწრებით. ამ გზით გაიყიდა ობიექტების უდიდესი ნაწილი (91%). აქციათა უმნიშვნელო ნაწილი (4%) საწარმოში მომუშავე პერსონალში გადანაწილდა. საჯარო აუქციონების მეშვეობით მსხვილმა დაინტერესებულმა ინვესტორებმა საწარმოთა საკონტროლო პაკეტები ჩაიგდეს ხელთ (რამაც საბოლოო ჯამში საკუთრების მართვა გააიოლა). პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ვალის შემცირებისკენ იქნა მიმართული. რეფორმების საწყის ეტაპზე შემოთავაზებული იყო (ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებისთვის მეტად საინტერესო გადაწყვეტილება) პრივატიზაციის დროს არა მარტო ფულის, არამედ არაფულადი ანგარიშწორების საშუალებების გამოყენება, ძირითადად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. ეკონომიკური რეფორმების და პროვატიზაციის შემდგომმა ეტაპმა, ე.წ. გეგმა „Real“-მა უფრო მეტად შეუწყო ხელი უცხოელი ინვესტორების მოზიდვას.

არგენტინისგან განსხვავებით პოლონეთმა საკმაოდ წარმატებულად გადალახა 90-იანი წლების კრიზისები, მაგრამ მან საწარმოთა მასიური პრივატიზაციის პროგრამები არ შეასრულა. მაკროეკონომიკური მდგრადობით პოლონელებმა უცხოელი ინვესტორებისათვის მომხიბვლელი ეკონომიკური ატმოსფეროს შექმნა შეძლეს. ისტორიკოსებს მხოლოდ არსებული მდგომარეობის კომენტირება დარჩენით, რომელშიც ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის რეფორმატორული პროგრამების, კერძოდ კი ვაუჩერებისა და ვაუჩერული ფონდის, ფორმირებაში ლიდერმა ქვეყანამ არ გამოიყენა თავისი გამოგონებები, მისცა რა ამით მსურველებს საკუთარ თავზე ცდების ჩატარების საშუალება.

ამ მაგალითში მოჩანს პრივატიზაციის შესაძლო სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტი. რაც მეტადაა სრულყოფილი ეკონომიკური გარემო და მაღალია კონკურენტუნარიანობა, მით მეტია საწარმოთა მიმართებაში ინვესტორთა ნდობა და მაღალია მათი საპრივატიზაციო ღირებულება. საპრივატიზაციო საკუთრების მაღალი ფასი დამოკიდებულია არა მარტო მიმდინარე მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, არამედ მის ისტორიასა და სტაბილურობაზე. ხოლო, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისადმი ნდობის თანდათანობითი მატება

ზრდის მათ საინვესტიციო მიმზიდველობას, შესაბამისად, საპრივატიზაციო საკუთრების როგორც სტაბილიზაციის საშუალების ფასს და ა.შ.

90-იან წლებში, სხვადასხვა ქვეყნების მიერ პრივატიზაციის დარგში მიღებული დიდი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია პრივატიზაციის რაციონალური სტრატეგიის შექმნა. მან შეიძლება მოიცვას მიზანთა რიგი ქონების გაცემიდან გაურკვეველი შეფასებისა და მაღალი ტრანსაქციული დანახარჯებიდან დაწყებული, და დამთავრებული აქციათა პაკეტის ან საკუთრების ელემენტების იმ მიზნით თანდათანობით გაყიდვით, რომელიც რჩება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის (დავალიანების დაქვეითება) ან მსხვილი ეროვნული ამოცანების (სოციალური, რეგიონალური ან სხვა ხასიათის) გადაწყვეტის ფარგლებში.

ვაუჩერულ სქემათა შემოღების შემდეგ წამოჭრილი კორპორაციული მართვის პრობლემები მეტად მწვავედ მოჩანს, ხოლო კაპიტალთა ბაზრისადმი მიახლოების საშუალება კორპორატიული მართვის გარკვეული დონის გარეშე კი საეჭვოდ გამოიყურება. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემისადმი უამრავი ლიტერატურაა მიძღვნილი. თითქმის ყველა ავტორი, საზგასმით აღნიშნავს, რომ უცხოურ ინვესტიციას არ შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირება. უცხოური კაპიტალი ბაზრის ფორმირების მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია, თუმცა მნიშვნელოვანი. უნგრეთში, პოლონეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში პრივატიზირების პირველივე წლებში სერიოზული უცხოური ინვესტიციების მოზიდვა შეძლეს. კორეაში, ჩეხეთსა და თურქეთში უცხოურ კაპიტალდაბანდებების გაზრდის იდეასთან შედარებით გვიან მივიდნენ. ყველას აინტერესებდა და აინტერესებს პასუხი კითხვაზე, რამდენად განსაზღვრავს საწარმოების სიდიდე და რაოდენობა უცხოური კაპიტალის მოზიდვას. ასევე რეალურია, რომ უცხოურ ინვესტორზე დადებითად მოქმედებს ფასები, რომლებიც ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებში ბევრად დაბალია. არ უნდა გამოირიცხოს ქვეყანაში აუცილებელი ინსტიტუციონალური საფუძვლების არსებობაც, ამ ფაქტორმა გადამწყვეტი როლი შეასრულა „აზიური კრიზისის“ დროს, ქვეყნებში სადაც უცხოური კაპიტალი მსხვილი მაშტაბით იყო წარმოდგენილი შედარებით მდგრადი აღმოჩნდა სიძნელეების გადალახვისას.

საქართველოში და გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნებში უცხოური კაპიტალი ხშირად ბიუროკრატიულ ბარიერებს უფრო აწყდებოდა, ვიდრე ეკონომიკურს. საინვესტიციო კლიმატის შესწავლით დასავლეთში სერიოზულად არიან დაკავებულები, აქ ჩართულა საინვესტიციო ბანკები, იურიდიული, სააუდიტორო და კონსალტინგური კომპანიები. მაგალითად აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში კაპიტალის განთავსების საშუალებებისა და გზების ძიებაში უფრო მეტი თანხებია დახარჯული, ვიდრე საქართველოს ეკონომიკაშია მთლიანად ინვესტირებული.

პრივატიზაციის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უცხოური კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი გამოკვეთილი წინააღმდეგობა ვაუჩერული მოდელია, როდელიც ფაქტიურად გარიყავს უცხოურ ინვესტიციებს, ფორმალური შეზღუდვების არარსებობის მიუხედავად. საქართველოს ეკონომიკაში უცხოური კაპიტალისადმი არსებული შედარებით ლიბერალური მიდგომის მიუხედავად, აუტსაიდერული ინვესტიციები ჯერ-ჯერობით დაბალი მაჩვენებლებისაა. ამის, ერთ-ერთი მიზეზი პრივატიზაციის საწყის ეტაპზე ვაუჩერულ აუქციონებზე აქცენტირებაა. უდავოა, რომ ასეთ პირობებში უცხოელ ინვესტორთან პირდაპირ ან პორტფელურ კაპიტალდაბანდებებზე მოლაპარაკებების წარმოება რთულია. აქტივების დაბალი სასტარტო ფასი მომავალში ართულებს ახალი მესაკუთრეების მიერ საკუთრების ნაწილის გაყიდვის საშუალებას (არსებობს დარჩენილ აქტივებზე კონტროლის დაკარგვის საშიშროება).

თუმცა, გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყანა რომელიც ცდილობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ამა თუ იმ ხერხით მაინც ახერხებს ამას. ჩეხეთის, სამხრეთი კორეის, ბულგარეთის, სლოვაკიის, პოლონეთისა და თურქეთის პრივატიზაციები საფინანსო ბაზრის სერიოზული არასტაბილურობის პერიოდში მიმდინარეობდა და ვითარდებოდა. ზუსტად ამ პერიოდში გამოვიდა ჯ. ნელისის ნაშრომი „დროა თავიდან გავიზრდეთ პრივატიზაცია გარდამავალ ქვეყნებში“. წიგნში ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ტრანსფორმაციული განვითარება დადებითად არის შეფასებული. პოლონეთის მაგალითი კი მთელი ამ პროცესის დროშად არის წარმოჩენილი. მასიური პრივატიზაციის წარუმატებლობები კი ლამის ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორამდგა დაყვანილი. ამ პოზიციას მხარს უჭერს მსოფლიო ბანკი,

რომელმაც პოლონეთი სამაგალითო ქვეყნად აღიარა, რესტრუქტურისაციის, პრივატიზაციის და საგარეო დახმარების წარმატებით გამოყენებაში. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საყოველთაო აღიარებებს ყველაზე მყარად მხარს უჭერდა სათითაოდ პრივატიზებული საწარმოების შედარებით მაღალი ფასები და 90-იანი წლების დასაწყისში უცხოური ინვესტიციების უზარმაზარი მაჩვენებელი. ყველაზე მაღალ აქტივობას იჩენენ გერმანელი, ფრანგი, ამერიკელი, ბრიტანული, იტალიური და ჰოლანდიური კომპანიები. ინვესტორთა სიებში ისეთი მხოლოდ დონის კონცერნებია, როგორც Fiat, General Motors, Daewoo, ABB, Unilever, Procter & Gamble, IPC, Philips, Pepsico, Philip Morris, Nestle. თუმცა დარეგისტრირებული 37 ათასი საწარმოდან, რომელშიც უცხოური კაპიტალი მონაწილეობს, მცირე და საშუალო ბიზნესი ჭარბობს. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც რომ პოლონეთის ექსპორტის 69% და იმპორტის 67% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის. თითქმის მსგავსი სასტარტო პოზიციების მქონე მეზობელ ჩეხეთში კი პრივატიზაციის ორი ტალღის დასრულებას დაემთხვა სამწლიანი დეპრესია, რომელის ერთ-ერთ მიზეზად კორპორატიული კონტროლის (Corporate governance) დაბალ ხარისხს ასახელებენ (ანუ ისევ და ისევ საპრივატიზაციო მოდელის შერჩევისას დაშვებულ შეცდომას).

საბოლოო ჯამში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ევროპის ქვეყნების საპრივატიზაციო პროცესების ყველაზე ღრმა ანალიზად ჯ. ნელისის ხსენებული ნაშრომი ითვლება (იმისდა მიუხედავად, რომ ზოგიერთ მოსაზრებებსა და დასკვნებს შეიძლება არ ვათანხმებოდეთ). იმისი მტკიცება, რომ პრივატიზაცია უკეთესია, ვიდრე მისი არარსებობა უდავოა, მაგრამ იგი საერთოდ არ განიხილავს ე.წ. „შერეული სცენარების“ დადებით მხარეებს, თუნდაც ჩეხეთის ტიპისას. მისი ერთადერთი ალტერნატივა კი წვრილი, საშუალო და ზოგ შემთხვევაში მსხვილი საწარმოების მასიური პრივატიზაციაა. შერეული სცენარის დროს საბიუჯეტო შემოსავლების მისაღებად რჩება ფართო გასაქანი, ასევე სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას უფრო ხელგახსნილი პოზიციებია, განსაკუთრებით საკვანძო და სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოების ბეგის გადაწყვეტისას.

თავი III

სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემები საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის პირობებში

3.1 ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდოლოგია და კრიტერიუმები

მიუხედავად ფორსირებული ტემპებით მიმდინარე რეფორმებისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისა, საქართველოში და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში ტრანსფორმაციის რეალური შედეგები ჯერ-ჯერობით არაა დამაკმაყოფილებელია. კერძოდ, გრძელდება ეკონომიკის სერიოზული სტაგნაცია: მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა 2003 წელს, 2002 წელთან შედარებით 3.7%-ით შემცირდა. მართალია, იყო ზრდის ეპიზოდებიც, მაგ. როგორც 1999 წლის 3%-იანი ზრდა და 2000 წლის 1.9%-იანი ზრდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, სადაც წარმოებული პროდუქციის მოცულობა ფაქტობრივად ერთ ადგილას გაიყინა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ინვესტიციების მოცულობა ეკონომიკაში მცირდება. 1998 წელს მან დაახლოებით 365.5 მილნ. აშშ დოლარი შეადგინა, 1999 წელს 182.0 მილნ. აშშ დოლარი, 2000 წელს 174.0 მილნ. აშშ დოლარი. მათ შორის მცირდება უცხოური ინვესტიციების აბსოლუტური მოცულობაც, ასევე მათი წილი ინვესტიციების საერთო მოცულობაში. ამ უკანასკნელმა მაჩვენებელმა, შესაბამისად, 78.3 %, 46.4% და 34.1% შეადგინა. ამ ფონზე არსებობს მწვავე საბიუჯეტო კრიზისი, როდესაც გაძნელებულია ხელფასების, პენსიების და სხვა სოციალური დახმარებების გაცემა. უკიდურესად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე, გაფართოვდა სიღარიბის მასშტაბები.

შემთხვევითი არ არის, რომ სსფ-მა და მსოფლიო ბანკმა 2002-03 წლებში ვითარების გაუმჯობესებამდე შეაჩერა მორიგი ტრანშების გამოყოფა. მაშინ, როდესაც მდგომარეობა ფინანსებსა და საგარეოეკონომიკურ სფეროებში განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო. დაახლოებით იდენტური მდგომარეობა შეიმჩნეოდა ტრანზიტული ეკონომიკის სხვა ქვეყნებშიც: მოლდავეთი, უკრაინა, უზბეკეთი და მონღოლეთი. ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმები ასევე ჩიხში მოექცა, რამაც საბოლოო

ჯამში სერიოზული პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვია. მართალია საქართველოში 2000 წელს ექსპორტი 1999 წელთან შედარებით თითქმის 90 მილნ. აშშ დოლარით გაიზარდა, მაგრამ ექსპორტში ჩვენდა სამწუხაროდ უდიდესი წილი ჯართს უკავია, რომელმაც 2000 წელს 50 მილნ. აშშ დოლარს გადააჭარბა. მეორე მხრივ, საქართველოს საგარეო ვალმა დაახლოებით 2 მლრდ. აშშ დოლარს გადასცდა, რაც მთლიანი შიგა პროდუქტის თითქმის 70%-ია. თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკის მომხმარებლურ ხასიათს, ინვესტიციების ნაკლებობას, ექსპორტის ზრდის სირთულეებს, მაშინ არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში საქართველოს 2003 წელს ლარის დევალაცია და დეფოლტის რეალური საფრთხე ემუქრებოდა, რასაც სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება მოყვებოდა. თუმცა, მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, რომ პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ საქართველოს დროებით შეუმსუბუქა ეკონომიკური მდგომარეობა.

ინტელექტუალური პოტენციალის „გადინების“ პროცესი დამანგრეველად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე. ამერიკელი სოციოლოგიური გამოკვლევით, სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ერთი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება დაახლოებით 700-800 ათასი აშშ დოლარი ღირს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ბოლო 15 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა „გადინების“ საშუალო რიცხვი 250-300 ადამიანს აღწევდა, დანაკარგი წელიწადში დაახლოებით 150 მილიონ დოლარის უდრის. თუ ამას დავამატებთ აგრეთვე პედაგოგთა, ექიმთა, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, კულტურის მოღვაწეებს, საქართველოში წლიური დანაკარგი თითქმის 1.5 აშშ დოლარს აღწევდა.

ასევე, ცნობილი ფაქტია, რომ თუ ფუნდამენტალური მეცნიერებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ხარჯები 5-6 წლის განმავლობაში, ეკპ-ის 2%-ზე დაბლა იწევს, მეცნიერების და ტექნოლოგიური პოტენციალის დაშლის პროცესი შეუქცევადი ხდება. შედარებისთვის, მეცნიერების განვითარების ხარჯები 2004 წლისათვის ევროპაში ასე გამოიურება: 1. დიდი ბრიტანეთი – 2,1% ეკპ; 2. გერმანია – 2,9% ეკპ; 3. იტალია – 1,3% ეკპ; 4. საფრანგეთი – 2,4% ეკპ; 5. ესპანეთი – 1,2% ეკპ; 6. შვედეთი – 1,9% ეკპ; 7. რუსეთი – 0,5% ეკპ;

ეს მაჩვენებელი ამერიკის შეერთებულ შტატებში 2,6% ეკვრება, ხოლო იაპონიაში 3,1% ეკვრება უახლოვდება. რა თქმა უნდა საქართველო, ვერცერთი ეკონომიკური მაჩვენებელით ვერ შეედრება აღნიშნულ ქვეყნებს. ევროკავშირის ყველზე სუსტი ქვეყნებიც კი 100-ჯერ უფრო მეტს ხარჯავენ მეცნიერების განვითარებაზე ვიდრე ჩვენი ქვეყანა. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალით საქართველო ფსკერისკენ შეუჩერებელი მიექანება. როგორც ამერიკელები იტყვიან: ქვეყანა თანდათან „შტერდება“. ეს კი ფართომაშტაბიანი და მასობრივი მოვლენაა. რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე და საბოლოოდ მის დამოუკიდებლობაზეც უარყოფით ზეგავლენას იქონიებს.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირება დროის მოთხოვნაა. თავისუფალ ბაზარზე, სადაც საკუთრების უფლებები ხელშეუხებელია, საქმიანი ადამიანისათვის საკმარისია თავისი დრო და ძალისხმევა მოახმაროს მყიდველის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, იქნება ეს საბოლოო მომხმარებელი, თუ სხვა მეწარმეები. წარმატებულ საწარმოებს მოგება მოაქვთ მფლობელებისათვის, რაც ბრძის ბიზნესის საბაზრო ღირებულებას.

საწარმოს, რომელიც ამ ამოცანას ასრულებს, სარგებლობა მოაქვს არა მხოლოდ მფლობელისათვის, არამედ წარმოებული მომსახურებისა და საქონლის მომხმარებლებისთვისაც. ამასთან, იზრდება ცხოვრების დონეც. მომხმარებლები სარგებლობენ საქონლითა და მომსახურებით, რომლებსაც წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღებდნენ, ყოველ შემთხვევაში, უფრო დიდი დანახარჯების გარეშე. ცხადია, მყიდველი იმიტომ მონაწილეობს ვაჭრობაში, რომ დარწმუნებულია, გაცვლისას მოგებას ნახავს.

მაგალითისთვის, დავუბრუნდეთ ჩვენს მიერ განხილულ მაღალი ტექნოლოგიების სფეროს. აქ მოღვაწე მსხვილმა კომპანიებმა და ე.წ. „ახალი ეკონომიკის“ მუშაკებმა, ბოლო დროს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიმართ თითქმის დემონსტრაციული სიძულვილის გამოხატვის სანაცვლოდ აშკარა დაინტერესება გამოავლინეს. როგორც, America Online-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ქვეით ბუშკინმა განაცხადა „ახალი ეკონომიკის“ მეწარმეებზე საუბრისას, „...ისინი თითქმის არ ერეოდნენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ბაგალიებში. ეს მოძველებულია და აქტუალური აღარ არის“. მაგრამ Microsoft-ის გამოცდილებამ ბევრი კომპანია

აიძულა ახლებულად შეეხედათ თავიანთი ძვირფასი რესურსების ხარჯვისათვის. გაირკვა, რომ დღეს უკვე საკმარისი აღარ არის მომხმარებლის დაკმაყოფილება.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის დეპუტატმა, კალიფორნიელმა დემოკრატმა ელენ ტოშერმა ერთგვარად შეაჯამა America Online-ის მენეჯერების აზრი: „სანამ Microsoft-ის საქმე არ გახმაურდა, მათ ეგონათ, რომ „ახალ ბიზნესს“ ვაშინგტონთან ნამდვილად არა აქვს კავშირი. საკუთარი თავი სამყაროს ცენტრი ეგონათ და მიაჩნდათ, რომ მათთვის ყველა ხელის შეშლას ცდილობდა“. ცხადია, რომ Microsoft-ის საქმე ბევრისთვის გარდამტეხ მოვლენად იქცა. ბილ გეითის ხშირად გამოთქვამდა სინანულს იმის გამო, რომ იშვიათად ჩადიოდა ვაშინგტონში. სახელმწიფოს რეგულირების სასარგებლოდ წარმოთქმული ეს მოსაზრება შეიძლება ბევრისთვის სადავოა, მაგრამ ძნელია ელენ ტოშერს საქმის უცოდინრობა დასწამო, იგი არც სოციალისტია და მითუმეტეს არც ანტიგლობალისტი, 100%-იანი ამერიკელი და ხარ-დათვების ბრძოლაში გამობრძმედილი ბიზნესმენი, უკვე 25 წლის ასაკში, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე სავაჭრო ადგილს ფლობდა.

პესიმისტები აცხადებენ, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ასეთი უხეში მეთოდები უარყოფითად იმოქმედებს როგორც ხსენებული სფეროს ისე მთლიანად ეკონომიკის განვითარებაზე. მათი აზრით, საკითხებს, რომლებიც ამჟამად განიხილება კონგრესში, შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს მაღალი ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე კომპანიებისა და ტექნოლოგიური ბაზრის განვითარებისათვის. დაიბეგრება თუ არა ინტერნეტით ვაჭრობა? როგორ გადაწყდება ინტელექტუალური საკუთრების საკითხები? სავარაუდოა ასევე, რომ მიღებული იქნება კანონმდებლობა კერძო ცხოვრების (Privacy) დაცვის და ქსელების საინფორმაციო უსაფრთხოების (Online Safety) შესახებ. უკვე დაიწყო საუბარი ციფრული ტექნოლოგიებიდან (Digital Divide) მიღებულ შემოსავლებში მონაწილეობის შესახებ. თავისუფალი ეკონომიკის მომხრეები საკუთარი სიმართლის მტკიცებისას ზოგჯერ უხეტ გამოთქმებსაც არ ერიდებიან, მაგალითად ჯიკაგოს სკოლის ერთერთმა ლიდერმა მიურეი როგბარდმა კონგრესის კომისიასთან შეხვედრაზე განაცხადა „ბიუროკრატიებმა ერთი ამბავი აგეხეს

იმის გამო, როგორ უზრუნველყონ ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მიღებული მოგების წილით მიკვლევადი „სოციალურად დაჩაგრულები“.⁶⁰

საბოლოო ჯამში, რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველა საკითხი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდა. კონგრესის მოსხენებაში აღნიშნულია, რომ „ამ საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ფუნქციების გაზრდა, თუკი ის საერთოდ, აპირებს მათ გადაჭრას და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფას“. თუმცა, დაპირისპირება გრძელდება, მეწარმეთა ეროვნული კომისიის აღმასრულებელი დირექტორი პატრიკ ფონ ბარგენი პროტესტს აცხადებს: "სამეწარმეო კომპანიები რისკის სამყაროში ცხოვრობენ. მათ არ სჭირდებათ დამატებითი რისკი, რომელსაც ქმნის დიდი და ძვირადღირებული სახელმწიფო".⁶¹ მაგრამ სახელმწიფო არ ავლენს რაიმე ნიშანს, რომ შეკვეცას აპირებდეს. სინამდვილეში ექსპანსიის ტემპები დაჩქარდა, მნიშვნელოვანწილად, მაღალი ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე კომპანიების წყალობით.

Business Week აღნიშნავს: „1990 წელს (ხსენებული სფეროდან) ფედერალურ მთავრობას მიჰქონდა 1 ტრილიონი დოლარი. წელს (იგულისხმება 2000 წელი) ამოიღება 2 ტრილიონი დოლარი. 2010 წელს ოფიციალური შეფასებებით ხაზინის მოსაკრებლები მიაღწევს 3 ტრილიონს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ, ამ ერთ 2010 წელს ხაზინა აპირებს მიიღოს უფრო მეტი ფული, ვიდრე შეგროვილი იყო პირველი კონგინენტური კონგრესიდან 1972 წლამდე!“.⁶²

Business Week-ში გამოქვეყნებული ინფორმაციები პარალელურად იწვევს მხურვალე „პროგრესული ერის“ პერიოდთან, როდესაც თანასწორობის იდეებით შეპყრობილი პოლიტიკოსები მათი ვარაუდით „მოოქროვილი საუკუნის დროიდან (1870-1989) შექმნილი უზარმაზარი სიმდიდრის“ კონტროლს მოითხოვდნენ. „პროგრესული ერის“ შედეგი იყო ე.წ. კაპიტალიზმის დამამუხრუჭებელი ზომები, გრესტების საწინააღმდეგო კანონები, შრომის კანონმდებლობის ჩათვლით და სხვა მარეგულირებელი შეზღუდვები. ამჟამინდელი პრეზიდენტობის კანდიდატების ამბიციური წინასა-არჩევნო პროგრამები რაიმეს მანიშნებელია, ჩვენ მალე გავხდებით სახელმწიფო ხარჯების უმაგალითო ზრდის და ეკონომიკაში საახელმწიფოს არნახული ჩარევის მოწმენი.

⁶⁰ Murray N. Rothbard, *Conceived in Liberty*, Vol. I (Auburn, AL: The Mises Institute, 2000), p. 260

⁶¹ Lee W, Richard D, and Howard G, - *The Politics of Prosperity*", Business Week, August 7, 2000

⁶² Ходов Л. - *Налоги и регулирование экономики*. М, 2003, стр. 101

თუმცა ამერიკელი ეკონომისტის მ. როტბარდის აზრით „ინტერვენციონისტული სახელმწიფო არა მხოლოდ თავს გვახვევს იმისგან განსხვავებულ სტრუქტურებს, რაც თავისუფალ ბაზარზე ჩამოყალიბებულა, ამასთან ერთად, იგი იწვევს პარალელური ბიუროკრატის შექმნის აუცილებლობას, რომელიც ჩარევისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და მასზე გავლენის მოსახდენად არის საჭირო. მეწარმეები არანაკლებ დაინტერესებული აღმოჩნდებიან საკუთარი კანონმდებლების და "მარეგულირებლების" დაკმაყოფილებაში, ვიდრე თავიანთი მომხმარებლების დაკმაყოფილებაში“.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდოლოგიის მთავარი განმსაზღვრელი - ეფექტიანობაა, რაც პირველ რიგში გამოიხატება სხვადასხვა წინააღმდეგობების გადალახვაში:

- ეკონომიკური წინააღმდეგობები: მათ შორის საგადასახადო, საკრედიტო, ინვესტიციური, ფასების, კაპიტალის დაბანდების და ა.შ.

- ადმინისტრაციული წინააღმდეგობები: საწარმოთა რეგისტრაციის პროცედურები, ლიცენზირებისა და სერტიფიცირების პრობლემები, ექსპორტ-იმპორტის, კვოტირების, ტარიფების, არასატარიფო აკრძალვების პრობლემები და ა.შ. 1. ბაზრის შეზღუდული მოცულობით გამოწვეული წინააღმდეგობები, ანუ მოთხოვნის შემზღუდველი წესები; 2. საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა და მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები; 3. ეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეული წინააღმდეგობები (ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის შეზღუდვები); 4. ბუნებრივი რესურსების იშვიათობა: გარემოს დაცვის აუცილებლობით გამოწვეული წინააღმდეგობები; 5. ჩრდილოვანი ეკონომიკით და სხვა კრიმინალური ხასიათის მიზეზებით გამოწვეული წინააღმდეგობები; 6. სამრეწველო ინფრასტრუქტურის, მათ შორის ენერჯეიკის განუვითარებლობით გამოწვეული პრობლემები.

თანამედროვე ინსტიტუციური თეორია სახელმწიფოს ორ ძირითად მოდელს განიხილავს: კონტრაქტული და ექსპლუატატორული სახელმწიფო. კონტრაქტული სახელმწიფო იყენებს ე.წ. ძალადობაზე მონოპოლიას, მხოლოდ მოქალაქეების მიერ მისდამი დელიგირებული ურთიერთობების ფარგლებში და მათი ინტერესებისათვის, ხოლო მოქალაქეები გადასახადების გადახდას განიხილავენ არა როგორც

სანქციას, არამედ, როგორც თავიანთ ვალდებულებას.. ექსპლუატატორული სახელმწიფო ე.წ. რეკეტის მსგავსია. (ცხრილი № 3.1)

ცხრილი №3.1.1: კონტრაქტული და ექსპლუატატორული სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლები

მახასიათებლები	კონტრაქტული	ექსპლუატატორული
მიზანი	საზოგადოების წევრების ერთობლივი შემოსავლების (მშპ) მაქსიმიზაცია, ტრანსაქციული დანახარჯების შემცირება.	სახელმწიფო აპარატის მაკონტროლებელი ჯგუფის შემოსავლების მაქსიმიზაცია.
ფუნქციები	ინდივიდებს შორის გარიგებების გარანტი, საკუთრების უფლებების სპეციფიკაცია და დაცვა.	აქტიური ჩარევა ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში.
ინსტრუმენტი	შეზღუდულია სოციალური ხელშეკრულების და კონსტიტუციური ჩარჩოები.	დამოკიდებულია მხოლოდ სახელმწიფოს მაკონტროლებელი ჯგუფის ნებაზე.
პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმი.	პრინციპალი – მოქალაქეა: დემოკრატიული კონტროლის მექანიზმები, კონსტიტუციური ჩარჩოების და ალტერნატივების არსებობა. პრინციპალი – სახელმწიფოა: კანონისადმი ნებაყოფლობითი მორჩილება, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობისადმი.	პრინციპალი არ არის მოქალაქე, არამედ სახელმწიფოა, ამიტომ დამახასიათებელია იძულებისა და ძალდატანების გამოყენება.
საბიუჯეტო შეზღუდვა	შკაძრი, რომელიც განპირობებულია ბიუჯეტის დამტკიცების დემოკრატიული პროცედურით.	რბილი.
შემოსავლების ძირითადი სტადიები	საგადასახადო შემოსავლები, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო გადასახადებისაგან.	კონფისკაციური გადასახადები და არასაგადასახადო შემოსავლები.
გასავლების ძირითადი სტადიები	იუსტიცია, სამართალდამცავი საქმიანობა.	თავდაცვა, სახელმწიფო მართვა, სამართლებრივი საქმიანობა.
ბიუჯ. დეფ. დაფარვის წყაროები	სესხები საგარეო ბაზარზე.	შიდა ბაზარზე, ადგიულ ვალდებულებებზე.

ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნების შესწავლა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ კონტრაქტული და ექსპლუატატორული სახელმწიფოს მახასიათებლები. მოცემული ცხრილიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი სხვაობაა ამ ორ ძირითად ტიპს შორის. მიზნობრივ სფეროში კონტრაქტული სახელმწიფოსათვის მთავარია მოქალაქეების კეთილდღეობა, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიგა პროდუქტის მაქსიმილიზაცია, მაშინ, როდესაც ექსპლუატატორული სახელმწიფოსათვის მთავარია სახელმწიფო აპარატის მაკონტროლებელი ჯგუფის კეთილდღეობა და მათი შემოსავლების მაქსიმიზაცია. ჯ. ბიუკენენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონტრაქტული სახელმწიფოს პრიორიტეტია სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების დაცვა, ხოლო ექსპლუატატორული სახელმწიფოსათვის ჩვეულებრივი მოვლენაა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში. თუმცა იგი იქვე აღნიშნავს, რომ ეს ჩარევა ბიუროკრატიის ჯგუფური ინტერესების სარეალიზაციოდ ხდება. სად გადის ზღვარი სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგულირებისას და რა შემთხვევაში შეიძლება რეგულირების ესა თუ ის ფორმა ჩაითვალოს კონტრაქტულად ან ექსპლუატატორულად? ამ კითხვაზე პასუხს საქართველოს და ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნების მოქალაქეებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეკონომიკური რეფორმების შედეგი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რეგულირების რა კრიტერიუმებით და მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობდნენ რეფორმატორები. პოზიციების უფრო ზუსტი დაფიქსირებისათვის ჩამოვყალიბოთ ის აღიარებული კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების დონე:

1. არასაგადასახადო შემოსავლების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში. საქართველოში 2003 წლისათვის იგი მთლიანი შიგა პროდუქტის მხოლოდ 0.6 %-ს შეადგენდა, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია და სახელმწიფოს განუვითარებლობაზე მეტყველებს. არასაგადასახადო შემოსავლები მოიცავს: შემოსავლებს ეროვნული ბანკის მოგებიდან, გაცემული სახელმწიფო კრედიტების დაბრუნებას, შემოსავლებს საკუთრებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან, ადმინისტრაციული ჯარიმებითა და სანქციებით მიღებულ შემოსავალს, ადმინისტრაციულ მოსაკრე-

ბლებს, შემოსავლებს არაკომერციული და თანმდევი სანქციებიდან. საქართველოში 2000 წელს არასაგადასახადო შემოსავლებმა ბიუჯეტში 20 მლნ. ლარზე ოდნავ მეტი, ანუ მცირე თანხა შეადგინა, თუმცა შეიძლებოდა იგი გაცილებით უფრო მაშტაბური ყოფილიყო, განსაკუთრებით კი გაცემული სახელმწიფო კრედიტების დაბრუნების, საკუთრებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავლის სფეროში. სახელმწიფოს არაეფექტურობის გამო ამ შესაძლებლობების გამოყენება არ ხდება.

2. ხუთი საბაზისო გადასახადის (მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი) წილის ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტში და მთლიან შიგა პროდუქტში გვიჩვენებს საბაზრო მეურნეობის გაფართოების და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირებისას ფისკალური ბერკეტის გამოყენების ეფექტურობას, თუმცა, საქართველოში აბსოლუტური მოცულობით, საგადასახადო შემოსავლები მცირეა და დინამიკურ განვითარებას ვერ უზრუნველყოფს.

3. ხარჯები თავდაცვასა და სახელმწიფოს მართვაზე. მართალია, საქართველოს თავდაცვის ხარჯები მცირეა, თუნდაც გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ ეს უფრო მეტად სახელმწიფოს სისუსტიტაა განპირობებული, რომელსაც არ შეუძლია დააფინანსოს თავდაცვის ელემენტარული მოთხოვნები, სამაგიეროდ შედარებით მაღალია სახელმწიფო მართვაზე და საზოგადოებრივ წესრიგსა და უშიშროებაზე გაწეული ხარჯები. ამ უკანასკნელთა ჯამური წილი მთლიანი შიგა პროდუქტის მიმართ 2003 წელს თითქმის გაუტოლდა სახალხო მეურნეობის მომსახურებაზე ბიუჯეტიდან გაწეული სახსრების წილს. ეს მონაცემებიც ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერების ტენდენციასა და ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენილობაზე მეტყველებს.

4. სახელმწიფო გასავლების წილი მთლიანი შიგა პროდუქტის მიმართ. იგი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი. 2000 წელს ეს მაჩვენებელი საქართველოში 16%-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც აშშ-ში იგი დაახლოებით 23%-ია, ამ კრიტერიუმის მაჩვენებელი ამ ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება, საფრანგეთში 42, ბელგიაში 51,

ინდოეთში 18, რუსეთში 12, უკრაინაში 14%-ია. დასავლეთის ქვეყნებში მისი შედარებით მაღალი დონე გამოწვეულია იმით, რომ იქ სახელმწიფო ორიენტირებულია მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის ინტერესების დაცვაზე. ამიტომ ამ მაჩვენებლის სიმცირე საქართველოში ან უკრაინაში არ არის საბაზრო ეკონომიკაზე სახელმწიფოს გადასვლის უშუალო მაჩვენებელი. პირიქით, მისი სიმცირე სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ პროცესებზე ზეგავლენის უუნარობაზე და სისუსტეზე მეტყველებს.

5. გადასახადების აკრეფის დონე და სახელმწიფოსადმი მოქალაქეების ნდობის ხარისხი. საგადასახადო წილი მთლიან შიგა პროდუქტში 2000 წელს შეადგენდა 7.6%-ს, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში 20-30 %-ის ფარგლებშია. ესეც სახელმწიფოს ხელში არსებულ ეკონომიკის რეგულირების საშუალებების გამოუყენებლობაზე მეტყველებს.

ამგვარად, საბაზრო ურთიერთობების განვითარება უდავოდ მიუთითებს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პოზიტიურ როლზე. მაგრამ, იმავდროულად ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმი მიუთითებს, რომ საქართველოში სახელმწიფოს ხელში არსებული ბერკეტები ზოგჯერ გადაჭარბებულად, ზოგჯერ კი არასაკმარისად გამოიყენება. მართალია, საგადასახადო შემოსავლები ნომინალურად იზრდება, მაგრამ აშშ-ს დოლარებში გამოხატული, იგი ბოლო წლებში ფაქტობრივად არ გაზრდილა. სხვა კრიტერიუმები კი, აშკარად ე.წ. ექსპლუატატორული სახელმწიფოსაკენ მოძრაობას ადასტურებს.

ასეთ პირობებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანად განხორციელებისათვის, საქართველოს მომავლისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ტრანსფორმაციის პოლიტიკური სტრატეგიის მისაღწევად კონკრეტული ღონისძიებები იძენს. ამისთვის მთავარია, პირველ რიგში, პოლიტიკური სტრატეგიის ძირითადი მიზნის კონცეფციის ქვეყნის განვითარების ფუნდამენტური მიმართულების სწორად განსაზღვრა, მეორე, ყველაზე უფრო ძირეული სტრატეგიული გარდაქმნების მაქსიმალურად მოკლე დროში შესრულება.

სტრატეგიული მიზნებისა და განვითარების ფუნდამენტური მიმართულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის სწორი შერჩევა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებისათვის მთავარი სირთულეა.

არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა დამოუკიდებელი კერძო მესაკუთრეებისა და მეწარმეების ფენის არსებობა. განსხვავებული ეკონომიკური ინტერესების მიუხედავად, მათ პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად საერთო ინტერესი აერთიანებთ.

ზემოთ აღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი: სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ტრანსფორმირდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, მისი ზომა, მეთოდოლოგია, ხარისხი განპირობებულია ობიექტური ტენდენციებით რომელთა ნაწილი იწვევს მის ამაღლებას, ნაწილი მის შემცირებას. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ამაღლება არ გულისხმობს მისი მეწარმეობრივი საქმიანობის გაფართოებას. ეს შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მოხდეს, ომების ან სხვა ექსტრემალურ სიტუაციაში. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ამაღლება გულისხმობს მისი ეკონომიკური ფუნქციების როლის ამაღლებას, რომელთაგან თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: 1. ეროვნული ინტერესების რეალიზაციის ფუნქცია, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის მდგრად და უსაფრთხო განვითარების, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას გულისხმობს; 2. ეკონომიკის ინსტიტუციური – სამართლებრივი მოწყობის ფუნქცია, რომლის ძირითადი ელემენტებია ქვეყანაში წესრიგის, სოციალური თანასწორობის, კონკურენციის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის და შრომის კულტურის დამკვიდრება; 3. „ბაზრის ფიასკოს“, ექსტრენალიების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების, პროფილაქტიკის ფუნქცია; 4. ეკონომიკის რეგულირების, ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ფუნქცია, მათ შორის, ფინანსურ-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, სოციალური, სტრუქტურული, რეგიონული, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა.

თანამედროვე პირობებში საქართველოს საზოგადოებაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ ქვეყნის გადარჩენა და სოციალ-ეკონომიკური პროგრესი განუყრელადაა დაკავშირებული მსოფლიო ქვეყნების განვითარების ტენდენციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობასთან. რეფორმების დაწყებისთანავე საზო-

გადლება ორ ჯგუფად გაიყო. ერთში იგულისხმება მბრძანებლური ეკონომიკის თანდათანობითი, ევოლუციური ტრანსფორმაცია საბაზრო ეკონომიკაში, ხოლო, მეორეში – რადიკალური, სწრაფი ტრანსფორმაცია, მბრძანებლური ეკონომიკის მოშლა სახელმწიფოს საკუთრების მასშტაბური პრივატიზაციით, სახელმწიფოს როლის მინიმიზაცია ეკონომიკაში, მისი შეზღუდვა ძირითადად ფულის მიმოქცევის რეგულირებით, „ბაზრის უხილავი ხელის“ მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება და სახელმწიფოს როლის დაყვანა „ღამის დარაჯის“ ფუნქციამდე.

დღემდე სათანადოდ არ არის გათვინობიერებული სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი ეკონომიკის ინსტიტუციურ მოწყობაში, მათ შორის, საკანონმდებლო, სამართლებრივ მოწყობაში, სახელმწიფო მართვის ვერტიკალის ჩამოყალიბებაში, კონკურენციის დამკვიდრებაში, ბიზნესის ხელშეწყობაში და ა.შ. სწორედ ამის შედეგია, რომ სადღეისოდ გვაქვს არასრულყოფილი კონკურენტული საბაზრო მეურნეობა. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმიზაციისაკენ აღებულმა კურსმა გამოიწვია მისი მარეგულირებელი ფუნქციის შეზღუდვა მხოლოდ ფულადი მასის რეგულირებით, მონეტარული მეთოდებით. ფაქტობრივად სახელმწიფომ უარი თქვა სტრუქტურული, მეცნიერულ-ტექნიკური და ინვესტიციური პოლიტიკის გატარებაზე. კონკურენტული საბაზრო გარემოსა და სუბიექტების უქონლობის პირობებში შეიქმნა მართვის ვაკუუმი, რომელიც ადვილად ივსება მაფიოზური და ჩრდილოვანი ურთიერთობებით. აქედან ჩანს, რომ სახელმწიფო, როგორც სახელისუფლებო სტრუქტურა ვერ განსაზღვრავს ბაზარზე სამეურნეო სუბიექტების ქცევის წესებსა და მათი ფუნქციონირების პირობებს, ამიტომ მთავარია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს პირველ რიგში.

3.2 ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ალტერნატიული მოდელები და მისი გამოყენების სპეციფიკა საქართველოში

გერმანული ეკონომისტი ოლაფ ჰერზემანი აღნიშნავს გერმანიის ეკონომიკურ და საფინანსო პოლიტიკაზე მეცნიერ-ეკონომისტების გავლენის შესუსტებას. ამ სფეროში, მაგალითად ფედერალურ სამინისტროთა თანამშრომლებს შორის, იგრძნობა პროფესიონალ-იურისტთა აშკარა უპირატესობა. გერ-თან მოქმედი საექსპერტო საბჭოს დასკვნების

შემუშავებისას, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტები, მათ აზრს ნაკლები ყურადღება ექცევა.

გფრ-ის „ხუთი ბრძენის“ – წამყვანი კვლევითი ეკონომიკური ინსტიტუტების მიერ მომზადებულ ქვეყნის ეკონომიკური კონიუნქტურის ყოველწლიურ ანალიტიკურ მიმოხილვას ზედაპირულად ეცნობიან სამინისტრო სტრუქტურებში. ეს, როგორც ჩანს, დაკავშირებულია იმასთან, რომ აღნიშნული დოკუმენტები ატარებენ რა აწონილ ხასიათს ყველა მოვლენისა და კონტრმოვლენის დაწვრილებითი მიმოხილვით, მოცულობით მეტად ფართოა (1964 წლიდან, როდესაც გამოშვებული იყო პირველი საექსპერტო მიმოხილვა, მათი მოცულობა გაიზარდა თითქმის სამჯერადად). თანდათანობით ქრება ფედერალურ სამინისტროებთან პატივცემული სამეცნიერო საბჭოების ცხოველქმედება. მეცნიერებს სერიოზულად აფიქრებს მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის ეფექტური დიალოგის არარსებობა.

საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის სუსტი მეცნიერული საფუძველი იზრდება იმ პერიოდში, როდესაც იგრძნობა ეკონომიკურ რეფორმათა გატარების მწვავე აუცილებლობა, ე.ი. გერმანულ მეცნიერთა აზრით, მაშინ, როდესაც ეკონომიკური კურსის შემუშავებისას საჭიროა პროფესიონალიზაციის მეტად მაღალი დონე.

რაც შეეხება ევროპის საბჭოში შემავალ სხვა ქვეყნებს, მათში მეტად შეიმჩნევა სახელმწიფოს პირველ პირთა შორის დიპლომირებული ეკონომისტების არსებობა (იტალიაში – რ. პროდი, დანიაში – პ. რასსმუსენი, საბერძნეთში – კ. სიმიტისი, ავსტრიაში – ვ. კლიმა).

XX საუკუნის ბოლოს ეკონომიკურ თეორიაში გარდამტეხ პუნქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს 1997 წლის იანვარში შემდეგი წიგნების გამოჩენა - რ. კატნერის „ყველაფერი გასაყიდად: ბაზრის ღირსებები და შეზღუდვები“ და უილიამ გრეიდერის „მსოფლიო ერთიანია, მზად არის თუ არა: გლობალური კაპიტალიზმის მანიაკალური ლოგიკა“. ორივე ავტორის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მსჯელობა ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ დაბრუნებულ იქნეს საზოგადოებრივი დისკუსიის სფეროში, არ იყოს გათვლილი მხოლოდ ეკონომისტ-პროფესიონალთა ვიწრო წრეზე. ავტორებმა გადაწყვიტეს აღჭურვონ განათლებული მკითხველი აუცილებელი ტექნიკური ლექსიკითა და ანალიზის ინსტრუ-

მენტებით, რმო ისიც გახდეს საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრებაზე მოქმედი პოლიტიკური გადაწყვეტილებების ღია განხილვის მონაწილე.

კატნერს, ეყრდნობა რა „რეალური სამყაროს“ ეკონომიკას, მოყავს არგუმენტები ეკონომიკური თეორიის და დაგროვებული თანამედროვე გამოცდილების შესწავლის სასარგებლოდ. ის ამტკიცებს, რომ ეკონომიკას არ შეუძლია ფუნქციონირება სოციალური სისტემის გარეშე, რომელიც მას მხარს უჭერს.

ისტორიულ-ეკონომიკური მიდგომის საფუძველზე კატნერი იკვლევს აშშ-ის შრომის, ჯანდაცვისა და ფულად ბაზარს, აჩვენებს ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ბუნებრივი მომნობილობის სფეროში საბაზრო ჩაგარდნების კონკრეტულ ისტორიულ მაგალითებს, რათა შემდგომში თავს დაესხას ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიას. ამ თეორიის თეორიული საფუძვლის შემადგენელი მათემატიკური მოდელების მოწონებით, კატნერი თანადროულად ამტკიცებს, რომ თავისი არსით ის საკმაოდ ნაკლებია და აკრიტიკებს დედუქციურ და ზოგჯერ ტავტოლოგიურ ლოგიკას, რომლის საფუძველზეც არის აშენებული ელევანტური მოდელები. სთავაზობს რა მკითხველს ნეოკლასიკური პოლიტიკის რეალიზების შედეგებს, კატნერი აჩვენებს, რაოდენ ცუდათ მოქმედებენ პრაქტიკაზე თეორიული მოდელები და აკრიტიკებს ფუნდამენტურ მდგომარეობას, რასაც „რწმენათა სისტემას“ უწოდებს.

სხვა ავტორი – უ. გრეიდერი გვთავაზობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოკლე ჩანახატებს. მას მოყავს ინტერვიუები ლონდონისა და ფრანკფურტის პროფკავშირის აქტივისტებსა და ბანკირებთან, ჩინეთისა და ტაილანდის ტრანსნაციონალური კომპანიების ინსპექტორებთან, იმისათვის რომ, აჩვენოს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილის ურთიერთკავშირი და წარმოგვიდგინოს, თუ როგორ ხვდებიან ცალკეული პირები სისტემის ბადეებში, რომელიც ინდივიდუალურ რიგში არ კონტროლირდება.

სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის შესახებ: შესაძლოა, ჩვენთვის მეტად საინტერესო იყოს, რომ ორივე ავტორი ხაზს უსვამს ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს ცენტრალურ როლს. კატნერი წერს ამერიკის ისტორიიდან გამომდინარე: „უპირველეს ყოვლისა, მას სააშკარაოზე გამოყავს იმ იდეის სიცრუე, რომ აშშ ისტორიულად იყო

laissez-faire ქვეყანა. ადრეულ სტადიაზე ამერიკის რესპუბლიკა სიფრთხილით აღიქვამდა საფინანსო და სავაჭრო გარეშე ზეგავლენას. მთელი ისტორიის მსვლელობაში, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდეც კი, აშშ-ში მოქმედებდა მაღალი საბაჟო ტარიფები. ქვეყანა ასევე ატარებდა მნიშვნელოვან და ინტერვენციულ სამრეწველო პოლიტიკას.

მეორეს მხრივ, დღევანდელ დღეზე შეინიშნება მკვეთრი სხვაობა აშშ-ს პოლიტიკასა, რომელიც ტარდებოდა მისი არსებობის პირველი 200 წლის მანძილზე, და იმ რჩევებს შორის, რომლებსაც ეს ქვეყანა აძლევს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს... ბოლო წლებში ამერიკის მთავრობა და კერძო ინვესტორები იყენებდნენ მნიშვნელოვან გლობალურ დიპლომატიურ ინსტრუმენტებს, რათა მიემართათ განვითარებადი ეკონომიკები კერძო უცხოური ინვესტიციების სტიმულირების, უცხოური მეწარმეების დისკრიმინაციის პოლიტიკის უარყოფისაკენ - საპირისპიროს ეროვნულისა და სახელმწიფო ინვესტიციების, რეგულირების, სუბსიდიებისა და საკუთრებაზე უარის თქმისაკენ.

სსფ და მსოფლიო ბანკი არსებითად როგორც აშშ-ს დაქვემდებარებულები, ასევე იყენებდნენ თავიანთ მნიშვნელოვან ზეგავლენას, რათა დაერწმუნებინათ განვითარებადი ქვეყნები... საბაზრო მექანიზმებზე მინდობის აუცილებლობაში ეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის გატარებისას და ასევე, რათა ეკონომიკური განვითარების მიზნებში არ მიემართათ სახელმწიფოს კრედიტებსა ან სამრეწველო პოლიტიკის გატარებისათვის... ამერიკელი ეკონომისტები – თავისუფალი ბაზრის მიმდევრები და დიპლომატები ძირითადად აიგივებენ laissez-faire-ს პოლიტიკას თავიანთ შეფასებებთან წარმატებულად მოფუნქციონირე გვიანინდუსტრიული ქვეყნებისა, როგორცაა იაპონია, სამხრეთი კორეა, რომელთა პოლიტიკა სინამდვილეში ატარებდა საპირისპირო ხასიათს...”⁶³

გარკვეული გამარტივებით შესაძლოა აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების შედარება. პირველი რეგიონი მისდევდა ტოკიოს მაგალითს და აღწევდა შესაშურ შედეგებს. მეორე მიყვებოდა რა ვაშინგტონსა და უოლ-სთრითს, თან სდევდა კრიზისები. ლათინური

⁶³ Портер М. Такеути Х. Сакакибара М. - Японская экономическая модель: Может ли Япония конкурировать? Москва, 2003. стр. 202

ამერიკა ვალების აღებასა და ინვესტიციებში უმეტესწილად ეყრდნობოდა უცხოურ კაპიტალს... აზიური ქვეყნები ახორციელებდნენ ეკონომიკურ სტრატეგიას მიმართულს თავიანთ ქვეყნებში დანაზოგების სტიმულირების, საკუთარი ეროვნული სამრეწველო სტრუქტურების დაფინანსებისათვის საკმარისი კაპიტალის დაგროვებისაკენ. ერთმანეთს დაკარგა პოზიციები მსოფლიო ბაზარზე, მეორემ თითქმის გააორმაგა თავისი წილი. მსგავსი სხვაობები პოლიტიკურ წრეებში მუდმივ დისკუსიას ბადებდა და უპირისპირდებოდა ორივე მოდელს.

საინტერესოა, ასევე გრეიდერის დასკვნა სახელმწიფოს როლის იაპონური მიდგომის შესახებ: „იაპონიის სახელმწიფო კეთილდღეობა თვით საწარმოებში იყო „ჩამონტაჟებული“: წარმოების სხვადასხვა სექტორის ათასობით კომპანიაზე არის გადანაწილებული სოციალური ვალდებულებები და მათი განხორციელება არაპირდაპირ ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის სტრუქტურიდან ფინანსდებოდა“.

იაპონური მოდელის არსი სამუშაო ადგილებამდე დაიყვანება, რა თქმა უნდა ძირითადად კერძო სექტორის ხარჯზე, იაპონელების მიმართულება ერთმნიშვნელოვანი იყო - სამსახურის მოძებნა არ უნდა ყოფილიყო პრობლემა. შესაძლებელია, სამუშაო ადგილი მოსაწყენი და ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მილიონობით ადამიანი დასაქმებული და უზრუნველყოფილია. ამით, აიხსნება XX საუკუნის მეორე ნახევარში, იაპონიაში უმუშევრობის დაბალი მაჩვენებელი და სოციალური ხარჯების მცირე ზომები. სამუშაო ადგილების მფლობელები კი ამ სისტემაში, საკუთარი სოციალური გარანტიების (ფორმალური და არაფორმალური) განხორციელებას ახერხებდნენ.

საბოლოო ჯამში, მსოფლიო მაშტაბით, იაპონიის ეკონომიკა არაეფექტური გამოდგა. ეკონომიკის ეფექტური სექტორები, რომლებიც საექსპორტო პროდუქციას აწარმოებდნენ, ლოკომოტივების როლს ასრულებდნენ და ჩამორჩენილების რჩენით იყვნენ დამძიმებულები. ეკონომიკის დარგები ნელნელა წინ მიიწევდნენ, მაგრამ ჩამორჩენილობის დაძლევა მაინც ვერ ხერხდებოდა. ამ წინააღმდეგობის სოციალური არსი უბრალო რეალობაშია: იაპონელების უმრავლესობა დასაქმებული იყო არა სახელგანთქმულ საექსპორტო სფეროებში, როგორც მანქანათმშენებლობა, მძიმე მრეწველობა, ავტომობილების წარმოება და ა. შ.

არამედ კვების მრეწველობაში. ამ სპეციფიკურ თანაფარდობაშია ბოლო 30 წლის იაპონიის ეკონომიკური სტრატეგიის წარმატების მიზეზი, რაც შემოსავლების ფართო გადანაწილებას გულისხმობს.

თავისუფალი ბაზრის ზოგიერთი მომხრეებიც კი ამხნევს, რომ განდიდებული laissez-faire-ს „უხილავი ხელის“ ობიექტურობა პირობითია და მიმართულია მოკლევადიანი, იმავდროული, მიკრომაშტაბის მოგებაზე. თავისუფალი ბაზარი არ ფლობს თვითკონტროლის მექანიზმებს. ბაზრის ახლომხედველობა, რომელსაც ეწირება სოციალური, ეკოლოგიური, მორალური და თვით ეკონომიკური მდგომარეობა, საზოგადოებას იძულებულს ხდის ბაზრის მიერ მიყენებული ზარალის შემცირების მექანიზმების შექმნა.

ამიტომ laissez-faire ალბათ უფრო პოლემიკის კომპონენტია, ვიდრე სერიოზული პოლიტიკისა. თუმცა, შეუზღუდავი ბაზრის მომხრეთა უმრავლესობა, არ გამოთქმავს სურვილს იცხოვროს იმ საზოგადოებაში, რომელიც ბაზარმა ჩამოაყალიბა. თავისუფალი ბაზრის მომხრეთა მიზანია საკუთარ ხელში მატერიალური დოვლათი სულ უფრო მეტი რაოდენობის კონცენტრაცია. უახლოეს პერსპექტივებში ისინი უკვე არსებულ პოზიციებს გამოიყენებენ კიდევ უფრო გამდიდრებისთვის. ისტორიული გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ შემოსავლების „ხემდგომების“ სასარგებლოდ გადანაწილებას, ღარიბებსა და მდიდრებს შორის საზღვრის ზრდას ახალი კატაკლიზმების, დეპრესიის, ომის და ტოტალიტარიზმისკენ მიყვავართ.

რაც შეეხება საქართველოს, laissez-faire-ს, ასეთი ხედვა სრულიად რეალურია. თუ საწინააღმდეგო ძალები, მოქალაქეთა გაერთიანებები, პროფკავშირები, დემოკრატიული ძალები მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სუსტია, ჩვენთან ისინი თითქმის არ არსებობენ. ხელისუფლებისათვის ბრძოლას კი თავისუფლად შეუძლია ჩამოაყალიბოს ყველაზე უარესი საზოგადოება, რომელიც laissez-faire-ზეა დაფუძნებული და „უხილავი ხელის“ ნაცვლად ხალხი „ძლიერ ხელს“ მიიღებს.

უსამართლობა იქნება თუ ვიტყვით, რომ რეფორმები და სხვა ახალი იდეები სწრაფად და რაციონალურად გახდებიან დომინანტები... ფაქტია, რომ პოლიტიკური ძალა, რომელიც შეწინააღმდეგება რეორმებს, ყოველთვის სმომცველია, ხოლო მხარდაჭერა თითქმის ყველგან სუსტია.

ადამიანური რეალობისგან აბსტრაგირებული, ბაზრის შიგა მექანიზმები სრულყოფილების, ლოგიკურობის და თვითკორექციის შთაბეჭდილებას წარმოქმნიან. ბევრი ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანი განადიდებს ბაზრის პრინციპებს, როგორც ერთგვარ „კოდექსს“, რომელიც გადაჭრის ძირითად პრობლემას, სოციალურს თუ მორალურს, სანამ არავინ არ დაარღვევს მის ხელშეუხებლობას.

აღსანიშნავია, რომ წარმატებულ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების წილი, მთლიან შიგა პროდუქტთან 45-50%-ის ფარგლებშია (პოლონეთი, სლოვენია, ჩეხეთი), წარუმატებელ ქვეყნებში (ბულგარეთი, რუმინეთი) 25-35%-ია, რუსეთში დაახლოებით 25%-ია, საქართველოში დაახლოებით 11%. საერთაშორისო სავალუტი ფონდი და შეშფოთებულია ამ მაჩვენებლის დაბალი დონით, ზოგიერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, რადგან სათანადოდ ვერ ხერხდება მინიმალურად აუცილებელი სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა და რეფორმების განხორციელებას საფრთხე ემუქრება.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ტრანსფორმაციული კრიზისის დროს (1990-1993), უნგრეთში მთლიან მშპ-ში საბიუჯეტო ხარჯებმა მაქსიმალურ დონეს მიაღწია – 62%-ი, პოლონეთსა და სლოვაკეთში კი, ეს მაჩვენებელი 50%-ის დონეზეა სტაბილიზებული. ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოა ამ ხარჯების სტრუქტურა. ყველა ქვეყანაში აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის თავსებადობა მასშტაბურ სახელმწიფო ხარჯებთან, განათლებასა და მეცნიერებაზე. მაგალითად, უნგრეთმა, ჩეხეთმა და პოლონეთმა 90-იანი წლების განმავლობაში შეძლო შეენარჩუნებინა განათლებაზე ხარჯების წილი მთლიან შიგა პროდუქტში. იგივე უნდა ითქვას მეცნიერებასა და მეცნიერულ-ტექნიკურ კვლევებზე სახელმწიფო ხარჯების და ეკონომიკური დინამიკის თავსებადობაზე. იქ სადაც ეს ხარჯები მაღალია, ზრდა მნიშვნელოვანია და პირიქით. არ დასტურდება ნეოლიბერალური დებულება, რომ თითქოს სოციალური უთანასწორობა ხელს უწყობს ბაზარზე გადასვლას. პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში, სლოვენიაში და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ყველაზე უფრო მდიდრების 10%-ის სულადობრივი შემოსავლები ყველაზე უფრო ღარიბების შესაბამის შემოსავლებს 4,5-5,5-ჯერ აღემატება, მაშინ, როდესაც ბულგარეთში,

ხორვატიაში, რუმინეთში ანალოგიური მაჩვენებელი 10-ჯერ მეტია, რუსეთში 15-ჯერ, საქართველოში თითქმის 20-ჯერ. რეფორმებამდე პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ეს მაჩვენებელი 0,5-3 უდრიდა.

ყოველთვის არ დასტურდება ნეოლიბერალური პოსტულატი, რომ თითქოს ტრანსფორმაციული კრიზისი, წარმოების დაცემა აუცილებელი, ობიექტური მიზეზებით გამოწვეული მოვლენაა. იგი საერთოდ არ ყოფილა ჩინეთში და ვიეტნამში, თუმცა იქ ევოლუციური გარდაქმნები ხორციელდება. მაშასადამე, ტრანსფორმაციული კრიზისის მთავარი მიზეზია არა რეფორმის სტრატეგიაა, „შოკური თერაპია“, ან ევოლუციური მეთოდი, არამედ წარმოების გაფართოებისა და რენტაბელურობის ამაღლების უუნარობაა. წარმატებული რეფორმები ხორციელდება როგორც რადიკალური, ევოლუციური ან სხვა ალტერნატიული მეთოდითაც. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუციურ გარდაქმნებს, ეფექტიანი სახელმწიფოს უზრუნველყოფას, საკუთრების უფლებების რეალურ უზრუნველყოფას, ქმედით ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, მკაცრ საბანკო ზედამხედველობას, საბანკო ანაბრების დაზღვევას და ა.შ.

ნეოლიბერალური კონცეფცია, კერძო სექტორის მაშტაბებსა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების შესახებ არ დასტურდება. ცენტრალური ევროპის ქვეყნების მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი მიღწეულია სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის კომერციალიზაციის ეტაპზე. ამას განსაკუთრებით პოლონეთისა და ჩეხეთის გამოცდილება ადასტურებს. პოლონეთში თავიდანვე განსახელმწიფოებრივება საწარმოთა კომერციალიზაციით აღინიშნა, ხოლო მასობრივი პრივატიზება დიდი დაგვიანებით, მხოლოდ 1996 წლის ბოლოს დაიწყო. სლოვენიაში, ისევე როგორც ადრე იუგოსლავიაში, ჭარბადაა თვითმმართველობის საწარმოები. თუმცა ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა და მათ შორის საქართველო, სამწუხაროდ ამ გზით ვერ ივლიდა, რადგანაც საწარმოთა დაუფინანსებლობისა და დაუცველობის პირობებში, ქონების პრივატიზება მათი გადარჩენის უმთავრესი გზა იყო. ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად, მხოლოდ ფულის მასის რეგულირების გამოყენება საკმარისი არ არის, ანუ მონეტარიზმის კონცეფცია ამის შესახებ არ დასტურდება. ამ ქვეყ-

ნების რეფორმატორებმა გააცნობიერეს, რომ ინფლაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ ფულის ემისიის დინამიკაზე, არამედ არამონეტარულ ფაქტორებზეც. შესაბამისად, მათ განსაზღვრეს ფულის გაუფასურების 2 უმნიშვნელოვანესი აღმავალი სპირალი: ფასები – შემოსავლები – ფასები და ინფლაცია – დევალვაცია – ინფლაცია. აქედან გამომდინარე, აქ განხორციელდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის კომპლექსური სტრატეგია, რაც მოიცავდა ღონისძიებებს: ფულადი მიმოქცევის, ფასების ნაწილის, პირადი შემოსავლებისა და სავალუტო რეგულირებას.

რეალობის და თავისუფალი, არარეგულირებადი ბაზრის შეუთავსებლობის გამოსავლენად განვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი, რომლებიც უკეთ დაგვანახებენ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ალტერნატიული მოდელების და მისი გამოყენების სპეციფიკას.

„თითქმის ორმოცი წელია არსებობს მითი „ჩილეს სასწაულის“ შესახებ. ამ ლათინოამერიკული ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიო ბანკისა და სსფ-ს წყალობით სამაგალითო იყო არა მარტო სამხრეთი ამერიკის კონტინენტზე, არამედ სხვა განვითარებადი ქვეყნებისათვისაც“.⁶⁴

აღიენდეს დროს ქვეყანაში აღინიშნებოდა შესამჩნევი ეკონომიკური ზრდა, რომელსაც თან სდევდა მკვეთრი მიღწევები სოციალურ სფეროში. 1971 წელს ევპ გაიზარდა 8,5%-დ, მათ რიცხვში სამრეწველო წარმოება – 12%-ით და სოფლის მეურნეობა კი თითქმის 6%-ით. განსაკუთრებით ჩქარი ტემპებით ვითარდებოდა მშენებლობა. 1972 წელს სამშენებლო სამუშაოების მოცულობა გაიზარდა 3,5-ჯერ. 1972 წლისათვის უმუშევრობა შემცირდა 3%-დ (1970 წელს – 8,3%). 1972 წელს ევპ გაიზარდა 5%-ით. ზრდის შენელება იმით აიხსნებოდა, რომ ჩილეში ამერიკული კომპანიის საკუთრების (უდიდეს წილად გამოსყიდული და არა კონფისკებული) ნაციონალიზაციის საპასუხოდ აშშ-მა გაატარეს ექსტრემალური ღონისძიებები ჩილეს ეკონომიკის წინააღმდეგ - მაგალითად, დემპინგურ ფასად მსოფლიო ბაზარზე გამოიტანეს ბრინჯაოსა და მოლიბდენის თავიანთი სტრატეგიული მარაგის ნაწილი, წაართვეს რა ამით ჩილეს საექსპორტო შემოსავლის ძირითადი წყარო. მხოლოდ, ბრინჯაოს დემპინგისაგან ჩილემ პირველსავე თვეს დაკარგა 160 მლნ. აშშ დოლარი. 1973 წლის გაზაფხულიდან ჩილეში დაიწყო

⁶⁴ Прадо М. Л. - „Народной любви к Пиночету“ // журнал «Ньюсуик» 01.10.1973 г.

ეკონომიკური უძრაობა, სწრაფად გარდამავალი კრიზისში – როგორც შედეგი აშკარა დესტაბილიზაციური კამპანიებისა, რომელიც მარტში, საპარლამენტო არჩევნებზე ალიენდეს მოწინააღმდეგეების დამარცხებისას დუნედმიმდინარე სამოქალაქო ომად გადაიქცა. დღეში ჩილეში 30-დე ტერაქტი ხდებოდა, ტერორისტები „Alianza de la Libertad“-იდან არაერთხელ აფეთქებდნენ ხიდებს პანამერიკულ მოსესა და რკინიგზაზე, რომელიც ჩილეს მთელ სანაპიროს მისდევს და რაც მთელ პროვინციებს ელექტროენერჯის და მომარაგების გარეშე ტოვებდა.

ჩილეში, როგორც სამხრეთი ნახევარსფეროს ქვეყანაში, ხილისა და ბოსტნეულის მოსავალს იღებენ გაზაფხულზე. 1973 წელს აღნიშნული მოვლენების გამო გაფუჭდა მოსავლის 50%-ი: ელექტროენერჯის გარეშე დარჩა საწყობების სამრეწველო მაცივრები. გზების ბლოკადებმა და შესაბამისად საკვების მიწოდების შეუძლებლობამ, აგვისტოს მარტო პირველ ნახევარში 10000 ცხვრისა და 2500 თავი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაღუპვა გამოიწვია.

ამერიკელი ეკონომისტი ჯ. მეისონი, მოგვითხრობს რა აშშ-ს მიერ ჩილეს გაფიცვების დაფინანსებაზე, არ ეხება მათ, ვისაც არ უნდოდა გაფიცვა, ის ხდებოდა ტერორის მსხვერპლი. როდესაც 1973 წელს, ქ. რანკაგუას მაღარო „ელ ტენიენტე“-ში გაჩნდა გაფიცვის შეჩერების საშიშროება, იქ ჩავიდნენ „Alianza de la Libertad“-ის დაჯგუფებების შეიარაღებული მომხრეები, რომლებიც თავს დაესხნენ მაღაროელების ავტობუსებს, ააფეთქეს წყლის მაღაროში მიწოდების რამოდენიმე დანადგარი, დაარბიეს ადმინისტრაციის შენობა.

მაგრამ, 1973 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ჩილეს ეკონომიკამ უბრალოდ დაშლა იწყო. სამხედრო ხუნტის მმართველობის პირველსავე ნახევარ წელიწადში მოსახლეობის მსყიდველობით უნარი დაეცა 60%-ით, ეროვნული ვალუტა დევალვირებული იყო 2-ჯერ და მეტად, რამდენიმეჯერ გაიზარდა ფასები ძირითად პროდუქტზე. უმუშევართა რიცხვი 100 000 ადამიანით. იმავედროულად სამუშაო კვირა გაიზარდა 44-დან 48 საათამდე, ზედმეტი საათების კომპენსაციის გარეშე, ხოლო საშუალო ხელფასი დაეცა 15 დოლარამდე თვეში. განსაკუთრებით ძლიერად კრიზისმა ავნო სოფლის მეურნეობას – ხუნტამ დაიწყო ლატიფუნდისტებისათვის მიწის დაბრუნება, რომელიც გადა-

ცემული იყო სახალხო ერთიანობის მთავრობის მიერ გლახებისათვის, პასუხად კი მიიღეს გლახების მიერ სასოფლო-სამეურნეოების საბოტირება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხუნტა იძულებული გახდა 25 პროვინციიდან 19-ში აეკრძალა ხორცის გაყიდვა, რითაც მოსახლეობის 80%-ი ხორცის პროდუქტების გარეშე დატოვა. 1974 წელს ქვეყანაში ცხოვრების ფასი 375%-ით მოიმატა, პურის ფასი 22-ჯერ გაიზარდა, შაქრის – 29, საპნის – 69-ჯერ. უმუშევრობა გაიზარდა 6%-დე (მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური 18%-ი). ემ-ში ხელფასის წილი დაეცა 35%-დე (ალიენდეს დროს 60%-ზე მეტი). ეროვნულმა ვალუტამ, ესკუდომ, 1974 წელს დევალირება განიცადა 28-ჯერ. უფასო სამედიცინო მომსახურება არ არსებობდა.

1975 წლის, ჩილეში შემოდებულ იქნა „ჩიკაგოელი ბიჭების“ მიერ შემუშავებული „შოკური თერაპიის“ პოლიტიკა. ის ითვალისწინებდა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას, ფასებზე კონტროლის მოხსნას, საშემოსავლო ბეგარის გაზრდას, ხელფასების გაყინვას, სახელმწიფო სექტორში კაპიტალდაბანდების შემცირებას.

„შოკური თერაპიის“ შედეგები ჩილეში, ისევე როგორც ჩვენთან კატასტროფული იყო. ეგ ერთ წელიწადში შემცირდა 19%-ით (ეს გაირკვა პინოჩეტის დაცემის შემდეგ, დიქტატურისდროინდელი ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებდა ხან 12,9%, ხან 15%-ს), სამრეწველო წარმოება დაეცა 25%-ით, ჩავარდნა მშენებლობაზე აჭარბებდა 50%-ს. ცხოვრების ფასი (ოფიციალური და აშკარად შელამაზებული მონაცემებით) გაიზარდა 3-ჯერ და მეტად. უმუშევრობა გაიზარდა 20%-ით, ხოლო ცალკეულ რაიონებში – 30-40%-დეც კი, რასაც ადგილი არ ჰქონდა ჩილეში დიდი დეპრესიის დროსაც კი. და ეს იმ დროს, როდესაც 460 სახელმწიფო საწარმოდან 276 უკვე დაბრუნებული იყო ყოფილი მეპატრონეების ხელში ან მიყიდული იყო კერძო პირებისათვის. გაკოტრებული იყო 1200-ზე მეტი საშუალო და მცირე საწარმო. უცხოელ (პირველ რიგში აშშ-დან) ინვესტორებს ნება დართეს გაეტანათ 100% მოგება. ესკუდო სრულიად გაუფასურდა, და 1975 წლის ოქტომბერში საჭირო გახდა ახალი ფულადი ერთეულის – პესოს შემოდება. გადაწყვიტეს პესოს „მიბმა“ დოლართან (კურსით:ერთი პესო – ერთი დოლარი), მაგრამ პესო „გამოეყო“ და 1977 წლის იანვარში 1 დოლარში უკვე იძლეოდნენ 18,48 პესოს, 1978 წლის იანვარში – 27,47 პესოს, 1980

წლის იანვარში – 39 პესოს, 1982 წლის ივნისში – 46 პესოს და ა.შ. „პინოჩეტის ერის“ დასასრულს პესოს ღირებულება დოლართან მიმართებაში დაეცა 300-ჯერ და მეტად.

სამაგიეროდ, უკვე 1975 წელს 18%-ით გაიზარდა ბიუროკრატიული აპარატის რაოდენობა. სამხედრო დანახარჯები გაიზარდა 523 მლნ. აშშ დოლარამდე (1974 წელს 274 მლნ. დოლ.), ჯარის რაოდენობა, 1973 წლის 80 000-დან 1976 წლის ბოლოსათვის 300 000-დე გაიზარდა.

1976 წლიდან სწრაფად დაიწყო ზრდა საგარეო ვალმა, 1973 წელს ჩილეს საგარეო ვალი 4 მილიარდ დოლარს შეადგენდა. პინოჩეტის ხელისუფლებაში მოსვლის წელს კი იგი 5.3 მლრდ. აშშ დოლარი იყო. მაგრამ ვალების ზრდამ ეკონომიკა ვერ იხსნა კრიზისისგან, უმუშევრობა 20%-მდე გაიზარდა, ფასები პირველადი მოხმარების პროდუქტზე 60%-ით მოიმატა, სიკვდილიანობამ მოიმატა 8%-ით, 2.2 მილნ. ჩილელი საარსებო მინიმუმის 20-ჯერ დაბლი შემოსავლებით არსებობდა. მილიონზე მეტი ჩილელი ემიგრაციაში წავიდა, ეს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თითქმის მესამედი იყო.

ეკონომიკური ზრდა მხოლოდ 1984 წელს დაიწყო და 3.8% შეადგინა, 1986 – 5.7%, 1987 – 6%, 1988 – 7%, 1989 – 7.3%. მაგრამ ეს ზრდა გამოწვეული იყო უცხოური კაპიტალისადმი სამხედრო რეჟიმის მიერ მინიჭებული ზემოქმედებით. 30% უმუშევრობა უცხოელ ინვესტორებს იაფი სამუშაო ძალის გამოყენების სდაშუალებას აძლევდა. საგანგებო მდგომარეობა, რომელიც 1988 წლამდე მოქმედებდა კრძალავდა გაფიცვებს და მაქსიმალურად ზღუდავდა პროფკავშირების მოქმედებას. შემოსავლების სხვაობამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია, საშუალო კომპანიის გამგეობის წევრი თვეში 4.5 მლნ. პესოს იღებდა, ხოლო ექიმის ასისტენტი 30 ათას პესოს (150 : 1). ეკონომიკურ ზრდაზე განსაკუთრებით მოქმედებდა სამხედრო პროექტები და მისი ინფრასტრუქტურა, კერძოდ პენტაგონის მიერ დაფინანსებული კოსმოდრომი და „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის“ სხვა პროექტები. როგორც კი 1990 წელს ეს პროგრამები გაიყინნენ, ჩილეს ეკი 0.7%-ით შემცირდა.

თუ ობიექტურად შევხედავთ მდგომარეობას, არანაირი ეკონომიკური განვითარება ჩილესში პინოჩეტის დროს არ მომხდარა. 1984-1989 წლებში მიმდინარეობდა დანგრეულის აღდგენა. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ

1989 წლის ეკონომიკური მაჩვენებლები, მაინც ჩამოუვარდებოდნენ 1969 წლის მაჩვენებლებს. „საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ პინოჩეტის ხელისუფლების პერიოდში ჩილეს ერთი წელის დანაკარგი, ორი წლის შემოსავალს უდრიდა და მრავალჯერ აღემატებოდა 1990 წელისათვის არსებულ საგარეო ვალს (27 მილიარდ. აშშ დოლარი).“⁶⁵

XX 80-იანი წლების ჩილეს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ ლოგიკის საწინააღმდეგოდ არ იზრდებოდა მოსახლეობის საშუალო შემოსაველი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, სოციალური სფეროს გაუმჯობესება. არ შემცირდა კვალიფიციური მუშახელის გადინების პროცესი. ხილფასის დონემ მშპ-ში ვერ მიახწია 40% (1971-72 წწ. იგი 60% შეადგენდა). 1990 წელს მოსახლეობის 22.6% სრულ სიღატაკში ცხოვრობდა. ფაქტიურად მოისპო საშუალო ფენა. ცნობილი ლათინოამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი ფერნანდუ კარდოზუ ამტკიცებს, რომ ჩილეს საშუალო წლიური ეკონომიკური „ზრდა“ 1973-1989 წწ. უარყოფითი ციფრით გამოსახა და -3.9% უდრიდა, მაშინ როცა სხვა ლათინოამერიკულ ქვეყნებში იგი +4% იყო (პინოჩეტისა და „ჩიკაგოს სკოლის გარეშე“).

ცალკე თემაა ხუნტის ანტისემიტური პოზიცია, რასაც ქვეყნის ებრაული მოსახლეობის 93% (და კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის) ემიგრაცია მოჰყვა. სახელმწიფოში შეიცვალა ინტელექტუალური და მორალური კლიმატი (წახალისებული იყო დასმენები).

პინოჩეტის რეფორმებამდე ჩილე ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანა იყო სამხრეთ ამერიკაში. სხვა ლათინოამერიკული ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩილეში სოფლის მეურნეობა ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 10% იძლეოდა. 1970 წელს საშუალო ფენა 64%-ს აღწევდა, ძლიერი იყო ურბანიზაცია. მონეტარისტული რეფორმების შემდეგ საშუალო ფენა უკიდურესად შემცირდა (ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, ნაწილი კი უფრო დაბალ ფენებში გაითქვიფა).

„კორუპული მოდელი“. იაპონიის კოლონიალური დამოკიდებულები-საგან გათავისუფლებული სამხრეთი კორეის კაპიტალისტური მოდერნიზაცია თავიდანვე ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის დახვეწით დაიწყო. არჩეული სისტემა ეკონომიკის განვითარებისათვის

⁶⁵ Ибарра Х. - Мексиканские анархисты. Москва, 1995. стр. 96

მცირემასშტაბიანი კერძო კაპიტალის მობილიზაციისა და კოორდინაციისაკენ იყო მიმართული. პირველი ეტაპი (1948-60) ემთხვევა სახელმწიფო რეგულირების სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ამ წლებში სახელმწიფო სექტორს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა, მოგვიანებით სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა დაკანონდა. შემუშავდა სტრატეგიული გეგმები და პროგრამები, რეფორმების პრიორიტეტები, რომლებმაც მოგვიანებით ქვეყნის შემდგომი განვითარება უზრუნველყვეს. სახელმწიფომ ხელი შეუწყო საზოგადოების კაპიტალიზაციას. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ბევრი სამინისტრო და სხვა ოფიციალური ორგანიზაციები, რომელთა ფუნქციებში შედიოდა ეკონომიკური ინსტიტუტების, კერძო სექტორის კოორდინაცია, კონტროლი და რეგულირება.

ამ პერიოდში კორეაში აპრობირებული იყო კურსი, რომელიც იმპორტის შეზღუდვისკენ და ექსპორტის ზრდისკენ იყო მიმართული. გამოყენებული იყო უცხოური დახმარებაც, დაბალპროცენტიანი კრედიტებით სამეწარმეო დანიშნულების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ობიექტები აიგო, რომლებმაც გააუმჯობესეს ეკონომიკური ინფრასტრუქტურა. უცხოური სესხების დიდი ნაწილი არა მხოლოდ სახელმწიფო სექტორის გასამყარებლად იყო მიმართული, არამედ მოხმარებული იყო კერძო სექტორთან მყარი და ურთიერთმომგებიანი ურთიერთობების გასამყარებლად. ამით კერძო სექტორმა სერიოზული სასტარტო შესაძლებლობები მიიღო. ასე ჩამოყალიბდა და განვითარდა ისეთი ცნობილი „ეკონომიკური იმპერიები“ და მონოპოლისტური კონგლომერატები, როგორცაა „სამსუნგი“, „ლაქი გოლდსტარი (დღეს LG), „დეუ“, „ჰიუნდაი“, „სანიონი“ და სხვა.

სახელმწიფომ აირჩია მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერა. ამაში მან არა მარტო არსებული ეკონომიკური ბერკეტები გამოიყენა, არამედ ახალი ალტერნატიული მეთოდებიც შეიმუშავა.

დიდი ადგილი ეთმობოდა ფინანსურ საშუალებებს, პრიორიტეტულ სუბსიდიებს, საგადასახადო შეღავათებს და პერსპექტიული დარგების სხვა წახალისებებს. სამხრეთკორეელი ეკონომისტები XX საუკუნის 50-იანი წლების კორეის სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას სხვადასხვაგვარად აფასებენ. ბევრი მეთოდი მკაფიოდ ვოლუნტარისტულ ხასიათს ატარებდა და ხშირად ეკონომიკურად გაუმართლებელი იყო.

მაგრამ, მეორე მხრივ, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის ალტერნატიული გზა მაშინდელ მსოფლიოში არ არსებობდა. არსებობდა მრავალი ბუნებრივი შეზღუდვები, განსაკუთრებით შიგა ბაზრისა და რესურსების სიმცირე, რაც რეფორმების წარმეტებულ რეალიზაციას ხელს უშლიდა (ინდოეთში ასეთი შეზღუდვები არ იყო, მათ მიერ გამოყენებული მოდელი განსხვავებულია).

მეორე ეტაპი, (1961-79) რომელსაც პაკ ჩონ ჰის ადმინისტრაციამ დაუდო სათავე, დეტალურად შემუშავებულ პროგრამას ეყრდნობოდა. განსაკუთრებული ყურადღება კვლავინდებურად ექსპორტზე მომუშავე სექტორს და გადამამუშავებელ მრეწველობას დაეთმო. თუმცა მაშინდელი ხელისუფლებაც ხშირად ეკონომიკურად გაუმართლებელ, მაგრამ მსხვილი და პრესტიჟული ობიექტების დაფინანსება-აგებას ასტიმულირებდა. ეკონომიკური რეფორმების ორივე ეტაპი მწვავე პოლიტიკური კრიზისების ფონზე მიმდინარეობდა, ნახევარკუნძულზე დაძაბული მდგომარეობა იყო (ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის), სადაც ორი სუპერსახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ეჯახებოდა ერთმანეთს.

ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მყარი ფორმები. სახელმწიფო ადმინისტრაცია ფართო მაშტაბით იყენებდა ეკონომიკურ დაგეგმვას. შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებული ე.წ. „გენერალური ხაზი“, რომელსაც ემორჩილებოდა ყველა ეკონომიკური სუბიექტი, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კორეის ბიზნესის დამოკიდებულება სახელმწიფო აპარატზე, არღვევდა ეკონომიკის ეფექტურობასა და მობილურობას. ბიუროკრატის ეკონომიკის სრული კონტროლისა და მართვის მცდელობა როგორც მსხვილი მეწარმეების, ისე მცირე და საშუალო ბიზნესის პროტესტს იწვევდა.

მესამე ეტაპზე (1980-87) კორეაში შეეცადნენ შეემსუბუქებინათ სახელმწიფოს გავლენა ეკონომიკაზე, მაგრამ, აქ გამოყენებული იქნა დაუსრულებელი და შუალედური მეთოდები. საბოლოო ჯამში, ამ წლების სახელმწიფო ადმინისტრაცია მაინც სახელმწიფო რეგულირების

გამყარებას უჭერდა მხარს, რომელიც უკვე საკუთარი უარყოფითი მხარის გამოვლენას იწყებდა.

მეოთხე ეტაპზე (1987-92) პრეზიდენტ რო დე უს ადმინისტრაციამ სათავე დაუდო სახელმწიფო რეგულირების წნეხის შემსუბუქებას, რომელიც მომდევნო მეხუთე პერიოდში, რომელიც 1993 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება, მკვეთრად „ანტისახელმწიფოებრივ“ ხასიათს ატარებს. ამის მიზეზი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში დაშვებული შეცდომები და არაეფექტური სისტემაა, რამაც ეკონომიკური განვითარების შენელება გამოიწვია. გარე ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე პროცესები. სამხრეთი კორეის რესპუბლიკა მრავალი მაჩვენებლით განვითარებული ქვეყანას მიეკუთვნება. ასეთი ქვეყნების უმრავლესობაში კი, უკვე დიდი ხანია მოხდა ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობა, ამიტომ კორეელებიც ამ ქვეყნების მიბაძვას ცდილობენ.

ბოლო 20 წლის განმავლობაში, შეიცვალა სახელმწიფოს სამეწარმეო საქმიანობის პრიორიტეტები. თუ თავიდან სახელმწიფოს კაპიტალი განთავსებული იყო ინფრასტრუქტურის სფეროში, მოგვიანებით სახელმწიფო გადაიზარა პირდაპირ სამეწარმეო დარგების დაფინანსებაზე. ასე ჩამოყალიბდა ბევრი ახალი სამეწარმეო დარგი. XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, სახელმწიფო კვლავ დაუბრუნდა თავის საწყის ფუნქციებს – მეწარმეობის ზრდისა და დახვეწის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფაზე. ამ ფუნქციამ ახლებური ფორმები მიიღო, დღეს მასში შედის ისეთი სფეროების მხარდაჭერა, როგორცაა ინფორმატიკა, ტელეკომუნიკაციის თანამედროვე სისტემები, ენერჯის ალტერნატიული წყაროები და ა.შ.

სახელმწიფო სექტორის შემცირების კვალობაზე კორეაში შეიმჩნეოდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების და კონტროლის გაძლიერება, კერძოდ, საფინანსო კონტროლი, რომლითაც სახელმწიფო უშუალოდ ზემოქმედებდა ეკონომიკაზე. ზუსტად ამ მიმართულებაზე იქნა ფოკუსირებული პოსტინდუსტრიულ ეპოქაში გადასული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა.

სახელმწიფომ გაამკაცრა კონტროლი საფინანსო ინსტიტუტებზე. მის ხელში იმყოფება ფინანსური ზეწოლის ყველა ბერკეტი, რომელიც

გამოიყენება სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის მიხედვით. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო კორეაში კვლავ აკონტროლებს ეკონომიკას. ყველა ცვლილება, რომელიც ეხება ეკონომიკისა და ფინანსების ლიბერალიზაციას სახელმწიფოს სტრუქტურების მიერაა შემუშავებული. ეს ცვლილებები ძირითადად ეკოლოგიური ხასიათისაა, რომელსაც თან ახლავს მრავალი წინაპირობა, გამონაკლისი და ა.შ. ალბათ ამიტომ, კორეის რესპუბლიკას ხშირად ბიუროკრატიზმში ადანაშაულებენ, ხოლო სამეურნეო ფუნქციების და ეკონომიკური ცხოვრების ზედმეტად გასახელმწიფოებრიობას აბრალებენ. ბოლო წლების ეკონომიკის ლიბერალიზაციის პოლიტიკა, რომლის წამყვანი მიზანი ცივილიზებული სამყაროს ელიტარულ ქვეყნებში მოხვედრა იყო, გარკვეულწილად შეასუსტა სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირებაში. მაგრამ აზიის ქვეყნების ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დღესდღეობით კორეის ეკონომიკა კვლავ ნაკლებად გამჭვირვალეა და სახელმწიფო სექტორი ინარჩუნებს მყარ პოზიციებს.

1996-97 წლები. სამხრეთი კორეის რესპუბლიკისათვის ეკონომიკური ვარდნის პერიოდი იყო. რაც გარკვეულწილად სახელმწიფო ადმინისტრაციის არაშორსმჭვრეტელობის ბრალია. ხელისუფლება მხარს უჭერდა მსხვილ კონგლომერატებს, განსაკუთრებით ისეთი სფეროები გაიზარდა, რომელიც არასაკმარისად იყო უზრუნველყოფილი ფინანსურად და ასევე საზიანო იყო ეკონომიკის ეფექტიანობისათვის. მსხვილი კაპიტალი ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობს, ერთი მხრივ, ის მხარს უჭერს სახელმწიფო რეგულირების შესუსტებას, მეორე მხრივ, საკუთარი პროექტების მხარდასაჭერად იგი მომხრეა ამ რეგულირების გაძლიერებისას.

ბევრი სამხრეთკორეელი ეკონომისტი თვლის, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ბერკეტების შენარჩუნება აუცილებელია და კორეულ მოდელს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის და ეფექტურობისათვის საუკეთესოდ მიიჩნევენ. სამხრეთი კორეელები თვლიან, რომ სახელმწიფო უნდა თანამშრომლობდეს მონოპოლიებთან, მსხვილი კაპიტალი რომელიც სახელმწიფოს მიერ დაზღვეულია სხვადასხვა რისკებისგან, უფრო ეფექტურია. თუმცა საზოგადოებაში დიდი ხანია არსებობს აზრი, რომ სახელმწიფომ უნდა გადახედოს თავის ფუნქციებს.

1997 წელს სამხრეთკორეული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კონცეფციამ ეფექტურობის მკაცრი გამოცდა გაიარა. აზიურ ქვეყნებში წარმოქმნილი ფინანსური კრიზისი უშუალოდ შეეხო სამხრეთი კორეის რესპუბლიკის ექსტრავერტულ ეკონომიკას. ერთი წლით ადრე შემჩნეულ იქნა ექსპორტის (სახელმწიფო ეკონომიკის ზრდის ძირითადი გენერატორის) შემცირება. მას მოყვა რამოდენიმე მსხვილი მონოპოლიის გაკოტრება, რომლებმაც ვერ გაუძლეს მათ პროდუქციაზე უზრუნველყოფილი მოთხოვნის მკვეთრ შემცირებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც. წარმოქმნილმა მდგომარეობამ საავტომობილო, გემშენებელი, ელექტროსამრეწველო და სხვა სექტორში გამოიწვია ჭარბწარმოება და აუცილებელი საბრუნავი სახსრების გაყინვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფინანსური სისტემა კვლავ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და არ ექვემდებარებოდა საბზარო ურთიერთობის ღია მოთხოვნა-მიწოდების სისტემას, ამგვარი მდგომარეობა მრეწველობაში (როდესაც ძნელია და ძვირია მიიღო აუცილებელი სახსრები) თავისუფლად გადაიზრდება სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისში.

კერძო კაპიტალმა სახელმწიფოს მოსთხოვა თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების უფრო ეფექტური სტიმულირება, აქ იგულისხმება შემდეგი გადაწყვეტილებები: „1. უცხოურ კომპანიებს კორეულ კომპანიებში უფრო დიდი აქციათა პაკეტის ფლობის უფლება მისცეს; 2. მკვეთრად შემცირდა ან ზოგ შემთხვევაში სრულიად გაუქმდა ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების საგადასახადო განაკვეთი; 3. გაუქმდა მოგების გადასახადი; 4. შეიქმნა ახალი ფონდები ფასიანი ქაღალდების შიდა ბაზრის სტიმულირებისათვის.“⁶⁶

მაგრამ, წინა წლების წარმატების ინერციამ საშუალება არ მისცა სახელმწიფო ადმინისტრაციას სწორედ შეეფასებინა მდგომარეობა. ფინანსური დეფოლტის გადარჩენის მიზნით იგი იძულებული იყო მსოფლიო სავალუტო ფონდისათვის მიემართა, რომელმაც საკმაოდ მკაცრი პირობები წამოაყენა, კერძოდ მან მოითხოვა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკაზე მთლიანად უარის თქმა (უშუალო ინვესტირებიდან სუბსიდიებით დამთავრებული). ამას დაემატა

⁶⁶ The Korea Herald. – 1997. – October 18. pp2-3

მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკური ორგანიზაციის „ანტისახელმწიფოებრივი“ მოთხოვნები. „საბოლოო ჯამში ბევრი კორეელი ეკონომისტო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პრაქტიკა, გლობალიზაციის პროცესი და სხვა უფრო ვიწრო ფაქტორები უბიძგებს ქვეყანას უარი თქვას ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე. თუმცა ქვეყნის შიგნით არსებული მძიმე პრობლემების სტრუქტურული რეფორმირება საზოგადოების მაქსიმალურ მობილიზაციას მოითხოვს, ამის განხორციელება მხოლოდ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ აპარატს შეუძლია“.⁶⁷ სამხრეთკორეელების მიერ სახელმწიფო რეგულირებაზე უარის თქმა ასევე ხელს უწყობს საზოგადოებაში მყარად გამჯდარ კომფუციანური მსოფლმხედველობა. ამიტომ კორეის რესპუბლიკა ყოველთვის ითვლებოდა ბაზრისა და სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებული მოქმედების ორიენტირებული მოდელის ავტორად.

იაპონური მოდელი: დირექტიული დაგეგმვისგან განსხვავებით, რომლის დროსაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმა კანონის ფორმითაა მოცემული და მეურნეობის ნებისმიერი რგოლისთვის იგი სავალდებულოა, ზოგადსახელმწიფოებრივი იაპონური დაგეგმვა ინდიქციური ხასიათისაა. შემუშავებული გეგმა ფორმალურად არაა კანონი, არამედ იგი სახელმწიფოებრივი პროგრამაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის სხვადასხვა რგოლებისათვის ეროვნული ინტერესებსა და ამოცენებში ერთგვარი ორიენტირის როლს ასრულებს.

იაპონელი სპეციალისტები ასეთი გეგმების ეფექტურობაში ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში დარწმუნდნენ. ასეთი გეგმების აუცილებლობის მტკიცებისას (პირველი ხუთწლიანი გეგმა, ე.წ. „ფინანსური წელი“ 1956-1960 წ.წ. დამტკიცდა), იაპონელი ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა რომ ამგვარი გეგმები მეურნეობის სოციალისტური ფორმის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, იგი ეფექტური იქნება საბაზრო ეკონომიკის პირობებშიაც.⁶⁸

გეგმის შემდგენები რა თქმა უნდა ითვალისწინებდნენ, რომ იაპონიის მეურნეობის საფუძველს კერძო მეწარმეები წარმოადგენდნენ. ისინი არ შეუშინდნენ ისეთ რთულ პრობლემებს, როგორც ომისშემდგომი

⁶⁷ Korea Focus. – 1997. – Vol. 5. – N 5. – P. 59.

⁶⁸ ქურნ. „2000 ნენ-ნო როლო“ („შრომა 2000 წელს“). - ტოკიო. 1987.

ეკონომიკის დეზორგანიზაცია, ინფლაცია, უმუშევრობა, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი და ა.შ. მათი აზრით ეს პრობლემები ზუსტად ზოგადსახელმწიფოებრივი, მოკლევადიანი და მომავალში გრძელვადიანი გეგმებით შეიძლება გადაწყვეტილიყო.

დაგეგმვის დასაწყისშივე იაპონიამ შეიმუშავა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების 12 ზოგადსახელმწიფოებრივი პროგრამა, თუ არ ჩავთვლით 2000-05 წწ. იმდინარე გეგმას (იხილეთ ცხრილი №). მათ მიზნად ამოიღეს ამა თუ იმ პერიოდში ყველაზე მწვავე პრობლემების გადაჭრა. მართალია ამ მიზნების მიღწევა სტიქიური საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თანაც ისეთი ქვეყნისათვის, როგორცაა იაპონია, რომელიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საგარეო ბაზარზე, წარმოუდგენელი იყო (განსაკუთრებულ პრობლემებს იაპონიის ხელისუფლება წააწყდა სოციალურ სფეროში).

პირველი ორი გეგმა სერიოზულ სირთულეებს წააწყდა, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიმდინარე ეკონომიკური კრიზისების ფონზე, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას შეეხო. რაც შეეხება ბოლო გეგმას, იგი თვით იაპონიაში მიმდინარე ეკონომიკურ დეპრესიას დაემთხვა. მაგრამ იაპონელი ექსპერტების აზრით, ეს გეგმებიც კი საბოლოო ჯამში, დადებითად არის შეფასებული, მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ეკონომიკის განვითარებაში. რაც შეეხება დანარჩენ გეგმებს, ექვსი ამ გეგმიდან გადაჭარბებით იყო შესრულებული, ხოლო ხუთი თითქმის 100%-ით.

იაპონიის ზოგადსახელმწიფოებრივი ეკონომიკური გეგმები ეფექტურია და შეიძლება მსოფლიოში მიღებული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მოდელებში ალტერნატივად ჩაითვალოს. თუმცა, ზოგიერთი დასავლელი ეკონომისტის აზრით ეს გეგმები მრავალმხრივ „დეკორატიული“ ხასიათისაა. (ცხრილი №:3.1.2)

განვითარების „იაპონური ტრაექტორია“ დიდი ხანია ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის ყურადღების ცენტრშია. იაპონიაში მიხვდნენ, რომ მდგრადი განვითარების კონცეფცია ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გარეშე ვერ ჩამოყალიბდებოდა, რადგან საზოგადოების ყველა სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მონაწიეობის გარეშე შეუძლებელია.

ცხრილი №3.1.2 იაპონიის მეორე მსოფლიო ომის შემდგ.სოციალ-ეკონომიკური განვითარების ზოგადსახელმწიფოებრივი გეგმები (1956-2000 წ.წ.) (გეგმები და ვადები (ფინანსური წლები), მიზნები და შედეგები (ეკონ. და მშპ-ს ზრდის ტემპები %-ში.)⁶⁹

გეგმა	ფაქტიური	გეგმა	ფაქტიური		
ეკონომიკური თვითუზრუნველყოფის ხუთწლიანი გეგმა 1956-60	ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სრული დასაქმების მიღწევა	7,4	15,6	5,0	8,7
ახალი გრძელვადიანი ეკონომიკური გეგმა 1958-62	ეკონომიკური ზრდის მაქსიმალიზაცია, ცხოვ. დონის და სრული დასაქ. მიღწევა	8,2	13,5	6,5	9,9
ეროვნული შემოსავლი გარმაგების გეგმა 1961-70	ეკონომიკური ზრდის მაქსიმალიზაცია, ცხოვრების დონის და სრული დასაქმების მიღწევა	10,5	13,8	7,2	10,7
საშუალოვადიანი ეკონომიკური გეგმა 1964-68	განვითარების დისპროპორციის ლიკვიდაცია	9,9	13,6	8,1	10,6
ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა 1967-71	სტაბილური და მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიღწევა	10,2	13,2	8,2	10,2
ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალი გეგმა 1970-75	დაბალანსებული და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.	12,4	3,6	10,6	5,9
ეკონომიკური და სოციალური ბაზისური გეგმა 1973-78	ერის კეთილდღ. ზრდა, საერთაშ. თანამშრომლობის განვითარება	10,0* ₁	2,1* ₁	9,4* ₁	4,2* ₁
70-იანი წლების მეორე ნახევრის ეკონომიკური გეგმა 1976-80	ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიღწევა	-	6,9* ₂	6,0* ₂	5,7* ₂
ახალი შვიდწლიანი ეკონომიკური და სოციალური გეგმა 1979-85	სტაბი. ზრდის თანდათანობითი დამკვიდრება, სცოვრების ხარისხის გაუმჯობესება,	5,6* ₃	5,2* ₃	5,7* ₃	5,2* ₃
80-იანი წლების ეკონომიკური და სოციალური პერსპექტივები და ორიენტირები 1983-90	სრული დასაქ., საგარეო ვაჭრობის ფასევის სტაბი. და ბალანსის მიღწევა, ეკონ. ზრდის ტემპების შესაბა. შენარჩუნებით	-	-	4,0* ₄	3,8* ₄
ახალი ეკონომიკური გეგმა 1988-92	შიდა მოთხოვნის სტიმულ., პროვინციების დაბალანსებ. განვითარების მიღწევა. მსოფ. ცხოვრ. საუკეთ. დონ. სვლა.	-	-	3,75* ₅	4,8* ₅
ახალი ეკონომიკური და სოციალური გეგმა 1992-96	ცხოვრების დონის მნიშვ. ზრდა, ადმინისტრ.-ფინანსური რეფორმის განხორციელება.	-	-	3,5	0,1
ახალი ეკონომიკური და სოციალური პერსპექტივები და ორიენტირები 1996-2000	ქვეყნის ეკონ. და სოც. სტრუქ. კარდინალური რეფორმის განხორციელება.	-	-	3,0	2,3

⁶⁹ * 1 1973-1977 წწ. * 2 1976-1978 წწ. * 3 1982-1985 წწ. * 4 1984-1986 წწ. * 5 1988-1991 წწ.

იაპონიის ეკონომიკური განვითარების გეგმას ხელმძღვანელობს მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც სათავეში გენერალური დირექტორი უდგას (სახელმწიფო მინისტრის რანგში). ერთ-ერთ ძირითად რგოლს „დაგეგმვის ბიურო“ წარმოადგენს, რომლის მთავარი ფუნქციაა გრძელვადიანი გეგმების შემუშავების ორგანიზაცია. იგი ასევე მთავრობის ადმინისტრაციის ქვეჯგუფებს უწევს კოორდინაციას, რომლებიც მთავარ როლს ასრულებენ გეგმის შემუშავებაში; ქვეყნის საერთო პოტენციალის შეფასება და ანალიზი; ძირითადი ღონისძიებების და პროგრამების კოორდინაცია; საპროგნოზო კვლევების ეროვნული ინსტიტუტის კურირება და ა.შ.

ეკონომიკური საბჭო პრემიერმინისტრთანაა ანგარიშვალდებული. იგი შედგება ორი წლით დანიშნული 30 მსხვილი ბიზნესმენის, აკადემიური წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროფკავშირების გამოცდილი წარმომადგენლებისაგან. ამ მხრივ საბჭო ფორმალურად დემოკრატიულ ხასიათს ატარებს. სხვადასხვა კონკრეტული გეგმის შემუშავებისას საბჭოს ეხმარება კომიტეტები, რომლებიც ასევე შედგება საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლისაგან.

ყოველი ახალი გეგმის შედგენის დავალება პირადად პრემიერმინისტრისაგან მომდინარეობს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს დავალება ზოგადი ხასიათსაა რამოდენიმე ირიბი მინიშნებით, რათა არ შეიზღუდოს და გარკვეულ ჩარჩოებში არ მოექცეს საბჭოს წევრების, ექსპერტების და სხვა მონაწილეების ინიციატივები და შემოქმედებითი მუხტი. ეკონომიკურ საბჭოს რამოდენიმე ძირითადი მიზანი გააჩნია, ესენია: 1. ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა; 2. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება; 3. ეკონომიკური ზრდის მაქსიმალიზაცია; 4. ეროვნული შემოსავლის გაორმაგება და ა.შ.

ამასთან, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან შემუშავების პროცესშია ე.წ. „ქვეყნის ეროვნული განვითარების კომპლექსური გეგმა“. იგი გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი სახელმწიფო პროგრამაა, რომელსაც ასევე ეკონომიკური საბჭო და ეროვნული ტერიტორიების საბჭო აყალიბებენ. ეროვნული ტერიტორიების საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის განვითარებაში შიგა და საგარეო პირობების

სერიოზული ცვლილებების დროს. მისი დასკვნა ზოგჯერ გადამწყვეტია იაპონიის ეკონომიკის სახელმწიფო გეგმის შემუშავების პროცესში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, იაპონური ეკონომიკური გეგმის ერთი სპეციფიკა, საფუძველშივე ჩაფიქრებული და გათვალისწინებული გეგმის დრეკადობა. პრაქტიკულად არც ერთმა გეგმამ არ იარსება ისე, რომ მასში არ შეტანილიყო კორექტივები. ეს არ მომხდარა არასწორი დაგეგმვის ან უარყოფითი შედეგების გამო, პირიქით, გეგმის ბევრი მაჩვენებელი გათვალისწინებულზე ადრე იქნა მიღწეული. ამიტომ მას ახალი კოორდინატები დასჭირდა. შესაბამისად, სწრაფად მუშავდებოდა ახალი ორიენტირები, რომელიც განახლებული ქვეყნის შიგა და საგარეო მდგომარეობიდან გამომდინარეობდნენ.

უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური დაგეგმვის იაპონიის 40 წლიანი გამოცდილება საბაზრო პირობებში ადასტურებს, რომ იგი ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკმაოდ ორიგინალური, დრეკადი და ეფექტური ფორმაა.

ამგვარად, განხილული ალტერნატიული მოდელები მოიცავს არა მარტო ქვეყნის მდგრად განვითარებას, ეროვნული ინტერესების დაცვას, არამედ, ხელისუფლების ინსტიტუტების მზადყოფნასა და უნარს, შექმნას ეროვნული ინტერესების რეალიზაციისა და დაცვის, საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მექანიზმი, სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება მისი შემადგენელი ელემენტების, კრიტერიუმების მაჩვენებლების სისტემითა და უსაფრთხოების პოლიტიკით. ქვეყნის თანამედროვე უსაფრთხოების კომპლექსური გაგება მოიცავს შემდეგ ქვესისტემებს: ადამიანის; იდეოლოგიუ-კულტურულ და ფსიქოლოგიურ; პოლიტიკურ; ეკონომიკურ; სოციალურ; დემოგრაფიულ; ეკოლოგიურ; მეცნიერულ-ტექნიკურ; სამხედრო და ინფორმაციულ უსაფრთხოებას.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც აწონასწორებს მუდმივად კრიზისების საფრთხის ქვეშ მყოფ საბაზრო ეკონომიკას. სახელმწიფო რეგულირებას ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ „ძლიერი ხელი“ დადებითი გაგებით, რომელიც არ მისცემს საშუალებას საბაზრო ეკონომიკის „უხილავ ხელს“ თავისი ნეგატიური ზემოქმედებით დაუმორჩილოს ადამიანები საკუთარ ინტერესებს და არა პირიქით. სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ეროვნულ, რელიგიურ თავისუფლებას. იგი ტრანსნაციონალური შინაარსისაა, ანუ გლობალურია და ემსახურება ზოგადსაკაცობრიო პრობლემების კუმანიტარული გზით გადაწყვეტას. მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს ანტისახელმწიფოებრივი და ანტინაციონალური შინაარსის მოვლენად. პირიქით, სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა შეძლოს ემსახუროს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციას, ძლიერი სახელმწიფოსა და ინსტიტუციონალური წესრიგის დამკვიდრებას. სხვა შემთხვევაში თვითონ სამოქალაქო საზოგადოებაც ფიქციად იქცევა, რადგან იგი ეროვნულობის, სახელმწიფოებრიობის და მოქალაქეთა კეთილდღეობის გარეშე საერთოდ არ იარსებებს. საქართველოში მსგავსი შედეგების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია სოციალ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- სახელმწიფოს მიერ სოციალურ ფუნქციათა შესრულების დაყვანა ფულად საშუალებათა გაცემასთან ძირეულად მცდარია. საქართველოშიც უნდა გავითავისოდ, რომ ფინანსთა სამინისტროს, ზოგჯერ მთლიანად პოპულისტური ქმედებები („ფულის დარიგება“ და სხვ.) უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე.
- პრივატიზაციის პროცესში სტრატეგიული ობიექტების ცნების უგულებელყოფა არასწორი მოდგომაა. მთავრობისა და ოპოზიციის დაპირისპირება - „ან ასეთი პრივატიზაცია, ან არანაირი“, ისეთ ფატალურ შთაბეჭდილებას წარმოქმნის, თითქოს ამა თუ იმ ქვეყანას განვითარების ერთადერთი და შეუცვლელი გზა აქვს. ასეთი მიდგომა

მდგომარეობის უტრირებას ახდენს და ელემენტარულ პოლიტიკურ სქემებამდე მიყვება.

- ფულადი სახსრების აკუმულაციისთვის გადასახადების გაზრდა ყოველთვის არაა გამართლებული. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სარკინიგზო ტრანსპორტზე ტარიფების გაზრდა, მაგალითად სამმაგად, სამჯერ მეტ შემოსავალს მოუტანს, ის სცდება. უბრალოდ ნაკლები ხალხი იმგზავრებს, ხოლო ფულის ნაწილი გამცილებლებს ერგებათ...
- რთული ობიექტური პროცესების გაგების, პრიმიტივიზმამდე გამარტივებამ, პრაქტიკულად დრეკადი და ნორმატიული რეგულირება, სახელდახელო საშუალებებით ე.წ. „ხანძრის ჩაქრობის“ იმპულსური ზომებით შეცვალა. მსგავსი ქმედებები პირველ რიგში საფინანსო-საბანკო სფეროში შეიმჩნევა, რაც ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ხელყოფაში გამოიხატა.
- ფულის შემოთავაზების შემცირება, ე.წ. „ძვირი ფულის“ პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფო სავალო ვალდებულებების გაყიდვა, სარგებლის განაკვეთისა და რეზერვების ნორმის მომატება. „ძვირი ფულის“ პოლიტიკა გამოიყენება როგორც ანტიინფლაციური საშუალება. მაგრამ, საქართველოში იგი ეკონომიკის მუხრუჭად იქცა. ხოლო, საბანკო სფეროში კონკურენციის მომატებამ არ გამოიწვია საბანკო მომსახურების ფასის დაკლება.
- საქართველოს მთავრობის (ასევე სხვა ქვეყნებშიც) ფულად-საკრედიტო რეგულირების მეთოდების ნაკლს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ფაქტი, რომ ისინი არ უზრუნველყოფენ დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას, ასევე, არ წყვეტენ სახელმწიფოს სოციალურ ამოცანებს. ამიტომ რეგულირების შესაბამისი ბერკეტები სერიოზულ დახვეწას მოითხოვს.
- საკუთრების ფორმის ცვლილებას, თან არ სდევს მეურნეობის ახალი სუბიექტების ეფექტური მართვის ფორმებისა და მეთოდების გამოყენება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალიან გრძელ, თითქმის უსასრულო ჩიხთან. აქედან გამომდინარე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ტრანზიტული ეკონომიკის და კერძოდ საქართველოს ეკონომიკური რეფორმების კრიზისი მაშინ დასრულდება, როცა არსებული საკუთრების იურიდიული ფორმები, საკუთრების

ეკონომიკურ ფორმებს დაემთხვევა. ეს ადრე თუ გვიან მაინც მოხდება, მაგრამ ეკონომიკური თეორიის დახმარებით ეკონომიკური პროგრესისა და კეთილდღეობის მიღწევა უფრო მოკლე ვადებშიც შესაძლებელია.

- პრივატიზაციის საწყის ეტაპზე ინსაიდერების საკუთრების გადანაწილებისა და ვაუჩერების უფასოდ დარიგების დანაკარგები ნელნელა შიძლება დაიძლეულ იქნას. საქმე იმაშია თუ რამდენი დრო და რეფორმებია საჭირო განვითარების მაგისტრალურ გზაზე დასაბრუნებლად. დღესდღეობით ყველაზე აქტუალური შემდეგი პოზიციაა: „თუ პრივატიზაციის მეორე ეტაპზე ამუშავდება კანონი გაკოტრების შესახებ და გაჩნდება ფასიანი ქაღალდების მეორედი ბაზარი, დაიწყება აქციათა პაკეტებით მაისური ვაჭრობა, ამას კი მოჰყვება ქონების გადანაწილების წმინდა საბაზრო მექანიზმი, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ, რომ ცვლილებები შეუქცევადი და შედარებით წარმატებული იყო, ქვეყანა „ნომენკლატურული კაპიტალიზმიდან“ რეალურ საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადავა.“
- თანამედროვე მონეტარისტების და ნეოლიბერალების დოქტრინა, სამომხმარებლო საქონელწარმოების ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმოებით ჩანაცვლება ემპირიულად არასწორია და თეორიულად განუხორციელებელი.
- საქართველოში, ფინანსებით და კრედიტებით ეკონომიკაზე ზემოქმედების ბერკეტები პრაქტიკულად სრულადაა მომართული და მათი გამოყენების მასშტაბები არსებითად ამოწურულია, მაშინ როცა სადაზღვეო პოტენციალის (არა მხოლოდ როგორც ირიბი რეგულატორის, არამედ, როგორც სტაბილიზაციისა და გაუთვალისწინებელი დანაკარგებისაგან დამცველის, ანუ მისი „პირდაპირი დანიშნულების“) მეთავე გამოიყენება.
- მეცნიერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიოში ყალიბდება ე.წ. „ნეოეკონომიკა“. ასეთ პირობებში ქვეყანაში ფინანსური სისტემის რეფორმის ძირითადი მიზნის მისაღწევად უნდა შეიქმნას კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს: ყველა ღონის ბიუჯეტებისა და ბიუჯეტგარეშე ფონდებისათვის ადეკვატური კონცეფციური

საფუძვლების შემუშავებას; ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; ახალი პროექტების ობიექტურად შეფასებისთვის აუდიტორული და ბუღალტრული სტანდარტების შემუშავებას.

- უნდა ითქვას, რომ ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნების რეფორმები მიმართულია არა გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისკენ, არამედ, თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ნეოეკონომიკის ჩამოყალიბებისაკენ. საქართველოს დღევანდელი სოციალ-ეკონომიკური ვითარება, მნიშვნელოვანწილად, იმით არის გამოწვეული, რომ აქ ჩამოყალიბებული ტენდენციები ძალიან წინააღმდეგობაშია ნეოეკონომიკის განვითარების ტენდენციებთან.
- თუ საწინააღმდეგო ძალები, მოქალაქეთა გაერთიანებები, პროფკავშირები, დემოკრატიული ძალები მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სუსტია, ჩვენთან ისინი თითქმის არ არსებობენ. ხელისუფლებისათვის ბრძოლას კი თავისუფლად შეუძლია ჩამოაყალიბოს ყველაზე უარესი საზოგადოება, რომელიც *laissez-faire*-ზეა დაფუძნებული და „უხილავი ხელის“ ნაცვლად ხალხი „ძლიერ ხელს“ მიიღებს. ამიტომ, ნათელია რომ ეკონომიკურ ლიბერალიზაციას პოლიტიკური ლიბერალიზმიც სჭირდება.
- მაგრამ ყველაზე უფრო ფუძემდებელია ის გარემოება, რომ ახალათასწლეულს საქართველო შეხვდა ტაქტიკურად და სტრატეგიულად არამომზადებული. საყოველთაო გლობალიზაციის პროცესი მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუცია და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებისაგან მოითხოვს მთელი ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მაქსიმალურ მობილიზაციას. საქართველოს უმთავრესი ამოცანაა ღირსეულად უპასუხოს ისტორიულ გამოწვევას და უზრუნველყოს მოსახლეობის ცხოვრების მაღალი ხარისხი. განსაკუთრებით დამაფიქრებელია საქართველოს საკმაოდ დიდხანს ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩენა, რომელიც სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაკარგვის ტოლფასია. დღესდღეობით ნებისმიერი სახელმწიფოს ძლიერების განმსაზღვრელია მსოფლიო შემოსავლებისა და მოგების განაწილებაში მონაწილეობის ხარისხი. გადარჩენის მექანიზმი ერთადერთია – მდგრად და უსაფრთხო

განვითარებაზე გადასვლა, ანუ ქვეყნის თვითგანვითარების მაღალი დონის უზრუნველყოფა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამისი ეკონომიკის დამკვიდრება.

- იმავდროულად, აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მრავალფეროვანი ინსტრუმენტებისა და მეთოდების ეფექტიანი გამოყენება, მათ შორის ინდიკატური დაგეგმვის მიზნობრივი პროგრამების სახელმწიფო დაკვეთების, საგადასახადო-ფინანსური, ფულად-საკრედიტო, სოციალური, სტრუქტურული, ინვესტიციური პოლიტიკის მეშვეობით. და რაც მთავარია, კორუფციასთან, კრიმინალურ სტრუქტურებთან აქტიური ბრძოლითა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევით, სახელმწიფომ უნდა შეძლოს ქვეყანაში კონკურენტული ატმოსფეროს ჩამოყალიბება. არსებითი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სახელმწიფოს საგარეოეკონომიკური ფუნქციების გაძლიერებას, მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეფექტიანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.
- მდგომარეობიდან რეალური გამოსავალი ორ მიმართულებაშია: უნდა მოხდეს საზოგადოებრივ დოვლათზე კონტროლის გაძლიერება და ბაზრის რეგულირება, ასევე საკუთრების ფართო ფენებზე გადანაწილება, რათა ქონების განკარგვაში საზოგადოების სულ უფრო მეტი წევრი იღებდეს მონაწილეობას. ბოლოს შეიძლება ვუწოდოთ კაპიტალიზმის გადარჩენა კაპიტალიზმისგან, სიმდიდრეზე მონომპოლიის გაუქმებით. კონტროლის მოწინააღმდეგეებს შეგვიძლია ვუთხრათ, თუ ბაზარი არაა სრულყოფილი და არ გააჩნია თვითკორექციის მექანიზმი, მაშინ მისი ექსცესების კონტროლს უნდა ახორციელებდეს ბაზრისგარე ინსტიტუტი. უკანასკნელი უნდა ეფუძნებოდეს არა ბაზრის ფასეულობებს და გაგებებს, რომლებიც სცილდება სუფთა ჰედონიზმსა და მაქსიმალურ მოგებას. ბაზრის რეგულირებისთვის აუცილებელია არა უხეში კონტროლი, არამედ დახვეწილი და ჩამოყალიბებული საზოგადოება, ხელისუფლება, ინფორმირებული ელექტორატი და ჯანსაღი, ლეგიტიმური პოლიტიკური ინსტიტუტები.
- ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების არსში გასარკვევად აუცილებელია სისტემური

მიდგომა. დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან, საბაზრო ეკონომიკაზე და სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლა ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნებში განვითარების მთავარ პრიორიტეტადაა მიჩნეული. აქედან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური რეფორმა უნდა იყოს სახელმწიფოს ეროვნული სტრატეგიის ორგანული შემადგენელი ნაწილი, ის განსაზღვრავს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს, ანუ როგორი სახელმწიფოს ჩამოყალიბება გვსურს ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ინსტიტუციური თავსაზრისით და რა უნდა გაკეთდეს ამისთვის მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში მსოფლიო განვითარების გათვალისწინებით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რომ მიმდინარეობს ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს როლის არა შემცირება, არამედ გაზრდა. ეს პროცესები რა თქმა უნდა შიდა კონფლიქტებით ხასიათდება. როგორი მეთოდოლოგიაც არ უნდა გამოვიყენოთ, დაუშვებელია ეკონომიკური გარდაქმნების საბოლოო მიზანი იყოს საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა. მისი უმთავრესი მიზანია უფრო მაღალი რანგის ისტორიული ტრანსფორმაციის განხორციელება – გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და მათი გადასვლა მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში.

საბოლოო ჯამში არცერთ ექსპერტს, კვალიფიკაციის მიუხედავად არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს მომავალი. საუკეთესო ექსპერტი ისაა, ვინც საკუთარ შეცდომებს აღიარებს, ენდობა ისტორიულ გამოცდილებას, საკუთარ თეორიებს შეუთავსებს რეალობას და არ ამტკიცებს, რომ რეალობაა დამნაშავე. ჩვენ, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვისთვალით უნდა ვუყურებდეთ ყველას, ვინც გვთავაზობს რწმენის ახალ სისტემებს და ვინც პასიურ მოლოდინშია, რომ „უხილავემა ხელმა“ გააკეთოს საქმე, რომელიც მისი გასაკეთებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია - ძველი აღთქმა. დაბადება, თ. 41, საქ. სსრ. გამ. კომბ. 1989
2. ბერაძე ს. ჭანუყვაძე გ. კრავცოვი ი. – ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ნაწ. I, თბილისი, 1973. გვ. 87.
3. ბერულავა გ. - მაკროეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში. *ჟურ. მმე.* 1999. №5. გვ.20
4. გამსახურდია გ. - საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბი, 1995. გვ. 250.
5. გოგონია რ. – საბაზრო ეკონომიკა. თბი, 1996. გვ. 39-70.
6. გოგოლაძე გ., ჩახვაშვილი დ. – ადგილობრივი ფინანსები საბაზრო მეურნეობაში. *ჟურ. ეკონომიკა*, №9-10 2006
7. გუგუშვილი პ. - კაპიტალიზმის წარმოშობა, განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბილისი, 1941. გვ. 432-448.
8. გრიგალაშვილი ლ. - ფინანსური იჯარა – სააღრიცხვო და საგადასახადო ასპექტები. *ჟურ. მმე.* 1999. №11-12. გვ.
9. დარბუაშვილი ნ. – ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის კონცეპტუალური მიმართულებები. თბილისი, 1998. გვ. 89.
10. ვანიშვილი მ. - ეროვნული სასურსართო უსაფრთხოება და მისი დონის შეფასების მაჩვენებლების სისტემა. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა.* 2000. №9. გვ.19
11. ვეკუა დ. – პერსონიფიცირებული აღრიცხვა და საპენსიო სისტემის რეინჟინერინგი. *ჟურ. მმე.* 2000. №9. გვ.30
12. ზურაბაშვილი ვ. - საფინანსო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში. თბი, 1996. გვ. 120.
13. თოდუა გ. - საქართველო და „ლეგეფერ“ დოქტრინის მოქმედება თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკაში. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა.* 1998. №12 გვ.22
14. იაკობიძე ს. - საარსებო საშუალებათა მოხმარების დონე და სტრუქტურა დამოუკიდებელ საქართველოში *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა.* 1999. №11-12 გვ.35
15. კაკულია მ. - საწარმოთა ფინანსური მართვის სახელმწიფო მხარდაჭერა. 2001. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა.* №2 გვ.29

16. კაკულია რ. - საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები. თბილისი, 1995. გვ. 176-199.
17. კაკულია რ. - ფინანსების ზოგადი თეორია. თბილისი, 1997. გვ. 335.
18. კაკულია რ. - საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფო სექტორის ორიგინალურ კონცეპციას იძლევა. 1999. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №2, გვ.33
19. კეინზი. ჯონ. - დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი, 1995. გვ. 420.
20. კვერნაძე ა. - სავაჭრო-სამრეწველო პალატების როლი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. 2001. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №2 გვ.40
21. ლაცაბიძე ნ. ცარციძე მ. - ხელფასის ორგანიზაციის პრობლემები ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების პროცესში. 1999. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №3 გვ.35
22. ლაცაბიძე ნ. ცარციძე მ. - შრომის ბაზრის არის თანამედროვე გაგება. 1999. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №11-12 გვ.31
23. ლეიაშვილი პ. - აქტიური საინვესტიციო პოლიტიკისკენ. 2001. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №7-8 გვ.
24. მაისაშვილი გ. - ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის. iberiana.iatp.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.03.2008
25. მაკკონელი კ. ბრიუ ს. - ეკონომიკის – პრინციპები, პრობლემები და პოლიტიკა. ნაწ. III. თბილისი, 1997. გვ. 480.
26. მაღაშხია გ. - გადასახადები, ეკონომიკური აღორძინება და ჩვენი ცხოვრება. 1999. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №1 გვ.26
27. მარქსი კ. - ზედმეტი ღირებულების თეორიები. ნაწ. II. თბილისი, 1968. გვ. 500-734.
28. მესხია ი. მურჯიკნელი მ. - ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, 1997. გვ. 225.
29. მესხია ი. - რეალური სექტორის აღორძინება-განვითარება – ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი. 1999. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №11-12 გვ.29
30. ოთინაშვილი რ. - პოლიტიკური ელიტა – ჩვენი არჩევანის ინდიკატორი. 1999. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №5 გვ.37

31. პაპავა ვ. ულუმბერაშვილი ნ. - საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროგრამული ღონიზიებები. თბილისი, 1994. გვ. 130-158.
32. პაპავა ვ. – საერთაშორისო სავალუტი ფონდი საქართველოში. მიღწევები და შეცდომები. თბილისი, 2000.
33. პაპავა ვ. – სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. 1995. *ქურ. ეკონომიკა*. №7-9
34. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევები და მოხსენებები (1999-2000), თბილისი, 2000. გვ. 541-559.
35. სანთელაძე ნ. - ქვეყანა კვლავ „ეკონომიკურ“ ჩიხშია მოქცეული 1999. *ქურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №1, გვ.34
36. საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები. IV კვარტ. 2001. გვ. 131.
37. საქართ. ეკონომიკური მიმართულებები. IV კვარტ. 2002. გვ. 135.
38. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2008 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით. www.taxdep.ge/default.aspx?tbmain=209. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.03.2008
39. საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის მასალები. თბილისი, 2003. გვ. 135.
40. საქართველოს საგადასახადო ინსპექცია. ინსტრუქცია: საწარმოთა ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ; ინსტრუქცია: მიწის გადასახადისა და გადახდის წესის შესახებ. თბილისი, 2000.
41. საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები. თბილისი, 1999.
42. საქართველოს საბაჟო კოდექსი. 2008 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით. <http://www.taxdep.ge/Default.aspx>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.03.2008
43. საქართველოს სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. თბილისი, 1995. გვ. 250.
44. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 1992-2001 წლების მასალები (სამსახურეობლივი სარგებლობისთვის). თბილისი, 2001.
45. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები (1993-2001), თბილისი. გვ. 16-18.

46. სილაგაძე ა. – მონათმფლობელური საზოგადოების ეკონომიკური კონცეფციები. თბილისი, 1991. გვ. 35
47. სმითი ა. - გამოკვლევები ადამიანტა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბილისი, 1938. გვ. 380
48. სრესელი შ. - გადასახადები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თბილისი, 1994. გვ. 105
49. სრესელი შ. - საგადასახადო სისტემის სტრუქტურული რეფორმის ძირითადი საკითხები საქართველოში. თბილისი, 1997. გვ.23
50. ღურწყაია კ. - ეკონომიკური თეორია. თბილისი, 2004, გვ.400
51. ღუღუშაური ლ. - საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდები. თბილისი, 19997. გვ. 105
52. ტერაშვილი ნ. - კაპიტალის გაქცევა. 1999. *ჟურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №2, გვ.33
53. ჩანტლაძე ვ. - ფინანსური მეცნიერების საფუძვლები. თბილისი, 1995. გვ. 15-16, 25, 206
54. ჩანტლაძე ვ. - ფინანსების თეორიის საკითხები. თბი, 1987. გვ. 70
55. ჩახვაშვილი დ. - საფინანსო სისტემის სრულყოფა საბაზრო მეურნეობის პირობებში. *ჟურ. ეკონომიკა*. №9-10 2006.
56. ჩახვაშვილი დ. - საფინანსო სისტემის რეფორმის ზოგიერთი საკითხი საქართველოში. *ჟურ. ეკონომიკა*. №9-10 2006.
57. ჩახვაშვილი დ. - შესავალი ეკონომიკაში. თბილისი, 2004
58. ჩახვაშვილი დ. - ელიტის ცირკულაცია ქართულად. www.darbazi.ge. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.03.2008
59. ჩახვაშვილი დ. – საქართველო და ინტრანეტის სივრცე. www.darbazi.ge. 2002. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.03.2008
60. ჩახვაშვილი დ - პოლიტიკა-ეკონომიკა-პოლიტიკა. www.darbazi.ge, №2. 2001 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.03.2008
61. ჩახვაშვილი დ. - დოლარის მონოპოლია, მითი თუ რეალობა. www.darbazi.ge, 2001 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.03.2008
62. ჩახვაშვილი დ. - ეკონომიკა-პოლიტიკა-ეკონომიკა. *ჟურ. „ეკ.“* www.darbazi.ge, 2001 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.03.2008
63. ჩიქავა ლ. - საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 1995. გვ. 196

64. ფიშერი ს. დორნბუში რ. შმაღენზი რ. - ეკონომიკა. ტ. I, II, III, IV. თბილისი, 1997
65. ხელაია გ. - ინფლაცია, როგორ ვუმკურნალოთ?. თბილისი, 1994
66. ქინქლაძე ნ. - მეწარმე და სახელმწიფო (ვითანამშრომლოთ ცივილურად). 1999. *ქურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №11-12 გვ.
67. ჭითანავა ნ. - საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები). თბილისი. 1995. გვ.150-175
68. ჭკუასელი მ. - საქართველოს დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბები. 1999. *ქურ. მ.მ.ე.* №5 გვ.34
69. ჯანგულაშვილი დ. - საქართველოში სოციალური პოლიტიკის პრობლემები. 1999. *ქურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №11-12, გვ.15
70. ჯაში ჩ. - გლობალიზაცია და გენდერული თანასწორობა ეკონომიკაში. 2000. *ქურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №1 გვ.12
71. ჯგერენაია ე. - საქართველოს საგადასახადო ბალანსის აღრიცხვის მეთოდოლოგიური სრულყოფისა შესახებ. 2000. *ქურ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა*. №10 გვ.22
72. Беттельгейм Б. - О Психологической привлекательности тоталитаризма. 1997. жур. „Знание Сила“. №8, Киев стр. 44
73. Бартреев С. - Экономичие теории и школы. Москва, 1996. стр. 352
74. Блауг М. - Экономическая теория в ретроспективе. Москва, 1994. стр. 720
75. Волков А. - Финансовый учет. Москва, 2004. стр. 534
76. Глинкин А. – Совместная деятельность и налоги, взгляд налогового инспектора. Москва, 1995. стр. 6-8
77. Глухов В. Долде И. – Налоги – Теория и практика“. Санкт-Петербург – Специальная литература. 1996. стр. 32
78. Дорнбуш Р. - Стабилизация, долг и реформа: анализ политики развивающихся стран. Москва, 1993. стр. 44
79. Бард В. Павлова Л. - Налоги в условиях экономической интеграции. Москва, 2004. стр. 32-33
80. Балацкий Е. - Динамика экономики переходного периода. (Методология макроанализа и принципы регулирования). Москва, 1996. стр. 55
81. Богиня Д. - Государственное регулирование переходных процессов. 1999. жур. Экономика Украины. №5. стр. 2

82. Брук А. - Экономический национализм Фридриха Листа. 2002.
www.nationalism.org. стр. 4
83. Брук А. - Германия между Европой и Западом. 1934. стр. 22
84. Братухина О. - Методология, методика и практика исчисления налогов.
Москва. 2007. стр. 155
85. Вербицкий М. - Экономика нового тысячелетия. imperium.lenin.ru/~verbit.
2004. стр. 8
86. Водянов А. - Инвестиционные процессы в экономике переходного
периода. Методология анализа и прогноза. Москва. 1995. стр. 202
87. Гайдар Е. - Экономика переходного периода. www.gaidar.org 2004. стр. 3
88. Гелб А. Грей Ч. - Экономические преобразования в странах Центральной
и Восточной Европы Москва. 1995. стр. 13
89. Гумилёв Л. - Теория этногенеза и исторические судьбы Евразии.
www.arctogaia.com 1974. стр. 56
90. Гуриев С. - Мифы экономики: Заблуждения и стереотипы, которые
распространяют СМИ и политики. Санкт-Петербург, 2005. стр. 188
91. Дугин А. - Теоретические источники нового социализма.
www.arctogaia.com. 2000. стр. 2-3
92. Карп М. - Налоговый менеджмент. Санкт-Петербург, 2001. стр. 367
93. Клокова Н. - Споры, выигранные у налоговой. Москва, 2004. стр. 187
94. Ковалева А. - Финансовый менеджмент: Финансы и статистика, стр.200
95. Коровкин В. - Основы теории налогообложения. С-П, 2001. стр. 223
96. Корниенко О. - Национальная экономика. М, 2008. стр. 187
97. Кузнец С. - Население, капитал и экономический рост. М, 1973. стр. 221
98. Купманс Т. - Три эссе о состоянии экономической науки. Санкт-Петербург
1994. стр. 67-68
99. Ламперт Х. - Социальная рыночная экономика. Германский путь. Санкт-
Петербург 1994. стр. 44
100. Леонтьев В. - Экономические эссе. Москва, 1990. стр. 415
101. Леонтьев В. - Структура американской экономики. Москва, 1990. стр. 236
102. Лившиц С. - Государство в рыночной экономике. „Российский
экономический журнал“ N 11-12, 1992, N1, 1993. стр. 2-4

103. Манделл Р. А. - Денежная теория: процент, инфляция и рост в мировой экономике. мировая экономика. 1975. С. 277
104. Мишустин М. - Информационно-технологические основы администрирования имущественных налогов. Москва, 2007. стр. 226
105. Никонова И. - Финансирование бизнеса. Москва, 2004. стр. 113
106. Палий В. - Теория бухгалтерского учета: современные проблемы. Москва, 2007. стр. 35
107. Палий В. - Международные стандарты учета и финансовой отчетности. Москва, 2008. стр. 222
108. Пеппер Дж. – Практическая энциклопедия налогового и финансового планирования. Москва, 1998. стр. 228
109. Петти В. – Трактат о налогах и сборах. Под редакции И. Столяпова. Москва, 1993. стр. 77-78
110. Перкинс Дж. - Исповедь экономического убийцы. Москва, 2005. стр. 170
111. Петрова Г. - Налоги и налогообложение. Москва, 2001. стр. 200
112. Позднякова Т. - Финансовое регулирование социально-экономических процессов. СПб университет экономики и финансов, М, 1999. стр. 128
113. Парвулеско Ж. - Возвращаясь к великой войне континентов. www.arctogaia.com. 2000. стр. 3-4
114. Портер М. Такеути Х. Сакакибара М. - Японская экономическая модель: Может ли Япония конкурировать? Москва, 2003. стр. 200-202
115. Рабинович Г. - Экономическая природп налога с оборота и пути уго совершенствования. Москва, 1997. стр. 160
116. Рикардо Д. – Начала политической экономии и налогового обложения. Москва, 1995. стр. 111
117. Рябова Р. – Налогообложение банков, банковской деятельности. Москва, 1997. стр. 175
118. Стиглиц Дж. – Экономика государственного сектора. Москва, 1999. С.720
119. Солюс Г. – Налоги в системе государственно-монополистического капитализма. Москва, 1964. стр. 270
120. Субботин П. – Кризис бухгалтерии и банковская фискальная политика. Финансы. 1996. № 1 стр. 11
121. Тарушкин А. - Институциональная экономика: Идеи и концепции. Санкт-Петербург 1994. стр. 70

122. Топилин А. – Альтернативная система налогообложения малого бизнеса. Финансы. 1995. № 11. стр. 10-13
123. Феоктистов И. - Опасные схемы минимизации налогов: необоснованная налоговая выгода. Москва, 2007. стр. 88
124. Фишер С. - Экономика России: перспектива и ретроспектива. Москва, 2001. Т. 5. № 3. С. 416-424.
125. Чубров А. - Налогообложение участников финансовых операций. Москва, 2007. стр. 44-45
126. Эрхард Л. – Благосостояние для всех. Москва, 1991. стр. 332
127. Эрроу К. - Экономический смысл познания через практику. Москва, 1962. стр. 189-193
128. Хайек Ф. - Пагубная самонадеянность. Ошибки социализма. М, 1988, С122
129. Хикс Дж. - Собрание эссе по экономической теории. М, 1982, стр. 44
130. Ходов Л. - Налоги и регулирование экономики. М, 2003, стр. 101
131. Юткина Т. – Основы Налогообложения. Москва, 1995, стр. 74
132. Юткина Т. – Методология реформирования системы налогообложения в условиях экономики переходного периода. Москва, 1999, стр. 68
133. Юткина Т. – Налоги и налогообложение. Сыктывкар, 1999, стр. 84
134. Galbraith J. K. - The Economics of Innocent Fraud, NY. 2004
135. Gelos K. Sahay M. - Financial Market Spillovers in Transition Economies. IMF Working Paper. 2000. pp.54
136. Darvas G. Szapary J. - Financial Contagion under Different Exchange Rate Regimes. National Bank of Hungary Working paper 1999. pp.
137. Fries S. Raiser F. Stern M. - Macroeconomic and Financial Stability: Transition and East Asian Contagion. European Bank for Reconstruction and Development Working Paper No.28. 1998. pp.12
138. Krzak E. - Contagion Effects of the Russian Financial Crisis on Central and Eastern Europe: The Case of Poland. in Oesterreichische Nationalbank: Vienna. Focus on Transition. 2/1998. pp.22
139. Eichengreen M. Rose D. Wyplosz R. - Contagious Currency Crises. Scandinavian Journal of Economics. 1996. pp.32
140. European taxation. Amsterdam. 1995. pp. 319-320